


644
1966/4

საქართველოს
1966

საქართველოს
საბავშვო
ლიტერატურის
საქართველოს



1966

2

მისაქი

2

თეგერვალი

1 9 6 6

ლიბერატურულ-
მხატვრული და
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური
შურნალი

10.336.

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა
და მწერალთა კავშირის ორგანო

თბილისი



◆

რედაქტორი სუბა გერულავა

სარედაქციო კოლეგია: აბაკი ბაძრაძე, გურამ გვერდუთელი, მერაბ ელიოზიშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როინ მებრეველი, გურამ შანჭიჭიძე (პ/მზ. მღივანი), ვიორაგი ციციშვილი, ვახტანგ ზელიძე, სერგი ზილიაძე, თამაზ ზილაძე, ლაშა ჯანაშია.

◆

დიდოქანში

საუბარი საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის
კირვილ მდივანთან

3. 3. მუხანაქსთან

ამას წინათ რესპუბლიკა დაჯილდოვებულ იქნა ლენინის მემორე ორდენით, გვიანგამთ საბჭოთა საქართველოს წარმატებებზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

— სამშობლოს მაღალი ჯილდო მოპოვებულია ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, საქართველოს ყველა მშრომელის თავდადებული შრომით. წარმატებანი ახალი ცხოვრების, ახალი ყოფის მშენებლობაში კომუნისტური პარტიის მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის შედეგია. ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ გვსურს ერების ნებაყოფლობითი კავშირი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, საგსებით ნებაყოფლობითს თანხმობაზე“. დღევანდელი საქართველო ლენინის ამ მითითების ღრმად განხორციელების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს.

და ამ სასიხარულო დღეებში, საბჭოთა საქართველოს 45-ე წლისთავის წინააღმდეგ, ჩვენი პირველი სიტყვა მიმართულია დიდი ოქტომბრით შობილ ხალხთა მეგობრობის ცხოველყოფელი ძალისადმი.

არ არის რესპუბლიკაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის არც ერთი უბანი, სადაც მეგობრობის მძლავრი ძალა არ იგრძნობოდეს. მან გარდაქმნა ჩვენი მხარე, გადააქცია იგი მოწინავე მრეწველობისა და მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე რესპუბლიკად. იგი დაგვეხმარა, აღგვემართა ახალ საწარმოთა გიგანტური კორპუსები, შეგვეცვალა მდინარეთა კალაპოტები, გავვეყვანა სარწყავი არხები, აყვავებულ ბაღნარად გვექცია გვალვიანი ველი. შეხედეთ ველში აღმართულ ქალაქს — რუსთავს. ეს მეგობრობის ცოცხალი ძეგლია. ქართველებთან ერთად მას აშენებდნენ რუსები და სომხები, აზერბაიჯანელები, ტაჯიკები, უზბეკები. აქ 38 ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ. მათი შესმატკბილებული შრომით აგებულია მეტალურგიული ქარხნისა და ცემენტის ქარხნის, აზოტოვანი სასუქების კომბინატის, სინთეზური ბოჭკოს ქარხნის უზარმაზარი საამქროები. ჩვენი ქვეყნის ასზე მეტი სამრეწველო საწარმო მონაწილეობდა რუსთავში ფოლადის უწყვეტი სხმის უნიკალური დანადგარის შექმნაში.

შვიდ წელიწადში რესპუბლიკაში ანთო ორასზე მეტი ახალი საწარმოსა და სამქროს ჩირადენები. მათ შორის არიან ლაჯანურის ჰესი, ხრამის მეორე ჰესი, ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკა ჭიათურაში, მძლავრი დახურული ელექტროდენი მელეები ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. შვიდწლედის დასაწყისამდე რესპუბლიკაში არსებითად არ ყოფილა ხელსაწყობთმშენებლობა. ახლა თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალსა და სხვა ქალაქებში შექმნილია ელექტროტექნიკური და ხელსაწყობთმშენებლო მრეწველობის ოცზე მეტი საწარმო. ხოლო რამდენი სიხარული მოუტანეს ადამიანებს თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლებმა, საცხოვრებელი სახლების მშენებლებმა! 7 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი ქალაქებში და 65 ათასი სახლი სოფლებში — აი მათი თავდადებული შრომის შედეგი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოს მრეწველობა ახლა ერთ კვირაში უშვებს იმაზე მეტ პროდუქციას, რასაც იგი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელ წელიწადში უშვებდა.

ტრადიციული გახდა შეჯიბრება თბილისისა და რიგის მშრომელებს, რუსთავისა და სუმგაითის მეტალურგებს და ქიმიკოსებს, ჭიათურისა და ნიკოპოლის მალაროელებს, ტყვარჩელისა და ყარაგანდის მეშახტეებს, ქუთაისის, კიროვადისა და ლენინაკანის ფეიქრებს შორის.

ერთმანეთს ეჯიბრებიან სოფლის მშრომელები: მახარაძელები და გენიჩესკელები, კახელები და ყუბანელები. სომეხი, ქართველი და აზერბაიჯანელი მიწათმოქმედნი. ისინი ყველანი ერთად იბრძვიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის. ამაში არსებითი წვლილი შეიტანა საქართველოს საკოლმეურნეო სოფელმა.

გასულ წელს სამშობლო განსაკუთრებით გაახარეს მეჩაიებმა და მევენახეებმა, რომლებმაც დღემდე უმაგალითო მოსავალი აიღეს. ჩვენმა ქვეყანამ შვიდ წელიწადში საქართველოდან მიიღო 1 მილიონ 178 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ეს მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ვეგმით იყო გათვალისწინებული. მევენახეებმა გასულ წელს 244 ათასი ტონა ყურძენი მოიყვანეს.

„ხაზს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად“, — წერდა დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მომღერალი შოთა რუსთაველი. და ჩვენ ვამაყოფთ იმით, რომ მისი დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება. ერთი ხალხის დღესასწაული და სიხარული ხომ ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის დღესასწაული და სიხარულია. უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე. შოთა რუსთაველის ხსონას რომ აღვნიშნავთ, ამით ჯეროვნად ვაფასებთ ქართველი ხალხის უძველეს კულტურას, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში უმაგალითო განვითარებასა და აყვავებას მიაღწია.

რესპუბლიკაში მუშაობს მეცნიერებათა აკადემია, ორასამდე სამეცნიერო დაწესებულება. მეცნიერების სწავლობენ პრობლემებს, რომლებიც თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა დარგს მოიცავს. ბევრი რამ აქვთ საამაყო ქართველ მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს, სცენისა და კინოს ოსტატებს. მათი შრომის ნაყოფმა აღიარება ჰპოვა არა მარტო მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ საზღვარგარეთაც.

— მიმდინარეობს ახალი ხუთწლედის პირველი წელი. რა ამოცანები დგას რესპუბლიკის მშრომელების წინაშე ამ ხუთწლედში?

— დიდი ღონისძიებანი, რომლებსაც პარტია ახორციელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) და შემდგომი პლენუმების შემდეგ, კარგ შესაძ-

ლემბლობებს ქმნიან მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მთელი სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის წარმატებით განვითარებისათვის.

სამრეწველო წარმოების საერთო ზრდამ ხუთწლედის პირველ წელს ჩვენში დაახლოებით 10 პროცენტი უნდა შეადგინოს. ელექტროენერჯის გამომუშავება ხუთ წელიწადში 82,8 პროცენტით გაიზრდება. პირველ დენს მოგვცემს ენგურის უნიკალური ჰესი, გაიზრდება შავი და ფერადი მეტალურჯის, ქვანახშირისა და ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის პროდუქცია, კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდება კაპიტალური და საბინაო მშენებლობა.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, მრეწველობის ყველა მუშაკმა ბევრი რამ უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მეურნეობას გაუძღვნენ ნამდვილად მეცნიერულ საფუძველზე, მიაღწიონ წარმოების ეფექტიანობას, უფრო აქტიურად დაწერგონ და უფრო სწრაფად აითვისონ ახალი ტექნიკა და ახალი სიმძლავრენი.

კარგი განწყობილებით დაიწყეს წელი სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. წინ ახალი ხუთწლედის პირველი გაზაფხულია. საქართველო ჩაის, ციტრუსების, დაფნის ფოთლის, ძვირფასი ჯიშების თამბაქოს დიდი მიმწოდებელია. ხუთწლედის დამლევისათვის რესპუბლიკამ ყოველწლიურად უნდა აწარმოოს 235 ათასი ტონა ჩაი, 478 ათასი ტონა ყურძენი, 280 ათასამდე ტონა ხილი, 39 ათასი ტონა ციტრუსების ნაყოფი და ა. შ. ზრდა, როგორც ხედავთ, უდიდესია.

ამას წინათ გაიმართა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება, რომელიც მიეძღვნა სკკპ მომავალ XXIII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის ყრილობას. რესპუბლიკის მევენახეებმა, მეჩაიეებმა, მეცხოველეებმა ვალდებულემა იკისრეს — უკვე 1966 წელს მისცენ ქვეყანას მნიშვნელოვნად მეტი ჩაი, ყურძენი, ხილი, მარცვლეული, ბოსტნეული, ხორცი. რძე და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

ჩვენში იტყვიან, რომ ორმოცდახუთი წელი მოწიფულობის ასაკია, ღრმა ცხოვრებისეული სიბრძნის ასაკია. ამ ასაკში ძალღონით აღსავსე ეგებება საბჭოთა საქართველო სკკპ XXIII ყრილობას და ახალი ხუთწლედის დასაწყისს.

(„პრავედა“, 1966, 9. II.).



სსსსს
განსკ



სახალხო კულტურა

— ჰე, რაღას უციდი! წამო, გავაცი-
ლოთ მზე, არ გავეასწროს! — ხელს მიქ-
ნევს ზღვისკენ მიმავალ ბილიკზე გასუ-
ლი ენდრე უნგვარი.

— ჰო, წამოვალ ახლავე!

არის ადამიანი, შემთხვევით შეხვდე-
ბი, ჩამოართმევ ხელს, უმალვე დაუშე-
გობრდები და მერე გგონია, ამ ორიოდ
კვირის წინათ კი არ შეხვდი პირველად,
მთელი ჩემი სიცოცხლე ვიცნობდიო. ასე
გავუშინაურდით ერთმანეთს მე და ენდ-
რეც, გავრაში დასასვენებლად ჩამოსუ-
ლი უნგრელი კაცი.

ხელის ჩამოართმევისას მითხრა, მაღი-
არი ვარო და რაკი მე სამამულო ომის
დროს მთელი დუნაისპირეთი მოვლილი
მქონდა, მალე გამოვნახეთ საერთო ენა.

— ახლა? ახლა ხიდებს მშენებელი
ინჟინერი ვარ... ვაშენებ ყველგან. ერთი
ამას წინათ უფგოროდთანაც ავავე. სხვა
რამით დავიწყე, ბოლოს კი ეს გამოვე-
დი.

— კარგი ხელობა გქონია, ღმერთმანი.

— ეს ხელობა კი არა, ჩემი სიცოცხ-
ლეა... რწმენაც. ყოველი ახალი ხიდის
დამთავრებისას ისეთი გრძნობა მიჩნდე-
ბა, ხრამით გაყოფილი ორი მთა თუ ბო-
რცვი სიყვარულით შეგაერთე-მეთქი. მი-
ნდა ყველა ხრამი ასე ამოვავსო, ყველა
მდინარის ორი ნაპირი ასე გადავხილო.
მგონია, ყველა ხიდზე მხოლოდ სიყვა-
რული ივლის, ივლის წყვილად და ბედ-
ნიერად. ჰო, სიყვარულმა ფართო გზაზე
უნდა იაროს ყველგან, იაროს თავისუფ-
ლად.

კეთილი ფიქრის კაცია ენდრე. ძალიან
უყვარს მზის ამოსვლის ყურება, მზის გა-
ცილებაც უყვარს. ყოველ საღამოს ერ-
თად მივიღივართ ზღვასთან და კარგა ხანს
გავცქერით შორს, ცისა და ზღვის დასა-
ლიერში რა ნელა იძირება ცეცხლივით
გალღვივებული და საოცრად გადიდებუ-
ლი მზე.

იმ დღესაც დიდხანს გავყურებდით ჩა-
მავალ მზეს. ენდრეს ამ დროს ლაპარაკი
არ უყვარს. ვიდრე მზე არ ჩაიწურება
ზღვაში, კაცი ქანდაკებასავითა დგას. მეც
ვდუმვარ, ულამაზესი წუთების განცდით

დადუმებულ ადამიანს მყუდროება რომ
არ დავუტრღვიო.

უცებ ჩვენს წინ ბოშა გოგო გაჩნდა.
შავად მზინავი თვალები შემოგვანათა
და გავვიღიმა.

ენდრემ ერთი შეხედა, შეკრთა და უმ-
ალვე მოარიდა თვალი.

— ალბათ, მაგათი ფეხდაუდგამი მიწა
არ არის ქვეყანაზე. ყველგან დახეტებე-
ან და ხალხს არ ასვენებენ, — ჩაეილაპა-
რავე ცოტა ხნის შემდეგ.

ჩაფიქრებული ენდრე შემომიბრუნდა:

— ეგრე ნუ იტყვი! იარონ, ვის რას
უშაგებენ? ყველას თავისი სატკივარი
აქვს.

მეორე დღეს ენდრემ არ გამომიარა.
აეღ ხომ არ განდა-მეთქი, მევე მივაკი-
თხე.

— რა მოგივიდა, ვაჟკაცო? უხალისოდ
გამოიყურებდი, ცუდად ხომ არა ხარ?

— არა, ისე, რაღაც...

— არ გავაცილოთ მზე? დღეს ისეთი
წყნარია ზღვა...

— წუხელ მთელ ღამეს რული ვერ მი-
ვაკარე თვალს.

— რატომ?!

— სულ მელანდებოდა, სადღაც მახ-
ლობლად ბოშები დადიან და ეყენებიან
დაირას უკრავენ-მეთქი.

— იმ ერთი ბოშას დანახვამ ასე შეგა-
წუხა?

— არა, კი არ შემაწუხა... გულში ჩა-
მარხული ერთი ამბავი გამიცოცხლა და
სული ამიფორიაქა.

მზის გასაცილებლად აღარ წავსულ-
ვართ. ენდრემ ისეთი ამბავი წამოიწყო,
მზეც დაგვაიწყადა და ზღვაც.

●
ბავშვობისას დუნაის პირას ვცხოვ-
რობდი. თოთხმეტი წლისა ვიყავი, დედა
რომ გარდამეცვალა. მერე მამა დააბეტი-
მრეს. ვილაც ოხერმა დააბეზლა: არასაი-
მედო კაცია, ჰორტის ძვირი თქვაო.

ობოლ ბეჭს ხან ვინ შემეფარებდა, ხან
ვინ გამომიწვდიდა ხელს. რაკი ერთი მე-
თვალყურე არა მყავდა, ეულ ხბოსავით
ჩემს ნებაზე დავხეტიალობდი ყველგან.

უფრო ხშირად კი ბოშათა ბანაკთან ვტრიალებდი. იქ ყველაფერი საოცრად ილუმალი მეჩვენებოდა და ეს ილუმინაცია მიზიდავდა. ვუთვალთვალე — როგორ ატარებდნენ ბოშები დროს. ხან მშურდა მათი ამბები, ხან სევდას მგვირბდა.

მოვიდოდნენ გრუხათიანი ბოშები, მკერდადღლილი მამაკაცები და ქრულა-ქრულათი მორთული ქალები, რომელიმე დიდი თუ პატარა მდინარის ახლოს, ხიდის მეზობლად ცარიელ მინდორს ამოირჩევდნენ, დადგამდნენ სახელდახელო კარავებს, იმხიარულებდნენ, იყაყანებდნენ, იფუსფუსებდნენ, უცებ აიყრებოდნენ და მიდიოდნენ, ვინ იცის სად! იმ დღეს ახლომახლო სოფლებში ბევრი თავის ბოსელსა და ბელელს ამოწმებდა: ბოშებმა უცებ აყრა მაშინ იციან, როცა რაიმეს გატაცება უნდათ. თუ არაფერი დაიკარგებოდა, ღმერთს მადლობას სწირავდნენ.

მერე ირგვლივ სიწყნარე ისადგურებდა, ოღონდ ეს სიწყნარე დიდხანს არ გრძელდებოდა. ბოშათა ერთი ურდო რომ მიეფარებოდა თვალს, მეორე გამოჩნდებოდა ხოლმე. ისიც წინა ურდოსა ჰგავდა. მოვიდოდა ჩარდახიანი ურმეებით, თავისებური ბუღრუგანებით, კისერზე ჯაჭვჩამული დათვითა და ჟღერიალა დაირით. ღია ცისქვეშ გამართავდა სამჭედლოს და იყო ერთი დაგადუგი. გრდემლი ნაპერწკლებს ფანტავდა ირგვლივ, თითქოს ვარსკვლავები ცვივო. თავისნებაზე ცხოვრობდნენ ბოშები, არც მთავრობისა ეშინოდათ, არც ღმერთის, არც ბატონი ჰყავდათ, არც — მეფე. კაცები ჭედავდნენ და ჰყიდდნენ მსხვილ და წვრილ ჯაჭვებს, დიდ და პატარა ხაფანგებს, გრძელ და მოკლე შამფურებს, ცხენის ნალეხსა და ცხვირკაუჭა დანებს, სპილენძის ტაშტებს, ქვაბებს, კარდალებსა და ათას სხვა ხარახურას. უკრავდნენ ეყენებთან დაირას, აკვნესებდნენ ვილინოს აცეკვებდნენ დათვს თავის ბელიანად და ართობდნენ ხალხს. ცხენებს აღმა-დაღმა დააჭენებდნენ და ცალობდნენ. სწორედ ეს შემშურდა მათი: ქარივით

ლალი და ბედნიერი ხალხია-მეთქი. მერე ჩავუკვირდებოდი ბოშათა ცხოვრებას და მებრალებოდნენ: მოჩვენებრივად მათი სილაღე და სიცილი-მეთქი. თვით გატენილ ბალიშზე თავმდებულ და დაძინებულ საბანში გახვეულ ხალხს სახლ-კარი არა ჰქონდა, ცის სინდისზე იყო დამოკიდებული ბოშას ძილი და მოსვენება. ქალებს ჭრელ თავშალში გამოკრული ჩვილი ბავშვები ზურგზე გუდურებოდათ ეკიდათ, კარდაკარ დაწინააღმდეგებდნენ და ლუკმაპურს მარჩიელობით ეძებდნენ. ასე ვთქვათ, ქალებიც ვაჭრობდნენ, მაგრამ მამაკაცებით ხაფანგებსა და სხვა რკინეულობას კი არა ჰყიდდნენ, ბანქოს ვერებსა, ყვავებსა, აგურებსა თუ კიკოებში ამოკითხულ ბედს აძალბებდნენ სხვებს, მერე სამაგიეროდ ორიოდ გროშს ართმევდნენ, არც ხილსა და პურის ნატუნებს უკადრისობდნენ. გაცივებულ-გაქონილი ბანქოს დასტა იყო მთელი მათი ავლადიდება, გუთანი და სახნავ-სათესი, ყანა და ბაღი. ბანქოში ამოკითხულ ბედს უხვად არიგებდნენ, რომ თვითონ სულის ჩასაბრუნებელი ლუკმა ეშოვათ და ოჯახი როგორმე გამოეკვებათ. ზოგს ბოშათა ნაწინასწარმეტყველები ისე ანუგეშებდა, სიცილის გუნებაზე აყენებდა და აბედნიერებდა. ასე რომ, ნუგეშის მისაღებად რაღაც ორიოდ გროში ბევრს არავის ენანებოდა, ბოშებს კი ამით თავი გაჰქონდათ.

იმ შემოდგომაზე, მე რომ გიმნაზიას ვამთავრებდი, ხიდის მახლობელ მინდორზე რატომღაც მხოლოდ ერთი კარავი დარჩა ობლად. კარავი ოთხი პალოთი იყო დამავრებული და კალთაზე ქვები ჰქონდა შემოწყობილი. ერთ დღეს ზამთრის მოციქულმა ავმა ქარმა დაუბერა, კარავი მიწას აავლიჯა, გაიტაცა და დუნაში გადაისროლა. შემეცოდნენ ამღვრეული ცისქვეშ დარჩენილი ისედაც უბედურნი ბოშები. შინ რომ მივედი, ვიღრე ლექსი არ დავწერე, ვერ მოვისვენე:

ენტავ ვინ თქვა: ლალი ცეკვის ვარდა,

რადამ რა იცის?

მეზღეაური შეუყვარდა რაღას,

ბივი თავის ხნის.

შეპხარდა ვაჟის ცისფერ თვალებს,
საესეს მთვარიითა...
მაგრამ მისი მებღღაური მალე
ზღვაში გავიდა.
აღარ მოდის... რაღას თვალში მოჩანს
სევდის ყვავილი...
დარდანელში დარდიანი ბოშა
დადის დაირით.

აბა სად მე და სად დარდანელში მოხე-
ტიალე ბოშა, ეს უფრო ვარჯიში იყო,
ვიდრე ნამდვილი ლექსი. მეორე დღესვე
დავხიე და ღუნაის გავატანე დარდანე-
ლისკენ, მაგრამ გულიდან კი ვერ ამო-
ვიგდე, რადგან ამ ლექსში მომხდარი ამ-
ბის მაგვარი ორიოდ წლის შემდეგ თვი-
თონ გადამხდა თავს.

ვიმანაზია რომ დავამთავრე, სწორედ იმ
ხანად გამოუშვეს მამაჩემი ციხიდან. ად-
რე სოფელში მასწავლებლობდა და ოთ-
ხმოც ფორინტს აძლევდნენ. ციხიდან გა-
მოშვებული კაცი კი სკოლაში აღარ შე-
უშვეს და გაბრაზდა. სოფელში მიყიდ-
მოყიდა ყველაფერი და ვაცის გარეუ-
ბანში დასახლდა, მდინარე გომბაზის პი-
რას, პატარა ეზოიან პატარა სახლში. იქ
რეპეტიტორად დაიწყო მუშაობა. მდიდ-
რის შვილებს ამეცადინებდა ხოლმე. გა-
სამარჯლოს ცოტას აძლევდნენ — სა-
მოც პენგოს.

მე უნივერსიტეტში შესასვლელად
ვემზადებოდი, მუდმივი სამუშაო ვერ
ვიშოვე და რაც შემხვებოდა, იმას ვა-
კეთებდი. ვენმარებოდი მტვირთავებს,
ჭეითხუროებსა და დურკლებს. ზოგჯერ
გეოლოგებსაც დავყვებოდი მთაში... მა-
შინ ვისაც ველოსიპედი ჰქონდა, თავმო-
მწონე ვაჟკაცად ითვლებოდა და ჩემი
მოგროვილი ფულით ველოსიპედის ყიდ-
ვაც კი მოვანერხე. ლუქმა მოვიკელი და
ველოსიპედი ვიყიდე. რა თქმა უნდა,
დალხინებით არ ვცხოვრობდით. ხშირად
გვიჭირდა. ეს კარგად იცოდა დედაჩემის
მამამ, პაპა შანდორმა, და გვენმარებოდა
ხოლმე. პაპაჩემი ვაცხარტიანში ცხოვ-
რობდა, მთის ფერდობზე კარგა მოზრ-
დილი ვენახი ჰქონდა, სიმინდიც ბლომად
მოჰყავდა, პურიც. სახლი ბაღში ედგა
და სარჩო-საბადებელი არასოდეს აკლ-
და. საახალწლოდ ღორს რომ დაკლავდა,

უეჭველად დიდ ნაჭერს გამოგვიგზავნი-
და. მხიარული კაცი იყო პაპაჩემი. რომ
დამინახავდა, უღვაშებზე გემრტყობდა
გადაისვამდა ხელს და თვალები აუკამ-
კამლდებოდა. თვალის შუქი კი ისედაც
მუდამ პირმცინარეს სიკეთის მადლად
ეფინებოდა. პაპა ყოველთვის ვერ იცლი-
და ჩვენთან ჩამოსასვლელად, უფრო
ხშირად მე ვაკითხავდი — ხან მისახმა-
რებლად, ხან ისე, ბერიკაცის ტკბილი სა-
უბრის მოსასმენად.

დამინახავდა თუ არა, უმალვე იმას
მკითხავდა:

— ბუჭო, სულ მარტო რომ დაიარები,
ქალის მოყვანას არ აპირებ?

— რა მეჩქარება, ჯერ პატარა ვარ! —
განგებ მოვისაწყლებდი თავს.

— ბოჩოლა ხარ, რქების ამოსვლას
უცდი, უცადე. უცადე! — ხელს ალერ-
სიანად მომითათუნებდა. მერე შემიყვან-
და შინ და პირველი ჭიქით უსათუოდ
ჩემს სადღეგრძელოს დაღევდა.

იმ ზამთარს სტუმრობა შემიგვიანდა.
იანვრის დამლევს ვეწვიე. ზურგჩანთა
გავიტენე და დილაღრიან გამოვწიე ში-
ნისკენ. ფეხით წამოვედი: მატარებელს
სედლიგეტში შევახტები-მეთქი. თოვლი
იღო ირგვლივ. ნათლიღების ყინვას გაე-
ძაგრა ყველაფერი. ქარი ქროდა და დი-
ლის სუსხს ღონეს მატებდა.

მაშინ უკვე ვიპარსავდი წვერს და ვაე-
კაცობაზეც ვდებდი თავს, მაგრამ ნათ-
ლიღების ყინვამ და სუსხიანმა ქარმა ვაე-
კაცობა დამავიწყა და იძულებული გამ-
ხადა, პაპაჩემის ნახუქარი ახალი ჭუბის
საყულო ამეწია, კისერი შიგ ჩამერგო და
ქული ყურებზე ჩამომეფხატა. ღია მინ-
დორი გადავჭერი, ხიდი გადავიარე და
ბილიკს გავყვიე. უცებ დაირის დაგაღუ-
გი და ქღრიალი მომესმა. ეს ვინ გაგიყ-
და-მეთქი, მივიხედე გვერდზე.

ბოშათა კარვების წინ ათი-თორმეტი
წლის ბიჭი თოჯინაბმულ დათვს დააძუნ-
ძლებდა.

ბოშები ზოგჯერ დათვის ტყავს ჩააც-
მევენ ვინმეს და დათვადქცეულ ადამი-
ანს აცეკვებენ თავგასართობად. დავაკ-
ვირდი — ნამდვილი დათვი დაძუნძულე-

ბდა წრეში. იმ დათვის გარშემო შვიდი-
ოდე ბოშა ბავშვი თოვლში ცეკვავდა,
ცეკვავდა თითქმის დედინობილა, ცეკ-
ვავდა სიცილ-ხარხართა და ერთი ამ-
ბით, თითქოს ნათლილების ყინვას, დი-
ლის სუსხს, ამ გაძაგრულ თოვლს და კი-
დევ რაღაცას თუ ვიღაცას დასცინიანო.

თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგო დაი-
რას უკრავდა და ბავშვებს აქეზებდა,
უფრო ჩქარა დაუარეთო, თითქოს ეს
ბავშვები ბელბივით საწვრთნელად გა-
მოუყვანიანო.

თვალს არ დაუვჯერე, გავშტერდი.

— ჰეი, ჯუბიანო ვაქაცო, რას გვიყუ-
რებ? მოდი, თუ გინდა, შენც იცეკვე და
განხრებდი! ნუ გეშინია, ჩვენთან ცეკვა
უფასოა! — მომაძახა გოგომ.

მეხსივით მომხედა გულზე. ყინვაში ბო-
შათა თავაწყვეტილი ცეკვა და სიცილ-
ხარხარი ჩემს დაცინვად მივიჩნიე, შემრ-
ცხვა, ჯუბის აწეული საყულო უშალვე
გადავიკეცი, ქუდი დარდმანდულად მო-
ვიგდე კეფაზე და ბილიკს წელგამართ-
ლი გავყვივო.

— ჰე, ჰეი, სად გარბიხარ, კი არ შეგ-
ჭამთ! — გოგომ დაირა კარვის კართან
მიადლო და ჩემკენ გამოეშურა.

ნაბიჯს მოუუჩქარე.

ბოშა წინ გადამიდგა:

— ყმაწვილო, მოიტა ხელი, ვიმკითხა-
ვებ!

— არ მინდა... უშენოდაც ვიცი ყვე-
ლაფერი.

— არაფერიც არ იცი!

— ორს ვუყვარვარ—შავგვრემანსა და
ქერას. ქერა თუ ვითხოვე, მალე მილა-
ლატებს, შავგვრემანი კუბოს ფიცრამდე
ჩემი ერთგული იქნება! — ეს ისე ვუთ-
ხარი, პირდაპირ არც შემიხედავს, არც
შევჩერებულვარ, ბილიკიდან გადავუხ-
ვიე, გზა თოვლში განვვარძე და ბილიკს
შემოვუბრუნდი.

ბოშამ ისევ გადამიჭრა ბილიკი, დად-
გა, დონიჯი შემოიყარა, გამომწვევად გა-
მომხედა და გამიღიმა.

— ცოტა ხანს მათხოვე ხელი, რა მო-
გივა, ჭირს კი არ გადმოგდებ! — ეს უკვე
საოცრად ნაღვლიანი ხმით მითხრა.

ისევ გვერდის ავლა დავაპირე, მაგრამ
გოგოს თვალებს რომ შევხედე, წინ ფეხი
ველარ წავდგი, მონუსხულივით მივეყენე
ბილიკს.

ბოშამ ყორნისფერი წარბები ასწია და
შავი თვალები უცებ საოცარი უშქით
აევსო, თითქოს ორი მწიფე მაცყლისფე-
რი მზე აენთო ერთად.

შავი მზე ქვეყნად ვის უნახავს, მაგრამ
იმ ბოშას თვალთა მნახველი შავად მო-
კაშკაშე მზის არსებობას უეჭველად და-
იჯერებდა. უზომოდ თბილი იყო ის შავი
მზე. იმ მშემ დამავიწყა დილის სუსხი და
ნათლილების ყინვა, თოვლს თოვლობა
დაუქარგა და ავ ქარს — ქარობა. იმ შავი
მზით გამთბარმა სისხლმა ცეცხლად და-
მიარა ძარღვებში და გამახურა.

მე მაშინ სამკითხავ-სამარჩიელო მარ-
თლაც რა მქონდა, ერთი საწყალი ბიჭი
ვიყავი, ჩემს ბედსა თუ უბედობას ისე-
დაც კარვად ვხედავდი, მაინც გავუწოდე
ხელი და თვალი ღიმილით შევავლე.

ხელისგულზე დამხედა. ხაზებს გახედ-
გამოხედა და შეუდგა ჩემი ბედისა თუ
უბედობის წინასწარმეტყველებას. ერთი
სიტყვაც არ გამოიგია, ხმაზე კი ვატყობ-
დი, რაღაც საამოს მეუბნებოდა. მე სულ
ბოშას თვალებს მივშტერებოდი და მეჩ-
ვენებოდა, რომ იმ თვალებში თანდათან
ვიძირებოდი, უფრო ღრმად და ღრმად.

რაღაც უხილავმა გულზე მომიჭირა
ხელი და სუნთქვა შემიკრა.

ბოშა ალბათ მიხვდა, არ მისმენსო, ჩუ-
რჩული შეწყვიტა და თვალი კუშტად გა-
მიყარა თვალში.

კარგა ხანს კრინტი ვერ დავძარი, მე-
რე მომაგონდა, მკითხავისათვის გასამრ-
ჯელო რომ უნდა მიმეცა, ყველა ჯიბე
მოვიჩხრიკე და რაც ფული ვიპოვე, გა-
ვუწოდე.

ხელები უკან წაიღო და დამალა:

— განა ფულისთვის, ისე გიმკითხავე.
გულის ჭიის მოსაკლავად. ზოგჯერ თა-
ვიც ხომ უნდა გაართოს ადამიანმა? შენ
გგონია, რაკი ბოშა ვარ, ჩემი გულის ჭია
არა მაქვს და მხოლოდ გროშებს დავს-
დევ?

— მე არაფერიც არა მგონია... ამ ცივ

ზამთარში ფარდალალა კარვებისამარა როგორ ძლებთ? რა ვიჭირთ? — ამის თქმა სულ არ მინდოდა, სიტყვის ბარაქად წამომცდა, რადგან ღუმელი ძალიან მეუხერხულა.

— ჩვენ ბოშები ვართ, არაფერი არ ვიჭირს...

წამით ღუმელი ჩამოვარდა.

— უნგრული კარვად ვისწავლია.

— ბოშა ვის მიწაზეც ფეხს დაადგამს, მაშინვე მისი ენა უნდა ისწავლოს, უნგრეთში კარვა ხანია ვართ.

— რა გქვია?

— შენთვის სულ ერთი არ არის?

— ისე, მაინც...

— გამოიცანი! თუ გამოიცნობ, ბანქოს მოვიტან და გაგიშლი!

— რომ ვერ გამოვიცნო, მე რითი გადავხადო?

— არაფრით. შენ რა გინდა რომ მერქვას?

— რა ვიცი.

— მითხარი და იმას დავირქმევ... მე ყველა სახელი შემოდისა შევიმშენო.

— ესმერალდა.

— ოღონდ ესმერალდა არა. ესმერალდას ამბავი გაგონილი მაქვს, თურმე მახინჯი კაცი შეუყვარდა... მე არ მიყვარს ისეთი ზალხი... ქვეყნად ლამაზი ცოტაა?..

— მაშინ მირა... ელმირა... ესეც ხომ ბოშური სახელია?

— აი, ხომ გამოიცანი? მე ნამდვილად ელმირა მქვია, შინაურები მირასაც მეძახიან. თუ არა გჯერა, მიდი და ჩვენებს ჰკითხე! მომიცადე, გავიქცევი და ახლავე მოვიტან ბანქოს! პირობა პირობაა!

— არა, არ მინდა!

— გეჩქარება?

— საჩქარო რა მაქვს.

— აბა, ეგ ზურგჩანთა გამძიმებს? მოიხსენი და დადე ძირს, არავინ მოგტაცებს!

— ზურგჩანთა არ გამძიმებს, აღარ მინდა, რომ მიმკითხავო!

— თუ რაიმე ხიფათი და გაჭირვება გელის, გეტყვი და მოერიდები.

— თუ ხიფათისა და უბედურების წინადაწინ დანახვა შეგიძლია, რატომ შენს თავს არ უშველი ხოლმე? დავიჯერო სულ უხიფათოდ დადისარ? ერთხელ ბანქო შენს სახელზეც გაიშალე!

— ჩემზე არა სჭრის, არაფერს მეუბნება.

— მაშინ სხვას ამკითხავებინე, უცხოს.

— ეეჰ, მაგისტვის ფული დევხარჯო? — ელმირამ გაიღიმა და პირისახეზე ნათელი დაეფინა.

კვლავ საოცრად ლამაზი მეჩვენა.

— შენ ხომ მიმკითხავე უფასოდ, ახლა მე გიმკითხავებ, მიჩვენე ხელისგული!

ელმირამ ხელები კვლავ ზურგზე შემოიღო:

— მკითხაობისა შენ რა გავგებავ?

— ყველაფერს საამოსა და საბედნიეროს ვაწინასწარმეტყველებ და, ვიცი, უეჭველად დამიჯერებ. მერე სულ გახარებულნი ივლი... შენც ხომ ასე მკითხაობ? ჰა, მოიტა ხელი!

ელმირამ ნაბიჯი უკან წადგა და ისე შემომხედა:

— მოიცა, მოიცა! მე შენ სადღაც მყავხარ ნანახი!

— შესაძლოა. მე კი შენთვის არსად მომიკრავს თვალი, თორემ არ დამავიწყდებოდი.

— დიდი თავი გქონია, ყველას თუ იმასსოვრებ...

— ყველას არ ვიმახსოვრებ...

— აბა, მარტო ბოშებს?

— ბოშებს აქამდე სულ ვერ ვიმახსოვრებდი, ყველა ერთი დედ-მამის შვილად მეჩვენებოდა, მხოლოდ დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს ვარჩევდი, დანარჩენი ერთმანეთში მერეოდა.

— თუ ასეა, მე როგორღა დამიმახსოვრებდი? მეც ისეთივე ბოშა არა ვარ? ციდან ხომ არ ჩამოვვარდნილვარ?

— არ ვიცი... შენ უეჭველად დავიმახსოვრებდი.

— რითი? ხალიც კი არა მაქვს...

ენის წვერზე დამეკიდა სიტყვა: შენ ორი შავი მზე გინთია თვალბში-მეთქი. ვერ გავბედე თქმა. მართალია, უცებ გა-

მიშინაურდა და გულითადი საუბარი გამიბა ბოშამ, მაგრამ ისე არ გავთამამებულვარ, რომ გული გამეხსნა.

— დაგიმხსოვრებდი. არ ვიცი, რითი, მაგრამ ნამდვილად დაგიმხსოვრებდი.

— სტყუი და იმიტომ არ იცი.

— რა დავიფიცო? შენ რანაირი ფიცი გწამს?

— ფიცი ეშმაკისაა, არცერთნაირი არ მწამს. სეღლიგეტში ცხოვრობ?

— ცოტა იქით, ვაცში.

— არც ვაცია შორს. კიდევ შეგხვდები სადმე. ჰოლად, ვნახოთ, თუ მიცნობ. მერე დაგიჯერებ.

— ჰა, მოდი, გიმკითხავებ, რატომ არ გინდა? არ გაინტერესებს, კაცმა როგორი მკითხაობა იცის?

— მერე იყოს, კიდევ თუ შემხვდები სადმე და მიცნობ.

— კეთილი, მერე იყოს... იცოდე, უსიკვდილოდ გიმკითხავებ!

— შეხედე, როგორ მოგეჩერებთან ბავშვები, თვალეზად იქცნენ. წადი ახლა, კეთილად იარე! წადი, ჰო, გზა მშვიდობისა!

— ნახვამდის! — ხელი გავუწოდე ელმირას და ნაღვლიანად შევხედე.

ხელზე ხელი დამარტყა, კატასავით მოსხლტა და გაიქცა.

ის-ის იყო მზე ამოვიდა. ერთი კი გაასრიალა სხივები თოვლზე, მაშინვე მიეპარა ღრუბელი და ჩაყლაბა.

მივდიოდი და ვგრძნობდი, ორი შავი მზე მომდევდა. მერე იმ ორმა შავმა მზემ თავს დამიარა და წინ დამიდგა. ისინი ხან მაშინებდნენ, ხან გზას მინათებდნენ.

მივდიოდი და თავს ველარა ვცნობდი, თითქოს ვიღაც სხვა ჩამისახლდა გულში და სულიან-ხორციანად გამოვიცვალე.

ეს შავთეთრი წუთისოფელი თურმე ასე ყოფილა გარიგებული: ერთი დღე ქვეყანას შეგაყვარებს და ერთი დღე ცასა და მიწას შეგაძულებს. მე იმ ზამთრის სუსხიანმა დღემ ყველაფერი შემაყვარა — ცა და მიწა, ქვა და ხე, გზა და ბილიკი, ნათლიღების ქარი და თოვლი, მსუსხნავი ყინვაც კი...

დამით რული არ მომეკიდა. თვალგა-

ხელილი ვიწეკი და ათასფრთხიანობებში მეცხრე ცაში დამაფრთხილებდნენ.

რომ ვთქვა, მანამდე არავინ მომწონებია-მეთქი, ტყუილი იქნება, ქვა და ყინული კი არ ვარ! პაპაჩემის მეზობელ იანოშს მშვენიერი გოგო ჰყავდა, იუტკა. პაპაჩემთან სტუმრობა იმიტომაც უფრო მიხაროდა, იუტკას რომ ვნახულობდი. თვალის მოკერისთანვე იუტკასაც ისე შეეფაკლებოდა ლოყები, აშკარად ვატყობდი, გულში ფარული ცეცხლი უფიზგიზებდა და პირისახეზე იმ ცეცხლის აღმური სცემდა. მაგრამ იუტკა ელმირასავით არ ჩამვარდნია გულში, ძილიც ასე არასდროს გამტეხია.

იმდამინდელ უძილობას არ გავუწამებვიარ, სულში რაღაც ტკბილი მეღვრებოდა და ვფიქრობდი, ალბათ ეს არის სიყვარულის თაფლი-მეთქი. მერე გულს რაღაც მიღრღნიდა და ვფიქრობდი: ალბათ ამას ჰქვია გულის იღუმალი ჭია და სიყვარულის საამო სევდა-მეთქი.

ყველა ხეს თავისი აყვავების დრო აქვს, ადამიანს კი — ჟამი სიყვარულის აფეთქებისა. ვინ იცის, რამდენი ვინმე მოგივა თვალში, სასიყვარულოდ კი გული მხოლოდ ერთს ირჩევს, ისე ირჩევს. არც გკითხავს, რატომ მოგეწონა და შეგიყვარდა.

მე ელმირა სწორედ იმ დროს შემხვდა, როცა სიყვარულის აფეთქების ჟამი დამიდგა და... კიდევ იფეთქა ამ სიყვარულმა, იფეთქა ისე, როგორც აპრილის ერთ მშვენიერ დღეს უცებ იფეთქებნ ხოლმე პაპაჩემის ატამი, ვენახის შუაგულში რომ დგას.

დილით, მზემ რომ შემოიხედა ფანჯარაში, მეგონა, ელმირამ მომანათა თვალი. მთელ დღეს გაოგნებული დავდიოდი და რაღაც ნეტარ ბურუსში ვცურავდი. საღამოზე საბოლოოდ დავარწმუნე თავი, რომ ელმირას დიდი ხანია ვეძებდი, ბედად ვიპოვე და ახლა, ვიდრე პირში სული მედგა, არ უნდა გამეშვა არსად. ელმირას თვალთა ორი შავი მზე უნდა გამხდარიყო ჩემი გულის მანათობელი შუქურა... მარტო გულის კი არა, საერ-

თოდ — მთელი ჩემი სიცოცხლის, სავალი გზისა და ბედნიერების.

მეორე ღამეს ტკბილად ჩამეძინა და ულამაზესი სიზმარი ვნახე. მე და ელმირა ყვავილებით მოჩითულ მთაზე ერთად დავრბოდით. მერე ვილაც უხილავმა ლაქვარდიდან ცისარტყელა ჩამოგვივიდა თავშებრუნებით, გულაღმა. ჩვენ იმ ცისარტყელაზე ჩამოვსხედით, როგორც საქანელაზე, ცაში ვავაქროლ-გამოვაქროლეთ და ცისარტყელიანად საღღაც გავფრინდით.

ადრე აღგომა დამეზარა დილით. მეგონა, ის სიზმარი კვლავ ჩემთან დარჩა. იმ სიზმრით გამთბარი ლოგინიც კი შემეყვარდა. შემეყვარდა ის ღამეც და მეწყინა გათენება.

კვირის თავზე სითამამისთვის ნახევარი ბოთლი ტოკაის ღვინო დავლიე, მოვანტი ველოსიპედს, სატერფალს ფეხი თამამად დავკარი და აქა-იქ ყინულშერჩენილ გზაზე ისე ვდავირბინე, არსად მოვცუტრებულვარ.

ბოშათა თაბუნს რომ მივეუახლოვდი, ველოსიპედი ტელეფონის ბოძზე მივაყუდე და იქაურობას თვალი მოვაველე. ბანაკში სიწყნარე იყო. ღია ცისქვეშ გამართულ სამკედლოში თორმეტიოდე წლის ბიჭს საბერველის ტარი ეჭირა და ქურას უშუტუნებდა. ფეშტემალაფარებული მჭედელი რაღაცას ჭედავდა გრდემლზე. სამკედლოს იქით, ბოძზე მიბმული ბელი გულმოსული დაბაჯბაჯბდა, ხანგამოშვებით ჯაჭვს აედარუნებდა და ჯაჭვი რომ არ უშვებდა, კბენდა ხოლმე.

სამი ბაჭვი უჩარდახო ურემზე იჯდა და თებერვლის მზეზე ზურგს ითბონდა. ოთხიოდე გაზანგული ბიჭი გზაზე გამოსულიყო. შურდულებით კენჭებს უშენდნენ ტელეფონის ბოძზე ჩამომსხლარ საიზოლაციო ჭიქებს. ეჯიბრებოდნენ: ვინ უფრო მეტჯერ გაარტყამსო. როცა კენჭი ჭიქას ასცდებოდა, მავთულს ხვდებოდა. თითქოს გულამოსკვინით ტირიანო, ისე ზუზუნებდნენ მავთულები.

„ეჰ, ვინ იცის, ამ მავთულებში რამდენი სატირელი და სამხიარულო ამბავი

გარბი-გამორბის, ეს ბიჭები კი კენჭებს ესვრიან...“

ამის გაფიქრება ძლივს მოვასწარი, ზურგიდან ვილაც მომეპარა და ბეჭზე ხელი დამარტყა.

შემცბარი შევებრუნდი.

— შეგეშინდა? — გამიღიმა ელმირამ.

— მიწიდან ხომ არ ამოძვერი?

— ვისთან ხარ მოსული?

— ვითომ არ იცი.

— მართლა ჩემთან მოხვედი? — აკამაშდა ორი შავი მზე.

— სხვას აქ არავის ვიცნობ.

— რა ვინდა?

— ხომ დაგბირდი, გიმკითხავებ-მეთქი... აი, მოვედი, არ დაველოდე შემთხვევით შეხვედრას...

— სიტყვის პატრონი ყოფილხარ, მე კი მაშინ სახელიც არ გკითხე.

— არა უშავს, სახელის გაგება გვიანაც შეიძლება, — მკლავები ჩავუშვი, ოფიცირივით ქუსლი ქუსლს მივარტყი და თავი მოწიწებით დავხარე: — თქვენი მონა-მორჩილი ენდრე უნგვარი...

— სულ ევა ხარ? — კვლავ ღმილის ნათელი დაფინა ელმირას პირისახეს.

— აჰ, თქვენ ენდრე უნგვარის ძირი და ფესვიც გაინტერესებთ? ქრისტიანია, რომელსაც ღმერთად სიყვარული სწამს, დაბადებულია თავისი ნებით, მაგრამ ამ ქვეყნიდან ძალით თუ არავინ გააგდებს, თავისი ნებით არასოდეს წავა. სხვა ჯერობით რა გითხრა, თითქმის სულ ესა ვარ. დანარჩენი თვითონ უნდა გაიგო. ახლა კი, პირობის თანახმად, გიმკითხავებ! ჰე, გაშალე ხელისგული!

— მარჯვენა თუ მარცხენა?

— ორივე. შენი სიცოცხლე ერთ ხელისგულზე როგორ დაეტევა.

— კეთილი, ორივეს ვაგიშლი.

— აუუუ! შენ ყოფილხარ, რაც ყოფილხარ! სამას სამოცდა სამ წელიწადს, სამას სამოცდა სამ დღესა და სამას სამოცდა სამ წუთს იცოცხლებ, თუ ჩემი სიტყვა არ გამართლდეს, ღმერთთან მიჩივლე!

— სიყვარულის ღმერთთან?

— ჰო, მე ხომ სხვა ღმერთი არა მწამს.

— შეილიც სამას სამოცდა სამი მეყო-
ლება?

— შენი ნაშეირი დედამიწაზე ველარ
დაეტევა და მთვარეზე გადასახლება.

— ჰო, ჩვენები მთვარესლა აკლია ალ-
ბათ. მერე?

— სულ ბედნიერი და მხიარული იქ-
ნები.

— მარტო მე თუ... მონაგრიანად?

— რა თქმა უნდა, მონაგრიანად. თუ
ქალს შეილები და შეილიშვილები ცუ-
დად ეყოლება, თვითონ როგორღა იქნე-
ბა ბედნიერი და მხიარული?

— ჰო, მიდი, მიდი, ხელგაშლილად
არიგე ბედნიერება! შენი იხარჯება რა-
მე თუ?

— მალე გზა მოგელის.

— ბოშას თუ გზა აკლია, ზღვას ქვიშა
ჰკლებია მაშინ...

— ცხოვრებას შეიცვლი...

— თჰო?! ჩინეთის მეფისწული მომი-
ტაცებს?

— სიყვარულს ბევრი ავიხსნის, ერთის
გარდა, ნურავის დაუჯერებ.

— ის ერთი როგორღა გამოვარჩიო?

— დააკვირდი: ვისაც მარჯვენა ხელის
სალოკ თითზე ნაჭრილობევი ჯვარად
აჩნდეს, მხოლოდ იმ ერთს ენდე.

ელმირამ მარჯვენა ხელის სალოკ თი-
თზე დამხედა:

— ეს ჯვარი ვინ დაგახატა?

— ბავშვობისას დანით გავიჭერი, ასე
დამაჩნდა.

— რაკი ნიშანი გადევს, აღარ დამეკა-
რგები.

კარგა ხანს მეჭირა ელმირას ხელი. ბო-
შა ქალს ცხოვრების გზაზე ზღაბრულ
ვარდყავილებს ვუფენდი და უკვდავე-
ბას ვპირდებოდი.

ელმირამ დიდ გზამდე გამომაცილა.
დაენანა განშორება. მე კი ამ სინანულმა
ძალიან გამახარა.

დღე ერთი იყო და ელმირას გახსენება
ათასი. შინ ველარ ვჩერდებოდი. დროს
ვისხელთებდი თუ არა, ბოშათა თაბუნის-
კენ გავრბოდი. სიყვარული ღვინოსავით
თანდათან მეკიდებოდა და მათრობდა.

ზამთარი ისე შემომადნა ხელში ერთ-
ხელაც აღარ ამიწევია ჯუბის საყელო.

გაზაფხულის მიწურულში მირა და მე
იმდენად გავუშინაურდით ერთმანეთს,
სადაც ვეტყოდი, უყოყმანოდ მთმყვებო-
და. ჩავავლებდი ხელს და დავნავარლობ-
დით ქარივით; ხან ალთას, ხან ბალთას.
ორიოდეჯერ ველოსიპედზეც შემოვისვი
და აღმა-დაღმა ქროლვით გული ვიჭე-
რეთ. დუნაის პირას, ვაციდან ნაღმარო-
შამდე, ჩვენი ფეხდაუდგამი, მგონი, ად-
გილი აღარ დარჩა.

— აუჰ! ეს რამდენი ხეტიალი გყვარე-
ბია, ენდრე? ბოშა შენა ხარ თუ მე?

— ეს რა ხეტიალია? მე და შენ ხომ
დავფრინავთ? ბედნიერების ხეტიალი
ვის გაუგონია, ბედნიერებამ მხოლოდ
ფრენა იცის. ხვალ ნასაის მთას ვიწვი-
ოთ, გინდა?

— ნასაის მთაზე რა უნდა გავაკეთოთ?

— იქ ერთი ლამაზი კლდე მეგულება,
ავფორთხედეთ.

— იმ კლდიდან თუ გადმომაგდებ, წა-
მოვალ.

— კეთილი, გადმომაგდებ და... მეც
გადმოგყვები.

მზე არ იყო ამოსული, ნასაის მთას
რომ მივადექით.

— აი, იქ უნდა ავიდეთ! — კლდეში
გამოჭრილი გამოქვაბული დავანახე ელ-
მირას.

— აჰ, არ მინდა, საშინელია! თითქოს
ვიღაც თვალედათხრილი გადმოგვეყუ-
რებსო. მე გაშლილი ადგილი მიყვარს,
საიდანაც დიდი სივრცე ჩანს.

— კეთილი, მაშინ აი იქ ავიდეთ, ქვეყ-
ნიერების გადასახედია! — გავხედე ქო-
ჩორა ტყით დაფარულ მთას.

— ავიდეთ. მე ბილიკებზე სიარული
არ მეზარება, არც მუხლი მეღლება.

ბილიკს აყვევით. მზე მთიდან ჩამოვი-
და, თითქოს ჩვენ ჩამოგვეგებაო. ზოგ-
ჯერ დაკლაკინილი ბილიკიდან ვადავუხვე-
ვდეთ და ბუჩქებში მივფხოწიალობდით.

— მომეცი ხელი, მირა!

— არ მინდა შენი დახმარება! ყველამ
თავის თავს მოუაროს, წადი!

მოკლესახელოებიანი ჭრელი ხალათი
მეცვა. მსუბუქად მივიდიოდი. მზე ჯერ არ
აჭერდა და ჰილის ქუდი ხელში მეჭირა.

მირას ეცვა გაფაშფაშებული ქვედა ტანის კაბა. ხორბლისფერი მკერდი, მკლავები და ზურგი ნახევრად შიშველი უჩანდა. მზეში გასვლისას სხეული ულაპლაპებდა.

შუაგზაზე ელმირამ წინ გამისწრო და მინდორში გავიდა. რაღაც მხიარულ ბოშურ სიმღერას ღიღინებდა.

— აბა, დამეწიე, თუ ვაჟკაცი ხარ!.. თუმცა, არა! — უმაღლვე გადაიფიქრა გაქცევა.

რისი შეეშინდა? დავეწეოდი და მკლავში ხელს ჩავავლებდი?

— აუჰ, რამდენი ყვავილია! — წამოიძახა ელმირამ. — ენდრე, დაუგდე ყური, თითქოს ყველა ყვავილი ღიღინებს.

— ყვავილები კი არა, ფუტკრები ღიღინებენ. ყვავილებში თავს ეძებენ და სიმღერას უბეღებენ. შენ არ გეცოდინება, ასე იცის გლენხამაც, როცა ხნავს და მკის. თავლი არ გიყვარს?

— ამბობენ, სიყვარული თავლსა ჰგავსო. ძალიან ტკბილია, მაგრამ ზედმეტი თუ მოგივიდა, ბოლოს მწარედ გრჩება პირშიო.

— ზედმეტი არაფერი არ ვარგა, სიცოცხლეც კი. ვინდა, იმ ლამაზი ყვავილების თაივლს შევიკრავ?

— არ მინდა.

— გვირგვინს დაგიწნავ... ვნახავ, როგორ დაგშვენდება.

— არ მინდა. რატომ უნდა დავკრიფოთ, სულ ჩვენი არ არის? ვუყუროთ და დავტკბეთ. დაკრეფილ ყვავილებს, ალბათ, მოწყვეტისას თავლი ეკარგებათ და ფუტკრებიც აღარ დაჰლიღინებენ.

ნასაის მთაზე კაცის ჭაჭანება არ იყო. მხოლოდ ჩვენ ვიყავით, ორნი. გვესმოდა განუწყვეტელი ღიღინი და გვიხაროდა, ფუტკარს სიყვარულივით ტკბილი თავლი რომ მიჰქონდა შინ. ირგვლივ ვხედავდით ყვავილებს, ფუტკრებსა და სილამაზეს, მაგრამ ვერ ვხედავდით, იქვე ჭიანჭღები ყვავილებს გულს რომ უღრღინებდნენ. მაშინ ასეთი რამის დანახვა არც გვინდოდა.

„რატომა აქვს ადამიანს ორი თვა-

ლი? — გავივლე გულში, — ერთით ბედნიერებას უყუროს და მეორეთი უბედურებას? როცა თვითონ ბედნიერია, ყველაფერს მხოლოდ ბედნიერების თვალთ უყუროს და მეორე თვალი დახუჭოს? როცა უბედურია, ბედნიერების მაყურებელი თვალი დახუჭოს და მხოლოდ უბედურებას უყუროს? ალბათ. ზოგჯერ ასეც ხდება. ყველაფრით დღე დღეს არა ჰგავს და ადამიანი — ადამიანს. ჰოდა, არც თვალი ჰგავს თვალს“.

რატომღაც ეს ფიქრი უცებ მომიფრინდა, თორემ ამის საფიქრებლად ვის ეცალა: იმ დღეს ჩემთვის ასი მზე ანათებდა.

— ანლა გავიქცეთ!

— გავიქცეთ!

წითელი კრამიტისა და ნაირფერი თუნუქის სახურავებით აჭრელებულ ვაცს შორიდან სულ სხვანაირი იერი დაჰკრავდა. ყველაზე უკეთ ჯვარაწვდილი ეკლესიები ჩანდა. უფრო შორს, ვენახები ლურჯად ხასხასებდა და ხეხილის ბაღები — მწვანედ.

— ეს რამდენი ეკლესია გაქვთ უნგრელებს?! ბუღაპეშტი სახსვია, აქაც არის, სხვაგანაც... თითქმის ყველა სოფელში... ვითომ რა ამბავია? — თქვა ელმირამ.

— გვაქვს და ხომ არ დავანგრევთ? — მივუგე მშვიდად.

ერთხელ, ბავშვობისას ეკლესიაში შევიპარე და ჯვრისწერას დავესწარი. ისე მომხიბლა, სამუდამოდ დამებეჭდა გულზე. იქ სულ სხვანაირად ბრდღვიალებდნენ სანთლები — მათი ჩახჩახა სინათლე ნეფე-დედოფლის თავზე დადგმულ ლამაზ გვირგვინებს მზესავით აკაშკაშებდა. ირგვლივ გალობდა ხალხი და ეს გალობა ეკლესიაში იღუმალ ხმას გამოსცემდა.

რომ წამოვიზარდე, ეკლესიაში ჯვარს უკვე იშვიათად იწერდნენ და მწყინდა. მე ღმერთი არა მწამდა და არც ვლოცულობდი, მაგრამ ეს ღვთის ურწმუნო კაცი ბავშვობის შთაბეჭდილებას ვერ ვეღუოდი და რატომღაც, ვოცნებობდი, ეკლესიაში დამეწერა ჯვარი.

ნასაის მთაზე ასული ჭაბუკიც იმ ძველმა ოცნებამ გამიტაცა. წარმოვიდგინე,

რომ ელმირა და მე, კოხტად ჩაცმულ-
დახურულნი, თეთრ ეკლესიაში შევდი-
ვართ. ირგვლივ სანთლები ანთია. მღვდელ-
ლი ორივეს ლამაზ გვირგვინს გვადგამს.

— თანახმა ხარ, ენდრე უნგვარს შეე-
ულლო — მისცე შენი ხელიცა და გუ-
ლიც? — პირველად ელმირას ეკითხება
მღვდელი.

ელმირა მღვდელს თავს უქნევს და მე
მიღიმის. ორი შავი მზე სანთლების შუქ-
ზე უფრო უბრწყინავს.

— ამინ! ღმერთმა შევაბეროთ უკუ-
ნთი უკუნისადმე! — გალობით ამბობს
მღვდელი, საეცხლურს იქნევს და ჯვარ-
სა გვეწერს.

მე ორი ფირუზთვლიანი ბეჭედი მაქვს
წინდაწინ ნაყიდი, ერთი ჩემთვის, მეორე
ელმირასთვის. ელმირა იღებს ბეჭედს და
მე მიკეთებს შუათითზე. მე ვიღებ ბე-
ჭედს და ელმირას ვუკეთებ შუათითზე.
მერე ერთმანეთს ვკოცნით მორცხვად.
ირგვლივ კი ეკლესია იღუმლად გალობს.
ამიერიდან ელმირა ჩემი იქნება, სიკვდი-
ლის მეტი ვერაფერი გაგვერის. გაგვიჩ-
ნდება ბავშვი, ერთი, ორი, სამი... და...

თუმცა... მე კი ვარ მონათლული და
მაქვს ეკლესიაში ჯვრისწერის უფლება,
მაგრამ მირა ქრისტიანი რომ არ არის?
ვითომ დასწერენ ჯვარს ქრისტიანულ
საყდარში? გავაქრისტიანებ და დასწე-
რენ... მღვდელს ფული მიეცი და ეშმაკს
მონათლავს...

— მაინც რად გინდათ ამდენი ეკლე-
სია, პა? — ფიქრი გამიწყვიტა ელმირამ.

— ეკლესია წმინდა ადგილია.

— სადაც ეკლესია არ დგას, იქ ყველ-
გან უწმინდურება?

ამ შეკითხვას არ მოველოდი და პასუ-
ხი უცებ ვერ მოვიფიქრე, სიტყვას დეჭ-
ვა დაეუწყე:

— არა, ყველგან უწმინდურება რო-
გორ იქნება, ეკლესია მაინც სხვა არის.
აი წინათ ჯვარს უეჭველად ეკლესიაში
იწერდნენ. მე მინდა, რომ ჩვენაც რომე-
ლიმე ეკლესიაში დავიწეროთ ჯვარი. არ-
ჩევანს შენ განდობ.

— ჩემთვის სულ ერთია ყველა ეკლე-
სია. მეჩეთშიც ვყოფილვარ და კათო-

ლიკეთა საყდარშიც. ლუთერანთა ლოც-
ვასაც დავსწრებივარ, ისე, გასართობად.

— მირა, გულწრფელად მითხარ, მთელი
ყოფილი ხარ ამგვარი ცხოვრების?

— მუდამ კმაყოფილი თავისი ცხოვ-
რებით სხვა ვინ არის, მე რომ ვიყო?
ზოგჯერ კმაყოფილი ვარ, ზოგჯერ —
არა. ბედის განაჩენს ვერაფერ გაქცევა.
ჩვენ ასეთი ცხოვრება თურმე განგებამ
დაგვიწესა.

— შენ განგება რომ არა გწამს?

— რაღაც იღუმალი რომ არსებობს,
ეს უეჭველია. ამ იღუმალს რაც გინდათ
ის დაარქვით. დალოცვა რატომ გეიხა-
რია და წყევლა რატომ გვეწყინს ყველას,
თუ არაფერი არსებობს? აი ჩვენც დაწ-
ყევლილები ვართ.

— დაწყევლილები?

— ჰო. თურმე ქრისტეს რომ ჯვარზე
აკრავდნენ, ლურსმნები ვერ იშოვეს. ამ
დროს ბოშა გამოჩნდა, ცხენების დასა-
ჭედად მიხეტიალობდა, იმას გამოართვეს
ლურსმნები... მაშინ ყველა ბოშა დაწყე-
ვლეს: ქვეყნიდან ქვეყნად ხეტიალში
ამოგძვრეთ სულიო. ჰოდა, ბედის განა-
ჩენს ვინ გაქცევა?

— ეგ უსაქმურების მოგონილი ამბა-
ვია, ეტყობა, ვიღაცას რაღაცინათვის
დასჭირდა.

— შეიძლება ასეც იყოს.

— არ გინდა ერთ ადგილას იცხოვრო
მუდმივად, შენი სახლ-კარი და ეზო გქო-
ნდეს?

— ცისა და დედამიწის ტოლი ჩემი
სახლ-კარი თქვენებურ პატარა ქოხმანზე
გაცველო? რა ვიცი, რა ვიცი. ჩამოვსხ-
დეთ, არ დაიძალე?

მწვანე ბექობზე შესტა და ფეხები ჩა-
მოკიდა. მე გვერდით მივუკეცი.

დუნაის გაღმა, პილიშის მთები ისე
ჩანდა, გვეგონებოდათ ცისფერ ნისლში
გახვეულაო. მთების თავზე უზარმაზარი
თეთრი ვარდებივით ჰყვაროდა ქულა
ღრუბლები. იქ, თეთრი ვარდებით სავსე
ცის მორევში, თითქოს ვიღაც უხილავი
ურევდა ხელსა თუ ჩოგანს, ქულა ღრუბ-
ლები ყოველ წუთში ნაირნაირად იცე-

ლებოდნენ, მაგრამ თეთრი ვარდების იერს კი არა ჰკარგავდნენ.

— მირა, გინდა ანბანს გასწავლი, ჩვენებურ ანბანს?

— რათ მინდა?

— წიგნებს წაიკითხავ, ძალიან ბევრ რამეს გაიგებ. მე რომ ჯარში წამიყვანონ, ბარათს გამომიგზავნი.

— თუ ღრო მექნა...

— შენ მონდომება თქვი, ღრო გამოიხსება.

— ვნახოთ. ხვალინდელი დღის მკითხაობა მხოლოდ ბანქოთი შეიძლება, არავინ იცის, რა მოგველის! — ელმირა მოიღრუბლა.

— პირველად გხედავ წარბშეკრულს, რა მოგივიდა?

— არაფერია, არაფერი. რაკი არ ვიციოთ, ხვალ რა მოგველის, არც უნდა ვიდარდოთ. გინდა ვიმღერებ? — წამოხტა ელმირა და დოინკი შემოიყარა.

უცებ მოიშორა წამით გაჩენილი ნალკელი.

— სიმღერას რა სჯობს! — მივუგე მე და წამოვდექი. ელმირამ გრძელი წამწამები მარაოსავით გაშალა და ააფრთქილა:

— მარტო შენთვის ვიმღერებ... მარტო შენთვის ხომ ჯერ არ მიმღერია!

— ვერც ახლა მიმღერებ... აი, ტყეც გაიგონებს.

— მე მარტო შენთვის ვიმღერებ. ტყეც თუ გაიგონებს, რა ჩემი ბრალია!

სიმღერა ნელა დაიწყო, იფიქრებდით, გრძნეული ქალი ყვავილებს ეჩურჩულებო, მერე ხმას თანდათან აუწია და ზარივით წკრიალა ხმა მთამ გაიტაცა. თუმცა ბოშური სიტყვების გაგება არ შემძლო, უსიტყვოდაც ვგრძნობდი: ცაში თავაწეული ბოშა ქალი რაღაც დიდ სევდასა და დიდ სიხარულს ერთმანეთში აზავებდა და სიმღერადა ღვრიდა დედამიწაზე. ბოლოს პირისახე მომხიბლავად გაუნათდა, ხმას კვლავ დაუწია, ისევ გრძნეულივით აჩურჩულდა და ვერ გავიგე, როდის გაჩუმდა. ბაგეები რომ მოკუმბა, სიმღერა ისევ მესმოდა. იქნებ ახლა მთა მღეროდა, არ ვიცი.

— მირა, იცი, რამდენი ვარსკვლავი აგნთო თვალში? — ველარ დავმალე ტაცება, — აი, რას ნიშნავს მულამ ვარსკვლავებით მოჭედულ ცისქვეშ რომ ათევა ღამეს. ეტყობა, ეგ ვარსკვლავები ცამ ჩავიხატა.

— ცა რა შუაშია, თვალში ვარსკვლავებს გული ანთებს.

— ოჰო?! — არ მოველოდი მირასგან ასეთ პასუხს.

— ახლა შენ მიმღერე!

— ეჰ, შენი სიმღერის შემდეგ... — უნიათოდ ჩავეჩინე ხელი.

ერთხანს ორივე ვღუმდით.

— მირა, იცი, ამ მთაზე რისთვის ამოგიყვანე?

— აქ ბევრი ყვავილია და ჰაერს თაფლის გემო აქვს.

— არა.

— მთა უფრო ახლოა ცასთან. ახლა მე და შენ ცაში ვართ.

— არა, მარტო მაგიტომ არა. აი, გავხატული მიიწურა უკვე. ღრო-ჟამი არავის უცდის. ჰოდა, ამ ყვავილოვან მთაზე, ცასთან ახლოს... უნდა ვითხრა ერთი რამ... დღეს უნდა გადაწყდეს ჩვენი ბედი! — ბოლო სიტყვები ყელში ძლივს ამომეტია, სუნთქვა შემეკრა.

— რამ აგადლევა, ენდრე, რა ბედის გადაწყვეტაზე ლაპარაკობ?

— მე მინდა, ბედნიერი ვიყო.

— მერედა, ვინ გიმოსის?

— ხომ გიყვარვარ?

— რომ ვითხრა, არა-მეთქი, დამიჯერებ?

— ჰო, ვიცი და... დროა უკვე, სიყვარულს გვირგვინი დავადგათ.

— ყვავილების გვირგვინი? კეთილი, ახლავე დაწვნივ ორ გვირგვინს. წელან ტყუილად ვითხარი უარი.

— ხელი უნდა მოგაწეროთ, მირა. ჯვარი დავიწეროთ მალე.

— მერე?

— რა მერე? წაგიყვან შენ და ერთად ვიცხოვრებთ.

— არა! — მომიჭრა სიტყვა და კვლავ მოიღრუბლა.



უბილიკი
ბორკილი
არ უნდა
და ედოს ბორკილი
გინჯილი

— რატომ? გეშინია?
— რისი უნდა მეშინოდეს?
— ვთქვით, თავისუფლება და სილალე რომ დაკარგო. ოჯახი მაინც სხვა არის, ბევრი საზრუნავი აქვს.

— არა, მაგის არ მეშინია. თუ ბედის გადაწყვეტა დაქორწინებას ჰქვია, დღეს ჩვენი ბედი ვერ გადაწყდება, ენდრე.— ელმირას ნალველით აევსო ხმა.

— რატომ? ხელს ვინ შეუშლის?!

— ჩვენს თაბუნს თავისი ადათ-წესები აქვს. ვინც ამ ადათ-წესებს დაარღვევს, სამაგალითოდ სჯიან... ბანაკიდან მოიკვეთენ. იქნებ უარესი ამბავიც დააწიონ. განაჩენი თაბუნის თავკაცს გამოაქვს. სიტყვას ვერავე შეუბრუნებს. ჩემი მოცილება ჯალაბიდან ჯერ არ შეიძლება.

— შენი თავი შენს ხელთ არ არის?!

— ვაი, რომ არა. ჩვენი თაბუნის ბოშა გოგო ვიდრე თვრამეტისა არ გახდება, მამასა და ბანაკს ვერ მიატოვებს... მე არ შემიძლია ეს ადათი დეარღვიო, უსათუოდ მომნახვენი და სასტიკად დამსჯიან.

— ცხენზე ჯდომა თუ იცი?

— ბოშამ და ცხენზე ჯდომა არ იცოდეს?!

— მოვახტეთ ცხენებს, და გავქუსლოთ!

— სად?

— საითაც გზა წაგვიყვანს.

— ქარს გავყვით?

— გავყვით.

— ქარი მართლაც ბედნიერია ზოგჯერ, თავის ნებაზე რომ დანაგარდობს ყველგან. მე ქარსაც რომ გავყვით და ქვესკნელში დავიშალო, მაინც მომნახვენი და დათვის ბელივით ჩარდახიან ურემზე მიმაჯაჭვებენ სამარცხვინოდ. თუ თავს ავიშვებ, ჯალაბის ლალატისთვის სიკვდილს მომიხჯიან.

— ისეთ ადგილას გადაგმალავ, ეშმაკიც ვერ მოგაგნებს.

— სულ შიშში ყოფნა რა სიცოცხლეა?!

— ბანაკში კი უშიშრად ცხოვრობ? ეეჰ, აქამდე ბოშები თავისუფალი ხალხი მეგონეთ, თქვენ კი თურმე სულზე

გდებით ბორკილი, ადათის უბილიკი ბორკილი. ეჰ, სიყვარულს მაინც არ უნდა და ედოს ბორკილი!

— ჩვენს ნებაზე რომ იყოს ყველაფერი...

— უნდა იყოს!

— არ ვიცი. ასეა თუ ისე, დღეს ჩვენს ბედს შენებურად ვერ გადაწყვეტთ. ერთმანეთი გვიყვარს, ბედნიერები ვართ, ხელს ჯერჯერობით არავენ გვიშლის, სხვა რაღა გვინდა? ვიყოთ ასე. სიყვარულისთვის ბევრი რამ უნდა მოვითმინოთ.

— მე მოვიციდი, კიდევ მოვიციდი, მაგრამ თქვენი თაბუნი უცებ რომ აიყაროს და სხვა კუთხე-ქვეყანაში გადაბარგდეს, მაშინ რაღა ვქნა?

— თუ ასე მოხდება, რა მეტი გზაა, თავს გავწირავ, გამოვექცევი მამას და მოვალ შენთან. შემოგფიცავდი, მაგრამ, შენ იცი, მე ფიცისა არაფერი მწამს. ჩემი დაპირება უკვე ფიცია თავისთავად. დაველოდოთ მომავალს... ხან იქით გავიხივართ, ხან აქეთ...

— ბალატონი გინახავს?

— კი, ვიყავი ორიოდჯერ, უნგრეთში თითქმის ყველა კუთხე მოვლილი მაქვს.

— ბადაჩონში გავივლია?

— ძალიან მომეწონა... ოლონდ, იქ ცოტაა გაშლილი ადგილი. თითქოს ცაც პატარაა.

— იქაური ღვინო თუ გიგემნია?

— არა.

— იცი, რა ღვინოა? სანამ გემოს გაუსინჯავ, სუნი გავაბრუებს. ღვინო კი არა, მათრობელა მზეა. ბადაჩონში დეიდაშვილი მყავს. ღვინოს ჯამით მასმევს ხოლმე: ჭიქით ამ ღვინის დაღვევა არ შეიძლება, სურნელს ვერ იგრძნობო. ამ ზაფხულს უმეცელად ჩავალ ბადაჩონში და შენც წაგიყვან.

— ერთი ჯამი ღვინის დასალევად იმ სიშორეზე წავიდეთ?

— მართო ღვინის დასალევად არა. იქ, ერთგან, ტბის პირას მაღალი კბოდეა. ამბობენ, თუ ქალ-გაყი ტბას ზურგს შეაქცევს და კბოდეზე ჩამოჯდება, ერთი წელიც არ გავა, ქორწილს გადაიხდიანო. მინდა იმ კბოდეზე ჩამოვსხდეთ. იქ-

ნებ მართალია, რასაც ხალხი ამბობს. წამოყვები?

— მე კარგა ხანია ზღაპრები არა მკერა, მაინც წამოყვები!

კვლავ ჩამოვსხედით ბექობზე.

— უჰ, როგორ დასვირობს! — ელმირამ მკლავზე წამკრა ხელი.

— რა მოხდა?!

— მკლავზე ჭიამაია რომ დავასკუბდა, ვერ გაიგე?

— ვერა. ჭიამაია, ისე ნაზია! ჭიანჭველა რომ შემოგაცოცდებდა, უცებ უსიამოვნო ქრუანტელი დავივლის ტანში, ჭიამაიას კი ვერც იგრძნობ, თუ არ დაინახე.

ჩემი მკლავიდან გადაგდებული ჭიამაია ზურგით დაცემულიყო და ფეხებს ისე იქნედა, გეგონებოდათ, უხილავი ველოსიპედი ჰაერში მიჰყავსო. ცაში ფეხმოსაკიდს, რა თქმა უნდა, ვერ პოულობდა და თანდათან მეტი გამწვარებით აფხარკალედა ფეხებს. შემეცოდა გაწამებული ჭიამაია, ავიყვანე და ხელის-ზურგზე დავისვი. გაიქც-გამოიქცა გახარებული, ცერი ჩახმახივით შევყყენე და ჭიამაიას იქით ავადებინე გეზი.

თვალი გავაყოლე, მალე დამეკარგა.

— აუუჰ, აქ რამდენი ჭიამაია დაფუსფუსებს! — წამოიძახა ელმირამ.

— არ გიყვარს?

— ლამაზია, რატომ არ უნდა შეყვარდეს?..

— ვაი! რა უცნაურია! ასეთი ჩემ სიცოცხლეში არ შემხვედრია! — ბალახს მკლავი მივადე და იდაყვზე შემომაცოცდა პატარა ჭიამაია. წითელ ჯავშანზე შავი ფორეჯები კი არ ეყარა, ჯვრისტარიათი ღუზა ეხატა. იმ ღუზის ირგვლივ კი ოთხკუთხა წინწყლები უჩანდა, ისეთი, ტაქსის მანქანას რომ აქვს. იმ ჭიამაიას შორს რომ დავიჭერიდი, პატარა ტაქსის მანქანასა ჰგავდა, როცა მოვიახლოვებდი — ზურგზე ღუზააკიდებულ ჩვეულებრივ ხოჭოს.

— რა ლამაზია, ჩემთვისაც დაიჭირე! ვეძებე, მეტი ვეღარ ვიპოვე.

— ა, შენი იყოს ეს!

ელმირას მკლავს ჩემი მკლავი დავუწ-

ყვილე და ღუზით ზურგმონატული ჭიამაია იქით გადაცოცდა, მერე უცებ გამულა ფრთები და გაფრინდა.

— ვაი! — შეცბა ელმირა და ჭიამაიას დანანებით გაადევნა თვალი. — რა მალე გაფრინდა?!

— ალბათ მეზღვაური ჭიამაია იყო. მთაზე სასეირნოდ ამოსული. მოსწყინდა აქ ყოფნა და ისევ წყალს მიაშურა.

— შენს მკლავზე რამდენხანს იფუსფუსა, მე კი უცებ გამექცა! ეტყობა, არ მოვეწონე. ალბათ მე უფრო უხეში კანი მაქვს... ეეჰ!

— კანი რა შუაშია! ალბათ ქალთა მოდემისა იყო. სანამ კაცის სხეულსა გრძნობდა, სიამოვნებდა, ქალის სხეული კი არ ექაშინიკა და გაფრინდა. ბუნება იღუმალებითაა სავსე, — გავამართლე ჭიამაიას ანაზღაურული გაფრესა.

ელმირას ეს ძალიან ესიამოვნა.

— გინდა, ჭიამაიას კაბას გიყიდი, შავ-კოპლედაყრილ წითელ კაბას? ძოგინდება.

— თუ მინდა, თვითონ ვერ ვიყიდი? ჯერჯერობით მე ჩემს კაბას ვერ გავიხდი, ხომ ვითხარია...

თეთრ ვარდებდალ აყვავებული ქულა ღრუბლები თითქოს თაყარა მზემ დასწვაო, თანდათან ჩაშავდა და ჩანახშირდა. შავი ღრუბელი ჩვენკენ წამობობდა და ცას გადაეფოფრა.

— გავადარდება.

— შენმა გავზავნილმა ჭიამაიამ მოგეტანა ამბავი?

— ვერა ხედავ, ღრუბელი როგორ მოიქუფტრა? ხომ არ წავიდეთ შინ?

— წვიმის გეშინია? მე მიყვარს მაისის წვიმა, ჭექა-ქუხილიც მიყვარს.

ნიავემა დაუბერა.

ელმირას თმა ლოყაზე მომელამუნა. რომ გადამხვეოდა და მთელი სხეულით ამკვროდა, ალბათ, ასე უღვთოდ ვერ წამიკიდებდა ცეცხლს. ქალიშვილის თმის წამიგონა შეხებამ უჩვეულო ქრუანტელად დამიარა.

ნიავეს ჩემს გულში შევეხვეწე: კიდევ დაუბერე და ელმირას თმა გადმომაყარე-მეთქი. გამიგონა. რაღაც საამო ელ-

დამ თავში რომ დამკრა, ფეხის ფრჩხილებში გაატანა. თავი ვედარ შევიკავე, უცებ მოვეხვიე ელმირას და ყურისძირში ვაკოცე.

გველნაკბენივით წამოვარდა და ხელი მოუზომლად მომიქნია. გამარტყა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. მერე დაჰკრა ფეხი და ისე გაიქცა, თვალითაც ვერ დავეწიე. სახტად დავრჩი: ეს რა მომივიდა-მეთქი. გონს მალე მოვეგე და ელმირას დავუწყე ძებნა. შორს გარბოდა თავდაღმართში.

— მირააა!

— ააა! — გამეორა ტყემ და ბანი მისცა კლდემ.

— მირააა! ელმირააა! მოიცა!.. მაბატიე! მირაა! მაბატიე!

— ეეე! — დამიბრუნეს ტყემ და კლდემ.

მთაში ძახილი შორს ისმის. შეუძლებელია, ელმირას ჩემი ხმა ან მთის ეკო არ გაეგონა, მაგრამ შურდულოვით გავარდნილობა ერთხელაც არ მოიხედა უკან.

ლოყა ახლავდა ამეწვა, გული კიდევ უფრო მეტკინა.

მთიდან თავექუდმოგლეჯილი დავეშვი. კოკისპირული წვიმა დაუშვა, მაინც არსად გავჩერებულვარ.

ელმირა ვერც მთის ძირას ვნახე, ვერც ბაქანზე.

შეზინდებისას შინ გალუშპული მივივდი. კიდევ კარგი, მამა არ დამხვდა. თორემ დამიწყებდა გამოკითხვას, სად დასველდი და ცუდ გუნებაზე რატომ ხარო. ლაპარაკის თავიც არა მქონდა.

მზის ამოსვლამდე გავიღვიძე, პირი სასწრაფოდ დავიბანე, არც მისაუზმია, მოვახტი ველოსიპედს და ბოშათა ბანაკთან ბოძივით დავერტყე.

მირას მოვკარი თვალი, თვითონაც დამინახა, კარავში შევიდა და აღარ გამოჩნდა.

„პირველად რომ აკოცებ, ყველა გოგო იბუტება. რა თქმა უნდა, განგებ. აქაოდა, ბიჭის წინაშე უფრო წესიერი და თავშეკავებული გამოვჩნდებო. ელმირაც ხომ გოგოა, თავს მაღლა იწევს. ვნახოთ, როდემდე ეყოფა ეგ საგზალი. ისეთი რა

მოხდა ვითომ? ყველა ვაჟი ჰკოცნის შეყვარებულს და მეც უჩვეულოდ ჩამიდენია, ხვალ თუ ზეგ უეჭველად მირიგდება.“ — გულში ჩავიდე იმედი და ვამოვბრუნდი.

მეორე დღესაც აღრე წავედი და შეზინდებამდე იქიდან ფეხი არ მოვიცვალე. დავდექი და სხვა რა საქმე მქონდა, იქაურობას ვათვალიერებდი, ბოშათა ცხოვრებას ვაკვირდებოდი და ფიქრში სულ ელმირა მიტრიალებდა.

კარვების იქით, მინდორში დაფალმანდული ცხენები დაბალახობდნენ. ერთი მოწიფული ბოშა უბელო ცხენზე იჯდა და რემას ჯირითით უვლიდა ხოლმე.

„ამბობენ, ბოშები ზოგჯერ ცხენებს იპარავენო. ალბათ ამის ბრალია, აქ სხვადასხვა ჯიშის ცხენი რომ დაბალახობს. თუმცა, ქურდობა რა შუაშია... ზოგჯერ, ალბათ, სხვები იპარავენ ცხენებს და ბოშებს კი აბრალევენ. ვინმეს სახელი ნუ გაუტყდება, თორემ ქვეყნიერების ყველა სიგლახეს იმ უბედურს მიაწერენ“.

ჭრელა-ჭრულა ნაჭრებით დაკერებული კარავები ისე ჩანდა, იდექრებდით. ყველა საკუთარი დროშა გამოუფენიაო.

განაპირა კარვის წინ ოთხი ბოშა იჯდა.

ოთხივეს პირში ჩაბუხი ჰქონდა გაჩრილი. ცისფერი კვამლი ცისკენ მიიკლანებოდა და იქ იფანტებოდა.

„ესენი, ალბათ, უსაქმური ბოშები არიან, იქნებ ქურდებიც... თვალებს ისე ხარბად ატრიალებენ ხოლმე... მაგრამ ყველა ბოშა ქურდი და მაწანწალა როდია. უმრავლესობა თავისი ოფლით ჰამს პურს“.

ღია ცისქვეშ გამართულ სამჭედლოში წითელი ჩითისპერანგიანი სახელაპლავებელი ბოშა ფუთიან უროს იქნევდა ძალუმად და გრდემლზე დადებული მჭედლის პერანგისფერი რკინა ვარსკვლავებს აბნევდა ირგვლივ. მკლავებდაკაპიწებულ მჭედელს კუბრავით შავი თმა და გაბურძგვნილი წვერ-ულვაში ისე უბზინავდა, გეგონებოდათ, ზედ ქონი წაუსვიაო.

საბერველთან მიმდგარი ხუჭუჭთმიანი ბოშა სახელურზე ჩავლებულ მკლავს

ზანტად ათამაშებდა, ჩიბუხს აპლაკუნებდა და წამდაუწუმ ცეცხლში აფურთხებდა.

„იქნებ თავისი ცხოვრება არ მოსწონს და იმას აფურთხებს? წავიდეს ამ ურდოდან, ვინ უშლის? ცოტაა ქვეყანაზე ადგილი?..“

კარგებთან ნაირნაირი ხალხი ფუსფუსებდა.

„ჭრელია ბოშათა ურდო-ბანაკი. ზოგი ხელოსანია, ზოგი ვაჭარი, ზოგი მათხოვარი, ზოგი ქურდი და ზოგიც თაღლითი, თავი ჯადოქრად რომ მოაქვს. თუმცა, მარტო ბოშათა ურდო როდია ჭრელი?“

აი, სამკვდლოს აქეთ კუნძუზე ზის ჯმუხი ბოშა. განიერი შარვალი ჩექმებში ჩაუტანებია, კეხიანი ცხვირი აქვს. არწივივით იყურება ხოლმე. ხელში მახათი უჭირავს, რალაც ღვედა აკერებს. ეს მიხაიბლოა, ელმირას მამა, თითქოს მე მახარებდესო, ჯიბიდან ხანგამოშვებით გრძელქვეყვიან საათს იღებს, ერთს დახედავს და უშაღვე ინახავს.

„ნეტავი რათ უნდა ბოშას საათი? საღ უგვიანდება? ბოშას საათი ხომ მზეა? იქნებ მართლა მე მახარებებს მიხაილო ამ საათს? ვითომ მხედავს? არა მგონია.“

აი, ზორბა ტანის წითელხალათიანმა ბოშამ მათრახი გამოიტანა კარვიდან და შეათამაშა. თითქოს ქამანდააო, მათრახის ღვედს განზე ისვრის, ღვედი გველივით იკლავება და ტკაცანიო აყრუებს იქაურობას. თავს ირთობს კაცი, სხვა რა საქმე აქვს.

ჩამოდგა მიმწუხრის ქამი. ვარსკვლავები ამოტივტივდნენ ცაზე.

გიტარის სევდიანი ხმა მოშესმა. ვინ უკრავდა, ვერ ვხედავდი.

„რა საოცრად უკრავს ვილცა. იქნებ ელმირას თითები ეხება სიმებს და მოძმეთა გულისთქმას ცალობით უყვება ცასა და მიწას? გიტარა იღუმლად კვენისის. მისი ხმა თითქოს ცის უსასრულობაში მიიპარება და თან მიაქვს ადამიანის დარდი — რომ სამყაროს არც თავი აქვს, არც ბოლო და კაცს ვერ მიუგნია, რასაც ოდიოვან ეძებს. რადგან კარგად თვითონაც

არ იცის, რას ეძებს. ბოშას გულისთქმა ამ სევდას მისდევს, უნდა გზა გადაუტარას, მაგრამ ცაში გაჭრილ სევდას ვინ გადაუტრის გზას? ამ სევდას იმდენივე გზა აქვს, რამდენი ვარსკვლავიც ცაში ინთება ღამით.

რალაც იღუმალება ახლავს ბოშათა ცხოვრებას. ამიტომაც გაფიქრებს კაცს და გიზიდავს. ბოშები თითქოს სულ ეძებენ რალცას და ილტვიან, ნახონ ყველაფერი, რაც მზისქვეშ არის, ნახონ უნახავი. ეტყობა, ამის გამო ისინი ერთხელ გავლილ გზასა და ადგილს იშვიათად უბრუნდებიან, ძალიან იშვიათად.

მიდიან ბოშები ოღრო-ჩოღრო გზაზე. უსასრულოა ეს გზა და სწორედ ამით არის მიმზიდველი. ერთი ადგილი მალე სწყინდება ბოშას, ხეტიალი — არასოდეს, თუნდაც ეს ხეტიალი უნაყოფო იყოს. თავსაც რომ იმართლებენ — ასე დაგვეწყველა განგებამაო. ადამიანი ყოველთვის ცდილობს თავისი კარგი თუ ცუდი საქციელი რაიმეთი გაამართლოს, ან ეშმაკს დააბრალოს, ან ანგელოზს.“

ჩემი ფიქრი გიტარის ხმას მიჰყვებოდა. ახლა უკვე მეჩვენებოდა, რომ გიტარა ერთდროულად ტირიდა და იცინოდა კიდეც.

ღალამებისთანავე კარვების წინ დიდი ცეცხლი გააჩაღეს. ზაფხულის თბილ ღამეში იქ გათბობა, აბა, ვის უნდოდა, როცა ბოშას ნათლილების ყინვების დროსაც არა სცივია, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ბოშებს უყვართ საღამოზე ცეცხლის დანთება.

„ახლა შემოუსხდებიან კოცონს და გაჩაღდება ზღაპრობანა. ბოშებმა ღამაში ზღაპრები იციან, ისევე ღამაში და სევდიანი, მზის ჩასვლა რომ არის.“

მართლაც მალე შემოეჯარნენ ისინი კოცონს. მათი გრძელი ჩრდილები მინდორზე გადაწვნიან და აბორიალდნენ.

ასი თვალი გამოვიბი, იქნებ ელმირა დაეინახო-მეთქი. არ გამოჩნდა.

მკვდელს მიუჯდა გვერდით მიხაილო, საათი ამოიღო, დახედა, უშაღვე შეინახა და გრძელტარაიანი ჩიბუხი გააბოლა.

„ალბათ ქალიშვილს დარაჯობს, რომ არავინ მოსტაცოს, ისე ატრიალებს თვალებს და შემართულიც ზის“.

ამბობენ: ბოშა რომ ცეცხლთან მივიპატიყდებ, უეჭველად უნდა ეწვიო, თორემ ძალიან ეწყინებო. მე რომ მაშინ იქ ვინმეს დავენახე, ალბათ, მიმიპატიყდებდა, მისვლა კი არ შემეძლო, ამიტომ სიბნელეში ჩაძირულ ბუჩქებს ვეფარებოდი და ისე ვუთვალთვალე ბანაკს.

ამოდ ჩამოვწყვდი მუხლებზე და შინ ფეხათრევით გამოვბრუნდი.

მომდევნო სამი დღეც ბოშათა კარვების მახლობლად დამიღამდა.

დავრწმუნდი: მირა განგებ არ მებუტებოდა. გადავწყვიტე, რაღაც არ უნდა დამეჭლომოდა, ორიოდ წუთით მაინც შევხვედროდი და გამოვლაპარაკებოდი. ან ბოდიში მომეხება და პატიება მეთხოვა, ან გავწყრომოდი და ისე დავმშვიდობებოდი.

ერთ ბოშას ფული ვაჩუქე და შუამდგომლობა დავავალე:

— უთხარი, ცოტა ხნით გამოვიდეს.

ელმირამ კარვიდანაც არ გამომხედა. შუამავლის პირით შემომითვალა: მეზინღები და მომშორდიო.

ამ პასუხმა სულ გადამრია.

„რას დავდე? ქარს, რომელსაც კაცი ვერასდროს დაიჭერს? ალბათ, ელმირას ბოშურმა ბუნებამ უცებ იჩინა თავი. ბოშას ხომ ერთ ადგილას დიდხანს გაჩერება უჭირს. ეტყობა, ერთი კაცის სიყვარულიც არ შეუძლია. უკვე მოეწყინა ჩემი სიყვარული, საბაბი იშოვა და მიშორებს“.

აღარ ვიცოდი, რა მეღონა. ელმირას სიჯიუტემ თანდათან გამახელა.

თავს რომ შევებრძოლე, სიყვარული უფრო გამძლიერდა და ცეცხლი მომეკიდა.

„სულ კარავში ხომ არ დააღამ-გათენებს? ერთხელ მაინც არ წამოვა სოფელ-ქალაქისკენ? — გავივლე გულში და გზას ფეხით დავადექი“.

გამიქრა გუჟანმა. დავინახე, მარტო მოდიოდა. გაქცევა დააპირა, გავეკიდე და წინ გადავუდექი:

— ორიოდ სიტყვა მათქმევინე და წადი!

— ჰა, თქვი ბარემ, მეჩქარება!

— ისეთი რა დაგიშავე? თუ დაგიშავე, ბოდიშს მოვიხდნი!

— იმ დღეს საძაგლად მოიქეცი.

— ვინც გულით გიყვარს, ზოგი რამ უნდა აპატიო, პატარა ცოდვა შეუენდო. კოცნა უზნეობა ხომ არ არის?

— კოცნა უზნეობა არ არის, მაგრამ... თუ უკაცრიელ მთაში ქალ-ვაჟი მართლა...

— ცუდი რამ წამითაც არ გამოვიღია გულში. დედის სულს გეფიცები. ამაზე დიდი საფიცარი მე არაფერი მაქვს. დამიჯერე, მირა. აგერ, რამდენი ხანია მიცნობ!

— დაგიჯერებ. იქნებ ცუდი რამ მართლაც არ გაგივლია გულში! — აქ ელმირამ დააყოვნა, ეტყობა, გაუჭირდა სიტყვის მოძებნა. — მაგრამ... მეც რომ გადაგხვეოდი, მერე?

არ ვიცოდი, რა პასუხი მიმეცა, გავჩუმდი.

— ცოტუნებას გამოვექეცი: შემიშინდა, ამ ვენებაშლილ კოცნას სიყვარულისა და ბედნიერების დაკარგვა არ მოჰყვეს-მეთქი, გესმის? მე შემიშინა ისეთი კოცნის... რაკი ბოშა ვარ, გგონია, არაფრის შიში არ ვიცი და ყველა გრძნობას განუსჯელად მივყვები? ყველა ქალსა სჭირს, ალბათ, თავისი სისუსტე. მეც ქალი ვარ. ჰოდა, გამოგექეცი, აბა, რა უნდა მექნა?

ბავშვურად გულბრყვილო, მაგრამ ცამდე მართალი იყო ეს უბრალო, ქალური აღსარება. უცებ სხვანაირი ელმირა დავინახე — ცეცხლოვანი ვენებით სავსე, ჭკვიანი და დაკვირვებული ელმირა. ამ აღსარებამ ეს უცნაური გოგო კიდევ უფრო შემეაყვარა.

— კეთილი, ოღონდ ნუ მიმატოვებ და... რაკი ასე გეშინია ჩემი კოცნის, ქორწილამდე აღარ გაკოცებ და ის იქნება. შევრიგდეთ ახლა, მოიტა ხელი! ჰა, ნუ ჯიუტობ!

ელმირას კი შეეძლო უჩემოდ დიდხანს გაძლება? შევრიგდით.

განშორებას უფრო გაემძლიერებინა ერთად ყოფნის წყურვილი.

— მოდი, ხვალ კვლავ ნადმაროშისკენ წავიდეთ, იქ ისე მყუდრო ადგილები მგულდება...

— წავიდეთ!

მატარებელში ცოტა ხალხი იყო. მყუდრო კუთხე ამოვირჩიეთ და ერთმანეთის პირისპირ დავსხედით. ვაგონში მზე იჭყიტებოდა ხოლმე. ელმირას კისერზე ჩამოკონწილებული ნაირფერი მძივები, ვერცხლის ფულისა და ღინჭილოების გალა ხან ინთებოდა, ხან ქრებოდა. მისი შუქ-ჩრდილი დასთამაშებდა გოგოს პირისახეს. ხშირად იცვლიდა ფერს ელმირას გრძელი საყურეებიც.

მზეში იღვნენ მთები. ღუნაი ხან ვერცხლის ქამარცივით ბზინავდა, ხან ცასა ჰპარავდა ფერს, ზოგჯერ მწვანედაც კი ლივლივებდა.

მდინარის ფერთა თამაშმა გამიტაცა. მიყვარს ღუნაი, მთელ დღეს რომ ვუყურო, არ მომწყინდება.

უზარმაზარი მდინარე კლდეებს ებრძვის და დიდის ამბით მოიკვლევს გზას, თითქოს ხელ-ფეხზე დადებულ ბორცილებს იმსხვრევსო. მერე ვიწრო ხეობიდან გამოიშინდვრება და აღარ ბობოქრობს, ომგადახდილივით შვებას გრძნობს, წყნარ სუნთქვას იწყებს, მხრებს ფართოდ შლის და აქა-იქ მღორედაც მოედინება.

დიდებულია მშვიდი ღუნაი.

აი მეც, იმ შფოთიანი დღეების შემდეგ, ახლა ვისვენებდი. მდინარის ყურება მასვენებდა. მე ღუნაი ყველგან მიყვარს, ზევით — კლდოვან ხეობაში თავზხელალებული მხედარივით რომ გამობრბის და აქაც — ველად გამოსული გულს რომ იმშვიდებს, დარბაისელი კაცივით დინჯად რომ მოდის.

მე მგონია, მარტო ღუნაი კი არა, ყველა მდინარე საყვარელია. სადაც მიწას მდინარე აკლია, აკლია სილამაზეც.

ჩემი ფიქრები ღუნაის ტალღებში შეცურდნენ თევზებივით.

— ეს აქ საიდან გაჩნდა, ჰა? აბა, გამოდი, შე მძივებიანო ეშმაკო!

მივიხედე. გრძელულვაშა და დაგვა-

ლული კონდუქტორი დგას ელმირასთან, რომელიც ფანჯრიდან სადღაც შორს გაჰყურებს.

— მე მეუბნებით? — შემობრუნდა ელმირა და თითქოს კონდუქტორის დანახვამ დააფრთხო, თვალები გაუღიდა.

— აბა, აქ სხვა ვინ არის მძივებიანი ეშმაკი? — მკვანედ მიახალა ქონით ლოყებაპრილებულმა კონდუქტორმა და ხელი აათამაშა.

გამიკვირდა, რა უნდა-მეთქი?! ცნობისწადილმა წამძლია და დაველოდე, რითი დამთავრდებოდა მათი ამბავი.

ელმირა დაიბნა, ჯერ მე ვადმომხედა, მერე კონდუქტორს მიუბრუნდა:

— რატომ მიწყურები, რა გინდა? — და კვლავ მე ვადმომხედა.

კრინტის დაუძრავად ავიჩიჩე მხრები.

— კიდეც რომ მეკითხება, რა გინდაო? — ხელები გაშალა კონდუქტორმა. — რა უნდა მინდოდეს? აგერ, ნოგრაღვერცში გაჩერდება მატარებელი და ჩაიღი შენი ფეხით, ხელი არ მომაკიდებინო, თორემ მაგ გაჩეჩილი თმებით პოლიციელთან მიგათრევე!

— რა დავაშავე, რატომ უნდა ჩავიდე?

— ეგერ წერია, ე, უბილეთოდ მგზავრობა არ შეიძლებაო. ჰოდა, ნულარ მეკითხები, რატომ უნდა ჩახვიდე. თუმცა შენ, ალბათ, კითხვაც არ იცი.

ელმირამ შვებით ამოისუნთქა და წარბიცი გაეხსნა.

— მერედა, უბილეთოდ ვინ მოდის?

— შენისთანა გოგოს ნაყიდი ბილეთი ჯერ არ მინახავს. ჩემი დღე და მოსწრება ამ გზაზე ვარ გაკრული. ჩაიდი, ჩაიდი, ბევრს ნუ მალაპარაკებ! რას გაჩერდი?

— აქვს ბილეთი, მოეშვი! — ველარ მოვითმინე და კონდუქტორს კუმტად შევხედე.

— გამოიჩინდა ვეჭილი! თუ აქვს, მიჩვენოს!

— ჰა, — ორი ბილეთი ამოვიღე ჯიბიდან, — გასინჯე! ისე მაინც არ დაიჯერებ.

კონდუქტორმა ბილეთები გამომართვა და ნელა გადაატრიალ-გადმოატრიალა.

— სწორია, ოღონდ ნამდვილად ამისია ეს მეორე ბილეთი?

გულმოსულმა ბაგეს კბილები დავაჭირე, ცული არაფერი წამომცდეს-მეთქი.

— შენ მიგყავს?

თავი უხმოდ დავუქნიე.

— მერე, მუნჯი ხომ არა ხარ? აქამდე ვერ ამოიღე ხმა? სად მიგყავს?

— არ აწერია ბილეთს?

ბილეთები ისევ გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ზიზღით დახედა და დამიბრუნა.

— ჰო, გასაგებია: იქით მყუდრო ადგილებია, გინდა ტყეში შეხვალ, გინდა დუნაის ქალებს ვაუყვები. სტუდენტი ხარ, ბიძიკო, ხომ?

— რა შენი საქმეა?

— არ შეიძლება გამოლაპარაკება? შეგატყვე და გკითხვ.

— რა შემატყვე!

— ჯიბეგამოფხეკილი სტუდენტის მეტი ამას ვინ იკადრებდა? ქალი კი არ გამწყვდარა ქვეყანაზე.

— ვაჩუმიდი, თორემ!.. — ხელი თავისთავად მექცა მუშტად, მერე თავს მოვერიე და მივიხედ-მოვიხედე, ხალხი ხომ არ წამოიშალა-მეთქი.

არც ისე ხმამაღლა მომსვლია დაყვირება. ყველა მგზავრი თავისი საქმით იყო გართული. ზოგი ფანჯარაში იყურებოდა, ზოგი წიგნს კითხულობდა. კუთხეში მიკუნჭული ქალი შვილს ძუძუს აწოვებდა. ასე რომ, ჩვენ ყურადღებას თითქმის არაფერს გვაქცევდა.

— რა ფეთიანივით იყურები, ბიძიკო? თუ ასე სამარცხვინოდ მიგაჩნია მაგ ქალთან გავლა, რაღა იქით მიგყავს? — კონდუქტორმა ჩაიჭირაქილა, მერე ხელი უღვაშებზე გადაისვა.

— ვაჩუმიდი-მეთქი!

— რას მიწყრები? მეც ვყოფილვარ ახალგაზრდა.

— ვის იგდებ მასხრად, თუ იცი? — ერთბაშად წამოვიმართე და სიბრაზემ ამაყანკალა.

ელმირამ გადამიღობა გზა:

— დამშვიდდი, ენდრე, ყველას კი არ უნდა აპყვე!

დამფრთხალი კონდუქტორი უკან გადაფორხილდა:

— მე შენთვის ვამბობ, ბიძიკო, თორემ რა მრჯის...

მატარებელმა მომშხამა და სუნთქვით გუნებაზე დამაყენა. ვიდრე ნადმაროშში არ ჩამოვხტივით და სადგურს არ გავცილდით, კრინტი აღარ დამიძრავს.

— მირა, მე ახლა დალევა მინდა, — შეეჩერდი უცებ.

— დალიე, ვინ გიშლის? თუ გინდა, კაფეტორანში შევიდეთ. ჰა, წამო, რატომ ჩაფქრდი? იქნებ ჩემთან ერთად შესვლა გრცხვენია? მარტო შედი, მე აგერ დაგელოდები.

— რას ამბობ, ელმირა?! რისი უნდა მრცხვენოდეს? ბოლოს და ბოლოს სიყვარული მაინც არ უნდა იყოს ჩვენს ნებაზე? სხვისი დეკანონებული ბედნიერება ჩემს ბედნიერებად ვერასოდეს ვერ იქცევა... ჩემს გულთან ვის რა ხელი აქვს?

— ენდრე, ვეღარ გცნობ! ასე რამ აგაღლევა? ვის ეჩხუბები? წამო, შევიდეთ რესტორანში!

— არა, რესტორანში შესვლა ახლა არ შემიძლია. სხვა დროისათვის გადავდოთ.

— რატომ? ფული თუ არა გაქვს, ნუ გედარდება, აი, გვეყოფა.

— მაქვს ფული, მაგრამ რესტორანში ახლა ვერ შევალ. მაგიდას ვერ მივეუჯდები. იქით გავიაროთ, ფეხზე დავლიოთ! შენც ხომ დალევ?

— ღვინოს? რა ვიცი. ცოტა მსიამოვნებს ხოლმე, ოღონდ ახლა არ მინდა. მეშინია, არ გამაბრუოს. გეწყინა? კარგი, შენი ხათრით ცოტას დავლევ!

ღუქანში პირდაპირ დახლიდარს მივაღქით:

— ვერაუღეტი გაქვს?

— კი, ბატონო. რამდენი ბოთლი მოგართვათ?

— ერთი გავგინსენი, დახლზევე დავლევთ.

— კი, ბატონო. რას მიატანთ, ძეხვს თუ ყველს?

— ყველი არ მიყვარს, არც ძეხვი. სხვა არაფერი გაქვს?

— მაშინ ტრანსილვანიურად შემწვარ ხორცს მოგართმევთ ამ წუთში.



— მოიტა, ოღონდ მალე!
დატრიალდა დახლიდარი და მართ-
ლაც მალე გაგვიშალა სახელდახელო
სუფრა.

ღვინო გახსნა და თვითონვე გაგვივსო
ჭიქები.

ელმირამ ღვინო მოსვა და ჭიქა
ფრთხილად დადგა:

— მაკთური ჩანს, ვერც გაიგებ, ისე
დავათრობს.

მეტი აღარ დაუღევია.

ღვინომ მატარებლის შხამი მალე გა-
დამრეცხა გულიდან. მშვენიერ გუნებაზე
დავდექი. დუქნიდან ღიღინით გამოვედი.

„ეს რაა? განსაწმენდელში ვიყავი,
თუ?... იქნებ ღვინომ კი არა, სხვა რამემ
დამაყენა კარგ გუნებაზე? აი, თუნდაც
იმ ამბავმა, ჩემს გულში ვილაცას რომ
ვეჩხუბე, სულიდან ბოლმა რომ ამოვი-
ბერტყე! არ ვიყავი მართალი თუ? სი-
ძულვილს უნდა შევუტრათ ყველა გზა,
თორემ სიყვარულს რას ვერჩით?“

რაკი შუბლგახსნილი დამინახა, ელმი-
რასაც აუციმციმდა თვალები — ორი ნა-
ხშირი გაუღვივდა და კვლავ შავ მზეებად
აენთო.

— საით გავსწიოთ ახლა?

— სადაც მეტყვი, თუნდაც ჯოჯოხეთ-
ში!

— ჯოჯოხეთში მტერი წავიდეს.

დუნაის პირას ლაქაშები გადავთე-
ლეთ და გათიბულ ბორცვზე ავედით.

— მირა, იქით გაიხედე, რა ლამაზი
ცაცხვია.

— მართლაც ლამაზია. მოდი, დავისა-
კუთროთ. ამიერიდან ჩვენი იყო.

— მე ცაცხვი ყველა ხეს მირჩევნია.

— ფუტკარსაც ეგ ხე უყვარს ყველა-
ზე უფრო...

— მე სხვა რამისთვის მიყვარს — ცა-
ცხვი სააკვნე ხეა, მსუბუქი და გამძლე...
ჩურჩულიც გემრიელი იცის.

ხშირტოტებიანი ცაცხვით დაჩრდი-
ლულ ბეჭობზე ჩამოგხედით. იქიდან
ყველაფერს კარგად ვხედავდით.

— ის ეკლესია ისე მალა რატომ
აუშენებიათ? — ძველ, მიტოვებულ მო-
ნასტერს გახედა ელმირამ.

— ალბათ, იფიქრეს, ღმერთთან უფ-
რო ახლოს იქნებოა.

— ამჟამად უკაცრიელია, არაფერ
მინდა.

— მხოლოდ მნახველები აღიან ხოლ-
მე.

— რატომ? სხვებს ვინ უშლის ხელს?
დამეხარა ამაზე საუბრის ვაბმა, მოკ-
ლელ მოვჭერი:

— უძველესი ტაძარია, ადრევე მია-
ტოვეს.

— რატომ მიატოვეს? ტაძარი დაძვე-
ლდა, ღმერთი ხომ არა?

— ყველა დროს თავისი ჭკუა და სას-
წორი აქვს. ზოგისთვის ღმერთი დაძველ-
და. დაუძველებელი არაფერი არ არის.

— ალბათ, ხალხს კლდეზე ფორთხვა
მოსწყინდა და იმიტომ მიატოვა.

— ამბობენ, იქაურ ბერს ვილაც ქალი
შეუყვარდა, შესცოდა და... ღმერთმა
ცოდვილი ადგილი დაწყევლაო. მერე ეს
ადგილი სხვა ბერებმაც მიატოვეს და სა-
მუდამოდ დაცარიელდაო...

— საწყალი ბერი.

— მაშინ კი არავის შესცოდებია —
ღმერთმა ცოდვისთვის დასაჯაო.

— რაკი ქალი მოეწონა და შეუყვარ-
და, არა?

— ალბათ.

— ეგ რა ცოდვაა?
— მაშინ ცოდვად ითვლებოდა, რაკი
კაცი ბერად იყო შემდგარი.

— არც თქვენს ღმერთსა ჰქონია დი-
დი ჭკუა... არც გული ჰქონია. კაცს რომ
ქალი მოეწონება, ეს ცოდვად რატომ
უნდა მოჰკითხო?

— რა ვიცი!

მზე გაბნეულ ღრუბლებში ყვინთავდა
და მონასტერი ფერს იცვლიდა, ხან მე-
წამული ხდებოდა, ხან — მწვანე. დუნა-
იც მალამალ იცვლიდა ფერს; ხან გამხ-
მარი ბალახისფერი ედებოდა, ხან ცის-
ფერი გადაჰკრავდა, ხანაც მწვანე მთე-
ბის ქარქაშში ჩადებულ ვეებერთელა მა-
ხვილს ემსგავსებოდა. იმ დღეს დუნაი
ამღვრეული მოედინებოდა.

გალმიდან ვიშეგრადის ძველისძველი
ციხე-სიმაგრის ნანგრევები გვიყურებ-
და. დუნაის ვეებერთელა მახვილი თით-

ქოს იმ ძველისძველ ციხე-სიმაგრეს და-
უვარდა, ალებას ცდილობს და ვერ ახერ-
ხებსო.

„იქნებ ვიშეგრაღის ციხე-სიმაგრეს კი
არა, იმ ტაძარს დაუვარდა ეს ვეებერთე-
ლა მახვილი? ჩვენი მონასტრების ბედი
ხშირად ჰგავდა ციხე-სიმაგრეთა ბედს.
მტრები რომ მოგვიხტებოდნენ, მონასტ-
რებიც ხმალშემართულნი იბრძოდნენ...
მაშინ ანაფორიანი ბერიც აბჯარს ისხამ-
და...“

ნიავე ხან მთიდან ქროდა, ხან — მდი-
ნარიდან. ორივე საამოდ გველამუნებო-
და. ცაცხვიც ისე შრიალეზდა ხოლმე, მე-
გონა, გვეჩურჩულება-მეთქი.

— დააკვირდი, მზე როგორ ათამაშებს
ფერს! დუნაისაც კი ცვლის ხოლმე.

— მზე რომ ჩავა, მერე სულ ერთფე-
რი იქნება.

— მზის ჩასვლამდე აქ ვიყოთ?

— რა უშავს. ცაცხვი ისე გემრიელად
შრიალეზს!

გავჩუმდით, თითქოს ცაცხვის ჩურ-
ჩულს მიეუგდეთ ყური.

— მირა, იცი, ოდესღაც უნგრეთის მე-
ფეებს ვიშეგრაღში ედგათ ტახტი, — და-
ვარდვიე დუმილი მე. — მოედანზე წი-
თელი მარმარილოთი ნაგები შადრევანი
ყოფილა. დღესასწაულების დროს თურ-
მე იმ შადრევნიდან წყლის მაგივრად
ღვინო იღვრებოდა.

— მერე ვინ დაანგრია?

— ოთხი საუკუნის წინათ თურქი და-
მპყრობლები დაგვესხნენ თავს და იქაუ-
რობა მიწასთან გაასწორეს. ვიშეგრაღში.
ასე ვთქვათ, ქვა ქვაზე არ დატოვეს.

— ეგ რამ მოგაგონა?

— ისე... ვინ იცის, რამდენი სიყვარუ-
ლია იმ მთაზე დამარხული, ცისფერი
დუნაი კი მოდის და მიდის, როგორც მა-
შინ მიდი-მოდიოდა.

— ენდრე, რატომ ეძახით დუნაის ცის-
ფერს? ესაა ცისფერი? მე ცისფერი დუ-
ნაი იშვიათად მინახავს.

— ასე ეძახდნენ ჩვენი წინაპრები და
ჩვენც ვიმეორებთ ხოლმე. წინათ დუნაი
სულ ანკარა მოდუდუნებდა თურმე.

— მერე რაღამ შეუცვალა ზნე? ახლა
სხვანაირი წვიმა იღვრება ციდან?

— ცა აქ არაფერ შუაშია. ძველად დუ-
ნაის გზა სულ ტყეებში ედო და ცისფე-
რიც იმიტომ მოდიოდა. ახლა, ვინ იცის,
რამდენი დაბა-ქალაქი უნდა გამოიაროს.
ქალაქს მდინარე იშვიათად გაივლის სუ-
ფთად. ჰოდა, მოდის მღვრიე, ათასში ერ-
თხელ თუ დაიწმინდება.

დუნაიზე მოზრდილი ნავე გამოჩნდა,
შიგ ორი ქალი და ორი ვაჟი იჯდა. წელ-
ზევით გაიშვლებულმა ქოჩორა ბიჭმა
ხელების ქნევა დაგვიწყო. პირსაც ადებ-
და, მაგრამ მისი ხმა ჩვენამდე ვერ აღ-
წევდა. ბიჭის ხელების ქნევითაც გავიგე,
რას მეძახდა: რას ელოდებით, ერთმა-
ნეთს ჩაეხტეთო.

— რაო, რა მინდაო? — მკითხა ელმი-
რამ.

— რა ვიცი, ამ სიშორიდან რას გაუ-
გებ!

ნავე სრიალით გავგშორდა და მოსახ-
ვეში მიიმალა.

კვლავ აღდუდუნდა დუნაი და აჩურჩუ-
ლდა ჩვენი მფარველი ცაცხვი. მზე ცაც-
ხვზე იჯდა ხოლმე ოქროს მამალივით და,
როცა ღრუბელს იშორებდა, მზის შუქი
ცაცხვის ფართო ფოთლებში ჟონავდა და
ბექობზე უცნაურ თარგებს ხატავდა.

— მირა, ვიბანათო, ჰა? ნახე, წყალს
როგორა ვჭრი. შენ იცი ცურვა?

— ვიცი, მაგრამ არც ისეთი. დუნაი
დიდია, რომ დავიხრჩო, რას იზამ?

— რა უნდა ვქნა? მეც დავიხრჩობ
თავს.

— ეეჰ! — ელმირა ჩაფიქრდა და თვალ-
გაშტერებულმა სადღაც შორს გაიხედა,
ცის მიღმა.

კარგა ხანს იყო დადუმებული.

— ენდრე, იცი, ჩვენები, მგონი, აყრას
აპირებენ, — თითქოს მე კი არ მითხრა,
თავისთვის ჩაილაპარაკა.

— როდის?

— რა ვიცი... ეჰ! — კვლავ ამოიხვნეშა
და ნაღვლიანად გადმოიხედა.

— მერე?

— რა მერე?

— შენ? შენ რას აპირებ, გინდა გაგეკეცი?

— საღ უნდა გაგეკეცი? მე შენთვისა ვარ დაბადებული, უშენოდ მიწაზე სიარული არც მინდა!

ერთმანეთს მონუსხულებივით მივაშტერდით. მე ჩემი თვალები მირას თვალებში დავლანდე. ელმირა, ალბათ, თავის ორ შავ მზეს ჩემს თვალებში ხედავდა.

გოგომ მკლავები უცებ აიქნია და მხრებზე გადმომაყარა. მომეხვია, თავი მხარზე დამადო და აქვითინდა.

ელმირას თმა ახლაც მომელამუნა და დამარტყანა, მალე ვიპოვე ჩემი თავი, ელმირას მთრთოლვარე თბილი მკლავები მშვიდად მოვიშორე მხრებიდან და წყნარად ვუთხარი:

— დამშვიდდი, დამშვიდდი, მირა, რა ვატირებს, გოგო?

— შენთან რომ დავრჩე, ხომ გადამმალავ სადმე?

— ბერკენის მთებში წაგიყვან. ნაცნობი გეოლოგი მყავს იქ. ერთი ისეთი ადგილი ვიცი, ქარიც ვერ მოგვაგნებს. ულამაზესი ადგილია, მყუდროც. გეოლოგებთან ვიმუშავებ, არაფერს მოგაკლებ. დამშვიდდი, დაწყნარდი! ჩემთან არაფერი გაგიჭირდება! — აცახცახებულ გოგოს მხარზე ალერსით დავარტყი ხელი.

ელმირა კვლავ მომაშტერდა და დადუმდა.

მზემ, ცაცხვის რტოებში გამძვრალგამომძვრალმა მზემ, ჩვენს გარშემო იდუმალი ლანდები დახატა. ნიავმა ლანდები შეარხია და ერთმანეთში აურ-დაუარია.

ეს დიდი წუთი სამუდამოდ დამეხატა გულზე და ნეტარ მოგონებად დამრჩია. აი ახლაც, შორიდან, ძალიან შორიდან, მე ვხედავ ერთად მსხდომ ელმირასა და ჩემს თავს. ორივეს თვალებში ვიხედე და ვიძირები.

ყველა თვალი სარკეა და შიგ ქვეყნიერება ჩანს.

მე და ელმირამ ერთმანეთს თვალებში რომ ჩავხედეთ, იმ თვალებში მხოლოდ

ჩვენა ვჩანდით. იმ წუთში მხოლოდ მე ვიყავი ელმირას სამყარო და მხოლოდ ელმირა იყო ჩემი სამყარო.

ქეშმარიტ სიყვარულს დუმილი უყვარს და ჩვენ ვდუმდით.

ელმირას ან მე ხმა რომ ამოგვედო, ის დუმილი დაფრთხებოდა და უსასწვრო სიყვარულს რალაცას მოსტაცებდა და დააპატარავებდა.

ნასაის მთაზე ყოფნისას მხოლოდ ის მთა იყო ჩვენი, ჩემი და ელმირასი, აქ, გარინდებისას კი, უკიდევანო სამყაროში ჩვენ ორნი დავრჩით მხოლოდ. და ეს უკიდევანო სამყარო სავსე იყო ჩვენი სიყვარულითა და კიდევ რაღაც კარგით, კაცი სახელს რომ ვერ მოუძებნის.

ერთგან დუნაი იტოტებოდა და პატარა კუნძულს აჩენდა. კუნძულზე ორიოდე ნორჩი ტირიფი იდგა და ბალახი ხახახავდა მუქმწვანედ.

— მირა, არ გინდა იმ პატარა კუნძულზე დავსახლდეთ, მარტო მე და შენ ვიცხოვროთ?

— მავნაირ პატარა კუნძულზე დიღხანს ვერ იცხოვრებ, მდინარის ადიდებისას გაჩენილი კუნძულია. კიდევ რომ ადიდდება მდინარე, მაგ კუნძულს ერთიანად წალეკავს და ახალ კუნძულს გააჩენს სხვა ადგილას.

თვალი დავხუჭე. დავინახე: ადიდებულმა დუნაიმ ის პატარა კუნძული როგორ წაატეგტევა. რატომღაც შემეშინდა, თითქოს მე და ელმირა უკვე იმ კუნძულზე ვცხოვრობდით. უმაღვე გავახილე თვალი.

დადამდა. ცისა და მიწის საზღვარი დაიკარგა. ძველისძველი მონასტერი ლანდად იქცა, ცაში ხელაპყრობილი ბერის ლანდად. მალე სულ გაუჩინარდა, სიბნელეში ჩაიძირა. მერე ისევ ამოტივტივდა სიბნელიდან და ცაში გაკიდებულს დაემსგავსა. სადღაც ამომავალი მთვარის შუქი პირველად იმ მონასტერს დაეცა.

მთვარე რომ მთაზე შემოდგა, ჩვენ კვლავ ცაცხვქვეშ ვისხედით.

მერე მთვარემ მდინარეზე ნისლისფერი ხიდები გადო, თეთრი ბილიკებიც გააჩინა.

— მირა, ხომ არ გცივა?

— ისე თბილი დღე იყო...

— არ წავიდეთ შინ?

— ვიცი, მამა გამიწყობა, მაგრამ ჯანდაბან ჩემი თავი. მოდი, ამაღამ სულ ცა-სა და ვარსკვლავებს ვუყუროთ.

— ვუყუროთ.

— შენ არ გაგიწყობა მამა?

— გეოლოგებთან ვგონივარ..

ალიონამდე მთვარესა და ვარსკვლავებს შევუყურებდით. ცისა და ბარის ამბებსა ვყვებოდით, სულ მხიარულსა და საამოს, დუნაის წყნარ დუდუნსა და ცაცხვის იდუმალ ჩურჩულს ვუგდებდით ყურს. ღამე თვალსა და ხელსშუა გაგვიპარა.

მთვარემ დუნაიზე გადებული ნისლისფერი ხიდეები დაანგრია და ახალი ხიდეები ააშენა — ვერცხლისფერი, ააშენა სხვა ადგილას. მერე ისინიც დაანგრია. ბილიკებიც რამდენჯერმე გადაადგილა.

განთიადისას მდინარემ დუდუნს უმატა და ცაცხვმა — შრიას.

მთვარე ჩავიდა და ცა მტრედისფრად შეიღება.

— შეხე, მირა, ახლა დუნაი სწორედ ისეთია, ოდესღაც რომ ყოფილა, ნამდვილი ცისფერი. ხომ კარგია?

— ღამის თევა ამის სანახავად მაინც ღირდა. ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება. წავიდეთ ახლა.

— გორაკზე ხომ არ გადავიაროთ?

— რიყეს ვავუყვებო, როგორც მოველით.

მდინარე ტალღების ტყლაშუნით მოგვეგება.

— ღამით უფრო თბილია წყალი, ვიდრე დღისით.

დავებანეთ პირი და თვალბეჭდში შემოპარული ძილი უმალვე გავვიფრთხა.

მე ჯიბე მოვიჩხრიკე და ხელი მოწყვეტით ავიქინე.

— რა ქენი?!

— თეთრი ფული ჩავყარე წყალში. ამბობენ: სადაც თეთრ ფულს ჩაყრი, იმ შიდამოს ოდესმე უმჯველად დაუბრუნდებიო. მინდა ოდესმე კიდევ მოვიდეთ აქ და ასევე ვავათენოთ ღამე.

— ვითომ ეს ღამე გამეორდება ოდესმე?

— იქნებ უკეთესადაც.

ელმირამ კისერზე ჩამოკონწიალებული ვერცხლის ფულისა და ღინჯილოების გალა შეიწყვიტა და მდინარეში მოისროლა.

— მირა?!..

— არაფერია, არაფერი. შენს გადაყრილ თეთრ ფულს გავადევნე. აი, ამ მძივსაც გადავადებ, ამ საყურეებსაც გადავყრი..

ღამულაც ვერ მოვასწარი, ელმირას მძივები და საყურეები ტალღებს შეეჩია.

— რა ქენი?! მე ის კი არ მითქვამს...

— დაე, გაიგოს დუნაიმ, წუხელ როგორ შემიყვარდა. თუ ღამე არ უთთე, ისე ვერ გაიგებ, ვინ როგორ გიყვარს. მე სხვა არაფერი მქონდა და, აბა, რა უნდა მეჩუქებინა?

მინდორში გავედით და ფენები ცვარმა დაგვისველა. ბილიკზე დილის ნისლი დაგვეწია, ცისფერი ნისლი, თითქოს დუნაი გამოგვედევნაო.

— აუჰ, რამდენი მაყვალი სცოდნია აქ! — წამოიძახა ელმირამ. — როდის დამწიფდება, თორემ...

— ერთ თვეში შავი მტევნებით დაიხუნძლება. გიყვარს მაყვალი?

— სხვა რომ არაფერი, ამ მაყვლის მოსაკრეფად წამოვალ აქ. ხომ წამომყვები?

— რა თქმა უნდა!

მთაზე გადმომდგარმა მზემ ელმირას ჩახედა თვალბეჭდში. მე კვლავ მწიფე მაყვლისფერი ორი მზე დაეინახე.

პაპამ შემოგვეითვალა: ბიჭმა ცოლ-შვილით ბალატონისკენ გაუტია დასასვენებლად, მარტო დავრჩი და ამოდიეთო.

კვირადღეს წავედით.

ეზოში რომ შევედი, პაპამ ისე ამხელდამხედა, თითქოს აქამდე არ ვენახე.

— რა იყო, პაპაჩემო?

პაპამ უღვაშებზე გადაისვა ხელი და გემრიელად გამიღიმა:

— მალე აიყარე, შვილო, ტანი, მამა-

შენს გაასწარი უკვე! ქალი როდის მოგყავს? ქორწილი არ გამომაპარო, თორემ...

— გეჩქარება, პაპა?

— შე აყლავყლავდა, შენი კბილა რომ ვიყავი, ტყუპი მყავდა. შენ უნდა გეჩქარებოდეს, თორემ მე რა? მე ბუხარში თუ არ ჩამიქრა ცეცხლი, მეტი არც არაფერი მინდა.

— მალე მოვიყვან, პაპა, მალე! ნუ გეშინია, ისეთ ქორწილს გაჭმევ, ქუდი ცას ახალო.

— ისემც შენ რა გითხრა. ანლანდელ ახალგაზრდებს სულ ეშმაკებისკენ გიჭირავთ თვალი. არ გინდათ ოჯახს დროულად მოეკიდოთ. შეყვარებული მაინც თუ გყავს?

— მყავს.

— მე ხომ არ ვიცნობ? — პაპამ ეშმაკურად მოწკურა ცალი თვალი და იანოშის ეზოსკენ გაიხედა.

— არა, არ იცნობ, მანდეთ ტყუილად იყურები.

— მერედა, რატომ არ ვიცნობ?

— ამ ქვეყანაზე რაც ხალხი დადის. ყველა ერთმანეთს ხომ არ იცნობს?

— როდის მიჩვენებ იმ შენს მზეთუნახავს?

— მეშინია, რომ დაიწუნო.

— შენ თუ მოგწონს, კიდევ რომ დავიწუნო, დაიშლი შენსას? მაინც მიჩვენე, ისე, დაფასებისთვის, შვილიშვილი რომ პატივს მცემს, გამეხარდება.

— კი, ბატონო, გაჩვენებ. ერთხელ აქეთკენაც გამოვასიერებ, ვითომ შემთხვევით.

— იშტვან, მოგწონს სარძლო? — მამამ მიუბრუნდა პაპა.

— თვალით მინახავს? ჩემთვის ჯერ ისიც არ გაუშხელია, საცოლე რომ ჰყოლია, — მამა ახლა მე შემომიბრუნდა და პირველად ეს მკითხა: — ვინ არის?

რაკი სიტყვამ მოიტანა, სათქმელი უნდა თქმულიყო, მაგრამ თავიდანვე იმას ხომ არ ვეტყვოდი, ბოშაა-მეთქი?

— ვინ უნდა იყოს? ჩვენებურია. უნგრეთის მიწაზე დადის.

— ჩვენში ათასი რჯულის ხალხი ცხო-

ვრობს. ქვეყანა ჭრელია ბოშას კაბასათვის...

მამამ ეს ისარი ჰაიპარად ისროლა, მე კი გულში მომხვდა.

— ინჟინრის ქალიშვილია. — ის ვთქვი, რაც პირველად მომადგა ენაზე. ჩემ სიცოცხლეში პირველად ვუთხარი მამას ტყუილი.

— ჰო, ინჟინრის ქალიშვილი თუ არის, მაღლობა ღმერთს... კი, ბატონო, მოიყვანე, თუნდაც ხვალვე, მე არ დაეშლი, რა ხანია ჩვენს სახლს ქალის ხელი აყლია. ისე, ხომ გულით მოგწონს?

— რომ არ მომწონებოდა, ხომ არ შევიყვარებდი? — თავი მორცხვად დავხარე.

— უვარგა ხასიათი? შენ რომ დავისაკუთრებს, მე სახლიდან ხომ არ გამოვდებ?

— მავანიო ქალს შინ შემოვუშვებ?

— ეპ, წინდაწინ რას გაუგებ. ზოგი ქალი გათხოვებამდე ერთია, გათხოვების შემდეგ — მეორე.

— ცოტა თუ ბევრად სიავ-სიკარგე თავიდანვე შეეტყობა.

— თვალი უკეთესი მოწმეა, ვიდრე ყური. მიჩვენე, მიჩვენე ის შენი ინჟინრის ქალიშვილი, გავესაუბრ-გამოვესაუბრები და მერმე ვეტყვი, რა სასახლესაც ამიშენებს!

მიწა რომ ჩამწყვეტოდა და თან ჩაგეტანე, ის მერჩია. მამის დიდი ხათრი მჭონდა. ახლა ის ჩემთვის მამაც იყო და დედაც. სხვა ქალი არ მოიყვანა: ვაითუ დედინაცვალმა ბიჭი დამიჩაგროსო.

დავკარი ფეხი, სოფელს გავცილდი და კარგა ხანს ტყე-ღრეში ვიხეტიალე. საგონებელში ჩავარდნილი თავს ვიმტვრევდი, როგორ მოვიქცე-მეთქი. ბოლოს ასე გადავწყვიტე:

„ელმირას ჩვენებურად გამოვაწყობ და კონტად მორთულ-მოკაზმულს მივიყვან მამაჩემთან. ვიცი, მოეწონება და მოგვიანებით გავუშხელ, ბოშა რომ არის. კარგი ყველა კარგია, ვინც არ უნდა იყოს. იმასაც ვეტყვი მამას, როგორ გვიყვარს მე და ელმირას ერთიმეორე. იქ-

ნებ პირველად შემომწყრეს კიდევ, მაგრამ მამა რისი მამაა, თუ ბოლოს შეილისკენ არ იბრუნებს გულს. დრო-ყამი ყველაფერს კურნავს!“.

გულდამშვიდებული გამოვბრუნდი. ეზო-ბაღის ჭიშკარი დარდიმანდულად შევადე და ელდამ თვალთ დამიბნელა, მეხდაცემულივით დავრეტინადი, ხელი ვაშლის ხისთვის რომ არ წამევლო, წავიქცეოდი.

მამას კაკლის ჩრდილში ჰრელი ნოხი გაეშალა და მუთაქაზე თავმიდებული გულადმა იწვა. თაფლა მსხლისქვეშ, გათლილ-გამოკოპიტებულ კუნძზე, როგორც კარგ სავარძელში, ნებივრად იჯდა პაპა და გაღიმებული მისჩერებოდა მოლზე ჩაჩოქილ ელმირას.

იმ დღეს ელმირა სულ სხვანაირად იყო მორთულ-მოკაზმული. ჰრელა-ჰრულა კბა ეცვა. ყელზე ახალი მძივები ეხვია — ცისფერი, უშველებელი საყურეები ეკიდა — წითელი ხის. თმაში ყვავილები ჰქონდა ჩაწულვი.

ეტყობა, კარგ ამბებს უწინასწარმეტყველებდა მოხუცს. პაპა თავს ბედნიერად გრძნობდა. ელმირა ამას ამჩნევდა და ასე ვთქვათ, ბედნიერებას ხელგაშლილად ფანტავდა.

ხუთიოდე ნაბიჯი გადავდგი, თუთაზე მიყუდებულ შენშას ავეკარი, ჭუჭრუტანა მოვანახე და ყურალესილმა დავუწყე თვალთვალი.

— ახლა ბარემ ისიც გამიგე, პატარძალი ხომ არსაიდან მოდის? — უთხრა პაპამ გოგოს, — ქორწილის არაფერი ჩანს მაგ ქალღალდში? აბა, ერთიც გაშალე!

მამამ თავი წამოსწია და პაპაჩემის გასაგონად ჩაილაპარაკა:

— სიამამრო, ამხელა კაცი რომ მკითხავს აპყევი, საქმე გამოგელია?..

— შენი არ მიკვირს, იშტვან? ზოგჯერ თუ არ გავერთეთ, დარდი რამ მოგვიკლას? ისეთი ლამაზი სიტყვა აქვს, მართალი გეგონება! — მიუგო პაპამ სიძეს და ჯიბე მოიხსრიკა.

ელმირამ ბანქო უბიდან ამოიღო, დასტა ჩასჭრა, აურ-დაურია და მოლზე ჩამოარია:

— ა, დახედე, მოგივიდა პატარძალი!
— რა ქალია?

— ორჯერ ნაქვრივალი, მაგრამ არც ისე ბებერი... თუ გინდა, შეილს კიდევ გაგიჩენს.

— მეე? მე მომიყვანე პატარძალი? ჰა, ჰა, ჰა! ისიც ორჯერ ნაქვრივალი? ჰა, ჰა, ჰა?

— აბა, გოგო ხომ არ წამოგყვება შენ?

— მე ჩემს საცოლეს კი არ დავეძებ, შეილიშვილი მყავს დასაქორწინებელი! რალა დროს ჩემი ქალის მოყვანაა, ჰი, ჰა, ჰა, ჰი, ჰი, ჰი! — ჩაიხიხითია პაპამ, ხელები მოიფშვინტა და უღვაშებზე თავმომწონედ გადაისვა ცერი.

— შენ ერთ ამდენს კიდევ იცოცნლებ და ორი ქალის გამოცვლასაც მოასწრებ, აგერ ნახავ თუ არა!

— შენ კი გაიხარე, შენ კი გაიხარე!

— აი, მეორე წყვილიც გაჩნდა! შენი შვილიშვილიც მალე იქორწილცხს... ოჰო, ბედი გქონია! ორივე ერთ დღეს გადაიხდით ქორწილს, ნაკლები ხარჯი გექნებათ...

— ჰა, ხა, ხა, ხა! — გადაფიჩინდა პაპა. — სულ გაცინებულმა იარე, როგორც ახლა მე გამაცინე! მაშ, პაპა და შეილი-შვილი ერთ დღეს ვიქორწინებთ, ჰა? შენ კი გაიხარე! კარგად დახედე, მესამე ქორწილი არ ამოვიდა? ეგერ რომ კაცი წევს, რამდენი ხანია ქვრივად დადის!

— არა, ეგ ისეა ცხოვრებაზე გულგატეხილი, აღარ მოიყვანს ქალს! — ელმირამ კარტის აკრძა დაიწყო.

— შანდორ, არ მოგწყინდა მაგის ბრიტინი? მიეცი, რაც ერგება და გაუშვი! — კვლავ წამოსწია თავი მამაჩემმა.

— ილაპარაკოს, შე კაი კაცო, რა გენაღვლება? ცუდი ჯერ არაფერი წამოსცდენია. ვერ გაიგონე? სულ კარგი ამბები მითხრა. კაცს სამი წლის სიცოცხლე მოემებათა უტეც. ქალს მოიყვანო, ჰა, ჰა, ჰა! შენ კი გაიხარე!

ბაღის კუთხეში თივის ზვინი იღვა, შეშიდან იქით გადავინაცვლე და ზვინის საიმედოდ ამოვეფარე: ელმირამ უცებ არ დამინახოს და არ გაიოცოს-მეთქი.

ელმირა გამობრუნდა, დაპკრა ფეხი, მარჯვედ შეხტა, მკვახე ვაშლი ჩამოწყვიტა და ჩაკბინა. ეტყობა, ექაშნიკა, ისევ შეხტა, კიდევ ჩამოწყვიტა სამი თუ ოთხი ვაშლი, ჯიბეში ჩაიყარა და ჭიშკრისკენ მხიარული სტვენით გაეშურა. მე ყორეზე ურთი ფეხის დაკვრით გადავხტი, გავიქეცი და ელმირას მოსახვევში დავუტყვი.

— ვაი, ენდრე?! აქ რა გინდა?!
— ჩუმად!
— რამ შეგაშინა?! ადამიანის ფერი აღარ გადევს?!
— ჩუმად-მეთქი!
— ა, ვაშლი! პირი გაისველე!
— ეს რა დღეში ჩამავდე, მირა!
— რა მოხდა, ენდრე?
— აქეთ წამო!
ღელისკენ მიმავალ ბილიკს გავყვივით.
— იცი, შენ იმ ბაღში ვის უმკითხავე?
— სულ ერთი არ არის?
— ის მოხუცი პაპაჩემია!
— რას ამბობ?! კარგი პაპა გყოლია, მხიარული.

— პაპა კი მყავს კარგი, მე რაღა გქნა ახლა?

— რამ შეგაწუხა, ენდრე? გგონია, შენი ცოლი რომ გავხდები, მკითხაობას ვერ მოვიშლი და ასე ვივლი სოფლიდან სოფლად?

— რა დროს ეგ არის! მამამ და პაპამ მთხოვეს, საცოლე გვაჩვენეო. მინდოდა, ჩვენებურად მომერთ-მომეკაზმე და ისე მიმეყვანე — იწყინრის ქალიშვილად გამესაღებინე. რომ მოეწონებოდი, მერე გაემხილა. ეს რა შავ წყალში ჩამავდე!

— სულ ეგ არის შენი დარღო? ზეგ დილით ამავე ადგილას დამხვდი და მივიდეთ. ისე მოვიერთ-მოვიკაზმები, ვერც პაპაშენი მიცნობს, ვერც მამაშენი. რატომ მოიღლემე?

— რა ვიცი.
— დამხვდები?
— დაგხვდები, ვნახოთ.
ეზოში თავჩაქინდრული დავბრუნდი.

მეორე დღეს ბაღში ვწვრიალედი, ვიდრე პაემანის დრო მოვიდოდა. ელმირა ჩემზე ადრე მოსულიყო. ისე ეცვა, პაემანი რომ არ გვექონოდა დანიშნული, ვიფიქრებდი: ეს პალოცელი გოგო აქ ვის უცდის-მეთქი. თავზე წითელკოპლებიანი თეთრი თავსაფარი ეხურა. წელში ვიწროდ გამოყვანილი თეთრი კაბა პირდაპირ ხატავდა. ამ კაბაში ისე მაღალი მკერდი უჩანდა, გეგონებოდათ. მკერდს გულისპირიდან ამოხტომა უნდა, მაგრამ მაგრად შეკრული საყელო არ უშვებო. ორკეცად მოხვეული გიშრის მძივებიც საოცრად შევენოდა. ხელში ეჭირა არშამოვლებული, თოვლივით თეთრი ცხვირსახოცი. ფეხზე ახალი მოდის დებალქუსლიანი მაშინები ეცვა.

— მირა, შენა ხარ ნამდვილად? ეს ყველაფერი ასე სახელდახელოდ სად იშოვე? შენია, თუ?!

— ორიოდ კვირის წინათ შევაკერინე. მოგწონს?

— საქორწილოდ ხარ მორთული.
— ამის ფულს ცაცხვთან გათეული ღამის შემდეგ ვაგროვებდი.

— ასე ჩაცმულ-დახურულს, შგონი, მამაშენიც ვეღარ გიცნობს.

— მით უკეთესი ჩემთვის. არ წავიდე?

— ცოტა ხანს მოვიცადოთ!
პაპას ორკაბა ჯოხი ეჭირა და ვაშლის დახუნძლულ ტოტს საყრდენად უმარჯვებდა, ჭიშკარი რომ შევადე.

— პაპა, ახლაც იტყვი, თავისი სიტყვის პატრონი შეილიშვილი არა მყავსო?
— აი შე კუდიანო! მოიყვანე უკვე?

— რაკი დაგპირდი! — გავიღიმე, მაგრამ ამ გაღიმებას მარილი აკლდა.

პაპამ ბოძიგტს ხელი უშვა და ჭიშკრის აქეთ უხერხულად მდგომ ელმირასაკენ გულდაგულ გაეშურა, თვალი არ მოუშორებია, მიუახლოვდა და უცებ შეჩერდა, დაიხარა, ხელი ჯერ ბალახზე შეიწმინდა, მერე წინსაფარზე და ქალიშვილს მაგრად ჩამოართვა. ერთი ახედდახედა, მე მომიბრუნდა და კეფაზე აღ-



ერსით წამომარტყა. პაპაჩემის დაკოჲრი-
ლი ხელი ასე გემრიელი არასოდეს მჩვე-
ნებია.

— ყოჩაღ! თუმცა, ჩემი შვილიშვილი
არა ხარ? — ისევ ელმირას მიუბრუნ-
და: — მობრძანდი, შვილო, აქეთ მობრ-
ძანდი! კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს
ოჯახში! იცოცხლე, იმრავლე და იხარე!
სახელი?

— ელმირა.

— სახელიც ჩინებული გრქმევია, დმე-
როთა კარგი სახელი ნუ მოგიშალოს! იშ-
ტვან, ჰეი, იშტვან! — მხიარულად გას-
ძახა პაპამ. — გამოიხედე!

მამა საშინაოდ ჩაცმული გამოვიდა,
ცალი ხელით სათვალე ეჭირა, მეორე ხე-
ლით — რაღაც სქელი წიგნი.

ვიდრე მამა სათვალეს გაიკეთებდა და
ელმირას დააკვირდებოდა, დამბურძგლა.
ამის თქმალა მოვახერხე:

— მამა, აი მოვიყვანე. გაიცანი!

— კეთილი, კეთილი იყოს ჩვენი გაც-
ნობა! — მამამ ხელი ჩამოართვა ელმი-
რას, სათვალე შეისწორა და უფრო გუ-
ლმოდგინედ ახედ-დახედა.

მამას გაეღიმა.

გადავჩინი.

წამით უხერხული დუმილი ჩამოწვა.

— ბიჭმა მითხრა, მამა ინყინერი გყო-
ლია... — სხვა ვერაფერი იბოვა სათქმე-
ლად სამამათილომ.

— მყავდა... — ნაღვლიანად მიუგო
ელმირამ. — დუნაქესში მუშაობდა საგ-
ზაო ინჟინრად. სამიოდე წლის წინათ გა-
რღამეცვალა.

მირამ უკვე იცოდა, ამას რომ ჰკითხა-
ვდნენ და დაზეპირებული პასუხი არ შე-
შლია, არც აღელვებულა.

— დედა გყავს, შვილო?

— დედა უფრო ადრე მომიკვდა.

— ბედს დაუჩაგრაგზარ, შვილო!

— ახლა სედლიგეტში ვცხოვრობ, დე-
იდასთან.

— კეთილი, კეთილი!

პაპამ სახლიდან სკამები გამოგვირბე-
ნინა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით! რატომ
არა ჯდები, შვილო?

— წასვლა უნდა, პაპა... — ჩავჩურჩუ-
ლე მე.

— მერე შენ უშვებ?

— რა ვიცი... ხომ ნახეთ, ახლა გავა-
ცილებ... —

— თავსა მჭრი? რაკი დიასახლისი შინ
არა მყავს, მიბრიყვებთ? — პაპა ელმი-
რას მიუბრუნდა. — ასე ძვირფას სტუ-
მარს უპატივცემლოდ ვერ გაგიშვებ,
შვილო! ოჯახი გვაქვს და ყველაფერი.
ვისაუბროთ, ვისადილოთ და მერე... რო-
გორც გინდა.. მოსვლა შენი ნება იყო,
წასვლა — ჩვენი.

პაპა მეზობლის ეზოს მიადგა და გადა-
სძახა:

— იულიშვა, ჰეი, იულიშვა! შინ არა
ხართ?

იანოშის მეუღლემ გამოიხედა. ტანდა-
ბალ ქალს მკლავები დაკაბიწებული ჰქო-
ნდა.

— შენ მეძახი, მეზობელო? რა ამბა-
ვია?

— სტუმარი მეწვია. — პაპამ ელმირა-
სკენ გამოახედა იულიშვა, რაღაც ჩას-
ჩურჩულა და მერე ისევ აუწია ხმას: —
ბოდიშს ვინდი, რძალი შინ არა მყავს,
თორემ...

— ამ წუთში გადმოვალ! ისე, ნამდვი-
ლად სარძლოა? — იულიშვამ კვლავ ელ-
მირასკენ გამოიხედა.

პაპამ თავი დაუქნია.

იულიშვა შინ შევიდა, ცოტა ხნის შემ-
დეგ სირბილით გამოვიდა, ღობეს გად-
მოაბიჯა, ყველას თავი დაგვიკრა მოწი-
წებით და უმაღლე პაპაჩემის სამზარეუ-
ლოს მიასურა.

ღობეს სამი გოგო მოადგა ქურდუ-
ლად. ღობის ჭურჭრუტანაში იშტკას ნაღ-
ვლიანი თვალები დავლანდე. დანარჩენი
ორი ქალიშვილი ვერ ვიცანი, ალბათ, აქ-
ეთა უბნელები არ იყვნენ. მხოლოდ ის
შევნიშნე, ერთი ქერა იყო, მეორე — შა-
გვერემანი.

ვითომ აჩურჩულდნენ, მე კი ყველა-
ფერი გავიგონე.

— დედა, დედა, დედა, რა გოგოა, რა
გოგო! — თქვა შავვერემანმა.



— არც ისეთი... მერე რა რომ გაწყობილი პირისაზე აქვს, ერთობ შავტუხაა! — დაიწუნა ქერამ.

— იიპ! შენც გავგებდა რამე სილამაზისა. რა უშავს რომ შავია? სიშავით მზეთუნახავი ვის დაუწუნებია? — შავგვრემანი ვაბრაზდა კიდევ და მერე მშვიდად დაუმატა: — ნეტავი ვისი შვილია? აქაურს არა ჰვავს.

— ვილაცის შვილია, დიდი რამეც არის, გაშანტლულა მუგუზალივით! — ეს ისე თქვა იუტკამე, გული ჩამწყდა, შემეცოდა საბრალო გოგო. მაგრამ ელმირას რომ მოვხედე, სიბრალული უმაღვე გამოქრა.

ერთ გულს ორად ხომ ვერ გავიყოფდი? რა მექნა?

მოკლედ: ელმირას სილამაზემ ერთი გოგო გადარია, ორს კი არაფრად ექაზნიკა.

სუფრა ვაშლისქვეშ გავშალეთ.

მამა გახარებული იყო, ღვინოს მიეძალა და მალეც მოეკიდა.

პაპა სულ დიდინებდა და გადიშებულნი წამდაუწუმ უღვაშებზე ისვამდა ხელს.

ნასადილევს ელმირა გავაცილე და შინ შებინდებისას დაებრუნდი.

მამა ბაღში დამხვდა. ღვინო გამონელებოდა და ახლა ბილიკზე ბოლთასაც სცემდა.

- დაგავვიანდა, ბიჭო.
- ხომ არ ვირბენდი?!
- რატომ არ მკითხავ, მომეწონა თუ არა?
- რაკი ვაჩვენეთ, კითხვაზე მეტი არ არის?

— სიტყვა-პასუხი უვარგოდა, ისეც რიგიანად იქცეოდა, არაფერი შეშლია, ოღონდ... ერთობ პატარა უნდა იყოს. რამდენი წლისაა?

— მეჩვიდმეტეშია გადამდგარი.

— მეჩვიდმეტეში? ესე იგი, თექვსმეტი ახლახან შესრულებია... იმაზე პატარაც კი ყოფილა, მე რომ ვივარაუდებ. თექვსმეტი წლის ქალიშვილის გათხოვება აღრე არ არის? შენ კი ხარ საცოლედ

შედგებული, მაგრამ ის რომ არ არის ჯერ წლოვანი?

- დავუციდი.
- დიდი ხანია ერთმანეთი გიყვართ?
- ნახევარ წელიწადზე მეტია.
- ყველაფერი აწონ-დაწონეთ?
- ექვსი თვე პატარა დრო არ არის.
- რითი აპირებთ ცხოვრებას?

— ხელ-ფეხი გვაქვს და შრომა არ გვეზარება.

— უნივერსიტეტში სწავლა რომ გინდა?

— თუ მოვინდომებ, ყველაფერს მოვასწრებ. გაუჭირვებლად რა კეთდება?

— კეთილი, იყოს ნება შენი! ოღონდ... იცი რა, შვილო? ერთი რალაც მეექვსედა და უნდა გავარკვიო.

— ტანში გამცრა, ეს რომ გავიგონე.

— მე მამა ვარ და ყველაფერი უნდა ვიცოდე. რა გვარის ქალია?

— ჩვენს დროში გვარს, მაინცადამაინც, აღარ დასდევნე.

- მაინც?
- საბო.

— ნამდვილად იცი? იქნებ მადიარი დედ-მამა არა ჰყავდა?

— ელმირას დედ-მამა მე არ მინახავს, ასე რომ...

— იქნებ ის სედლიგეტელი ქალი ელმირას დეიდა სულაც არ არის და ისე ზრდის.

— ისე გაზრდა რას ჰქვია?

— ვთქვით, უშვილო ქალმა სადმე იპოვა უპატრონო გოგონა, მოეწონა და... ზრდის თავისთვის. ამას იმიტომ გეტუბნები, შვილო, ელმირა რალაც ისე უქცევს, წმინდა წყლის მადიარს არა ჰვავს.

— ალბათ, სახელიც გაეჭვებს.

— სახელით ახლა რას გაიგებ! ჩვენში ყველა რჯულის სახელს გაიგონებ. ელმირა გარეგნობითაც არა ჰვავს მადიარს.

— აბა, ვინ გგონია?

— გარკვევით ვერ გეტყვი ახლა, რა ვიცი... მიმიყვანე დეიდამისთან, ვნახოთ, მოველაპარაკოთ.

ამაზე შორს წასვლა აღარ შეიძლება-

და, უარეს მახეში გავებმებოდი, სიმართ-
ლე უნდა თქმულიყო. რაკი ეს გადავწყ-
ვიტე, სიმტკიცე მომემატა, რალაც დიდი
ტვირთი გადავიგდე გულიდან.

— მამა, გულახდილად მითხარი, ხომ
მოგეწონა ელმირა?

— შესახედაობით მომეწონა, მაგრამ...
ადამიანის სულის გასაგებად გარეგნუ-
ლი მოწონება არ კმარა. ჯერ ის უნდა გა-
ვიგო, რა რჯულისაა.

— კარგი ადამიანია. ზოგ რამეში შეი-
ლსაც ხომ უნდა ენდო?

— მე მაინტერესებს, რა რჯულისაა.
ვერ გაივე?

— თუ კარგი ადამიანია, სულ ერთი არ
არის, რა რჯულისაც იქნება?

— არა, ჩემთვის ევ არ არის სულ ერ-
თი. შენ რალაც ისე გიჭირავს თავი, მეექ-
ვება, ის შენი ელმირა ბოშა არ გამოდ-
გვს ბოლოს. ჰა, რამ ჩავიგდო ენა, ამოი-
ლე ხმა!

— ვითომ რა? — უცებ ვერ ვიპოვე
პასუხი, — ბოშა ადამიანი არაა?

— ადამიანია, მაგრამ არა ჩვენისთანა...

— ხალხს შეუარაცხყოფას აყენებ, მა-
მა.

— ესენი რა ხალხია! ერთი თავაშ-
ვებული მომთაბარე ბრბოა, სხვა არაფე-
რი. ლაპარაკადაც არ ღირს...

— ოდესღაც ყველა ხალხი მომთაბა-
რე იყო.

— შენ რალაც ისე თავდადებით იცავ
ბოშებს, ექვს მიმართლებ! გულწრფე-
ლად აღიარე, ბოშაა ხომ ელმირა?

— დიახ... სულიან-ხორციანად! — მი-
ვუბე მტკიცედ.

— ვისი შეილია?

— აკი გითხარი, ბოშაა-მეტქი!

— მაგას არ გეკითხები. ბოშა რომ
არის ახლა მეც ვიცი. სათქმელს დაგი-
ხურდავებ, რაკი ასეა. ჩვენში, შენც ჩი-
ნებულად იცი, ბევრნაირი ბოშაა. ერთს
ვიოლინო უჭირავს ხელში, ფრაკი აცვია,
კაფეში ხალხს ართობს და ოჯახს სიმლე-
რით არჩენს. ეს, ასე ვთქვათ, წესიერი
ბოშაა, ჩვენებური, უნგრულ მიწა-წყალ-
ზე გაზრდილ-დამკვიდრებული. მეორე
ბოშა მჭედლობს, მესამე დათეს აცეკვებს

და უსაქმურ ხალხს. დროს აკვლევინებს
ისინიც, ასე ვთქვათ, თავისი ოფლით ირ-
ჩენენ თავს. არიან ბედშერისხული ბოშე-
ბიც: კარდაკარ დახეტილობენ, გულუბ-
რყვილო ხალხს მკითხაობით ატყუებენ
და თავს აბეზრებენ. ზოგიც ქურდობს —
ცხენს იპარავს... გაივე?

— ელმირა სწორედ ბედშერისხული
ბოშას შევილია! — მკვებედ მომივიდა ნა-
თქვამი.

— რატომ თავიდანვე არ გამიჩხილე?

— პირველი შეხვედრისთანავე ავი
თვალთ რომ არ შეგხვდა. სუფრასთან
ხომ ტკბილად ემუთავებოდი?! მაშინ
ხომ ძალიან მოგეწონა?

— აკი გითხარი... მაშინ მომეწონა...

— ჰოდა, ელმირას ბოშობა რომ არ
გაგეგო, ასე ავდებულად ხომ აღარ შე-
ხედავდი?

— შესაძლოა, არა.

— მერედა, რატომ? დანაშაულად ად-
ამიანს იმას უთვლი, ბოშა რომ არის?
ხომ შეიძლება მადიარი ცუდი იყოს და
ბოშა — კარგი? შენგან არ მიკვირს, მა-
მა?! რომ დაგაბეზდეს და ციხის კედლე-
ბი ვახეჩინეს, ის მადიარებიც სჯობიან
ბოშებს? ან ისინი — აქამდე საშიშ კა-
ცად რომ გთვლიან და მასწავლებლობის
ნებას არ გაძლევენ?

— იმ ამბავში სხვა ძალღის თავი მარ-
ხია, ნუ მეკამათები! აქ პოლიტიკის სამ-
სჯავრო არა გვაქვს... შენ ეს მითხარი,
ისე კობტად შენ მორთე, თუ... თვითონ
მოიკაზმა?

— ვითომ თავად არ იცი ჩემი ჯიბის
ამბავი? რასაც ვმოულობ, შინ არ მო-
მაქვს?

— შენ ისტორიის განხრით ვაქვს სა-
ბუთები შეტანილი, არა?

— ვითომ არ იცი...

— იურიდიულზე უნდა შეგეტანა, კა-
რგი ვექილი გამოხვიდოდი, ადვილად
ვერავინ მოვიგებდა სიტყვაში. ძნელია
შენთან ლაპარაკი. კი, ბატონო, მოიყვა-
ნე მკითხავი გოგო, მერე დასხედით შინ
ორი მკითხავი, ერთმანეთს უმარჩიელებ
და ავიშენდებათ ოჯახი.

უცებ პაპა წარმომიდგა თვალწინ, ელ-
მირას მკითხაობისას გულიანად რომ იც-
ინოდა — სიცოცხლე მომემატაო. ამან
მალე მაპოვნინა მამის საპასუხო სიტყვა.

— მირას მკითხაობა ვის რას უშავებს?
ყველას კეთილად უხატავს ხვალინდელ
დღეს და ადამიანი თავს ბედნიერად
გრძნობს.

— ცრუა ასეთი ბედნიერება, ადამიანს
დიდხანს არ მიჰყვება...

— თუ ასე ღრმად ჩაყვებით, ყველა
ბედნიერება საბოლოოდ... უკვდავი არა-
ვინ არ არის. მთავარია, ცოტა ხანს მაინც
გეგონოს, ბედნიერი ვარო.

— ესე იგი, თავი მოიტყუო?

— რაღაც უნდა იწამო! ურწმუნო ად-
ამიანი ყველაზე უბედურია, საცოდავიც.
მამა ხარ და უნდა გამიგო, მე მირა მიყ-
ვარს, მიყვარს მთელი გულით.

— მოხეტიალე ბოშას გარდა, რა რჯუ-
ლის ქალიც მრგებსასიათოს, ის შეიყვარე
და მოიყვანე შინ. თუნდაც ხვალვე, არ
დაგიშლი. მაგრამ გიმეორებ, თაბუნის
ბოშა — არა! შენი ნებისყოფა მაგ უთა-
ურ სიყვარულზე ძლიერი უნდა აღმოჩ-
ნდეს. ელმირაა თუ ვილაც დოზანა უნდა
დაივიწყო!

— ვერ დავივიწყებ, უსიკვდილოდ
ვერ დავივიწყებ!

— ახლა ეგრე გგონია, გავა დრო და
შეეგუებო. ჩვენ უნდა ვავუგოთ ერთმან-
ეთს, შეილო! მე ჩემი ჭკუა-გონებით ეს
მითქვამს, დანარჩენი შენ იცოდე. რამ-
დენიც უნდა მიმტკიცო, მოხეტიალე გო-
გოს შინ ვერ შემოვუშვებ, სოფელ-ქვე-
ყანას მასხრად არ ავავადებინებ თავს, იშ-
ტვან უნგვარის სახელს ტალახში სათრე-
ვად არ გავხდი, მე ჩემი თავმოყვარეო-
ბა მაქვს. უბედურება ჩემიც მიყოფა,
სხვის უბედურებას ვეღარ მივიმატებ,
მორჩა და ვათავდა.

— რატომ გგონია, ელმირა მაინცადა-
მაინც უბედურებას შემოგიტანს შინ?
იქნებ ჩვენს უბედურ ოჯახში ბედნიერე-
ბა შემოაქვს, რა იცი?

— ვისაც სამშობლო არა აქვს, არ შე-
იძლება ბედნიერი იყოს, ყელამდე ოქ-
რო-ვერცხლსა და ფარჩეულობაშიც რომ

ჩასვა. — მამა აქამდე ბრაზიანად ლაპარაკობდა, ახლა რატომღაც უცებ დამშვიდდა, თითქოს თავის გასამართლებელი საბუთი იპოვა და ამან დააცხროო — ქარს ადევნებულ ბოშებს როგორ ენდობა თავგზიანი კაცი? მაგათი მთელი ცხოვრება ჩარდახიანი ურმის თვლებზეა შემდგარი, იმ ურემს კი სულ ცხენები უბია, ნაირნაირი ცხენები. აუღერიათ თავი და ქარს დასდევენ, ფესვი არსად უდგათ — სახლ-კარი მაგათ არ გააჩნიათ და მიწა. ბევრი ხელობის ბოშა მინახავს, მიწისმუშა — არც ერთი. ჰო, ასეა: ბოშა ყველაფერი შეიძლება იყოს, გარდა მხვენელ-მთესველისა. ურდოს ბოშებს თავისი საფლავის მიწაც კი არა აქვთ, ამიტომ არც საფლავები რჩებათ. დამარხვისთანავე ეკარგებათ. ხოლო ვინც მამა-პაპის საფლავს არ ინახავს, იმას სხვა სიკეთე რა უნდა მოსთხოვო? სამშობლოს სიყვარულიც არ იცის, რადგან საერთოდ არ იცის მიწის სიყვარული. რაც არა აქვს, რას შეიყვარებს?

— შენ კი გაქვს მიწა? ახლა ეს მიწა შენია, რომელზეც დადიხარ? რატომ გაჩუმდი?

— ჩემია, ჰო, ჩემია ეს მიწა. ვინც არ უნდა ეპატრონებოდეს, მაინც ჩემია. ამ მიწაში ჩემი მამა-პაპის ძვლებია შენახული, ფერფლია შენახული, შენახულია ბევრი სხვა რამ. ალბათ, სულიც და სისხლიც. მე ეს ვიცი და მიყვარს. ამ მიწას ჩემი სახელი ჰქვია და ამ სახელს ვერავინ ამოშლის ამერიდან, ვერავინ... მე მიწაც მაქვს და სამშობლოც, უსამშობლოო ადამიანზე უბედური კი ცისქვეშ არავინ დადის, გამიგე?

— მართალი ხარ, მამა. უსამშობლოო ადამიანი ძალიან უბედურია. ჰოდა, მე ელმირას სამშობლოს ვავუჩენ, ბედნიერს გავხდი. მერე მის შვილსაც ექნება სამშობლო. ადამიანს სამშობლო არ უნდა წაართვა, თორემ თუ გაუჩენ, ამას რა სჯობია? ყველა ადამიანი ღირსია — სამშობლო ჰქონდეს. სხვა ბოშები ხომ დამკვიდრდნენ ჩვენს მიწაზე? დამკვიდრდება ელმირა და მისი ნაშვირც.

— ერთმანეთში ნუ ურევ ამ ბოშებს

და იმ ბოშებს. სახელი აქვთ ერთი, სისხლი — სხვადასხვა...

— ოდესღაც მადიარებიც ხომ საღდაც სხვაგან ვცხოვრობდით თურმე. მერე მოვედიო აქ, ღუნისპირეთში დავსახლდით, დავემკვიდრეთ და ახლა ეს მიწა-წყალი ჩვენი სამშობლოა, ჩვენი დედულ-მამული. ამ მიწაზე დარგულ ვაზს უნგრული ჰქვია და ჩვენი ვენახების მადლს — უნგრული ღვინო. ელმირაც ასე დავემკვიდრება და...

— შენ ისევ შენსას გაიძახი. კი, ბატონო, მაგის პასუხსაც ვეტყვი. მადიარებს ყოველთვის გეჭონდა სამშობლო და გვექნება კიდევც, საღაც არ უნდა დავსახლდეთ. მიწა ჩვენი ნათესავია, დედაა, ძმაა, მეგობარია, მოხეტიალე ბოშასათვის კი მხოლოდ გზაა, ჩარდახიანი ურმით გასათელი გზა, ზოგჯერაც — უბადრუკი კარვის დასადგმელი ადგილი. მერცხალი გაჩერდება აქ ზამთარში? არ გაჩერდებოდა, თუ გაჩერდა — მოკვდებოდა. ურდოს ბოშაც ეგვრება; მოუვლის ეინი და წავა, შენ კი დარჩები გაუბედურებული... დამიჯერე, შვილო! რომელ მამას უნდა შვილის გაუბედურება! მეტს აღარაფერს გეტყვი, თავად დაუფიქრდი ყველაფერს, კარგად აწონ-დაწონე და ისე მოიქეცი, როგორც შენმა გულმა გიკარნახოს და გონებამ გირჩიოს...

— ვნახოთ, დავეფიქრებო.

— აი, ღამეც წამოგვეპარა, გემრიელად აგრილდა. დალოცვილია სოფლის ღამე. არ დავიძინოთ?

— დავწვები და თუ დამეძინა...

ვიდრე მამა გაბრაზებული მელაპარაკებოდა, არც ერთი მისი სიტყვა გულზე არ მომეცხო, ამ წყნარმა, მამაშვილურმა საუბარმა კი ჩემი სიბრაზეც გაანელა და მაიძულა, მშობლისათვის მშვიდად დამეგლო ყური და დავეფიქრებულიყავ.

აივანზე გავიშალე ლოგინი და ბაღში დარჩენილ მამას არც დაველოდე, დავწევი და ვარსკვლავიან ცას მივაშტერდი. მეგონა, ამ მოწმენდილი ცისქვეშ არ მომასვენებდნენ ამღვრეული ფიქრები და კარგა ხანს ვიბორბებდი ლოგინში. მალე ვარსკვლავები არიალდნენ, საღდაც გა-

ფრინდნენ და მეც თან გამიყოლეს. უწვალებლად ჩამეძინა. ღამე უსიძველედ გავატარი.

ღილით ძილში პაპას გემრიელი სიცილი ჩამესმა. მაშინვე გავახილე თვალი.

მზეში ცურავდა ბალი. მამა და პაპა ქვის კიბესთან იდგნენ.

— მამ, ის მზეთუნახავი მოხეტიალე ბოშა ყოფილა? ეპ, როგორ გამოვშტერდი! ეტყობა, სიბერე მომერია, აღარ მივარგავ გოგრა! — პაპამ უშბლზე მიიტყაპუნა ხელი. — მამ, ბოშა ყოფილა, პა? ასე ჰქვიათ და ღამაში გოგო, კაცო?!

— ბოშას სილამაზე და ჰყუა ვინ თქვა!

— მაგას ნუ იტყვი, იშტვან, ნუ იტყვი!

— რძალად თუ დავიჯინეს შენ, მერე აქე და ადიდე. ეეპ!

— ნუ ჩამოუშვი ცხვირი! რამ ჩაგადო საგონებელში? ხომ კარგი გოგოა? ბიჭს ხომ უყვარს? იმ გოგოსაც ხომ უყვარს? სიამტკბილობისთვის მეტი არაფერია საჭირო...

— ეეპ! — ხელი ჩაიქნია მამამ, აქოლდა, ვერც შენ გამიგეო. დაპკრა ფეხი და იქაურობას გაშორდა.

პაპა მე მომადგა.

— რაკი დავბერდი, ეგრე უნდა ამიხვიო თვალი? თუ ბოშა მოგყავდა, აღრე ვერ თქვი?.. ერთს ვამკითხვინებდი მაინც. ხმა ამოიღე, ბიჭო!

— რა გინდა, პაპა?

— თაბუნის ბოშებმა ქორწილი იციან?

— რა ვიცი მე.

— მხიარულება და ცეკვა-თამაში მაგათი მოგონილია, ქორწილიც უეჭველად ეცოდინებათ. ისე, ბიჭო, არ დაუჯერო მამაშენს, არ გადაიფიქრო. პირველი ბელი ბელია! ნამდვილი ჩემი შვილიშვილი ხარ, იცი ვის დაადგა თვალი. ქორწილს როდის ფიქრობ?

ხმა არ გავეციო, თავი გვერდზე მივაბრუნე.

— ოღონდ შენ ნურაფერი გეწყინება და მე სულ დავმუნჯდები!

პაპა ფეხისწვერებზე შედგა და ისე გა-
მშორდა.

იმ დღეს რამდენჯერმე მოვკარი თვა-
ლი იუტკას, დაღვრემილი დადიოდა თა-
ვის ეზოში. ერთმანეთისთვის ხმა არ გაგ-
ვიცია, უტკოს რომ ვინმეს დავენახეთ,
ნაჩხუბრები ვეგონებოდით. ჩვენს შუა
ღობე იღვა და კიდევ რაღაც...

სამ დღე და ღამეს ებრძოდა ერთმა-
ნეთს ჩემი გული და გონება. გონება მა-
მას უჭერდა მხარს, გული — მე.

„იქნებ მართალია მამაჩემი, მაგრამ
მეც რომ არა ვარ მტყუანი? ელმირა გა-
გიყებით მიყვარს და როგორ დაეთმო?“
ფიქრთა ჭიდილი თავბრუს მახვევდა.

— გახსოვს, ვაგონში კონდუქტორი
რომ შეედავა ელმირას, ჩადიო. მამაშე-
ნის გარდა სხვებსაც სძულეზიათ ბოშა.
ჰოდა, რათ გინდა ყველასგან ათვალწუ-
ნებული ცოლი? რაც არ უნდა კარგი გო-
გო იყოს ელმირა, ხალხს მის სიკეთეს
ვერ დაუშტკიცებ! — მედავებოდა ერთი
ენდრე.

— გახსოვს, დუნაის პირას გატარებუ-
ლი მთვარიანი ღამე? ელმირას გარდა,
სხვას ვის შეუძლია ასე დიდი ბედნიერე-
ბა მოვანიჭოს? ელმირას სულხორცია-
ნად უყვარხარ და შენ გინდა ამ წმინდა
სიყვარულს ხელი ჰკრა? — ჩამძახოდა
გულში მეორე ენდრე.

ფიქრს ნატვრა ენაცვლებოდა:

„ნეტავი შემეძლოს დუნაიში, ნადაც
ყველაზე ფართოდ მოედინება, ვიპოვო
პატარა კუნძული, წავიყვანო ელმირა და
ვიცხოვროთ ჩვენთვის. ვიცხოვროთ თავ-
დავიწყებით, როგორც იმ მთვარიან ღა-
მეს. ერთმანეთს ვუაშბოთ მხოლოდ საა-
მო ამბები, ღამაში ზღაპრები და სიყვა-
რულის ლეგენდები. ყველა კუნძული
მდინარეში ღამაში, მშვიდი და მზია-
ნია...“

„შენ მართლა მდინარეში გაჩენილ კუ-
ნძულს ნატრობ, თუ?“ — მეკითხება
იღუმალი ხმა.

„ელმირა ამქვეყნად ის ერთადერთი
კუნძული, რომელსაც შეუძლია ბედნიერ-
ად მაიცოცხლოს, დამასვენოს და სული
დამიმშვიდოს“. — მხოლოდ იმ ვილაც

იღუმალს ვუმქლავნები ჩემს ხეაშიადას.

„დიდი მდინარე პატარა კუნძულებს
ერთი წყალდიდობისას აჩენს და მტკიცე
წყალდიდობისას ძირფესვიანად სპობს.
პატარა კუნძულზე დიდხანს ვერ იცხოვ-
რებს!“ — ამას თითქოს ელმირა მეჩუ-
რებოდა ნაღვლიანად.

„გახსოვს, პირველი კოცნის შემდეგ
როგორ გაგიფხუციანდა და თავბედი გა-
წყვევლინა? შენი ცოლი თუ გახდა, ამ-
გვარ ოფოფებს ხომ უფრო ხშირად ააფ-
რენს? ჰოდა, გაგიშვარებს სიცოცხლეს.
აღვილად რომ მოგენდო, შეუძლია, ასე-
ვე აღვილად გაგექცეს და უცეცხლოდ
დამწვარ-დანაცრული დაგტოვოს!“ —
შხამს მაწვეთებდა გულში უტემური ფიქ-
რი.

მეზობელ ეზოში კი კვლავ ნაღვლია-
ნად მიმოდოდა იუტკა. გამოიხედა და
მის შემოხედვას ვერ გაუძლეო. თვალე-
ბი საყვედურით ჰქონდა სახსენ.

რა იცოდა საწყალმა გოგონ, ჩემს გუ-
ლში რა ქარბორხალა ტრიალებდა, თო-
რემ იმასაც შევეცოდებოდი ალბათ.

ო, როგორ ახრჩობს ადამიანს მუნჯი
ფიქრი!

ჩემს ხეაშიადას მხოლოდ ცას ვუმხელ-
დი, ვარსკვლავიან ცას და რაკი არავინ
მცემდა ხმას, გული თანდათან ნაღვე-
ლით მისივდებოდა.

ძნელი ყოფილა, როცა ნაღველი გიგ-
როვდება და ვერავისთვის გაგიზიარებია!
სამეცადინოდ წიგნები მქონდა წაღებუ-
ლი, რომ გადავშლიდი, ყველა ასო რა-
ღაცნაირად ელმირას მაგონებდა. ვერც
ძილში ვისვენებდი, ვერც ცხადში. მამა
მატყობდა ამას, მაგრამ არაფერს მეუბ-
ნებოდა.

პაპასთან შვიდ დღეს დავრჩით. ორშა-
ბათს შინ გავეშურეთ.

ელმირას აღარ ვნახავ-მეთქი, დავაჯე-
რე ჩემი თავი, მაგრამ იმავე საღამოს გუ-
ლი არც დამეკითხა, გონმიუცემლად გა-
იქცა ელმირასაკენ და მეც გამიყოლია.
გზაზე რომ გავედი, ფეხებმა თავისით გა-
სწიეს კარვებისაკენ.

მამის დავრწმუნდი, რომ სიყვარული
სიხარულზე მეტად ტანჯავა ყოფილა, მაგ-

რამ თუ ადამიანს ეს სატანჯველი წაართ-
ვი, ათასჯერ უფრო დაიტანჯება და კაცის
სიცოცხლე აღარაფრად ელირება.

თაბუნი რომ გამოჩნდა, გულმა ისეთი
ბავა-ბუგი ამიტება, მეგონა, მკერდს გა-
მონაგრევდა. შევისვენე, გული დავიწყ-
ნარე და კარებისკენ თამამად გავაბოტე.

— აქამდე სად დაიქარგე, ენდრე? —
კარვების აქეთ დამხვდა ელმირა, — რა-
მდენი ხანია აქ გელოდები.

— საქმეები მქონდა... ხომ იცი, უნი-
ვერსიტეტში შესასვლელად ვემზადები
და... ცარიელი თავით ხომ ვერ მივალ გა-
მოცდაზე?

— რატომ ხარ მოწყენილი?

— მოწყენილი ვარ? სულაც არა, ალ-
ბათ მოგეჩვენა! — გავიღიმე განგებ.

— მამაშენმა ხომ არაფერი გითხრა ის-
ეთი?

— რა უნდა ეთქვა? ძალიან მოეწონე.
პაპასაც მოეწონე.

— ო, პაპაშენი მართლაც კარგი კაცია.
ეგ არ მოკვდება არასოდეს. მამაშენი ერ-
თობა წარბეჭერულია.

— ისეთი ცხოვრება აქვს გამოვლი-
ლი...

— ენდრე, შენ რაღაცას მიმაღავ, რა
მოგივიდა?

— ალბათ, გზაზე დავიდალე. ცოტა
სიცხემაც მომთენთა დღეს. არაფერია,
დამშვიდდი, ელმირა! არ გავისეირნოთ?
ელმირა უხმოდ დამეთანხმა.

გულახდილად რომ ვთქვა, იმ საღამოს
მეც არ მომეწონა ჩემი თავი, უფრო
სწორად — ჩემი გაორება. ელმირას ორი
ენდრე მიჰყვებოდა გვერდით: მამის ურ-
ჩი და მამის მორჩილი.

სამშაბათ საღამოს ელმირამ თვითონ
გამოიარა ჩვენკენ.

ქუჩის მოსახვევში, თითქოს მიწიდან
ამოძვრაო, მამაჩემი შემოგვეფეთა. შედ-
გა და მოგვაშტერდა. ელმირასთვის ხმა
არ გაუცია, მე ხელი დამიქნია.

— აქ მოდი, ენდრე! — ეს ხმა არც
წყრომის იყო, არც მოფერების.

უხმოდ მივედი და წინ წარბეჭერული
დავუღეკი. მკლავში ტოლივით გამომდლო

ხელი, განზე გავუხვიეთ და ელმირას
თვალს მივეფარეთ.

— ეს რას ჰგავს, შვილო? კიდევ
იშლი მაგ მაწანწალასთან სიარულს?

— მირა მაწანწალა არ არის!

— უარესია! ზედმე ეტყობა!..

— არაფერიც არ ეტყობა! ადამიანი
უსაბუთოდ არ უნდა გალანძლო! ეს
სულმადლობაა, სხვა არაფერი, — გავ-
ცეცხლდი, სისხლი თავში ამივარდა.

— შენ რა საბუთი გაქვს, რომ ეგ უპა-
ტრონო გოგო ვილაცების ნათრევი არ
არის? მითქვამს და გიმეორებ: ძუქნას
შემოვუშვებ შინ და მავას — არა!

— არ შემოუშვებ და მეც გაგზო-
რდები!

— წადი! მიბრძანდი, ბატონო! შენთან,
ეტყობა, ტკბილი სიტყვა არა ჭრის.

— ნუ მემუქრები, მამა, ბავშვი აღარა
ვარ. ამ ცხოვრების ცოტა რამ მეც გამო-
ვია.

— უბედურებაც ის არის, ცოტა რომ
გავიგია და ბევრს ჯერ ვერ მიმხვდარხარ!
ნუ დამაყვირებ, ტკბილად გეუბნები, წა-
მოდი ახლა შინ!

— არ წამოვალ!

— არ წამოხვალ და ჯანდაბის გზითაც
გივლია! — მამა გაბრაზებული წავიდა.
ფეხის ხმაშიც კი ეტყობოდა გაჯავრება.
ერთგან შეჩერდა, გულზე მიიღო ხელი,
რაღაცას დაუგლო ყური და ისევ განაგ-
რძო გზა, ოღონდ უფრო მძიმედ.

თვალი გავაყოლე და უტეებ შემეცო-
და: რატომ ვაწყენინე-მეთქი?

„იქნებ მამა მართალია? — გავივლე
გუნებაში, — ელმირა რომ ასე ადვილად
მომენდო მე, იქნებ საერთოდ იყო ჩვე-
ული ადვილად დაახლოებას და...“

ელმირასთან გულმოშხამული დავბ-
რუნდი.

— რა გითხრა? — მიღეული ხმით მკი-
თხა ელმირამ და ისე შემომხნდა, ვერ გა-
ვიგე, მიწყურებოდა თუ ვეცოდებოდი
თვალი ვერ გავუსწორე გოგოს:

— ისეთი არაფერი უთქვამს. შინ მა-
ლე მოდი, ნუ დაიგვიანებო. ღამით ათასი
ვიგინდარა დაძრწის და ფათერაკს არსად
გადაეყაროო.



— შენ რა უთხარი?
 — მოვალ-მეთქი. ცოდრა მარტოხელა კაცი!

— ჰოდა, დაეწიე, რაღას უცდი?
 — ჯერ აღრეა. მიგაცილებ შინ და გამოებრუნდები.

— მარტო წავალ. ნუ გეშინია, არ დავიკარგები. მე არ დამხვდებიან გზაზე ვიგინდარები... თუ დამხვდებიან, ვანანებ!

— რა ამბებია თაბუნში, თქვენებმა აყრა ხომ არ გადაიფიქრეს?
 — არ ვიცი. თუ დააპირებენ აყრას, გამოვიპარები და შეგატყობინებ. წადი ახლა!

— მიგაცილებ შინ და მერე...
 გზაზე კრინტი აღარ დაგვიძრავს. არ ვიცი, ელმირა რას ფიქრობდა, მე კი სულ გულზე ხელმიდებული მამა მედგა თვალწინ: აირჩიე — ან მე დამთმე, ან ეგ გოგოო.

ბოლოს ფიქრის სასწორი მამისკენ გადაიხარა. გადავწყვიტე, გოგო დამეთმო, გადავწყვიტე და ახლა ელმირა შემეცოდა: მთელი გულით მომენდო, მე კი რაღაც ეჭვის გამო ასე უსინდისოდ ვიშორებ-მეთქი.

დამშვიდობებისას კვლავ გავივლე გულში, ალბათ მე და ელმირა მეტჯერ ველარ შეხვდებით-მეთქი და ცრემლისა თუ ნალღველის ბურთი ყელში მომეხვინა.

ელმირას რომ არაფერი შეემჩნია, სასწრაფოდ დავაპირე გამობრუნება, მაგრამ თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, გოგომ ხელი მაგრად მომიჭირა მაჯაზე და კარგა ხანს ვერ წავართვი.

— ენდრე, რატომ გაქვს დღეს ასე ცივი ხელი?
 — გეჩვენება... მუდამ ასეთი ხელი არა მაქვს?
 — ხვალ ისევ მე გამოგივლი, შეიძლება?
 — ხვალ? ხვალ ბევრი სამუშაო მაქვს, ძალიან ბევრი, ყელამდე ვარ ჩაფლული.
 — ზეგ?
 — ზეგ არ ვიცი.
 — მაშინ პარასკევს გამოგივლი, უსიკვდილოდ გამოგივლი... შინ დამხვდი, იც-

ოდ! მზის ჩასვლამდე გამოგივლი, კარგი?
 უარს ხომ ვერ ვეტყვოდი.
 პარასკევდილა ღრუბლიანი გათენდა. გულზე მომეშვა:
 „იწვიმებს და საბაბი მექნება, ელმირას სასეირნოდ არ გავყვე“.

კაცი რომ რაიმეს დააშავებს, მისი ეს დანაშაული ვინმემ იცის თუ არ იცის, მანც უჩნდება იღუმალი შიში, ჰგონია, ამ დანაშაულისთვის უეჭველად დავისჯებიო. მეც იმგვარი კაცის ყოფაში ვიყავი. მეგონა: ელმირა ყველაფერს მიმიხვდა და ღალატისთვის შურს სასტიკად იძიებს-მეთქი. აქოდა, სასეირნოდ წამომყვებო, სადმე უქატირელ სიბნელეში შემიტყუებს და გულში წვეგრწამახულ გრძელ დანას გამიყრის, ქალისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ეჭვსა და შიშს დიდი თვალეხი აქვს. შუადღისას ცაზე წამლადაც არ დარჩა ღრუბელი.

ახლა კი ვიფიქრე: სადმე წავალ და ორიოდ დღეს შინ არც შემოვალ-მეთქი. ასე მიკარნახა გონებამ, გულმა კი არ გამიშვა.

ნაგლეჯ-ნაგლეჯმა ფიქრებმა სული ამიღვრიეს. გაგულისებულმა ბოლოს ცემა დავიწყე ეზოში.

მზე ცის დაღმართზე ეშვებოდა, ელმირა რომ მომადგა. კვლავ თეთრი კაბა ეცვა, ოღონდ ახლა თავსაფრის მაგივრად თავზე ლეჩაქი ეხურა, გრძელი ლეჩაქი, ქორწილის დღეს რომ იხურავენ დედოფლები. სხვა მიძევები ეხვია ყელზე, უფრო ბრჭყვიალა. ბოშური საყურეები ეკიდა, დიდრგოლებიანი. საყურეები ხშირად ერხეოდა და ლოყებზე ნაწად ელამუნებოდა. ახლა უფრო მომნიბლავი ჩანდა, ვიდრე პაპაჩემის სოფელში სტუმრობისას. მაგრამ შვად მოელვარე თვალეხს იღუმალი ნალღველი შეჰპარვოდა, ძველებურად აღარ უქაშკაშებდა.

— წავიდეთ! — გამიღიმა ელმირამ. არც ეს ღიმილი მეჩვენა მის ჩვეულებრივ ღიმილად, თითქოს ამ ნათელ ღიმილში რაღაც მაცთური შუქი ურევიაო.

„შეშინებულ კაცს ბევრი რამ სხვანა-

რად ელანდება. მეც ელმირას ღიმილი მაცთურად, ალბათ, იმიტომ მომეჩვენა, — გამოვანხე სანუგეშო ფიქრი.

— ჰა, რას ფიქრობ, არ წავიდეთ?

— სად წავიდეთ?

— ჩვენი მაცვალი უკვე მწიფე იქნება, ალბათ, გველოდება, — ეს გულწრფელად თქვა, მაგრამ რაღაც გაუმხელელი თვითონ დაიტოვა.

— ასე შორს წავიდეთ?

— ახლა განდა ნადმაროში შორს? ერთ საათში იქ ვიქნებით. ჩქარა! მატარებელმა არ გაგვასწროს!

ელმირას კვლავ ავხედ-დავხედე და გულში ცოცხლულად დამარხულმა სიყვარულმა ისე იფეთქა, შემარყია და წინანდელზე დიდი ცეცხლი წამოვიდა. დაუთოკებელმა ცთუნებამ დამრია ხელი. იმ წუთში მერჩია, ელმირას მოვეკალი, ვიდრე უიმისოდ მეცოცხლა.

მამაჩემი შინ არ იყო, შინაც რომ ყოფილიყო და ჭიშკარში ჩამდგომოდა, მე ჩემსას მაინც არ დავიშლიდი, ელმირას გაგყვებოდი თუნდაც ქვეყნის კიდემდის.

მატარებელში კონდუქტორი არ შედავებია ელმირას, ბილეთიც კი არ გაუსინჯა. მგზავრები შორიდან უთვალთვალეზდნენ და სიამოვნების ღიმილს ვერ მალავდნენ. ალბათ, ბევრი ჭაბუკი შუბრით მიყურებდა მე, ეხარბებოდა ჩემი ბედი.

დუნაი შორიდან ხან ცისფერი ჩანდა, ხან მოლისფერი, მივუახლოვდით და გამხმარი ბალახისფერი შეგვჩა ხელში. გულამღვრეული იყო მდინარე. სადღაც სათავეში წვიმდა ალბათ.

თვალი ჩემი პატარა კუნძულისკენ გამექცა. იდგა მღვრიე წყალში მშვიდად და ლამაზად, გაჰყურებდა ცასა და ძველ მონასტერს.

ჩვენი მაცვლის ბუჩქებისკენ მიმავალ ბილიკს რომ მივადექით, მე წინ გავიქეცი.

— აუჰ, რა ჩაშავებულა! — ორიოდღე მარცვალი შევაცალე, — გემოც კარგი აქვს, ღმერთივითაა.

მალალ ტოტზე ერთიანად დამწიფებუ-

ლი მტევანი შევნიშნე, დანით შევაჭერი და ელმირას მივაგებე.

— შენი მოწყვეტილი არ მინდა, მე თვითონ მოვკრეფ.

— ეკლიანია მაცვალი, კბენა იცის.

— უეკლო არაფერი არ არის.

— კაბა არ შეახიო, ფრთხილად!

— რა უშავს, ერთხელ ხომ უნდა გაიხეს და სულ ერთი არ არის, სად გაიხევა? სჯობს ტკბილი მაცვლის ჭამისას გაიხეს, ვიდრე სადღაც უგერგილო ადგილას, პირი ვერ ჩაითავლო და მხოლოდ კაბის გახევა შეგჩჩეს.

— გემრიელია? მოგეწონა?

— დროზე მოვუსწარიო. ცოტაც რომ დავგვევინებოდა, გადამწიფდებოდა და მატლი გაუჩნდებოდა. მოდი, შენც ჭამე, არ გიყვარს?

— ერთი გოგოს თვალებმა მაცვალი ისე შემიყვარა, რომ... მოკრეფაც არ მინდა, შორიდან ვუყურებ და ვტკბები. — ეს ვთქვი და ჩავილიღინე კიდევ.

ელმირა ათიოდე მარცვალს შეექცა და გაჩერდა.

— ასე ცოტა გეყო?

— კარგი ყოველთვის ცოტა უნდა ჭამო, ბოლოს რომ არ გაგიუგემურდეს.

— აბა, მტევნებს შევაჭრი და ვისაგზლოთ!

— არ მინდა.

— ახლა სად წავიდეთ?

— ჩვენი ცაცხვი ვნახოთ, ალბათ, ვენატრებით.

— ღამდება უკვე.

— ღამის გეშინია?

— არა, ღამის როგორ მეშინია... შენც ხომ იცი...

— აბა, ვიგინდარები აქ ვერ მოგვაგნებენ, ისინი ქალაქში დაძრწიან ხოლმე. მივედით ცაცხვთან. საღამოს ნიაფი იმღამინდელსა ჰგავდა, მოფარფატებდა და მოშარიშურობდა.

— რაღას უდგახარ, ჩამოვჯდეთ!

— ძირს თივა მაინც დავგეფინა, კაბა არ დავისვაროს მდელომ.

ღამის ბინდში გაეხვია ქვეყანა. დუნაისთან მომდგარი მთები ისე გაუჩინარდ-

ნენ, გეგონებოდით, უკან დაიხიეს და სა-
დღაც შორს ცას შეუერთდნენ.

ვარსკვლავი გამრავლდა.

— ამაღამ მთვარე გვიან ამოვა.

— რა ეჩქარება? თუ უნდა, სულაც
დაიკარგოს.

— რატომ, ელმირა?

— არა მჭირდება ამაღამ მთვარე. ვი-
ყოთ ამქვეყნად მხოლოდ ოთხნი: დუნაი,
ცაცხვი, შენ და მე. თუ უნდა, ცაცხვიც
მოგვეშორდეს, დუნაიც... მარტო შენთან
მინდა ამაღამ ყოფნა, მარტო შენთან! —
ელმირამ მკლავი მაგრად მოახვია და
თავი მხარზე დამადო, — ამაღამ მე მხო-
ლოდ შენი უნდა ვიყო, მხოლოდ შენი! —
უფრო მომეკრა და გაინახა.

მინდოდა ელმირას მხურვალე ტანს
გაეჭყოლოდ, ვერ გავეჩქეცო.

ელმირამ თავი ასწია ანახდალ და ჯერ
ლოყაზე მაკოცა, მერე უსაშველოდ მოწ-
ყურებულებით ბაგეზე დამეწაფა.

ტუბილ ტუჩებთან ერთად მარილიანი
ცრემლის გემოც ვიგრძენი. ამ მარილი-
ანმა კოცნამ ისედაც ვნებაშორეულს უშ-
რეტი ცეცხლი წამიკიდა, თავს მოვერიე
და ვენების დაოკება ვცადე.

— ენდრე, რატომ შენ არ მკოცნი? —
ელმირამ მკლავები მხრებზე გადმომაყა-
რა, ცახცახით მიმიზიდა და გახელებული
ჩამეხვია.

სუნთქვა გაუხშირდა, მკერდი აუთრ-
თოლდა, ლოყა გაუხურდა ნადვერდალი-
ვით. ჩვენი ბაგეები კვლავ შეხვდნენ ერ-
თმანეთს და ვეღარ მოშორდნენ.

მთელ დამეს მთვარალი ვიყავი და მეჩ-
ვენებოდა, რომ თბილ დუნაიში მივცუ-
რავდი.

მთვარის ამოსვლა არ გამიგია, არც ღა-
მის წასვლა. როცა გამოვფხიზლდი, უკვე
გათენებულიყო.

ელმირას საყურეები აღარ ეკიდა, აღ-
არც მძივები ჰქონდა ყელზე მოხვეული.

კითხვა დავაპირე, რა უყავი-მეთქი. მე-
რე დავინახე, თივაში ეყარა და გულ-
მოდგინედ დავუწყე კრეფა.

— აღარ მინდა, ეყაროს!

— ცუდ გუნებაზე ხარ? ხომ არ გაცი-
ვლი?

— ჰმ, რა გამაცვივდა? — უცნაურად
გაეღიმა ელმირას, მერე ამოიხენემა, თი-
ვაზე წამოჭდა და ხელები მუხლებზე ჩმითხა
მოიხვია.

— რა მოგივიდა?!

უცებ ელმირამ ხმამაღლა გაიცინა და
მე ვიგრძენი, ამ სიცილს რაღაც საწამლა-
ვი ერია. მერე ტირილი წასკდა, პირისა-
ხე ხელისგულეში ჩამალა და კარგა ხანს
უთრთოდა მხრები.

— დამშვიდდი, მირა, რა გატირებს?
დამშვიდდი, გოგო! — თმაზე ხელი გა-
დაფუსვი და მისი მკლავები გულზე მივი-
ხუტე. — რა გატირებს?

— მე კი ვიცი, რატომ ვტირი? ასეთ-
დროს, ალბათ, ყველა ქალი ტირის...

— ჰო, კარგი, იტირე! ცრემლი ამშვი-
დებს ადამიანს.

— მართლა? ეჰ, რა ადვილია შენთვის
მაგის თქმა!

— რატომ მომეხვიე ისე, რატომ? მე
უნებისყოფო არა ვარ... იმ დამეს თუ შე-
ცქელი თავშეკავება, წუხელიც შევძლებ-
დი როგორმე.

— მერედა, შენ ვინ გისაყვედურებს?

— რა ვიცი...

— რაო, რა გითხრა მამაშენმა იმ საღა-
მოს? ქვეყნის ნათრევიო, არა? რამ გა-
გაშტერა? ნუ გეშინია, მე მამაშენს არ
ვამტყუნებ. ყველა მამას შვილისთვის-
სიკეთე უნდა და უფლება აქვს, უკეთესი-
სარძლო ეძებოს, ვიდრე მაწანწალა ბო-
შაა, ფეხშიშველა ბოშა. იგი ყველგან
დახეტილობს და... ქვეყანაზე რა არ
ხდება! ვინ იცის, ვის სად გადაეყრება.

— შენ მაშინ ისე შორს იდექი, რო-
გორ გაიგონე?!

— მე ქალი ვარ. გული როგორ მომი-
თმინდა, ახლო არ მოვსულიყავ და ყური
არ დამეგმო! მამაშენის ლანძღვა-გინე-
ბაც მოვიმინე და იმასაც მივხვდი, შენ
რომ დაუჯერე მამაშენს. ჰო, ეჭვი შეგე-
პარა: ვითუ ელმირა უმანკო არ არისო.
ასე რომ არ გეფიქრა, თვალს გამისწო-
რებდი, პირდაპირ შემომხედავდი. რა-
ტომ მომარიდე თვალი? მითხარი გულახ-
დილად, ხომ დაეჭვდი? რამ დაგამუნჯა?
— ამიტომ ჩაიღინე ეს ყველაფერი?

— არ ვიცი... ახლა არაფერი არ ვიცი... მე სხვანაირად თავის მართლება არ შემძლო, თორემ ჩემთვის უკეთესი იქნებოდა. ნუ მიყურებ აგრე! არ ვნანობ, რაც ჩავიდინე, არ ვნანობ, არა! — ელმირას ისევ წასკდა ტირილი და პირისახე ხელებში ჩარგო.

— რა ვქნათ ახლა? — ვკითხე, როცა ტირილით გული იჯერა და დამშვიდდა.

— რა უნდა ვქნათ? შინ წავიდეთ: მე — თაბუნში, შენ — მამაშენთან.

— ჩვენ მალე უნდა ვიქორწინოთ, მი-რა.

— დაგავიწყდა, რაც მამაშენმა გითხრა?

— დამავიწყდა, ყველაფერი დამავიწყდა.

— მაშინ, მე მოგაგონებ: თუ მაგ მაწინწალა ბოშას თავს არ დანებებ, შინ არც შემოგიშვებო. ასე მალე ივიწყებ მამის სიტყვას? რომ დავქორწინდეთ, ამ ცაცხვქვეშ ხომ არ ვიცხოვრებთ?

— მამაჩემს არაფერსაც არ ვეტყვი. წურც ქორწილს გადავიხდით, ისე ვიქორწინოთ. დავტყვით, რომ ამიერიდან ცოლ-ქმარი ვართ და არა შემთხვევით შეხვედრილი ქალ-ვაჟი. ჯერჯერობით ასე ვიყოთ და შემდეგ როგორც მოგვიხერხდეს, ისე მოვიქცეთ. ქვეყანა დიდია, არ დავიკარგებით.

— ამ საღამოს გამომივლი?

— უსიკვდილოდ მოვალ. უშენოდ რაღა გამაძლებინებს!

დღე დამეს მისდევდა და დამე—დღეს. საამოდ შრიალეზა ცაცხვი ჩვენს თავზე. მე თბილ დუნიში ვცურავდი. მაშინ მარტო ჩვენი გვეგონა ცა და დედამიწა.

მერე მე ბუდაპეშტში წავედი, გამოცდების ჩასაბარებლად. იქ ორ კვირას მომიხდა დარჩენა. უკან განარებული გამოვბრუნდი. მატარებლიდან სედლიგეტში ჩამოვხტი და ბოშათა ბანაკს მივაშურე. ელმირას დანახვას უსასველოდ ველოდი, სული მელოდა. კი არ მივიდიოდი, მივფრინავდი.

გზა სულ ღიღინით გავლიე. იმ ადგილს რომ მივუახლოვდი, სადაც მე და ელმირა პირველად შევხვდით ერთმა-

ნეთს, გულმა აღარ მომიტოვნა და ბეჭე-
ვით გავიქეცი. ხიდზე შევდექე, კარგად
ბისკენ გავიხედე და ელდანაცემი ვეხერხე-
ვდი. არც ერთი კარავი აღარ იდგა, არც
სამჭედლო, აღარც ჩარდახიანი ურემი.
ადგილი ხომ არ შემეშალა-მეთქი, თვალს
არ დავუჯერე და ახლოს მივალსალსდი.

რა დაგიკარგავს, რას ეძებ? საღამო-
იან ბოშები? იქით გავიქეცი, აქეთ გამო-
ვიქეცი, ვერაინ ვნახე მათი აქედან აყ-
რის მნახველი. ბოლოს გზისპირას აშენე-
ბულ ერთ პატარა სახლს მივადექი. დე-
დაბერმა გამოხხედა.

— ხიდთან რომ ბოშები იყვნენ, არ
იციოთ, სად წავიდნენ?

— რა ვიცი, შვილო! — ხელები გადა-
ატრიალ-გადმოატრიალა დედაბერმა. —
უცებ აიყარნენ და წახრიგინდნენ.

— როდის?

— დღეს შაბათია, არა? იქნება ერთი
კვირა.

— თავისით წავიდნენ?

— უცხო არავინ შემინიშნავს, შვილო.
ჯერ რაღაც უყავი და ჭყვირილი ატყდა.
მოწიფული გოგო გაქცათ ხიდისკენ.
გრძელწვერა კაცები დაედევნენ, გზა გა-
დაუშრეს, ქამანდი ესროლეს, გაუხედნა-
ვი კვიცივით დაიჭირეს, გათოკეს, ურემ-
ზე შეაგდეს და ჰერი!

— რომელ გზაზე გავიდნენ?

— რამ შეგაწუხა, შვილო, მოგპარეს
რამე?

— არა, წამართვეს!

— ეპ, რას იზამ! ღმერთი შეგეწიოს.
ჯერ ახლაგზარდა კაცი ხარ, ბევრს მოეს-
წრებო... ზარალსაც ბლომად ნახავ და
მოგებასაც გულს ნუ გაიტებს.

ხელი ჩავიქნიე და გამოვბრუნდი.

„ელმირას თავისუფლება უნდოდა! მი-
სი სული თაბუნში ვერ ეტეოდა, რაღაც
უკეთესს ელტვოდა. თვითონაც თავისუ-
ფლებასა ჰგავდა. ვერ გაქცივია შავწვე-
რა ხალხს. გაუბაწრავთ და წაუყვანიათ.
ახლა სად ვექებო, სად? ქვეყნად რამ-
დენი გზაც არის, ბოშათა ურმისათვის
ყველა ღიაა, მიდი და გაიგე მისი გზა-
კვალი, სდიე ქარს მინდორში...“

ნაკარვლებს დავაშტერდი. თვალი ამ-
უმღვრა და მთელ სამყაროს მოვწყვი-
ღი. ირგვლივ ყველაფერი უდაბნოდ იქცა და
მეც უდაბნოსავით დავცარიელდი. უსამ-
შელოდ მარტო ვიგრძენი თავი. ასეთმა
მარტოობამ შემაშინა კიდევც. ადამიანი-
სათვის ყველაზე დიდი უბედურება, მე
მგონია, მარტოობა უნდა იყოს. ელმირას
გაჰყვა ყველაფერი. უიმისოდ სამყაროც
დაცარიელდა და მეც.

შინ რომ შევედი, ალბათ, ცოცხალ-
შეკვდარსა ვგავდი. მამამ ისე შემომხედა,
თითქოს ვერ მიცნოო.

— რა დაგემართა, შვილო?! ადამიანის
ფერი აღარ გადევს. ავად ხომ არა ხარ?

— ავად რა გამხდლიდა?

— აბა, რა მოგივიდა? ჩაგჭრეს? მერე
რა, რამდენი იჭრება, მაგრამ თავს კი არ
იკლავს. წელს ვერ მოხვდი, გაისად ჩაა-
ბარებ...

— ჩავაბარე უკვე.

— მერე?! ასე რამ გაგაფუჭა? მეცა-
დინგობას გადაჰყვივი? დაწეი, დაწეი,
სიცხეს გააგზომავე.

— არაფერი არა მტკივა, მამა, არც სი-
ცხე მაქვს, ალბათ, დაღლის ბრალია, და-
ვისვენებ და ყველაფერი გამივლის.

— სხვა თუ არაფერი გაწუხებს, შვი-
ლო, დასვენებას რა უდგას წინ! ახლავე
კერძს გაგიტობ, ივანეშმე და მოისვენე.

— არ მინდა არაფერი. კარგად ვისა-
დილე, ლუკმა ყელში აღარ გადამივა.

— ბევრს ინერვიულებდი.

— ჰო, ვინერვიულე. ორმოცი უნდა
ჩაერიცხათ და ორასი ვაბარებდით.

დილაუთენია გავიღვიძე, მოვახტი ვე-
ლოსიბედს და სამ დღეს არ დამისვენე-
ბია.

ერთხელ ელმირამ მითხრა: ბოშათა
თაბუნი რომ აიყრება, მეორე თაბუნს
ატყობინებს საით მიდისო. ჰოდა, ვეძებ-
დი სხვა ბოშებს, იქნებ თვისტომთა ამბა-
ვი მითხრან-მეთქი.

ჯერ სობისკენ გავწვი, მერე ბუდაპეშ-
ტისკენ. ასოდისკენაც ვავიარე. მიწამ ჩა-
ყლაპა, ცამ თუ დღენიამ, ასავალ-დასა-
ვალს ვერსად მივაგენი. დენაკესში ერთი
ჯუჯა ბოშა დაირას უკრავდა და წაბლის-

ფერ დათვის აცეკვებდა. დათვის თათვში
ქული ეჭირა მოწყალების შესაგრავებლად
ლად და ორ ფეხზე დაბაჯბაჯებდასხრლ
მე. ახლო მივიდი. არ გამოდგა ნამდვი-
ლი დათვის. ბიჭს ეცვა დათვის ტყავი. ჯუ-
ჯას კვითხე ელმირას ამბავი. ჩვენ სხვა
თაბუნიდანა ვართ, იმ ბოშებისა არაფე-
რი გვსმენიაო.

მერე გაგულსებულმა რატომღაც ბა-
დაჩონს მივაშურე. ვიღრე დეიდაშვილ-
თან მივიდოდი, გულმა შეყვარებულთა
კბოლესკენ გამიწვია.

შორიდან გაეხედე: გოგო ზის. ისეა ჩა-
ცმულ-დახურული, ელმირა რომ ირთვე-
ბოდა ბოლო დროს.

წამში რა არ გავიფიქრე. უცებ დავი-
ჯერე, რომ ელმირა იქ მელოდა...

„ხომ დავთქვით ერთხელ, ამ კბოლენე
ჩამოვმსხდარიყავით?“

დაეკარი ფეხი და სულმოუთქმელად
გავიქეცი. მიგუხახლოვდი და...

უცნობმა ქალიშვილმა დამფრთხალი
თვალებით შემომხედა — ეს ვინ მოდი-
სო, მერე შემცბარი წამოხტა და კაბახე
ხელი ჩაისვა.

— ბოდიში... უკაცრავად...

— მე თქვენ არ გიცნობთ! — კულტად
მომიგო გოგომ და რატომღაც უკან დაი-
ხია.

„გეწყინა, შენი გულის რჩეულს რომ
დავასწარი მოსვლა? არ გინდა, დღეს აქ
სხვებმაც შემოდგან ფეხი? კეთილი, არ
შეგეზიარებით, მარტო თქვენი იყოს
დღეს ეს კბოდე! დამილოცინხართ კი-
დეც, ბედნიერი იყოს თქვენი თავშეყრა.
რა თქვენი ბრალია, თუ მე... ეს კბოდე
წყვილებისაა მხოლოდ, აქ ცალად დარ-
ჩენილს რა უნდა. ცალობა რატომ უნდა
დაუბედოს?“

გამოვბრუნდი. ჩემთვის დავჯექი მარ-
ტო და ბალატონს დავუწყე ცქერა.

მშვიდი იყო იმ დღეს ტბა. უღრუბლო
ცის ნაჭერსა ჰგავდა — მუქლურჯ მთებ-
სა და ბორცვებზეა ჩაგდებულს. შემშუ-
რდა ტბის სიმშვიდე. ვინატრე: ნეტავი
ყველა ადამიანი ასე წყნარ ტბასა ჰგავ-
დეს და მუდამ ასე გულაუბმღვრევლად
იყოს-მეთქი!

მე მგონია, ადამიანისთვის სიმშვიდე უდიდესი ჯილდოა. მშვიდი ადამიანი თითქმის ყოველთვის ბედნიერია.

ბილიკზე გამოჩნდა შავულვაშა ჭაბუკი, მაღალი და მოხდენილი. ქალიშვილს დინჯად მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა და რაღაც წასჩურჩულა. ერთმანეთს გაუღიმეს, ტბას ზურგი შეაქციეს და კბოდეზე ჩამოსხდნენ.

იმ დროს მე ვერ ვხედავდი, რა ხდებოდა თვითონ წყვილის გულში, მაგრამ ვხედავდი ქალ-ვაჟის ღიმილს და ვგრძნობდი: ორივე ბედნიერი იყო.

ბალატონის ტბა თვითონ მშვიდი იყო, მე კი ვერ დამამშვიდა.

ახლაც არ ვიცი, რატომ მეგონა, ელმირა იმ წყნარ ტბასთან დამხვდება-მეთქი? იქნებ უკვე ჩემს მოგონებებს დავსდევდი და არა — ელმირას?

აი, წლებს წლები მისდევენ და მე ფეხს საღაც დავადგამ, ახლაც ვეძებ ელმირას. ფიქრის გზას გაყოლილი მის თვალებს ვბოულობ ხოლმე, მხოლოდ თვალებს, უჩვეულოდ დიდრონ თვალებს. იმ თვალებში ერთდროულად ვხედავ დიდ სიხარულსა და დიდ სევდას — მხესავით ძველსა და ახალს, დამესავით ძველსა და ახალს, ცასავით ძველსა და ახალს, მიწასავით ძველსა და ახალს...

მე ვხედავ ელმირას ორ შავ მზეს, მწიფე მაცვლისფერ მზეს, და მესმის ღამის სიმყუდროვეში შორს, ძალიან შორს დაბრუნებული გიტარის ხმა. იმ გიტარის სევდა-სიხარულიც გზასავით უნაპიროა, ცასავით უნაპირო და უძიროა... არც თავი აქვს, არც ბოლო, არც დასაწყისი, არც დასასრული...

— ელმირაააა! — ახლაც გავძახი ხოლმე ქვეყნიერების დასალიერამდე, იქნებ მივაწვდინო ხმა. თუ სადმე დადის ცისქვეშ, გაიგოს, რომ არ დამვიწყნია.

სადმე ბოშა ბავშვს რომ მოვკრავ თვალს, ორ-სამ დღეს სულ ერთი ფიქრი მიტრიალებს თავში. ოცნებით იმ ბავშვთან მივდივარ და ვეკითხები:

— რა გქვია, ბიჭუნი?
— ენდრე.
— ენდრე?! სენხია ყოფილხარ. არ ვიცი, ცოდი, ბოშასაც თუ არქმევდნენ ენდრეს.

— დედამ დამარქვა.
— რა ჰქვია დედაშენს?
— მირა... ელმირა.
— მამაშენს რა ჰქვია?
— არ ვიცი, მამა არ მინახავს.
— გინდა, მამა რომ გყავდეს?
— მინდა.. ველარავინ გამლახავს... ყველას მოვერევი.

— მე ვარ მამაშენი. დედას ჩემი სახელი დაურქმევია შენთვის.

— რა ხანია დედა გელოდება! სადა ხარ ამდენხანს? გავიტყევი, ვახარებ.

— მოიცა, ერთად მივიდეთ. სულ ერთია არ დაგიჯერებს.

და ჩვენ ერთად გავრბივართ ელმირასაკენ.

ამ სამიოდე წლის წინათ ჩვენი ცაცხვიც კი ელმირასავით მომენტარა და სანახავად წავედი. ის ცაცხვი ხომ ჩვენი სიყვარულის ძეგლივით იდგა, ჩვენი ამბის მესაიდუმლედ. გამეხარდა, ძველებურად მომრიალე რომ დამხვდა. ამ შრი-ალმა იღუმალი იმედიც კი ჩამიღვარა სულში.

უცებ ჩავუთქვი: თუ ჩვენი პატარა კუნძული მდინარეს არ წაუღია, ელმირას უსიკვდილოდ ვიპოვნი-მეთქი. დუნაისკენ თვალდახუჭული შევბრუნდი და უცებ გავიხედე.

ისევ მწვანედ ხასხასებდა შუა მდინარეში ჩვენი პატარა კუნძული. ორი ტირიფიც ჩანდა, უფრო გაზრდილი და გახალისებული. ანაზღად ისიც კი მომენვენა, ერთ ტირიფს ვიღაც მოჰფარებია და ტოტებიდან ხელს მიქნევს-მეთქი.

თითქოს სულ უბრალო, მაგრამ საოცრად ღამაში კუნძული მე იმედის კუნძულად მექცა.



იოსებ ნონეშვილი

დ ღ ე დ ა გ ა დ ე ბ ი ს

ყოველ გაზაფხულს ნუშით, ალუჩით
გვიღიმი, ჩვენო ტკბილო დედაო.
შენს დედობაში, შენს სიყვარულში
შენს შვილებს ვერვინ შემოგვედაოს.

ბევრჯერ გაუძელ ჟამთა სიავეს,
დელგმას ავბედითს, დვართქაფს მოხეთქილს.
ისევ სამოთხის ბაღად შრიალებს
შენი ქართლი და შენი კოლხეთი.

გულში შენი მზის შუქი ბრიალებს,
ავდარია თუ წყნარი დარია.
ვერ დაგივიწყებს, ბევრიც იაროს,
ვინც ერთხელ შენი წყალი დალია.

ვერ დაივიწყებს შენთა სოფელთა,
შენთა ქალაქთა ღიმილს ელგინს,
მთებს, რუსთაველის შუქმადლ მოფენილთ,
საუკუნეებს მხნედ რომ ელიან.

ვერ დაივიწყებს გელათს, იყალთოს,
მტკვარს, არაგვს, რიონს ანდა ყვირილას.
და რომ შენს შვილებს უფრო გვიყვარდე
დასაძრახია? გასაკვირია?

შენთა გარდასულ დღეთა ამბავი
ხერთვისს სწერია, მცხეთას სწერია.
ძველთაძველია შენი მთა-ბარი,
შენზე სიმღერაც ძველთაძველია.

მაგრამ დღეს, როცა ყველგან მოედო
შენი დიდება, შენი სახელი,
ულექსოდ როგორ დარჩეს პოეტი
ამ მოჩახჩახე დღეთა მნახველი.

ულექსოდ გულში როგორ ჩასტიოს
ეს სიხარული, ეს გამარჯვება,
ფეხზე ამდგარი მთების მოტივი,
გამძლე მუხლი და გამრჯე მარჯვენა.

შენი ცა უცხო ფერით კრიალებს,
გუგუნებს შენი გული ქართული
და სწვდება ჟამთა მერიდიანებს
შენი ნაბიჯი გოლიათური.

საგაზაფხულო მზე და ვარდები
შენს მოზეიმე დროშებს ჰკოცნიან.
დღე გამარჯვების, დღე დაბადების
მოგვილოცნია!



შოთა ნიჟნიანიძე

გ ლ ო ბ უ ს ი

I

სკოლაში ასე გვასწავლიდნენ: „აი, ბავშვებო,
ამ გლობუსივით ბრუნავს მიწაც ლერძის გარშემო“...

მალე ბავშვებმა მიწის ბრუნვა სად არ ვიგრძენით,
როს ფარაჯებით მოვიარეთ შორი სივრცენი!

არ გაგვიგია მიწის ბრუნვა არასდროს ვიწვროდ,
ის ყველამ იგრძნო... სულითა და სხეულით იგრძნო...

პირველი ლექსით გაბრუება და აღტაცება
ნამდვილად იყო მიწის ბრუნვით შებარბაცება!

ანდა იმ გოგოს შემოხედვა... პირველი ელდა...
მაშინ ვიგრძენი მიწის ბრუნვა ყველაზე მეტად!

II

მე ისევ სკოლას ვუბრუნდები, გლობუსს ვიგონებ
და მერიდიან-განედებად ვაცმევ სტრიქონებს.

მასწავლებელი გვიმეორებს: „აი, ბავშვებო,
ასე ტრიალებს დედამიწაც ლერძის გარშემო“...

გლობუსი სწრაფად დატრიალდა... ერთ ფერად იქცა —
წითელი ფერი გადაედო მთელ დედამიწას...

მოეკლინება მთელ მსოფლიოს განაჩენივით —
კეშმარიტება მიწის ბრუნვით აღმოჩენილი!



მეგობრები

ვანუშისა და ნატოს



მოთხრობა

ელენე გრძობდა, მის გარშემო რაღაც ზნებოდა, მნიშვნელოვანი, უჩვეულო, რომელიც ალბათ შეცვლიდა მის ცხოვრებას.

მრავალი შეგირდი მოსვლია დედას. მაინც სხვა იყო ამ კოხტადჩაცმული, მომხიბვლელი შესახედაობის კაცის გამოჩენა. მისი მშვიდი, დაფიქრებული ცისფერი თვალები უცნაური შინაგანი შუქით ელავდა.

პირველი შთაბეჭდილება არ გამტყუებულა: მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ელენეს ალბათ ისიც ხიბლავდა, რომ ასეთი ახალგაზრდა მისი სათაყვანებელი თეატრის მთავარი მხატვარი აღმოჩნდა. ახალგაზრდა კაცს ყოველთვის რცხვენოდა, როცა ქება-დიდებით იხსენიებდნენ მის მხატვრობას.

ეს მოკრძალება მომხიბვლელობას მატებდა ირაკლის. ასეთ ადამიანებს, ჩვეულებრივ, ადვილად ეთვისებოდა. ირაკლიც მალე შეითვისა და შეიყვარა ამ ოჯახში; მანაც მოუწშირა არაგვის ქუჩაზე სიარულს. ბევრმა არც კი იცოდა, რომ ამ სახლში ცხოვრობდა ჩრდილოეთის ამაყი რაინდის — დეკაბრისტ ალექსანდრე

მურავიოვ-აბოსტოლის შვილიშვილი, ბაკურციხელი ალექსანდრე ვაჩნაძის ქვრივი — ნატალია.

ქმრის სიკვდილის შემდეგ ნატალიამ ქალ-ვაჟი თბილისში გადმოიყვანა. თვითონ პედაგოგიურ მუშაობას შეუდგა. ევროპული ენების ჩინებულმა ცოდნამ და დიდმა განათლებამ საქმე გაუჩინა. პუშკინის ფრანგულად თარგმნაზე რამდენი ღამე გაათენა თეთრად.

დეკაბრისტი პაპის სული შვილიშვილშიც გიზგიზებდა.

პატარა ბინა თანდათან სალონს დაემსგავსა. მერე რა ვუყოთ, თუ აქ არ იყო დარბაზები, ძვირფასი ავეჯი და არ იმართებოდა მეჯლისები... ამ ბინას ნატალიას ქალიშვილის — ელენეს სიმშვენიერეც ჰყოფნიდა. ამ სილამაშეს თავისი ერთგული რაინდი გაუჩნდა. ერთმანეთს მიეწყობდნენ უღატაკი საღამოები, შთაგონებული საუბარი ლიტერატურაზე, მხატვრობაზე, ადამიანის მოვალეობაზე...

„რას იტყვი, მშვენიერო, ცისფერი თვალება თოჯინაზე?.. რას ნიშნავს შენი ციციქნა ხელებით მოტანილი ბარათი?...“

ვაჩნაძის ასულმა ფრთხილად აიღო სავიზიტო ბარათი, ყვავილების უზარმაზარ კალათში ჩააქვდა დედოფალას კალთაში რომ ედო.

ამ მოთხრობებს ავტორი უძღვნის ნატო ვაჩნაძის, ნიკოლოზ შენგელიას, ირაკლი გამრეკელის ნათელ ხსოვნას.

ვინ იცის, მერამდენედ კითხულობდა მოლოცვის სიტყვებს. უნდოდა ამოეკითხა რალაც იმაზე მეტი, რასაც სიტყვები ამბობდნენ. სიტყვები კი საიდუმლოებით მოცული ჩანდა.

მშვენიერი დედოფალას მხერაც იღუმალებით ავსილიყო. ისეთი ღიმილი გადაჰკრავდა სასაცილოდ შეღებულ ბაწაწინა ტუჩებზე, თითქოს დანაბარები კბილებში უჭირავსო.

„პო, თქვი, დედოფალა, რა დავაბარა ჩემმა ირაკიმ? მე გამანდგ მარტო. გეფიცები, არავის ვეტყვი. მარტო ჩვენ ვიცოდეთ, შენ და მე...“

დედოფალა ჯაშუტად დუმდა. ელენემ კვლავ გაიხსენა გუშინდელი საღამო. გუშინ მისი დღეობა იყო... იმდენი სტუმარი არასოდეს მოსვლიათ: მეგობრები, ნათესავეები... ჩვეულებრივზე მეტი იყო ჩურჩული და მიეთ-მოეთი.


ყველაზე მეტად მაინც ორი სახელი ესმოდა — ელენე და ირაკლი.

სადღეგრძელოებშიც იგრძნო რალაც გადაკრული. ირაკლის ღიმილშიც, მის საჩუქარშიც...

„რას ნიშნავს ყოველივე ეს? იქნებ შენ მაინც მოთხრა? რაზე საუბრობენ ამდენ ხანს დედა და ირაკლი იმ ოთახში? იქნებ შენ უფრო მახვილი ყური გაქვს, ჩემო დედოფალავ, ცისფერთვალეა დედოფალავ! უხილავო ხელო, ცოტათი გამოაღე ეგ კარი! ხომ ხედავ, როგორ მოგჩერებია ჩემი დედოფალა. ცნობისმოყვარეა, საოცრად ცნობისმოყვარე“.

კარი მართლაც გაიღო: ზღურბლზე დგას დედა, რალაცას ამბობს. სიტყვები არ ესმის ელენეს, მაგრამ აზრს ხვდება. უახლოვდება ირაკლიც.

ელენე მსუბუქი, გაბედული ნაბიჯებით წაივდა თავისი ბედნიერებისაკენ. ლამაზმა დედოფალამ უჩუჩრჩულა, ასე მოქცეულიყო.

და როცა მამადავითი ნუშებზე გადებდა ბენტეს, ისინი დაქორწინდნენ. 

ღურჯის ნაპირებზე გაზრდილი კაცი იყო მათი „მეჯვარე“. მან კარგად იცოდა ახალდაქორწინებულთ მალღ თაღებქვეშ ყოფნა რომ დაშვენდებოდათ.

რუსთაველის თეატრის თაღებზე მალღ სად იბოვიდა? ხელისმოწერისთანავე, ორივე მშობლიური თეატრის კარს მიაყენა.

ირაკლი შეყოყმანდა.

— ასეა საჭირო, — თვალები აენთო სანდროს, — თეატრს ოჯახი რომ არ ანაცვალო...

სამივეს გაეცინა.

ზღურბლიდანვე იგრძნეს, რომ თეატრი სახეიმიოდ იყო მორთული. ლოყა ყვავილებს დაეფარა. იყო ნუგბარი და შამბანური...

შეუმჩნევლად, უხმაუროდ შევიდნენ და დასხდნენ.

ელენე უცებ სხვა სამყაროში აღმოჩნდა.


„ავრორას“ მეზღვაურებმა ის იყო ფლაგშტოკზე დროშა აღმართეს, ახალი, ალისფერი, ლალი...

— სმენა! — გაისმე აკაკის ნაცნობი, მჭექარე და ვაჟკაცური ხმა. ბერსენევის მხერამ მეზღვაურთა მკერდებზე გადაიარა და ლოყას მიებჯინა.

ამ მბრძანებლურმა, ასე მოულოდნელად შერბილებულმა მხერამ მეზღვაურები ლოყისკენ მიატრიალა.

დარბაზმა შენიშნა, მეზღვაურთა მკაცრ სახეებს წამით ნათელმა ღიმილმა რომ გადაურა.

ყველამ როდი იცოდა, რომ ამ ღიმილით რევოლუციის მატროსები მიესალმებოდნენ ამაყი დეკაბრისტის ნაშეიერს, რუსთაველეთა რძალს — მშვენიერ ელენეს.



მონტროპა

თქვენი ყოფილა ის ეტლი. დიდი ხნის მერე ეს ამბავი წიგნმაც დამიდასტურა... მარტილის ჩანჩქერის სილამაზით მოხიბლულნი შინ გვიან ვბრუნდებოდითო.

მეცნაურა ეს ამბავი. თქვენი იყო, ნამდვილად თქვენი იყო ის ეტლი, მთვარიანი ღამით რომ ჩაუარა ჩვენს მყუდრო სოფელს.

თქვენვე მღეროდით იმ სიმღერას, მეოცნებე ბავშვს რომ შემოესმა და აქამდე ესმის: „ორთავ თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?...“

მოწყენილი თუ იყავი, კახეთის ტურფა ასულო, ანდა მონუსხული კოლხური ღამის იღუმალეებით.

ჩაიარა თქვენმა ეტლმა, თანდათან მიწყდა სიმღერა... ეს იყო დიდი ხნის წინათ. იმ მთვარიანი ღამის განცდა, იღუმალად სულში შემოსულ-შენახული და შენი მშვენიერების შუქი აცოცხლებს კიდევ ერთ სურათს.

ესეც ჩანჩქერთან მოხდა, ოღონდ თრუსოს ხეობაში, „უკანასკნელი ჯვაროსნების“ გადღებისას.

კოლია ბავშვის ტირილმა გამოაღვიძა. იდაყვზე წამოიწია და მიიხედ-მოიხედა. წამიერმა შეშფოთებამ უმალ გაუარა, სახე ღიმილმა გაუნათა: ხევსურულ ტანსაცმელში ნატო შეიციწო, ელდარს ვალერსებოდა.

ისევ გაიშოტა მზით გახურებულ ლოდზე. მაღალ, ლურჯ და გამჟვირვალე ცას მიაპყრო თვალი.

მყინვარის ქათქათა ჯავშანს ასხლეტილი სხივები მზეს ჩანჩქერში ჩაეწყო. ქა-

რაფზე ნამსხვრევებადქცეული წყლის შხეფები ჰაერში ვარდისფერ ორთქლად იღვა.

ბრგე, ახოვანმა ვაჟკაცმა ოდნავ მილულა წარბტაცი სანახაობით დაღლილ-აპრელებული თვალები. იგი ახლა იმდენად ვერ ხედავდა, უფრო გრძნობდა — ხევსურულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალის სიახლოვეს, ჩვილის საამო სუნთქვას...

ოდესღაც, სადღაც თითქოს უნახავს მსგავსი სურათი, რომელიღაც დიდი მხატვრის ფუნჯით გაცოცხლებული. მაგრამ ჩანჩქერის დაუსრულებელი გრიალი, გახურებული ქარაფების სუნთქვა უმალვე აქრობდა გრილ და მყუდრო დარბაზში ნანახი სურათის შთაბეჭდილებას.

ცოტა ხნის მერე ისევ გაახილა თვალი. მთელი მისი არსება რაღაც პირველყოფილისა და განუყოფელის განცდით თანდათან ივსებოდა.

საღღაც, მთებს იქით გადახრილი მზე ახლა ჩანჩქერის ფაფარს აელვარებდა. ხეობის ლურჯ სარკმელში შემოცურებული ღრუბლის მაცქერალს ასე ეგონა, თვითონაც საღღაც, ცის დასალიერი სკენ მიცურავდა. კლდის ქიმზე დაგრეხილი ხე გარინდულიყო მხოლოდ, ერთადერთი ფოთოლგაცვენილი ტოტი ჩანჩქერისკენ გაეშვირა, თითქოს მისი დაუოკებელი მდინარების შეჩერება მოუწადინებიაო.

დაღლილ-დაქანცულ ბანაკს ეძინა. კოლიამ ისევ წამოიწია იდაყვებზე და მიიხედ-მოიხედა.

ჩანჩქერის ძირში, ვიწრო ქარაფოვანი გზის პირას, დახოცილებივით ეყარნენ ხევსურულ ტალავარში გამოწყობილნი.

თითქოს ამ ადამიანებსაც გაეზიარებინათ ჟანგისფერ-მოყვითალო ლოდებს შორის უსიცოცხლოდ მიმოფანტული ჩიტების ხვედრი. ყოვლად უაზრო და შემადარწუნებელი ჩანდა უმწეო ჩიტების ასე გამეტება, აქ, სიცოცხლის ხმებით მოგუგუნე ხეობაში. უტბად ვერც მიხვდა, რას უნდა მოესწრაფა ამ მშვენიერ ფრთოსანთა სიცოცხლე. ისევ ყვითელმა ლოდებმა მიახვედრეს. „გოგირდის შხამიან ოხშივარს მოუწამლავს საწყლები“.

დაჟინებით ჩააშტერა თვალი მძინარეთ. ამ ძალაგამოცლილი, მოღუნებული სხეულების დანახვაზე უეცრად გაღიზიანდა. თვალს ეჩოთირა მათი მასკარადული ჩაცმულობა. სხვა იყო, როცა იუბიტერების წინაშე იდგნენ და სიშმაგით დამაგრული ტანით, ხმალთა კვესებით ერთმანეთს ეხლებოდნენ.

ეძინათ „უკანასკნელ ჯვაროსნებს“. ეძინა ნატოს და მის მკერდს ჩახუტებულ შეილსაც.

ამბობენ, ძილი ვადამდებიაო. გახურებულ ფლატეზე პირადმა გამოტოლ შავტუხა ვაჟაკს კი თვალზე რული არ მოჰკიდებია. პირიქით, წარმატაცი სანახაობის შემყურეს, მოუნდა დაერღვია ეს სიმყუდროვე ღვართაფად დაძრული ბუნების წიაღში...

ახლა, ამ წუთში მათი ამოძრავება იყო საჭირო. ყველაფერი, რაც ამ ხალხს უკანასკნელი ჯვაროსნების სახეში უნდა გაცეცხლებინა, სხვაგვარად თითქოს ყალბი იქნებოდა. ტანსაცმელი, თავისთავად, დიდს არაფერს ნიშნავს. ხომ სასაცილოა რაინდის იარაღში ჩამჯდარი დონ-კიხოტი! სულ სხვაა, როცა მის სულს სწვდები: რაღაცა იზრდება შენში, რაღაც გტკივა.

ან ჩვენებური ნაცარქექია! განა ისიც ლამაზი რაინდის ძმა არ არის? დაჩიავებული, ღმილისმომგვრელი ნაცარქექია იმარჯვებს გონებადახშულ ტლანქ ძალაზე, ისევე, როგორც ამ ზღაპრის შემქმნელი ერთი მუჟა ხალხი იმარჯვებდა თავისი კეთილი, მეოცნებე და შემმარბთებელი სულის მეოხებით.

„ესენი კი რისთვის მოსულან ამ შო-

რეულ და ზვიად ხეობაში? ხომ არ ეძიებთ მათ ჯვაროსანთა იარაღ-აბჯარს?“

თვალთ მოძებნა მეგობარი კინორუჟი სორი. ახალგაზრდას და პირხმელს შეზღუდულად ჩამოშლოდა ხუჭუჭა თმა.

ველარ აიტანა დუმილი.

— ჰეი!... ჰეი! — თავისთავად აღმოხდა მკერდიდან და კლდეებს შეჯახებულმა ექომ პირველი „ჯვაროსანი“ წამოაგდო ფეხზე.

— თქვენ, ეი! — თვალეზი ცეცხლს კვესავდა, — რა გძინებთ ამდენს! არ გშაით, არც გწყურიათ, ჯვაროსნებო?

— ჰაი, ჰაი რომ გვწყურია! — შეეხმინა ვილაც.

ორთვალაზე დაწყობილ ბარგს დააქქერდა. უცებ ხელი დასტაცა ხურჯინიდან თავამოყოფილ პატარა ყანწს, ლოდები გადაიბრინა და აქაფებულ ჩანჩქერთან გაჩნდა.

— ჩემთან, ვოჟებო! — დაჭექა მთელი ხმით და ყანწი ჩანჩქერს შეუშვირა. პატარა რქას შეემსხვრა თეთრი ჩქერალი. ჩანჩქერმა მეტის ვაგულსებით დაიგუგუნა და თავისი ცივი ოხშივარი ისე შეაორთქლა სახეში, რომ კოლია ლოდზე შეტორტმანდა, ვაოცებული, ნათელი სახით აშლილ ბანაკს შესცინა. გაწუწული ხალათი ფართო მკერდს შემოტმასნოდა, ხუჭუჭა თმა ისე დათრთვილოდა, ჭადარა გეგონებოდათ.

— მინდა ვადღეგრძელო ყველა, ვინც სწყურია, ვინც ამ ჩანჩქერივით მოუსვენარია და დაუცხრომელი! — ღიმილით თქვა და ყანწში ამუშხუნებულ წყალი გადაჰკრა, — ალავერდს შენთან ვარ, სიკო!

— იახშიოლ, ჩემო კოლია! — სიკომ ყანწი ჰაერშივე დაიჭირა და ისიც ჩანჩქერთან გაჩნდა. ყანწი ტუჩებიდან არც კი მოეცილებინა, რომ მის წინ რამდენიმე ბელი აღიმართა.

— მოიტა ყანწი!

— მომეცი ყანწი! — „ჯვაროსნები“ ისევ დაიძახნენ.

წარმართულ ტანსაცმელში გამოწყობილი მათი მშვენიერი დედოფალი კომოზიბლავად იღიმებოდა.

გაიხსნა ხურჯინები. ამოალაგეს გამხ-
მარი ხმიადი და ოსური ყველი.

სასმელი ხომ ჰქონდათ და ჰქონდათ,
ბუნებისაგან უხვად ბოძებულნი.

„უკანასკნელმა ჯვაროსნებმა“ თუმცა
უღვინოდ, მაგრამ ნამდვილი ღრეობა გა-
მართეს, ლაზათიანი ღრეობა.

— მე ვაღდეგრძელებ ამ მიწას, — წა-
მოიწყო ახალი საღდეგრძელო კოლიამ,
როცა ყანწი ისევ მიუვიდა, — დიდე-
ბულ, მშვენიერ მიწას. ვაღდეგრძელებ
ხალსს, რომელსაც ქერის პურზე და გუ-
დის ყველზე შეუძლია გადავიდეს, მაგ-
რამ „სომღვივით“ გენიალურ ცეკვას კი
ქმნის...

ნატო ილიმებოდა, მისებურად ილიმე-
ბოდა.

— არ გიფიქრიათ შორეულ წინაპარ-
ზე, პირველად ჩვენსავით ჩანჩქერთან
რომ მოიღვინა? — განავრძობდა მართ-
ლა ნაღვინევივით გახალსებული კო-
ლია, — ისიც წყლით იღვინდა... ღვინო
მაშინ სად იყო. არც მიწა ჰქონდა ვაზის
გამხარებელი, ღმერთი კი უკვე არიგებ-
და ყველა მიწიერ სიკეთეს. ყველა სულ-
დგმული მასთან გაიკრიფა. ის ბედოვლა-
თი ჩვენი წინაპარი კი ჩანჩქერთან ჩამო-
მჯდარიყო, სიცოცხლის ვაჩენას ადღეგრ-
ძელებდა. მადლობას სწირავდა ღმერთს,
რომელიც ჯერ არც ენახა და რომელსაც
უკვე მოესწრო მისი დავიწყება. მარად
გვამშვენიებდეს იმ კაცის ღიღსულოვნე-
ბა!

ჩანჩქერი კვლავ გრიალებდა. მაგრამ
მის ხმას ფარავდა ჯვაროსანთა ხმები:

— გვითხარი საღდეგრძელო!

— ახალი საღდეგრძელო, კოლია!

ემუში შესული საღდეგრძელის საღ-
დეგრძელოზე ამბობდა.

— მოდი, მოვიგონოთ იმ წარმართის
სითამამეც, ვინც, ჩვენდა ვასახარად,
ვნების წვენი აპკურა სიცოცხლისაგან
ღამრეტილ ჯვარს; ვაზის მარადიული სი-
ნეღელი, ქალის თმის დამატობელი
სურნელით. ვადიდოთ ქალის ყელმოღე-
რილი სიმშვენიერე!

— ვადიდოთ! — დაიქუხეს „ჯვაროს-
ნებმა“ და თავიანთ ღედოფალს გადახე-
დეს.

ღედოფალი კი ილიმებოდა და მკერდ-
ში იხუტებდა ჩვილს.

— ხედავთ ამ ფერად ჩიტებს ჩვენს
გარშემო უსულოდ რომ ყრიათ? იქნებ
ცხრა მთას იქედან მოფრინდნენ. იქნებ
ჩემი ოდიშიდანაც... ისინი მოიზიდა
ჩანჩქერის ჯადოსნურმა დალაღმა. საში-
ნელ ხვედრზე კი არ უფიქრიათ. და ჰა,
ისინი აქ, ჩვენს ფერხთით დაყრილან,
სიმშვენიერის მსხვერპლნი.

ვილაცამ გაიხსენა:

„ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტოვთ ვაკვიფრინდება...“

ჩანჩქერი ყრუდ გრიალებდა მოახლო-
ებულ ბინდში. იგი უკვე აღარ იყო ხეო-
ბის მბრძანებელი.

მბრძანებლობდნენ სიცოცხლის რაინ-
დები — „უკანასკნელი ჯვაროსნები“.

მბრძანებლობდა სიმშვენიერე მათი
ღედოფლისა, ოცი წლის შემდეგ ამ
დღეს ასეთი სიტყვებით რომ იგონებდა:
„მართლაც, მთვრალი ვიყავით ჩვენი ახა-
ლგაზრდობით, ბუნების დიდებულებით,
ცხოვრების სილამაზით: და სიმდიდ-
რით“.

●
რა შორს იყო მაშინ ბინდი და აღსას-
რული თქვენგან, კახეთის ტურფა ასუ-
ლო, ოდიშის ომახიანო არწივო!

ერთს სიკვდილმა ლოჭინის ხეეთან
უყვლა. თუმცა გამორჩეულად კი მოექ-
ცა: სიმღერა-სიმღერით ჯერ მწყემსის
შავ ნაბადში გახვია, შემდეგ ზემოდან
თოვლის თეთრი ნაბადიც წააფარა და
ისე მიანდო მიწას...

მეორეს, ალაზნის ველის ყვაივლს, მი-
წა არც რგებია. ცაში, ოდიშის თავზე და-
იფერსლა, რომ მისი სილამაზე მიწის
მტვერს არ შერთვოდა.

ალბათ შეამჩნევდით... იმ ღამის შემ-
დეგ „ირმის ნახტომი“ უფრო კაშკაშებეს!



მოთაქ კუპაძე

მწერალთა სახლის ჩუმი მეპარე

ამ სახლში ერთი მოხუცი მახსოვს,
გათეთრებული, ჩუმი რიფსიმე.
ისე წავიდა იმ სამოსახლოს,
მისი სიცილი ვერ მოვისმინე.

დაბადებული ის იყო თითქოს
შავი თავსაფრით და შავი კაბით,
დაბადებული ის იყო თითქოს
თავზე დაფენილ თმის თეთრი კვამლით.


თითქოს ამ სახლის იყო ნაწილი,
შეთვისებული გრანიტის კედელს,
და მოსალმება თავისი წილი
სითბოდ იკმარა სიკვდილის დღემდე.

არ გაჩენილა იგი პოეტად,
ო, მიუტევე, ცაო მაღალო!
პატიოსნების დიდი პოემა
შექმნა უკალმოდ და უქაღალდოდ.

არც წაუკითხავს არასდროს წიგნი,
არც შეუხედავს ვინმესთვის ცერად.
ყველა მწერალში ეძებდა იგი
გულკეთილობას და არა მწერალს.

დაბადებული ის იყო თითქოს
შავი თავსაფრით და შავი კაბით,
დაბადებული ის იყო თითქოს
თავზე დაფენილ თმის თეთრი კვამლით.

და მოკვდა, როგორც ღამით სოსანი,
იქნებ იმ წამზე არც უნადვლია!
დღეს, როგორც სითბო წასულ მგოსნების,
ამ კედლებს მისი სითბოც აკლია.





ანზორ აბულაშვილი

ამ მაღალ ტყეში...

შენ რომ გიყვარდა, იმ მოტივს ვუსტვენ
და ესმის იგი ტყესა და კბოლეს;
ვუსტვენ ისე წვით და ისე ზუსტად,
თითქოს ტყე გგავდეს და სმენა ჰქონდეს...

ჩვენ შორის ხიდი იღება ისევ,
ის ხიდი, რომლის ჩატეხვა დღემდე
ეკუთვნის მხოლოდ ერთადერთ მიზეზს,
რომელსაც თვითონ იგონებს ბედი.

და, როცა მოვალ, მოგიტან ერთად,
რაც დამიტოვა ცხელმა ივლისმა;
შვებასაც, მაგრამ დარდის ერთ წვეთსაც,
გულის ტკენასაც, მაგრამ ღიმილსაც.

მესიზმრებოდა: სიყრმის წლებიდან
ჩემივე ლანდი — პირქუში მუდამ
გადმოდიოდა, სარკმელთან იდგა,
მიმზერდა ამ ტყის ხიზანს და ღუმდა.

მთელი ზამთარი თვალს ვარიდებდი
ჩემკენ მოპყრობილ ნალვლიან თვალებს...
მე არ მეგონა თუკი იმდენი
ეჭვნის წყნარი ხმა ავსებდა ღამეს...

მხოლოდღა დილას მოჰქონდა შორით
იმედის სხივი — განა თუ ერთი!
ახლაც ამ ტყეში ძველ მოტივს სწორედ
ის იმედები უსტვენენ შენთვის.

ისევ თბილისში

ლადო ასათიანს

ერყინული
ბიბლიოთეკა

ნუთუ აქ მოსვლა მე ისევ შეეძელ,
ყველა შეცვლილი რატომ მგონია;
რად მხვდება იგი, ვისაც არ ვეძებ,
ვისაც დავეძებ — ვერ მიპოვნია.

აღბათ ჯერ ისევ იქა ვარ, სადაც
შენს სახელს, როგორც სითბოს, ვეკვროდი...
თვლემს ხეივნებში ქალაქი-დაბა
ორიოდ ქუჩით და სამარეკლოთი.

დღე, ვით სანთელი უცებ ქრებოდა,
მერე ტყის ზემოთ — გაყინულ მთვარეს
კვლავ შეჭყმოდნენ მგლები ქვემოდან
და ცად მიჰქონდათ ყმუილი ქარებს.

და მთლად გაძარცულ ხეივნებს — შორით
სცემდა იმ მთვარის შუქი ოდნავი
და კანკალებდა ქარით და თოვლით
დაბა მდუმარი და საცოდავი.

ყრუ და მივარდნილ ქალაქის ქარებს,
როცა მოჰქონდათ გულის მთუთქველი
ეჭვი, რომელიც ავსებდა ღამეს
სხვა მწუხარებით — ენით უთქმელით, —

გამოჩნდებოდა — მოხრილი მხრებში
და იფარებდა ქარში საყელოს —
ის, ვინაც ხშირად იმ ხეივნებში
დასეირნობდა ჩვენს სასახელოდ.





ქვემოთ

სასახეაზი

ამოთრობა

ამ ადგილს სათევზიას ეძახიან. დიღონის წინათ აქ, ალბათ, ბევრ თევზს იჭერდნენ, ახლა კი თავკომბალებით, ლიფსიტებითა და ბაყაყებით სავსე ღელე ძლივს მიიკვლევს გზას. სათევზიაში გეოლოგები ცხოვრობენ. აქ ოთხი შენობა დგას, ორი — საცხოვრებელი სახლია. ახლომასლო მხოლოდ გვირაბებია. მათი ბნელი პირები შავად მოჩანს გამოზიდული და გახუნებული ქანის ნაყარზე. მთაში, უკაცრიელ და მივარდნილ ადგილებში, კაცის გაცნობა ადვილია. გეოლოგებს ბუნებასთან უხდებათ ჭიდილი და ამ ბრძოლაში გვერდით ყოველთვის სანდი და ნაცადი მგვობარი უნდა გყავდეს. გეოლოგებმა იციან: ოქროს ქვიშრობის რეცხვის დროს ფუჭი ნაყარი წყალს მიჰყვება, ოქრო კი მძიმეა და ხონჩაზე რჩება. დროთა განმავლობაში მათ შშიშარა და სუსტი ნებისყოფის ადამიანები აკლდებიან; რჩება ნარჩევი, ბაჯალლო. ამიტომ ყოველ ახალ წევრს რაღაცნაირი ღიმილით ზღვებიან.

პირველად ძალიან გამიჭირდა, მაგრამ დამეხმარნენ; დავიბენი — მასწავლეს, მშობლები და ქალაქი მომენატრა; აღარ ეფიქრობდი გოგონებზე, გართობაზე, ფეხბურთზე. მერე სიტყვა „გევმას“ მი-

ვეჩვეე და არ მეცინებოდა. ჩემს სიცოცხლეში პირველად დავრჩი მარტო და მივხვდი, რისი გაკეთებაც შემეძლო.

საბადოს საბოლოოდ და ზუსტად შესასწავლად ხანდახან მიტოვებულ გამოწამუშევრებში შევდივარ. ეს აკრძალულია, მაგრამ არავის ვუმხელ, გვირაბები კარგად არის შენახული.

— სად მიხვალ, ჯო? — მეკითხება მიწიდან ალქაჯივით ამოვარდნილი ფერული.

- ისე ვსეირნობ, არ წამომყვები?
- სათევზიას მივალ პურზე.
- კარგად იყავი.
- კარგად, ჯო.

საოცარი კაცია ფერული. დიდი, კეხიანი ცხვირი და გრამაფონივით ყურები აქვს. სიარულის დროს ისე ღუნავს გრძელ ფეხებს, თითქოს მუხლების ადვილას ზამბარები ჰქონოდეს ჩადგმული. ამიტომ ნაბიჯი მოკლე აქვს, რბილი და უხმო: სადაც არ ელი — იქ დაგხვდება.

პირველი გვირაბი კლდეში არის გაყვანილი. მადნის რაოდენობა დიდხანია დაიანგარიშეს და უბანიც დაიხურა, მაგრამ იყო მარაგის გადიდების ერთი გზა. გვირაბთან სანთური ავანთე. მიწისქვეშ უხვ ნაკადულებად მოედინება წყალი და

გვირახის ერთ-ერთ მხარეს საგანგებოდ გაყვანილ თხრილში ჩუმად მოწანწკარებს. მიყვარს სიჩუმე გვირახის შუაგულში. ქანები ფურცლებივით ჩაკეცილან, ხმას არ იღებენ. თუ გაიკონებ ამ სიჩუმეს, თამამად შეგიძლია ფურცლო ბუნების წიგნი, ფურცლო და იკითხო წინ მივიწვევ. კედელზე მგვდება სანთურის მურით წაწერილი: „ვანია 1962 წელი“. „მელკონიანი 450 მეტრი“. „ფერულა 670 მეტრი. დეკემბერი“. მასხოვს. ფერულა გადმოვიყვანეთ ამ გვირახში. სასწრაფოდ უნდა დაგვემოაგვრებინა.

ალაგ-ალაგ ფხვიერი ქანებია. ფრთხილად ვუკაკუნებ ბრტყელ და წალესილ ჩაქუნს. უცერად დიდი ლოდი მოწყდა გვირახის ჭერს და ყრუ გრუხუნით ჩავარდა თხრილში. ტალახიანი შეხვეები სახეში შემომესხა. მოვიწმინდე და სანთური იმ ადგილს მივანათე, საიდანაც ლოდი ჩამოვარდა. უეცარ ხმაურზე ელდა მეცა. გაძრომა დავაპირე, მაგრამ მეორე ლოდი მხარში მომხვდა და უკან გადმომაგლო. ჭერი მთლიანად ჩამოიშალა. სანთური ჩამიქრა... ხმაური სადღაც ჩემს ზევით შეწყდა.

ძლივს ავანთე ასანთი. ხელები მიკანკალეს; ძალიან მინდა ვნახო, მთლიანად დაიფარა გვირახი თუ არა. ერთი ნახვრეტიც კი არ დარჩენილა! ნაყარის კედელს მხრით ვაწვები: ამაოდ. ჭერს ვაცქერდები და ჩაქუნს ვაბრახუნებ: აღარ ჩამოინგრევა, საყრდენი საიმედოდ ჩაჭედოდა ნაყარში. წყალმა გასასვლელი ველარ იპოვა და დაგროვება დაიწყო. ტალახიდა მაკლდა! ჩამოვჯექი; ვიცი — მარტოკა ვერაფერს ვუშველი. უკან, გვირახის სანარკვამდე ასი მეტრია. წინ კი — გადაულახავი ზღუდე, მთელი ქვეყანა და სიცოცხლე.

რა ვქნა? თხრა უნდა დავიწყო! ჩაქუნით რას გავხედები?! აბა, გულხელდაკრეფილი ხომ არ დავხედები?! ვინ მიხვდება, სად ვარ? ფერულა?! მაგრამ ფერულა პურს იყიდდა და სოფელში გაბრუნდებოდა. ვინ მოიფიქრებს, რომ მე აქ ვარ! ყველა თავის საქმეს აკეთებს...

სანთურში საწვავი გამოილია და

ძლივს ბეუტავს. გვირახის კედელზე ჩემი გადიდებული და მკრთალი ლანდო მუხუჭად ძრახობს. ამხელა რომ ვიყო, ერთი ხელის მოსმით გავწმენდი ნაშალს!

ძალიან მომზვიდა, დავილაღე კიდევ. მაგრამ გაჩერების უფლება არა მაქვს და შეუსვენებლად ვმუშაობ.

თავი გასკდომიზე მაქვს. მადნის ნამსხვრევები აბრჭყვილადა. სიბნელეს შეეჩვივა თვალი. თვალისთვის სულ ერთია: ერთნაირად იტანს სინათლესაც და სიბნელესაც. აი, ტვინია ჯიუტი, რას არ ვაფიქრებინებს. რა ბრძანეთ? დავრჩები? სად? გვირახში? ვინ მოგახსენათ! თუმცა, ჯერჯერობით საშველი არ არის და ისევ ვმუშაობ, თუ მუშაობა ჰქვია არაქათვა-მოლეული კაცის სუსტ მოძრაობას. თავბრუ მეხვევა. ოფლი თვალებს მწვავს. მცხელა, მიწაზე ვეცემი... გვირახებს ვხედავ. ისინი ნელ-ნელა იზრდებიან ჩემს თვალში, დიდდებიან. ბოლოს ყველას ადგილს ერთი იკავებს, ჩემკენ მოდის, გვირგვინს შლის და მტვრიანებს ხელებივით მხვევს. ირგვლივ არავინაა და ბურუსი სისინებს. ბურუსი სველია და ცივი. თანაც გველივით სისინებს და ყვავილებს ეფარება. ეფარება ნელა, ძალიან ნელა. ბოლოს ჩემს ყვავილესაც ჰფარავს. ყვავილი მტვრიანებს მიშვებს და ვვარდები; საცაა დავცნარცხები... არ ვიცი, რითი ვუშველო თავს. ბურუსი კი სწრაფად მოძრაობს და მიქვი სადღაც უსასრულობაში...

სიციხისაგან ვიწვი. თავი მტკივა. წელამდე სველი ვარ, ისე მოუმატებია წყალს. ჩაქუნს ხელი დავავლე, წამოვდექი და ყველაფერი დამიტრიალდა თვალწინ... მერე მოვიდა პატარა ბავშვი. მოიტანა სათამაშო ჩაქუჩი და სოლი. დამადო სოლი საფეთქელზე და დაუწყო კაკუნი. თან ილიმება. რა აცინებს. ნეტავი? დამეხსენ, ბავშვო, წადი, სხვაგან ითამაშე...

ძალიან, ძალიან მშობია. ღონე მოვიკრიბე და ლოდინს მოვეკიდე. დიდხანს ვუტრიალე, სანამ წყალში გადავადლებდი. ვრილი შეხვეები მესიამოვნა, ცხვირსახოცი დავასველე, შუბლზე დავიფინე. მად-

ნის ნამსხერვევი, რომელიც ზურგს მიხვრეტდა, გადავაგდე. თავი მისკდება. აღარ შემოდია. ვყვირი, მაგრამ არავის ესმის. მინდა წამოვხტე, გავიქცე, მაგრამ, რასაც ვეჭიდები, ყველაფერი იშლება. ადგომაც რომ შევძლო, ვერ გავიქცევი, ისე მაქვს თავი დამძიმებული. რალაც საშინელი ხმაური ყურებს მიჭედავს... მერე ისევ ბურუსი მშველის, ვიშალები და ფეხქვეშ ნიდაგი მეცლება. კვლავ მოძრაობს ყველაფერი ქვევიდან ზევით და მივჭირ შორს, უსასრულობაში...

ფეხში ხელი მომიკიდეს, ვიწრო ხვრელიდან გამათრიეს, მკერდზე თავი დამადეს და თქვეს:

— ცოცხალი!

— მართლა, ჯო!

— ცოცხალია, მიდი, ნახე.

ვერ ვარჩევ, ვინ დამცქერის, თუმცა ფერულას ხმაზე ვცნობ.

— თვალს ახელს, ჯო! — ფერულა ხტის და მყოცნის. ფერულა სიხარულით ტირის.

გვირაბიდან ატატებული გამოვყავარ ბიჭებს. დღის სინათლეზე გონს ვკარგავ...

თვალს ვახელ. ჩემი ოთახი ჭირისუფლებით გაქვდილა. ყველა ნაცნობია, ერთი გოგონას გარდა. თავს ძალას ვატან და ვაკვირდები: ახალია მერე თვალები მეხუჭება და ვჩურჩულე: მშია. ყველა რალაცას ამბობს, შემდეგ ასკვნიან, რომ ერთბაშად ბევრის ჭამა არ შეიძლება და იშლებიან. ვილაცეები მივლიან...

დილით ადგომა დავაპირე. ვერ შევძელი. დატრიალდა ნავთქურის ჭვარტლის მსგავსი უამრავი შავი წერტილი. სასთუმალზე დავეგდე და ვუცადე, ვიღრე ყველაფერი დაწყნარდებოდა.

— თქვენი ადგომა არ შეიძლება, — მეუბნება უცნობი გოგონა, რომელიც საიდანაც გაჩნდა ოთახში. მინდა ვკითხო, რატომ-მეთქი, მაგრამ ვერ ვახერხებ.

— იმიტომ, რომ ავად ხართ და უჭმელობით ძალიან დასუსტდით.

მინდა ვკითხო, ვინ არის, რატომ წუხდება, მაგრამ ვერ ვასწრებ.

— მე თქვენს უბანზე გამანაწილებ, პრაქტიკაზე ვარ. ვიცი, არ გიყვართ, რაღაცა გოგონებს გიგზავნიან სამუშაოდ, დანარჩენებს არ სცალიათ. სამმართველოდან მთავარი ინჟინერი ჩამოვიდა.

ჩემთან მოდის და მეორე ბალიშს მიდებს თავქვეშ. მერე ღრმა თეფშით ქათმის ნახარში მოაქვს.

— ქათამი ფერულამ მოგართვათ. ასე მითხრა: ეს პაპლუყი გეოლოგს მოუხარა შე, კაი წვენს იხამსო. დიდხანს გიციქირათ მძინარეს და წავიდა.

„რა კაცია ეს ფერულა!“ — ვფიქრობ ჩემთვის.

— კარგი კაცი ჩანს, — მეუბნება უცნობი გოგონა და ბულიონს მასმევს. ვაკვირდები, მაგრამ ზუსტად ვერ ვარჩევ მისი სახის ნაკვთებს. ჩანს, მართლა სუსტად ვარ, თვალი მეღულებია.

მზე ამოვა თუ არა, ჩემს სარკმელში იცქირება. ვახველებ და მიკვირს, რა ხანია არ გამოიგონია საკუთარი ხმა.

— დილა მშვიდობისა! — ვამბობ ხმამალა, თუმცა ვიცი, ოთახში არავინაა.

ფეხაკრებით შემოდის გოგონა, საწოლთან მოდის. გამოყვანილი წელი მოძრაობის დროს ეზნიჭება.

— თავს როგორა გრძნობთ?

— კარგად, გმადლობთ.

გოგონას საუზმე მოაქვს.

— თქვენ რატომ არ საუზმობთ?

— მე უკვე...

— დაბრძანდით.

ჯდება.

— რა გქვიათ?

— ნანა.

მე ვსაუზმობ. ნანა მიყურებს. მერე ხელს მამანინებს და ნელი ნაბიჯით გადის ოთახიდან.

მალე ყველა გაიგებს ჩემი გამოჯანმრთელების ამბავს. მოდიან სტუმრები, მოაქვთ მოსაკითხი, საჩუქრები. ნანა მათ თავაზიანად ეგებება.

გეოლოგიური პარტიის უფროსს და სამმართველოს მთავარ ინჟინერს ვაცნობ ჩემს მოსაზრებებს. ისინი ილიმებიან და

უხარიათ. მერე მლოცავენ წითელი ღვინით, რომელიც ექიმმა გამომიწერა.

ოთახში ფერულა შემოიძურწა.

— რა ჰქენი, ჯო!

— ო, შენი ძალიან მადლობელი ვარ.

— რას ამბობ.

— რას ვამბობ და სიმართლეს.

— შეგვაშინე ძალიან. ამფერს არ მოველოდი შენგან.

— მჭირდებოდა იქ შესვლა.

— რა მომივიდა, რომ არ წამოველ.

— საქმე გექნებოდა.

— საქმე სავსეა... — ფერულამ თამბაქო გაახვია და ნანას გადახედა, — აი გოგო ვინაა, ჯო?

— პრაქტიკაზეა.

ისე შემომხედა, შევატყვე, ჩემი ნათქვამი არ დაიჯერა.

●
სამუშაოდ გავედი. არ მომეშენენ, სანამ ჩემი ბედნიერად გადარჩენის აღსანიშნავად პურ-მარილი არ გავშალე. მალე ყველას გადაავაწყდა წვეულების მიზეზი. გემრიელად იქეიფეს და დათვრნენ. როდესაც აიშალნენ, ნანას შევეკითხე:

— გინახავს დიდი დათვის თანავარსკვლავედი?

— არა.

ახლაც არ ვიცი, იცრუა თუ მართლა არ ენახა.

— წამო, გაჩვენო.

შენობებს გავცლით და გზის გადაღმა თეთრ ლოდზე ჩამოვსხედით.

— აგერ, — ვუბნები და ხელს ცისკენ ვიშვებ, — ღრმა კოვზის მოყვანილობა აქვს, შვიდი ვარსკვლავისაგან შედგება. ხედავ?

— თუ კოვზის ფორმა აქვს, დათვის ვარსკვლავს რატომ ეძახიან?

— რა ვიცი. ხედავ?

— ვერა, — თავს მაღლა სწევს. თეთრ კისერზე მშვიდად ვკოცნი.

— უი! — გაკვირებული მიყურებს.

— გინდა ვითხრა, რას იზამ ახლა? მარჯვენა ხელი მარცხენა ყბაში... მე, რო-

გორც ქრისტეს ამხანაგი, მარჯვენა ყბაში საც მოვიშვებ და...

— რატომ მაკოცე? — იბუტებოდა და ბავშვს აჯავრებს ტირილში თუ ნამდვილად ტირის, ვერ გამოირჩევია.

მერე ვარბის, ლამაზად გადადის ვიწრო ხილზე.

ბნელა, სათევზიაში ყველას ძინავს.

— ნანა! — ვეძახი ჩურჩულით, — ნანა, გაჩერდი!

ნანა სახერხ ურიკაზე ჯდება. ურიკა მიგორავს. ვიჭერ ურიკაზე გამობმულ თოკს და გოგონას ჩემკენ ვეზიდები, ვეფერები, გულში ვიკრავ. მერე ურიკას ხელს ვკრავ, ვავორებ და ისევ ნელ-ნელა ვეზიდები თოკით ჩემკენ.

აქედანაც ვავრბივართ. სკრის. შინ წასვლა არ გვინდა.

— ნანა! — ვეძახი და ვეძებ. ნანა ახლა სამჭედლოში მემალება. ხელს ვაფათურებ, ძლივს ვპოულობ. ხმას არ იღებს, ორივენი გრდემლზე ვჯდებით.

— გინდა გაჩუქო დიდი დათვის ვარსკვლავედი?

— მინდა.

— სახერხი მანქანა?

— მინდა.

— სამჭედლო?

— მინდა. მინდა...

ნანას სურს ნახოს, როგორ იღებენ მადანს. სისხამ დილით ჩემ ფანჯარასთან მოსულა და გაბუტული, ცნობისმოყვარე ბავშვით გაჩერებულა. უხეში ბრეზენტის ტანსაცმელი აცვია. შარვალი ჩექმებში ჩაუტანებია და ძლივს დაბაჯბაჯებს.

გვირავი მაღალია, ხელს სწევ, — ვერ წვდები, მაგრამ გრძნობ, როგორ გაწვება ოთხივე მხრიდან. ნანა არ არის შეჩვეული აქაურობას, შიშისაგან თვალები გაფართოვებია და გვერდით მომდევს.

— ჰაერი არ მყოფნის, — მეუბნება ნანა.

— ღრმად ისუნთქე.

ასი მეტრიდან იწყება „ჩემი სასახლეები“. ეს სამი ერთმანეთზე უფრო დიდი ლინზაა, რომლებიდანაც მადანი უკვე გამოიღეს. ახლა მეოთხე სასახლეს მიშენ-

ბენ სამთოელები. ნანას ვუმალავ, პირველი დარბაზი რომ ახლოსაა და მინდა დავაკვირდე, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ბნელი, უკიდევანო და უზარმაზარი სი-
ცარიელე.

— ჰე, ჰე, ჰე, ჰეი! — ვყვირი უეცრად.

სანთურის ალი უზარმაზარ შავ დარბაზში ფანტავს სხივებს და ძალა ეკარგება.

— ჰე, ჰე, ჰე, ჰეი! — შიშით ყვირის ნანაც და ეჭოს ყურს უგდებს. რბილია სიბნელე. ნიადაგიც თითქოს რბილდება ფეხქვეშ. ნანას ჰგონია, ერთი ნაბიჯიც რომ გადადგას, სადღაც ჩავეარდება. მეტიკტიკება, ხელს მკიდებს და ფრთხილად მომყვება. მე ისევ, და ვინ მოთვლის, მერამდენჯერ, მიტაცებს ჩემივე ნაბიჯის ხმა, რომელსაც სიჩუმე იმეორებს ფრთხილად და ზუსტად. ამიტომ ნანას სიტყვები არ მესმის.

კვლავ შევდივართ გვირაბში. კვლავ გვაწვდნიან ქანები ოთხივე მხრიდან და ვიხუთებით. ნანა უკვე გაბედულად მოაბიჯებს. ხმას აღარ იღებს. მერე მაჩერებს და სანთურს სახეში მანათებს.

— რა მოხდა? — ვეკითხები. — დაილაღე?

— არა! — სწრაფად მიპასუხებს. შემდეგ უმატებს, — იცი, ამ დარბაზებში სახე საოცრად გეცვლება.

სანთურს ვართმევ და ქვევიდან ვინათებ სახეს. სახეზე უცნაური ჩრდილები ჩნდებიან. ზღაპრულ სამყაროდან მოფრინელ გრძნელს ვემსგავსები და ვგუგუნებ:

— მისმინე, ნანა!

„მისმინე, ნა-ნა!“, გუგუნებს დარბაზიც.

— მარცხნივ წახვიდე, ას ნაბიჯზე მეტი ვერ გაიარო: დარბაზის კარი დაგისუროს შევმა კედლებმა.

„შევმა კედლებმა... შევმა კედლებმა...“

— მარჯვნივ წახვიდე, ღრმა უფსკრულში გადაიჩეხო!

„გადაიჩეხო... გადაიჩეხო...“ — გუგუნებს დარბაზი.

— პირდაპირ წახვიდე...

— პირდაპირ რაღა დამემართება? —

სიცილით მეკითხება ნანა. ისეთი მშვიდი ხმა აქვს, რომ ჩემს გრძნეულებას ეკარგება.

— პირდაპირ, — ვუბნები, — ცივი წყაროა, ძალიან ცივი და ანკარა; თეთრი, ისეთი თეთრი, რომ ვაგიკვრდება. სამაგრებზე ყვავილი ხარობს. ოდესმე ვინახავს სიბნელეში გაზრდილი ყვავილი? ისიც თეთრია; წყაროზე, ყველაფერზე და ყველა თეთრზე უფრო თეთრი. გინდა მოგიტანო?

— მინდა.

მე წასვლას ვაპირებ.

— მოიცა, ერთად წავიდეთ... — ეშინია მარტო დარჩენისა.

ყვავილებს სანთურს ანათებს და ათვალეობებს. მინდა დავუკრიფო.

— ხელს ნუ ახლებ!

— რატომ?! ხომ გინდოდა?

— ცოდოა.

— კიდევ ამოვა.

— მზეზე ჰქენება ალბათ.

— ალბათ.

მესამე დარბაზი ყველაზე დიდია. ჰგონია რომ არ ჩამოინგრეს, მადნის მთელანებია დატოვებული, შეანათებ და აბრწყვიალდება ნაირ-ნაირი ფერადი სვეტები.

— რა ლამაზია?! — უკვირს ნანას.

მე ერთ-ერთ მთელანაზე ვამაგრებ ორივე სანთურს. ტანსაცმელს ვისწორებ და ნანას ვთავაზობ:

— ხომ არ იცეკვებთ?

ნანა რბილად და ისე კობტად მიკეთებს რევერანსს, რომ მიკვირს.

— დიდი სიამოვნებით.

ნანა ჩერდება, სხეული უცახცახებს და თვალებზე ხელს იფარებს. ერთხანს ვშეშდებით. მე თვალებზე მიფარებულ ხელზე ვკოცნი და გზას განვაგრძობთ.

გვირაბის გამყვანი მუშები სიხარულით გვხვდებიან:

— კარგად გადარჩენილხართ!

— მოგვილოცავს!

— გმადლობთ. თქვენ როგორ ხართ? — ვეკითხები.

— ძალიან შევშინდი, თქვენი ამბავი რომ ვავიგეთ.

— ჩემი დაღუპვის შეგეშინდათ თუ ახალი უფროსის?

— ორივესი, — მიპასუხებს ყველაზე თამამი და იცინის.

— ხომ არ მოწევთ? — მეკითხებიან და ყველანი ერთად მაწვდიან სიგარეტს.

— თუ ქალბატონი ნებას დაგვრთავს. — ნანასკენ მივიხედვ.

ის სანგრევის კუთხეში დამდგარა და ჩუმად არის.

— ქალია?! — გაიოცეს მუშებმა.

— ღლეიდან ის ივლის ჩემს მაგივრად და დოკუმენტაციას შეადგენს. აბა, თქვენ იცით. გაიცანით, ეს არის ნანა.

მუშებმა ხელი დაავლეს სანთურებს და გოგონას მიანათეს. მერე თითოეულმა სახე გაინათა. ნანამ გულდასმით დაათვალიერა მუშები. თვალები ისე უბრწყინავდა, მხერა ვერ მოვწყვიტე. მუშები აბურტყუნდნენ:

— რაზე მოიღბინეთ? — ვეკითხებდი მუშებს უეცარი ხმაურისაგან გამოფხიზლებული.

— ისე, ვკორობთ ჩვენთვის.

— წინ იყურეთ, არაფერი შეგეშალოთ.

— გაბრაზდით?

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ნანა, მუშებს ეჯავრებათ, როცა დღის სინათლეზე ვერ ცნობენ.

მუშებმა ისევ მიინათეს სინათლეები. ნანა დააკვირდა.

— რომ შემეშალოს, რა ვქნა?

— რას იზამ. წავედი. თვის ბოლოს მეც მოვყვები და აგიზომავთ მისხალ-მისხალ.

— რაზე გაბრაზდი? — მკითხა ნანამ, როცა სანგრევის მოვშორდით და უკან გამოვბრუნდით.

— რა ვიცი.

— მაინც?

— მოდი გვირავის პირამდე ჩუმად ვიაროთ.

— ?!

გვირავის პირი რომ გამოჩნდა, სანთურები ჩავაქრეთ და ნაბიჯი შევანულეთ, რომ თვალი შეჩვეოდა დღის სინათლეს. ვარეთ წარმოუდგენლად ცხელო-

და და ძალიან დიდი მზე ვეღარ ეტეოდა ცაზე.

ერყენული
ხეობიერება



გეოლოგიური პარტიის უფროსი თბილისიდან დაბრუნდა თუ არა, სამუშაო ოთახში გამომიძახა. სამმართველოში დიდხანს უკამათიათ. ჩემი წინადადება ბევრს მოსწონებია, თუმცა ზოგიერთებს ეჭვი გამოუთქვამთ. სამმართველოს ხელმძღვანელობას მაინც დაუშვია თანხა ჩემი მოსაზრებების შესამოწმებლად.

— ახლა მთავარია ჭაბურღილებისათვის სწორი წერტილები შევარჩიოთ, — დაამთავრა უფროსმა.

— მაგაზე მეც ბევრს ვფიქრობდი. წერტილები დავნიშნე, — ეუპასუხე და რუქა გადავშალე. რუქაზე მსხვილი წითელი წერტილები იყო გაბნეული.

— ძალიან გულუხვობ, მხოლოდ ოთხი ჭაბურღილის ნება მოგვცეს.

— ოთხის?

— დიახ. მე მკონი, ეს წერტილები დავტოვოთ, — გეოლოგიური პარტიის უფროსმა ოთხ წითელ წერტილს შავი ფანჯარი შემოავლო.

„ჩემს მოსაზრებაში ეჭვი არასოდეს შემპარვია. საბადოს სამხრეთი ნაპირი რომ დაიხვეროს, ნამდვილად შეიძლება მარაგის თითქმის ორჯერ გადიდება. რღვევა, რომელმაც, ჩემი აზრით, საბადოს გარკვეული ნაწილი დაძირა, ყველაზე კარგად პირველ გვირაბში ჩანს. კიდევ ერთხელ უნდა შევიდე იქ. ამჯერად მართო არ წავალ. არცთუ ისე სასიამოვნო ყოფილა სიკვდილზე ფიქრი; მით უმეტეს მაშინ, როცა აზრს არავის უზიარებ და არავინ გეკამათება...“

ფერულა დაბარებულივით გამოჩნდა. — ერთი რამ უნდა გთხოვო და, თუ ძმა ხარ, უარი არ მითხრა.

— წამოვალ, წამოვალ, — მითხრა ფერულამ და მხარზე ხელი დამარტყა.

ლოდნარის სათავეს როცა მივადწვიეთ, მოსალამოვდა.

— დაბნელდა, ჯო! — თქვა ფერულამ

— მერე რა, გვირაბში ყოველთვის ბნელა. ანთებ კარბიდის სანთურს და

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ თვალწინ
სულ სხვა ქვეყანა იშლება: იქ არც წვიმს,
არც თოვს, არც ცხელია.

— ეს ქვეყანა ცოტა დაძველდა, ჯო! —
ფერულამ სანთური სამაგრებს მიანათა.
ბოძები ალაგ-ალაგ შემშალიყო;

— ეს ძველი ქვეყანა ახალი ქალაქის
მშობელია, ჩემო ფერულა. ამ გვირაბზე
მე დიდ იმედებს ვამყარებ.

— მართლა, ჯო? — გაუხარდა ფერუ-
ლას, — ქალაქი ჩვენ მთებში?!

— აი, უყურე, ფერულა! — ჩვენ ჩა-
მოქცევის ალაგს მივადრწიეთ, — აქ დიდი
რღვევაა. მადნის გარკვეული ნაწილი
ქვევით არის დაძირული, არცთუ ისე
ღრმად. თუ ასეა, მაშინ ჭაბურღილებმა
მალე უნდა გადაკვეთონ მადნიანი ზონა.

ფერულას თვალები გადიდებოდა და
მთელი გულისყურით შესცქეროდა უწე-
სრიგოდ დაგრეხილ ქანებს, რომლებიც
მისთვის მხოლოდ ქვის კედლები იყო და
მეტე არაფერი. მას არ სჯეროდა, რომ
მშობლიურ მთებში ისფალტიან გზატყე-
ცილს გაუყვანდნენ, მერე ქარხანას აუშე-
ნებდნენ, მერე — სახლებს, — ჯერ ერთ-
სართულიანს, მერე — მრავალსართუ-
ლიანებსაც და... ამდენი შენობა ერთად
ხომ ქალაქია!

— ჩვენს მთებში — ქალაქი?! — კვლავ
უკვირდა ფერულას და ეჭვის თვალთ
მიყურებდა. თუმცა ღრმად ვარ დაარწმუ-
ნებული, რომ გლჯი კაცის მახვილი გო-
ნება უკვე ხედავდა პატარა ქალაქს, მის
ლამაზ-ლამაზ ქუჩებსა და ბალებს, ქარხ-
ნის მილებსა და კინო-თეატრებს. ხედავ-
და ამ ქალაქის პირველ მცხოვრებლებ-
საც. ფერულამ კარგად იცოდა, რომ აქ
სათამაშოდ არ ვიყავით მოსული.

— ჭაბურღილებზე მუშებს რომ შეარ-
ჩევ, არ გამომტოვო!

— ბურღვა რა შენი საქმეა!

— აქ ყველაფერი ჩემი საქმეა. კარგად
იცი ეს შენ, — ისე მითხრა ფერულამ,
უკვე მივხვდი, რაც მოხდებოდა, რომე-
ლიმე ჭაბურღილზე დამხმარე მუშად
რომ არ დამენიშნა. მაინც ვცადე, გამებ-
რაზებინა.

— აჰ, ბურღვაზე ვერ გაგაცდენ!
ფერულა შეკრთა, მერე, ეტყობა, ჩემს
განზრახვას მიხვდა, აქეთ-იქით შემოიფარ-
ხედა, თითქოს დიდი საიდუმლო უნდა
გამანდოსო, და ხმადაბლა ჩაიჭიჩქილა:

— ნანასთან გიჩივლებ, იცოდე!

არსებობს წუთი, როცა არავის არ ეკ-
უთენი და არაფერი არ გახსოვს ამქვეყ-
ნად; არაფერს არ გრძნობ, არაფერი არ
გცმის. თითქოს სმენა დაგეხშო, თვალ-
თახედვა გაქრა. თვალდახუჭული ცხადად
ხედვ მაშინ, როგორ მუშაობს ტვინი.
როგორც ურთულესი მანქანა, უსწრა-
ფესად პოულობს დასმულ შეკითხვაზე
საუკეთესო პასუხს. და თუ საქმე საყო-
ველთაოა, მაშინ ტვინს არა აქვს შეცდო-
მის უფლება! ამიტომ მე არ მესმის, რას
ამბობს ფერულა. ვერ ვხედავ სანთურის
ალით განათებული გვირაბის ჩამოქცე-
ულ კედლებს და ვიხედები ღრმად, ძა-
ლიან ღრმად, დედამიწაში, სადაც ამ ქე-
დების, მთების, ტყეების, მდინარეებისა
და, ვინ იცის, რამდენი ადამიანის მომა-
ვალია დამალული.

მე ვიცი, ყოველივე როგორც მოხდე-
ბა. შუალამისას ფერულა კარზე ხმამალ-
და დააბრაზუნებს და იკითხავს:

— უფროსო, გლჯიძავს?

— რა მოხდა? — შევეკითხები, საწო-
ლზე წამოვჯდები და ძლივს ვიპოვი საძი-
ლე ტომრიდან ამოსაძრომს. ფერულა
კარს შემოაღებს, პირდაპირ მაგიდასთან
მივა და ბრჭყვილა მადანს დაყრის.

— შეხედე, შეხედე, ნამდვილი ოქ-
როა!

მე სიხარულისგან ვიყვირებ:

— ჭაბურღილი მადნიან ზონაშია! —
მერე ხმადაბლა შევეკითხები, — რამდე-
ნი მეტრი ვაბურღეთ?

ფერულა მეტყვის, რამდენიც გაუ-
ბურღავთ, მიამბობს ჩემს ჩუმიად რამდე-
ნი გაუთენებიათ, კომისიისათვის რომ პა-
სუხი დაეხვედრებიანთ და კიდევ ათას
ტყუილსა და მართალს დაამატებს.

— ჩვენი მთების ქალაქი! — თითქმის
ყვირის ფერულა და მადნიან ნიმუშებში
ხელს ურევს.

ჩვენ ხმაურზე მეზობლებს ეღვიძებათ, შემორბიან, უხარიათ, მილოცავენ. მერე გეოლოგიური პარტიის უფროსიც მოდის და ხელს მაგრად მართმევს. ყველაზე ბოლოს ნანა შემოდის. ყველაზე ბოლოს იმიტომ, რომ რცხვენინან, თანაც ხალხში არ შეუძლია ხმამაღლა იყვიროს, შეხტეს, კისერზე ჩამომეკიდოს და რასაც განიცდის, თავისუფლად გამოხატოს.

ფერულა ყველას აცილებს და თვითონაც გადის ოთახიდან. ნანა მაგიდასთან ჩამომჯდარა და ჩურჩულებს:

— რა ბედნიერებაა! რა ბედნიერებაა!

მე ვუციინი ნანას, მადანს დავუყურებ და ძალიან, ძალიან მიხარია. აბა, ამაზე ძალიან რა უნდა გამეხარდეს!

ნანა ბევითობს. ახლა მას საბადოს აგებულების შესწავლა სურს. სისხამ დილით მოსულა ჩემი სახლის წინ.

— ისაუზმე?

— არა.

ძალით მიმყავს სასადილოში. მერე ხელს კვიდება და ქედ-ქედ მივუყვებით საჯოგაის მთისკენ.

— დაილაღე?

— არა.

— როცა დაილღები, მითხარი.

— კარგი.

დიდი ხანია აქეთ არ ვყოფილვარ, მაგრამ ცხადად მახსოვს ეს სასაცილოდ დახვეული ბილიკი. საჯოგაის ძირში პატარა ველია, ცისფერი და ყვითელი ყვავილებით სავსე. მიყვარს იქ დასვენება. დავეგდები ხოლმე დიდ, ხავერდივით ბალახზე და ვფიქრობ. ვფიქრობ ყველაზე და ყველაფერზე. მაგრამ აქ, „ედემის ველზე“, როგორც ამ ადგილს შევარქვი, ყოველთვის ერთი და იგივე ფიქრი მაწვალებს: მე ვხედავ დედამიწას უზარმაზარს, ძალიან დიდს. იგი იმდენად დიდია, რომ უმადლესი მწვერვალიც ვერ არღვევს მის სიმრგვალებს და, აბა, საჯოგაი რას უზამს?! საჯოგაი კი, პატარა ველთან შედარებით, უმადლესი მთაა. ეს ველი

წერტილად წარმომიდგება დედამიწაზე ამ წერტილში ვზივარ მე. აი, როგორი პატარაა ადამიანი!

დედამიწის ზურგზე არავინ არ იცის, სადა ვარ ახლა. არავინ არასდროს არ დედება აქ, ზუსტად აქ. არ ვიცი რატომ, მაგრამ ეს ყოველთვის უდიდეს სევდას მგვრის. საერთოდ, დიდი ხნის წინათ მიტოვებულ ადგილს ხელმეორედ რომ ნახავ, გულზე რალაცნაირი დარდი შემოგაწვება. მე ყოველთვის ვიმახსოვრებ ერთ წერტილს, ედემის ველზე მე ვცნობ ერთ ლოდს, რომელსაც გვერდი მოვატეხე. ვიცი: ამ ლოდის ნახვა ცრემლს ჩამიყენებს თვალში.

აი, ეს წერტილიც. ნანა ამ ველზე, ყვავილებისა და ბუნების სიმშვენიერზე ტიკტიკებს რალაცას. საერთოდ, მთელი გზა ტიკტიკებს; მე კი ცალკეული ფრაზების გარდა არაფერი მესმის.

— ნანა, — ვეუბნები, რომ შევაჩერო.

— გისმენ.

— არა, შენ არ მისმენ!

— გისმენ, დედას გეფიცები!

ნანა მომიახლოვდა, მომეფერა და მოთხრა:

— რა მარტო ვართ, რა სიმარტოვეა...

მე გამიკვირდა, გამიკვირდა რატომღაც. ჩემი სხეული გრძნობდა, რომ მე და ნანა არ ვიყავით მარტონი. არ ვიცი სად, მაგრამ სადღაც ახლოს არის ადამიანი. მე არ ვიცნობ მას, არ ვიცი, ვინ არის, რომელია, მაგრამ იგი არასდროს არ მტოვებს. ხანდახან ცხადად ვგრძნობ მის სიახლოვეს და ეს სიახლოვე მაშხნევებს.

საჯოგაის წვერზე ვილაცა გამოტილა... პირველად იგი ნანამ დაინახა.

— ვინ იქნება?

— ან მწყემსია, ან ფერულა.

— ჯოგი არა ჩანს ახლომანლო.

— მაშ ფერულაა...

— ამ მაღალზე რაფრა სუნთქავს მავ ქალი, ჯო? — მეკითხება ფერულა.

— გამარჯობა, ფერულა! — ამბობს ნანა.

— კაი გამარჯობა, ზოვლი გოგო!

— რას ნიშნავს ზოვლი? — კითხულობს ნანა.

— გეტყვი ოდესმე, — ვამშვიდებ.

ცოტას ვისვენებთ და საქმეზე გადავდივართ. ნანა გონიერი გოგოა და სწრაფად ხვდება, რასაც ვუხსნი. ფერულა არ გვშორდება, ნანას ძალიან დაუძმაკაცდა. ნაცნობი მთების, ქედების, მდინარეებისა და სოფლების სახელის თქმას ვერ ვასწრებ. გუშანით ხვდება, რომელ სოფლისკენ ვიხედები და წამოიძახებს. ნანას ხელს ჰკიდებს, ცოტა განზე გაჰყავს, თითქოს იქიდან უფრო კარგად ჩანდეს და ხელით ანიშნებს:

— გოროზა! ხედავ, ჯო, ლოდნარის ხევის თავზე, — ყვირის და მხარზე ხელს ურტყამს ნანას.

— ვხედავ, ფერულა, ვხედავ.

— რამდენ უოჩაღია, აი გოგო, ნახე, ჯო? — მერე მანიშნებს, ახლო მივიწიო და ჩამჩურჩულებს: — გზის ბოლოს დაგიცილით. არ მინდა, სათევზიაში მარტო დაგინახონ დაბინდებისას.

— ერთად წავიდეთ, ფერულა, — ვეუბნები.

ნანა გაკვირვებული მიყურებს, მერე ფერულას უბრუნდება:

— ჩვენთან წამოჩანჩალი, შე ბლაცო, შენა.

ფერულა ხითხითებს, თან ნანას უახლოვდება, მერე ხელს სტაცებს და მიაქროლებს დაღმართში.

— უღურულა! უღურულა! გზა მშვიდობისა!

— ნელა, ფერულა, ნელა! — ვუყვირო.

— ნელა, შე გადარეულო! — აფრთხილებს ნანა.

— გამოდგი ფეხი, ჩქარა, ჩქარა, უფრო ჩქარა... — აბრაზებს ფერულა, ჭახჭახებს ფერულა და თავის ზამბარებიან ფეხებზე მიდინალალებს.

მზე ჩადის. განათებული ცის კრიალა ფონზე ქედები ტუშით დახატულს ჰგვანან. სათევზიაში პირველი ნათურები ინთება და ფარდებიდან ლამბაქისოდენა თვალებით იმზირებიან ცნობისმოყვარენი.

— ნანა, გინდა გაჩუქო დიდი დათვას ვარსკვლავები?

— მინდა.

— მიწისქვეშა სასახლეები?

— მინდა.

— ეღვმის ველი?

— მინდა! მინდა! მინდა!

ღრუბლები მზეს მალავენ. წვიმას აპირებს. რალაც დახასიათებაზე მომაწერინეს ხელი და თან გადაკრულად მითხრეს, ნანა ქალაქში ბრუნდებაო. მეწყინა. რატომ წინასწარ არ გამაფრთხილა? არ უნდა წასვლა. როცა წასვლა არ გინდა, ელი, როდის გაიძულდები წასვლას. როცა ამას დაგვიბრებენ, თვითონვე იტყვი, რომ წასვლის დროა, არაფრით არ გავალ გასაცილებლად. არ გავალ, არა!

მანქანა დაქოქეს.

არ გავალ, არა! მერე ფანჯარას ვუახლოვდები და ვაღებ.

მანქანა ღრიალებს. მგზავრები ხმამალა ოხუნჯობენ.

— გზა მშვიდობისა. უღურულა!

— მშვიდობით იარეთ.

— გუშინ წვიმას ხევი ჩამოუხვავებია ქანჭახთან.

— უღურულა!

— აბა, კარგად იყავი, ფერულა!

— კარგად, ნანა, კარგად, უღურულა!

— გმადლობთ... ფერულა, რას ნიშნავს ზოვლი?

— კარგს, გოგონა, კარგს.

უკანასკნელი მგზავრები სხდებიან. მძლოლი მანქანის საფეხურზე დგას და კითხულობს:

— არ წავიდეთ?

— წავიდეთ, წავიდეთ, ჯო.

— გეოლოგი არ მოვა ნეტავ?

— ფერულა, მოდი ყურში რალაც გითხრა, — ეხვეწება ნანა.

— გოუწიე ყური, ჯო, რომ გეუბნებიან! მე შენ გეტყვი, ვერ მიუწევ.

— ხა... ხა... ხა... ხა...

ფერულა აქეთ-იქით იხედება, ვიღაცას ეძებს. მერე ნანას ეჩურჩულება და ჩემი სამუშაო ოთახისკენ მორბის.

— მიდიან, ჯო!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— წავიდნენ, რა ჩემი საქმეა!
— რამდენი, ჯო! უღურულას არ ეტყვი?

—

— კარგი ახლა...

არა მჯერა ნანას გამგზავრება, ამიტომ უფრო არ მინდა საკუთარი თვალით დავაწვინდე. ფერულა გარბის. მანქანა დაიძრა. დაიძრა?

— უღურულა, უღურულა!

„წავიდა! — ჩაქუჩივით მირტყამს საფეოქლებში, — წავიდა, წავიდა, წავიდა!

„რა ვქენი! — ვფიქრობ და ოთახში დავდივარ, — რატომ წესიერად არ გამოვეთხოვე? რა ვქენი?!“

„წავიდა! — ისევ მირტყამს საფეოქლებში, — წავიდა, წავიდა!“

ეზოში გავდივარ.

„მართლა წასულა!..“ ვუყურებ დაცარიელებულ ეზოს, მერე გამცილებლებს ვეჯახები. წვიმას ელოდებიან. ყოველი მხრიდან ჩამოუფარებიან საბარგულზე ხელაკისფერი ბრეზენტი. ვერ მხედვენ.

მანქანა კლდეს მიეფარა, თან წაიღო ხმაური და ბენზინის სუნის. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ მივრბივარ, მივრბივარ თავქუდმოგლეჯილი და... გავშეშდი.

ვგრძნობ: არც ერთი გამცილებელი არ განძრეულა და მე მიყურებს. მათ დამცინავ მხერას ისე ცხადად ვგრძნობ, რომ შემძლია დავთვალო რამდენი არიან. არასოდეს ასე ნელა არ შემოვბრუნებულვარ. ცნობისმოყვარეებს დრო მივეცი, დამშვიდებულიყვენ და დაშლილიყვენ, მაგრამ არც ერთი არ ინძრეოდა. ნელა, ტატიტ დავბრუნდი. ისინი ორად გაიყვნენ და შუაში გამატარეს; „შპიცრუტენი!“ გავიფიქრე. „თუმცა სალდათები შედარებით კეთილი იყვნენ, ასეთი გამოხედვა ბევრად უფრო მწარეა როზგზე“. სწრაფად მოვხსრე სამუშაო ოთახის კარი.

იმ დღეს ძალიან ბევრი ვიმუშავე. დამეც კარგად მეძინა. ყველაფერი მეორე დღეს დაიწყო.

— „რა მარტო ვართ... რა სიმარტო-

ვეა...“ — გამახსენდა. ავდექი, ხელები ჯიბეში ჩავიყავი და დინჯი ნაბიჯით გავუყევი მანქანის გზას. ჩვენი ბანაკის შორეული რიახლო, იქ, სადაც გზა უკანასკნელად უხვევს და იკარგება, ბუჩქებს გადალმა, თეთრ ლოდზე ჩამოვჯექი. რა მოხდა? ვწვალბ და მინდა გავერკვე. რა მოხდა? რა მინდა? რა მოხდა? რადაც მინდა. რა — არ ვიცი.

თითქმის ყოველდღე მოვდივარ აქ, ფეხებს ძლივს მოვათრევ.

— რა მარტო ვარ... რა სიმარტოვეა...

ნუთუ მართლა ასეა?! ნუთუ ერთი გოგონა მავსებდა ასე და ასე დამცალა მასთან განშორებამ?! არა! ეს მე მაშინაც კარგად ვიციოდი. გამივლის... გამივლის... მაგრამ მინდა ვგრძნობდე, რომ საჭირო ვარ, რომ ვილაყას ვუნდივარ, ვუყვარვარ. ერთი შეხედვითაც კი რა ცხადი იყო ყველაფერი. ნუთუ სხვა შესძლებს, ასევე გამიტაცოს. გამივლის... გამივლის? ალბათ, გამივლის!

არასოდეს არ მიგრძენია სიმარტოვე. ნუთუ ეს არის სიმარტოვე? არა! ჩემს ირგვლივ არიან ადამიანები, უბრალო ადამიანები, რომლებიც ყოველთვის ივლისსმებნიან და რომლებმაც სიცოცხლე მაჩუქეს. ისინი თავისებურნი არიან: დამეტყო თუ არა სიცოცხლის პირველი ნიშნები, თავიანთ საქმეს დაუბრუნდნენ. განკითხვისა და დატუქსვის მეტს აღარაფერს აკეთებენ; თუმცა ღრმად აქვთ გულში ჩემი სიყვარული; ისე ღრმად, როგორც მიწისქვეშა სიმდიდრე, რომელსაც მიგნება უნდა. მეც ვგრძნობ ასეთსავე სიმდიდრეს, გულის კუნჭულში ფაქიზად შენახულს.

სიცოცხლე სავესა სიყვარულით! ეს ცხადია, მაგრამ ახლა არაფერი არ მალელებს, არაფერზე არა ვფიქრობ. „შენ მინდიხარ! შენთან მინდა!“

მე არ ავმდგარვარ, არც უკან მომიხედავს, მაგრამ ვიგრძენი, როგორ მომიახლოვდა ფერულა, დაიჩოქა, მხარზე ხელი წამითათუნა და ჩურჩულით მკითხა:

— დარლობ, ჯო?!



ქვეყნა



მოთხრობა

ელგუჯა ჩემს გვერდით მოაბიჯებდა, მძიმედ, ნელა. სიარული უჭირდა, ოფლში გაწურულიყო. ხელში ცხვირსახოცი ეჭირა და წარამარა იმშრალეზდა ოფლით დაცვარულ შუბლსა და ლოყებს.

— ყველაზე მეტად რას ინატრებდი ცხოვრებაში, ელგუჯ.

— რას ინატრებდიო? რა ვიცი.

— მაშ არაფერი გაინტერესებს?

— მაინცადამაინც ახლა, ამ წუთში?

— ჰო.

— ჩავიდეთ ჩოჩხათში და მერე გეტყვი, ჰქვას რომ მივუტახუნებთ, მაშინ.

— უმაგისოდაც უნდა თქვა.

— ალექო, თუ ძმა ხარ, მომეშივი.

— არჩილას ქორწილზე იტყვი, ჩოჩხათში?

— ჰო, დამშვიდდი ახლა?

ელგუჯას მამა რესტორან „სამგორში“ მუშაობდა მზარეულად; ჩასუქებული, ღაყღაყა კაცი იყო. მართალია, ელგუჯა მზარეულად არ მუშაობდა, მაგრამ მაინც მამამისს დაემსგავსა, გასუქდა. ბავშვობაში დიდი მოუსვენარი ვინმე იყო, სულ ქუჩაში დაეხეტებოდა. ზაფხულობით ტბაზე ბურთის სათამაშოდ დადიოდა, უთენია გასული შინ გვიან დამე ბრუნდებოდა. მერე კი, როცა ტბაზე ბურთის თა-

მაშს თავი მიანება, უსაქმურებს აეტორღილა; ძალიან კი აიყოლიეს იმ უსაქმურებმა.

ერთხელ ერთმა ბიჭმა დაალილავა, თან უთხრა, რაც სივანე გაქვს, სივარძელ მოგცემო! არავინ იცის, რაზე წაყინკლავდნენ. ვილაცამ კი მითხრა მაშინ, ელგუჯას და იმ ბიჭს გულში ერთი გოგო ჩავარდნიათო. ამაზე დიდი საკინკლაო და გასაყოფი, რაღა ექნებოდათ და უჩხუბრადაც ვერ მორიგებულან.

ისე, კარგი ბიჭი კი იყო ელგუჯა, კეთილი, დამყოლი და ამხანაგური. ლუკმას გაგიყოფდა, უკანასკნელ ლუკმას. იმ ვილაც ბიჭს რომ არ დაუთმო ერთხელ, ის სულ სხვა ამბავია; კაცმა რომ თქვას, მას შემდეგ ძალიან შეიცვალა, — ნაძალადევის ხიდთანაც სიარულს უფრო და უფრო უკლო, მაგრამ მთლად მაინც ვერ მიანება თავი: ხან ერთი ძმაკაცი გამოუვლიდა, ხან მეორე; ხან ერთს არ უტეხდა ხათრს და ხან მეორეს.

— ჰე, რას გაჩუმი? რას ინატრებდიმეთქი? — არ მოვეშივი ელგუჯას.

— ბიჭო! — გაეცინა, — რა უნდა ვინატრო, რა ვიცი. რას ვინატრებდი და... რას ვინატრებდი? ჰო, ცოლს რო ვითხოვ, ალექო, გაიგე?.. ცოლს რო ვითხოვ,

სიამარმა „ვოლგა“ თუ არ გაიმეტა ან სულ უბრალო „ზაპოროჟეცი“...

ხარხარი ამიტყდა:

— ველოსიპედს არ დასჯერდებოდი? ვინ გიყიდის, ბიჭო, „ზაპოროჟეცს“. ქალი თუ გაიმეტეს შენთვის, იქით უყიდე მანქანა.

— მეტი საქმე არა მაქვს, ხომ იცი! რაო, ვინმეზე ნაკლები ვარ?!

— ტყუილად ნუ ოცნებობ მანქანაზე, არავინ გიყიდის.

— დარწმუნებული ხარ?

— მე კი არა, შენ უნდა იყო დარწმუნებული.

— კაი, აბა ველოსიპედი იყოს, ყაბულსა ვარ. სიამარისაგან ისიც ხეირია.

ნაძალადევის ხილთან რომ დიდი გასტრონომია, იქ დადგებოდნენ ხოლმე ბიჭები, პაპიროსს ექაჩებოდნენ და ათას გეგმას აწყობდნენ. რა ვიცი, რა ჰქონდათ იმდენი სალაპარაკო. არც წვიმას დაგიღვევდნენ, არც ქარსა და თოვას: იღვნენ და ლაზღანდარობდნენ. ვინმე ქალიშვილი თუ გაივლიდა, მაშინვე გამოცოცხლებოდნენ:

— აუჰ, რა გოგოა.

— მამამისს „ვოლგა“ ჰყავს, გინდა, ნომერს გეტყვი.

— ნომერი რა ჰქირად მინდა!.. მაგ გოგოს კი ვითხოვდი, ძმაო.

— მანქანას თუ არ გიყიდდნენ, მაინც?

— შენ კედელს ხომ არ მიარტყი თავი ბავშვობაში.

— ეს რა თქმაა!

— აბა, უმანქანოდ არაფერი შეეშალოს.

მე ამ დროს სამსახურში ვიჯექი და რაიონებიდან გამოგზავნილ ფოლკლორულ მასალებში ვიქექებოდი. ოთხნი ვიყავით ოთახში, ჩემს პირდაპირ მაგიდასთან ხმელ-ხმელი, ჭადარა კაცი იჯდა და თავაუღებლივ მუშაობდა. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. უცნაური ჩვეულება ჰქონდა: ფეხებს ერთ ადგილას ვერ აჩერებდა, ერთთავად ამოძრავებდა მაგიდის ქვეშ. წევდა სიგარეტს და მუშაობდა.

ყოველთვის ერთსა და იგივეს ვფიქ-

რობდი იმ კაცზე: „თავდახრილი ზის და მუშაობს. ვთქვავთ დანაზოგი ფულით მანქანა იყიდა. მერე შემთხვევით მანქანაში მაზი ქალიშვილი ჩემმა ძმაცაყებმა გაიცუნეს. დაუმტკიცეს მსოფლიოს ნახევარი, ვადარიეს გოგო და ერთმა შეირთო კიდევ. საქმეა ეს?“

ფიქრებში გართულს მდივანი ქალის ხმა მესმოდა მეორე ოთახიდან:

— ტელეფონთან, ალექო!

ჩვენ ტელეფონი არ გვქონდა, სამაგიეროდ, გამგეს ორი ტელეფონი ედგა და მეც მეორე ოთახში გავრბოდი. ყურმილს ვიღებდი ხელში.

— გამარჯობა, მეცნიერო, — მესმოდა ელგუჯას ხმა და მეცინებოდა, — როგორა ხარ, მეცნიერო, ახალი ხომ არ აღმოაჩინე რამე?

არაფერი აღმომიჩინია-მეთქი, ვეტყვოდი.

— სანდალას უნდა შენთან ლაპარაკი, ნუგზარა სანდალას.

ახლა ნუგზარის ხმა მომესმოდა ყურმილში:

— პროფესორს გაუმარჯოს!

ბოლოს, თავკვეყერას ელაპარაკეო, მეტყვოდა. ვიცოდი, თავკვეყერას — ნოდარ კერესელიძეს ეძახდნენ და მეც მზად ვიყავი, ახლა მისი შეგონებები მომესმინა.

— მოკვდები, ბიჭო, ამდენი კითხვით! გარეთ გამოდი, ნახე, რა გოგოები დადინან, — და იცინოდა. ვიცინოდი მეც და თან ვშიშობდი: მდივან ქალთან არ წამომცდუნოდა რამე, თორემ მაშინვე მთელ სამსახურს მოსდებდა, ჩვენს ალექოს ასეთი და ისეთი ამხანაგები ჰყოლიაო.

ქალაღდების ქექვის გარდა თუ მიწნტერესებდა რამე, ვერ წარმოედგინათ ჩემს ძმაცაცებს. გოგოსთან რომ დავენახეთ, გაკვირვებისაგან, ალბათ, პირს დააღებდნენ...

უკვე მოღრუბლულიყო. ოდნავ ჩამობნელდა კიდევ. ელვა წარამარა გაიკაშკაშებდა ხოლმე ღრუბლიან ცაზე. ჰაერი დაიხუთა.

იქვე მანქანა გაჩერდა, კაბინიდან მოხუცი ვადმოვიდა, მოხუცს ქალიშვილი

მოხუცა. მანქანამ გზიდან გადაუხვია და თვალს მიეფარა.

მოხუცმა და ქალიშვილმა გზა განაგრძეს.

ჩვენ უკან მივყვებოდით: მე და ელგუჯა.

— ბიჭოს! — ჩაილაპარაკა ელგუჯამ და ნაბიჯს აუჩქარა, — ღვთის წყალობაა თუ საოცრება ამ უკაცრიელ ადგილას გოგოს გამოჩენა?!

— ნატერის ახლომაც ამას ჰქვია, — ვთქვი მე.

— შენ სულ ამას ნატრობდი, არა? — დამცინავად მითხრა და ნაბიჯს აუჩქარა, გამასწრო.

თბილმა ნიავმა დაუბერა. ცოტა ხნის შემდეგ მოულოდნელად მოწვიმა.

ქალიშვილს მოკლესახელოებიანი კაბა ეცვა. ერთი წაიკისკისა და გაიქცა. თითქოს ვგრძნობდი, როგორ ძლიერად ეცემოდა წვიმის წვეთები მის შიშველ, სუსტ მკლავებზე.

იქვე ფარდული იდგა; ქალიშვილმა და მოხუცმა ფარდულს შეაფარეს თავი. სხვა გზა არ იყო, ჩვენც უნდა გადაგვეწვივინა. ორ-სამ წუთში გასაწური გაგვიხდა ყველაფერი. ნისლი ჩამოწვა, წვიმა ხმაურით ასხამდა ფარდულის ყავრის სახურავზე. ელვის ნათელი აკაშკაშებდა წვიმით გაქლენთილ სივრცეს. ნაძვის ხის ტოტებიდან წურწურით იღვრებოდა წყალი.

ქალიშვილს სველი ნაწნავები ეჭირა ხელში და თითებით წიწკნიდა. როცა თამამად შეეხედავდი, სახეს მარილებდა ხოლმე. მე მაინც ვგრძნობდი, რომ მას ეღიმებოდა, — ჩუმჩუმად და ეშმაკურად.

ქალიშვილმა თმა გაიშალა. ლოყებზე და შუბლზე კი წყლის წვეთები უბრწყინავდა. მომეჩვენა, რომ მას სიცივისაგან გააქრჯოლა. მკერდზე დაიწყო გრძელი მკლავები. წვიმას უყურებდა.

— ვადაილებს, ბიძია? — ვკითხე მოხუცს.

ხმა არ ამოუღია. ქალიშვილმა გაცივებით შეხედა მოხუცს.

— ვადაილებს, ბაბუა? — ჰკითხა ქალიშვილმა.

მოხუცმა მხრები აიჩჩია. მერე ფანჯრის ყუთი აიღო და ზედ დაჯდა.

— მოდი, ბაბუა, აგერ დაჯექინს ლიან ხმამაღლა უთხრა მოხუცმა ქალიშვილს.

— ყურს ჰკლებია, — ჩავილაპარაკე მე. ავდექი, მოხუცს გვერდით მივუჯექი. მერე ქალიშვილს ვავხედე. ქალიშვილმა იგრძნო, რომ მის შიშველ კისერს ვუყურებდი. მაშინვე ადგა. და ფარდულის ბოძს მიეყრდნო.

მოხუცმა შემომხედა, შევატყე, უკმაყოფილო იყო.

იდაყვები მუხლებზე დავიბჯინე, ნიკაპი ხელისგულებზე დავიდე და წვიმისკენ გავიხედე.

მერე მოხუცს მივუახლოვედი და თითქმის ყურში ჩავძახე:

— ბიძია, თუ ვადაილებს ეს წვიმა?

— ვადაილებს, აბა, რას იზამს, — მშვიდად მომიგო მოხუცმა.

ელგუჯამ ქალიშვილის გვერდით დადგომა დააპირა, ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ ყოყმანი დაეტყო, — ვერ გაბედა. ავდექი და ქალიშვილთან მივედი. ჩვენს შორის ბოძი იყო ასვეტილი. ქალიშვილის სუნთქვა და წვიმის ხმაური მესმოდა. ძალიან ლამაზი გოგო იყო: გამხდარი და მაღალი. რატომღაც იგი ძალზე ახლობელი და დიდი ხნის ნაცნობი მეგონა. მინდოდა, სულ ახლოს ვყოფილიყავი მასთან და მელაპარაკა; მინდოდა, მთლად სველი ყოფილიყო, სიცივეს აეკანკალებინა, მკერდში ჩამეყრა და გამეთბო.

— რა გქვია? — ვკითხე მოულოდნელად.

— ცისია.

— ოჰო, რა კარგი სახელია!

— ლექსი ჩაიწერე რამე, — მომესმა ელგუჯას ხმა.

ქალიშვილს ეშმაკურმა ღიმოლმა გადაურბინა სახეზე.

— მოხუცთან ლაპარაკი უფრო მოგცემდა ხელს, — არ მომეშვა ელგუჯა, — ძველი კაცია...

ელგუჯა მოვიდა და ქალიშვილის გვერდით დადგა. არ იცოდა, ხელებისათვის რა ექნა, ადგილს ვერ პოულობდა. მე კი

ვიდექი არხინად. სიმშვიდესა და ერთადგილზე უძრავად ყოფნას სამსახურში ვიყავი შეჩვეული.

— რა ლამაზი სახელი ვრქმევია! — თქვა ელგუჯამ, — ერთ ჩემს მეზობელს ჰქვია ეგ სახელი. ისიც ლამაზი გოგოა.

ყველა მის მეზობელს ვიცნობდი, იგივე ჩემი მეზობლები იყვნენ. ცისია არავის ერქვა.

— ჩვენს მეზობელსაც ჰქვია ცისია. ისიც ლამაზია და მაღალი, — ვთქვი მე.

ელგუჯამ პირი დაადო, განცვიფრებით შემომხედა.

ხელები ჯიბეში ჩავიწყე. არხინად ვიდექი, მშვიდად. ძალიან თუ გამიჭირდებოდა, სიგარეტი მედო ჯიბეში და მოვწევდი. ესეც ასე! „იდექი, ელგუჯ, და იწრიალე. ნაძალადევის ხიდი არ გეგონოს“.

— ეს კაცი მამათქვენია? — ჰკითხა ელგუჯამ.

— ბაბუაჩემია! — მკაცრად უპასუხა ქალიშვილმა.

— ყრუა?

— ცოტა კი აკლია ყურს.

— რა დაემართა?

— მოხუცდა, — ისევ მკაცრად უპასუხა ქალიშვილმა და ამით ანიშნა, ასეთ სისულელეებს ნულარ მეკითხებო.

ელგუჯა დაიბნა. გაწითლდა. მისმა დაბნევამ უფრო გამათამაშა.

— ახლა აქ ყოფნას შინ ჯდომა აჯობებდა, — თქვა ელგუჯამ.

— რამხელა აღმოჩენაა! — ჩავილაპარაკე მე.

ელგუჯას სათქმელი აღარაფერი ჰქონდა. მისი „მცირე სატრფიალო ლექსიკონი“ ამოიწურა.

მე კი... მე ბევრ რამეზე შემეძლო მელაპარაკა. შემეძლო მესაუბრა ხევსურეთზე, სვანეთზე, მოხუც მელექსეებზე, კინომსახიობებზე... ბევრ რამეს კი მოვუყვებოდი, მაგრამ ელგუჯა რას მოგვიცოდებოდა!

მოხუცი უძრავად, გაქვავებულივით იჯდა.

— ელგუჯ, საინტერესო მოხუცია, არა? — ვკითხე მე, — მიდი, რამეს მოგიყვება.

ელგუჯამ სიგარეტს მოუკიდა, გაწევიანდა და იქვე მორის გადანაჭერზე ჩამოჯდა.

მოხუცი ადგა, ფარდულის კარები გააღო. ფარდულში სიგრილე და სინესტე შემოიჭრა.

ცისიას კანკალი აუვარდა. გამახსენდა, ელგუჯას პატარა ჩემოდანში საწვიმარი ედო. გავხსენი ჩემოდანი, საწვიმარი ამოვიღე და ცისიას მოვახურე. ელგუჯა კი, თითქოს აქ არაფერი მომხდარათ, არხინად იჯდა. ამას სიტყვაზე ვამბობ, თორემ არა მგონია, არხინად მჯდარიყოს.

— ელგუჯა, არც ახლა ინატრებდი რამეს?

გალურსული იჯდა ჩემი ძმაცაყი. ვგრობობდი, რომ ბოლომთ იყო სავსე.

მოხუცმა ქისა ამოიღო ჯიბიდან. ყალიონი მუხლებზე დაიდო, მერე თუთუნი დაიყარა ხელისგულზე, ყალიონში ჩატენა. კაჟზე აბედის ბეწვი დადო და კვესი გაჰკრა.

— ელაპარაკე, რამე, ელგუჯ, გაართე.

— მოდი შენ ელაპარაკე.

— არ მცალია.

— ეე...

— „ზაპოროჟეცე“ ჩამოუგდე საუბარი. იქნებ „ვოლგაც“ იკისროს. თუ თქვა, ჰოო, ალალი იყოს შენზე, ძმაო. არადა...

— ჯანდაბას „ზაპოროჟეცი“.

მივხვდი, რომ მეტისმეტი მომივიდა. ძალიან კი დაიჩაგრა ჩემი ძმაცაყი. მერე ყველანი გამახსენდა: სანდალა, ნუგზარა, თავკვეყერა ნოდარა, ჭაჭყანა შამილა, გოდერძა... ძალიან დაჯერებული რომ არიან საკუთარ თავში, ვაჟკაცებად რომ მოაქვთ თავი, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ენა მუცელში ჩაუვარდებათ.

— მოდი რა, დაჯექი, — მითხრა ელგუჯამ, — ხუმრობას ვერ გაუგებ კაცს. ჯანდაბას ეგ „ზაპოროჟეცი“ და ყველაფერი...

ცისიას მივუბრუნდი.

— ცისია.

— რა?

— ამ სოფელს იქით რა არის?

— რიონია. რიონს გაღმა დიდი მინდვრებია.

— იმ მინდვრებში გივლია?



— არა. მარტო ვინ გამიშვებდა.
 — მთაში ყოფილხარ?
 — მთაში ვინ გამიშვებს.
 — მთა მართლა საინტერესო კია.
 — გივლია მთებში? — მეკითხება ცისია.

— ყოველ ზაფხულს მთაში ვატარებ. მთაში მათე და ბაჩანა დავტოვე, ახლაც იქ ცხოვრობენ.

— მათე და ბაჩანა ვილა არიან?
 — ჩემი ძმები. ორივენი მაღალი, ტანადი ბიჭები არიან.
 — მარტო ცხოვრობენ?
 — ჰო, ბნელი ღამე იცის მთაში. ნადირის ღმუილი ისმის ხოლმე ბნელ ღამეში.

— საშიში არაა?
 — საშიში კია, მაგრამ ჩემს ძმებს არ ეშინიათ... სანადიროდაც ხშირად დადიან. გავლენ ალიონზე და მთელი ღღენ ნადირობენ.

— რა კარგია!
 — მთა რად გაინტერესებს?
 — არ ვიცი...

გავჩუმდი. შევეყურებდი ცისიას, მის სველ თმას, პატარა ტუჩებს, ცოცხალ თვალებს... სიჩუმე ვერ ავიტანე და ავლაპარაკდი.

— ცისია, შენ ძალიან კარგი გოგო ხარ...

— კარგი გოგო კია, ბიძია, მარა უპატრონო არაა მავი! — მომესმა მოხუცის ხმა.

„რალა ახლა დაუბრუნდა სმენა“. გავიფიქრე საქციელწამხდარმა.

გზაზე შავი „ვოლგა“ გაჩერდა. შოფერიმა მინა ძირს დასწია და თავი გამოჰყო.

— დასველდით? ვიცოდი, გზაში იქნებოდათ. ბოდიტ და წამოვედი კიდეც. აბა, ჩუქრად გამოიქეცით. ცისია, ეგ ბიჭები შენი ამხანაგები არიან?

— არ ვიცი... — წაიჩურჩულა დაბნეულმა ცისიამ. მერე შემომხედა და გაცინა.

ცისია და მოხუცი წვიმაში გავიდნენ. მე დავინახე, როგორ ერთბაშად დასველდა ცისია. მანქანაში ჩასხდნენ. ცისიამ დაორთქლილი მინა გაწმინდა. მე ვხედავდი მის თვალებს, პატარა ცხვირს, წარბებს...

მანქანა დაიძრა, მერე ისევ შედგა.
 — საით, ბიჭებო! — გამოგვძახა მძღოლმა.

— ჩოჩხათში მივდივართ, მეგობრის ქორწილში.

— ახლავე მოვალ. თუმცა... გამახსენდა, ჰო... მე საავადმყოფოში მივდივარ. ცოლი მიწვევს იქ, ამ გოგოს დედა. ჩემს ძმას გამოვიგზავნით, ახალი „მოსკვიჩი“ ჰყავს. ბოდიშს კი ვიხდი თქვენთან „მოსკვიჩით“ რო გამგზავრებთ, მარა... — და დაიძრა მანქანა. დაორთქლილ მინაში ცისიას ხელი ჩანდა. მე მიქნევდა ხელს.

გაოგნებული ვიდექი. გზაზე გავედი და დიდხანს გავცქეროდი მანქანას, რომელშიც ცისია იჯდა.

ელგუჯამ მხარზე ხელი დამარტყა და ღიმილით მითხრა:

— ჰე, ძველო, ცისიას გაქრობა გეწყინა თუ იმ კრიალა „ვოლგისა“?.. რა მანქანა იყო, ბიჭო!

„ნეტაი შენ, მანქანის მეტი რომ არა გაინტერესებს რა“... ეს ისე გავიფიქრე, ჩემი ძმაცისათვის არაფერი მითქვამს.



ლონო ჟონი აკოხიას

იუმორისტული ნარკვევი

ბახსენება პირველი. კოტე

კალენდარს არც ერთი ჩემი ნაცნობის დაბადების დღე არ ამშვენებს იენისში. არც უბის წიგნაკში მიწერია იენისის გასწვრივ ვინმე. მაგრამ არ იფიქროთ, წელიწადის ამ მშვენიერ დროს მხოლოდ გამაგრილებელ წყალს ვსვამდე. თუ წარმოიდგენთ, რომ ჩემი ნაცნობი ასპირანტებიდან რატომღაც ყველა იენისში იცავს ხარისხს, და ამას დაუმატებთ გეგმით გაუთვალისწინებელ ქელებებს, თვის ბოლოსთვის საკმაოდ მძიმე სურათს მიიღებთ.

სწორედ ასეთი სურათი გამომიფრიალა ექიმმა ქალმა, როდესაც ჩემს ჯანმრთელობაზე ეჭვმიტანილმა რენტგენზე გაშუქება გავბედე.

— მეშველება რამე? — უიმედოდ ვკითხე მკურნალს.

— აბა, რისთვის ვართ ჩვენ, მედიცინის მუშაკები?! — ეწყინა მას, — კიბო რომ გქონდეს, კიდეც ჰო. გული გაქვს ცოტა ცუდად. შენთვის ზღვაა გამოწერილი.

ეს არ გამოუწერია, ისე მითხრა. თან გამაფრთხილა:

— იცოდე, ღვინოს არ გაეკარო!

— სათოფეზე არ გავეკარები! — ვთქვი ცხოვრებაზე გულმობრუნებულმა, წინასწარ გამზადებული „კრასნაია მოსკვას“ ფლაკონი ხალათის გრძელ ჯიბეში ჩავუტურე და გარეთ გამოვვარდი.

შინ ამ ამბავს დიდი სიხარულით შეხვდნენ (გვულისხმობ ჩემს ზღვაზე წასვლას). ცოლმა თანამგზავრად თავისი თავი წარმოადგინა. კინაღამ დამბლა დამეცა. და აი, აქ, ჩემს ცხოვრებაში პირველად, სიდედრის მხარდაჭერა ვიგრძენი:

— ქუკა (ასე მეძახდა მოფერებით) ზღვაზე მარტო წავა. იგი ბავშვი არ არის. მას სულიერი სიმშვიდე სჭირდება და არა წანწალი!

გადაწყდა: მივდიოდი მარტო. მარშრუტი — შავი ზღვის სანაპიროს რუსეთის ტერიტორია. ამით თავიდან ვიცილებდი ნაცნობებთან არასასიამოვნო შეხვედრებს. მკაცრად განსაზღვრული თანხით სასმელებიდან მხოლოდ ლიმონათისა და ტომატის წვენი ათვისება შემიძლო.

სავარაუდო პუნქტად დასახლებული

იყო — სოჭი, განთქმული რძისა და კარაქის ნაწარმით.

მეორე დღესვე სოჭში ვიყავი.

გადმოვდგი თუ არა მატარებლიდან ფეხი, მებდღენენ ვიღაცეები და ჰაერში ამიტაცეს. თან ველურებივით ყიჟინებდნენ. მაღლიდან ვიცანი: ინსტიტუტის ძმაკაცები იყვნენ, ხორბლისფერები, კუნთებად ქცეულნი.

მათ დანახვას ციკლოპის დაღებულ ხახაში ჩავარდნა მერჩია.

— ვა, ტიპი ნახე!

— პრივეტ იზ სოჩი!

— მაშ დღეს შავგებიერია!

— „ინსტიტუტში“ მოდი, იქა ვართ!

— აბა, წავედით, სტუმრებს ვხვდებით, სიმონ!

ნიჩბისოდენა ხელები დამიქნიეს და გავარდნენ.

ნაცემივით გავედი ქალაქში. ქუჩა საესე იყო ხალხით. ირგვლივ შუქნიშნებით კიფობდნენ ნაცნობი სახეები. ქართველ ბიჭებს ძმურად გადახევიათ ხელი ქერა გოგონებისათვის. ქართველი დედები ჩქარი ნაბიჯით შედიოდნენ უნივერსიტეტში. რესტორნიდან ისმოდა ქართული მრავალყამიერი.

ჩემი აქ გაჩერება ყოვლად შეუძლებელი იყო.

ზღვასთან ვიდექი და არ ვიცოდი, რა წყალში ჩავვარდნილიყავი.

და უცებ გამახსენდა: სოხუმში, მავან და მავან ქუჩაზე, ცხოვრობდა ჩვენი შორი-ახლო ნათესავი. კოტე ერქვა სახელად. ათი წელი არ მენახა. ერთი მოლეული ვინმე იყო. ამბობენ, მამამისი, მთასავით კაცი, თავში ირტყამდა ხელს, ეს რა ვქენი, როგორ დავლუბე გვარიო. მეჩრე საწყალ კოტეს ნახევარი კუჭიცი ამოაჭრეს და უჭმელობამ სულ დააჩიავა თურმე. მგონი, ღვინის სმაც აკრძალული ჰქონდა.

ერთი სიტყვით, ჩემი რეჟიმისათვის საშიში არ იყო, თორემ რას გავიხსენებდი!

დავკარი ფეხი და გადმოვინაცვლე შავი ზღვის სანაპიროს საქართველოს ტერიტორიაზე.

არც მოგტყუვდი: პლაჟი დაეპყრო ტურისტებს. იყო აპარატების ჩხაკუნება და უცხო აქცენტისანი სიცილი.

წამლად არ ჩანდა ნაცნობი ქართული პროფილი.

გახარებულმა მისამართების ბიუროს მივაშურე.

ათ წუთში ყველაფერი ხელთ მქონდა. კოტეს სამსახურის მისამართიც კი ამომიწერეს. ფინგანში მოწყობილიყო ბუღალტრად.

ის-ის იყო სამუშაო დღე მთავრდებოდა. გადავწყვიტე სამსახურში მიმესწრო.

ტაქსმა ხის ძველ შენობასთან დაამუხრუჭა.

ავირბინე კიბეები და შევალე კარი, რომელსაც მოჩუქურთმებული ასოებით ეწერა: „ბუღალტერია“.

შიგნიდან საანგარიშოების ჩხაკუნის ხმა და დახუთული ჰაერი მეცა.

ჩამწკრივებულ მაგიდებს შევსამკლავრებიანი თანამშრომლები უსხდნენ. ერთი რალაცას ყვიბოდა. სხვები ისმენდნენ, მაგრამ ციფრებისაგან გამომშრალ სახეს ქალაღდებს არ აცილებდნენ.

კოტე ხელად ვიცანი. კუთხეში იჯდა. დიდი მაგიდის ზემოთ ძლივს მოჩანდა მისი გამხდარი მხრები. თეთრი ტილოს ხალათი ეცვა. სკამზე წიგნები და ბალიში ეწყო. ფეხს იატაკამდე ვერ უწევდა და სასაცილოდ გამოიყურებოდა. მარჯვენა ხელის თითებს საანგარიშოზე ათამაშებდა, მარცხენას კი ქალაღდს აყოლებდა.

ერთი სიტყვით, საქმეში იყო ჩამძვრალი.

მე ჩავახველე. ყველამ ჩემკენ მოაბრუნა თავი, კოტემაც ამოიხენდა. ჩემი დანახვა ეუცნაურა, მაგრამ გაუხარდა კი — აღვიღე აწრიალდა, თვლებში ნათელმა სხივმა გაუბრინა. ფრთხილად ჩამოცურდა სკამიდან და შუა გზაზე შემომხვდა. ფეხის წვერებზე აიწია, მეც ოდნავ დავიწიე და ასე ვაკოცეთ ერთმანეთს. ხელი მომიდა და კარისკენ გამიძღვა.

— საღ მიგყავს, აქ მოიპატიე! — და აღევნა გვერდით მჯდომმა კაცმა, თან

თავისუფალი სკამი მისი მაგიდისკენ გააცურა.

თითქოს ამ ნებართვას ელოდაო, კოტეც სწრაფად შემობრუნდა. კუთხისკენ წამიყვანა, სკამი უხმაუროდ მომიწია, თვითონაც დაჯდა და სიყვარულით დამიწყო ყურება.

ჩურჩულით მოვიკითხეთ ერთმანეთი.

— კოტე, სტუმარს არ გაგვაცნობ? — კეკელუცად იკითხა შუახნის თმაშეღებილმა ქალმა, რომელიც, ჩანდა, გაუთხოვარი უნდა ყოფილიყო.

კოტე წამოწითლდა:

— ჩემი ახლო ნათესავია... თბილისელი... ათი წელია არ მინახავს...

მე წამოვდექი და ყველას მივესალმე.

— თბილისშიც ასე ცხელა? — მკითხა ერთმა და საყელოში ჩაფენილი ცხვირსახოცი გადაიბრუნა.

— იწვის იქაურობა. თქვენ ზღვა მანც გაქვთ.

— ეჰ, ზღვა ჩვენი არაა, ბიძიკო, ჩამოსულეებისაა...

— რას ამბობთ, ყველას გვეყოფა.

— სადამომდი ჩოთქს რომ ვუხატქუნებ თავს, მერე ძალით თუ ჩამავდებ ზღვაში, თორემ ჩემით ჩამსვლელი არა ვარ.

— ეს კია... — ვთქვი უხერხულად.

კოტეს ჩემთვის თვალი არ მოუცილებია. უხაროდა, ამ ხალხთან საერთო ენა რომ გამოვანახე.

მალე ყველა საქმეს მიუბრუნდა. კოტემ ადგილობრივი გაზეთი მომაწოდა, არ ვიცი, წასაკითხად თუ სანიავებლად, მერე თვითონაც ციფრებში ჩარგო თავი.

— შენ კიდევ მუშაობას აგრძელებ? — მიუბრუნდა კოტეს გვერდით მჯდომი.

— ცოტა დამრჩია... — გაუბეღავად თქვა მან.

— ხვალ ქენი, შე კაცო. სტუმარს, ალბათ მოსვენება უნდა.

— რას ბრძანებთ! — გამოვიდე თავბატივი, — რალა დარჩია... ნახევარი საათი...

— მით უმეტეს! — თქვა მეზობელმა და წამოდგა. ეტყობა, მთავარი ბუღალტერი იყო.

ძლივს ააგლიჯა კოტე მაგიდიდან. ისიც შეურეგდა ბედს. მილაგ-მოალაგა ქედალდები, შავი სამკლავურები მოიხსნა ნახვამდისო, დამნაშავესავით თქვა და კარისკენ გამიძღვა.

ქუჩაში გავედით. კოტე წელში გასწორდა, ღრმად ამოისუნთქა.

— მაშ, კარგადა ხარ, ა? — მკითხა უკვე ხმამალა და ხელი მხარზე დამარტყა, — არა გრცხვენია? ქუჩაში ერთმანეთი ველარ უნდა ვიცნოთ?

— ხომ იცი, ჩემო კოტე, ოჯახი, სამსახური... — დავიწყე ბოდიში.

— სამსახური, თორემ მე და შენ ქვეყანას ავაშენებთ! — ისე არალ-თარალად მითხრა, თითქოს არ მენახოს, რაც იყო სამსახურში.

— შინ როგორა ხართ? — ერთი სული მქონდა, მისი ოჯახის შემადგენლობა დამეზუსტებინა.

— ცოლ-შვილს მოვეკიდე, — მითხრა და სახე გაუბრწყინდა, — ბიჭი მყავს!

— მართლა?! მომილოცავს.

— ახლა სოფელში არიან... შინ შესვლა მეზარება...

— ძნელია მარტოობა, — ვუთხარი თანაგრძნობით. გულში კი მიხაროდა, მარტო რომ იყო.

რესტორან „ინტურისტთან“ შეჩერდა.

— აქ შევიდეთ, — მკლავში ხელი მომიკიდა, — მუდამ ახალი ხორცი აქვთ.

გამგელებული ვიყავი. უარს როგორ შევკადრებდი!

დარბაზში ტევა არ იყო. უმრავლესობა ტურისტები მიჩანდნენ.

კოტემ ძლივს დაიჭირა მაგიდებს შორის მოფრიალენ უღვაშაპარებილი ოფიციანტი.

— არიქა, გვიშველე რამე, — უთხრა და თვალი ჩაუკრა.

ამ თვალის ჩაკვრამ ჯაღოსავით იმოქმედა ოფიციანტზე. წამით ჩაფიქრდა. მერე მოგვიკიდა ხელი, კუთხეში მიგვიყვანა და თავის სამომსახურეო პატარა მაგიდასთან დაგვსვა.

— რას დალევთ?

— ლიმონათს, — ჩავილაპარაკე მე.

ოფიციატმა მოულოდნელობისაგან დაასლოკინა. კოტემაც გაკვირვებით შემომხედა.

— მხოლოდ ლიმონათი, შენი ჭირიმე! — დავედრიჯე კოტეს.

— რას ამბობ, თავი მოგვეჭრება!

— არ შემიძლია. გული მაქვს ცუდად. ექიმებმა ამიკრძალეს.

— ერთი ექიმების... — მსუბუქად შეიკურთხა კოტემ, — მაგათ რომ უყურო, გადაგრევენ, — მერე ოფიციატს მიუბრუნდა, — თითო „წინანდალი“ ჩამოგვიდგი, ისე, ზრდილობის გულისათვის...

ოფიციატმა ულვაშებში ჩაიცინა და გასრიალდა.

წამში დატვირთული დაბრუნდა. მშვენიერი სუფრა გაგვიწყო, სულგუნი და მწვადი იწვებო, მოგვახსენა და დაგვტოვა.

კოტემ ბოთლს ხელი წაავლო. მე მომცრო ჭიქა შევეუშვირე.

— შენი ჭირიმე, ეგეთი რამეები არ დამიწყო! — გამაფრთხილა და დიდმუცლიან ჭიქაში ბოთლის თავი ჩამიტრიალა.

მერე თავისივე შეივსო პირთანმდე, ეს ჩვენს ნანატრ შეხვედრას გაუმარჯოსო. მომიჭახუნა და სულმოუთქმელად დაცალა.

წინაღმდეგობა ვეღარ შევებდე. მეც გადმოვაპირქვავე სასმისი. ღვინომ ქრუანტილივით დამიარა.

ამასობაში ორკესტრმა რომელიღაც უცნობი მელოდია წამოიწყო. დარბაზი ავუგუნდა და შესანიშნავ ხასიათზე დავდექი.

მეორე სადღეგრძელო ჩვენს გენალოგიურ შტოს ეკუთვნოდა. ამის გამოტოვება უხერხული იყო.

მესამეტი ჩვენი ცხოვრების ყვავილების კარგად ყოფნისა შემომთავაზა. ბიჭი იყავი და გეთქვა უარი!

ღვინო გათავდა. კოტე თავს არ იწუნებდა. მიხაროდა, ასე იოლად რომ ვუძვრებოდი ხელიდან.

მაგრამ მოსრიალდა ოფიციატი და ორი ბოთლი კვლავ ჩამოგვიდგა.

ახლაც არ ვიცი, როდის მოასწრო მისი გაფრთხილება!

— მშობლების სადღეგრძელო არ დაგვილოთ? — მკითხა მორჩილად.

— მშობლების კი.

ამას მოყვა ქართველების, მერე ჩვენი მიწა-წყლის, მერე მშვიდობის და ა. შ.

მეტი კი არ შემეძლო. ცეცხლი წამეკიდა.

ორკესტრი ახლა რაღაც უცხოურს უკრავდა.

— ამ ურჯულოებმა სულ დაივიწყეს ქართული! — თქვა ბრაზით კოტემ.

წამოდგა, ხელმძღვანელთან მივიდა. რაღაც უთხრა, თან ჯიბეში ხელი ჩაუტყურა. მაგიდასთან დაბრუნებულიც არ იყო, რომ უცებ მუსიკა შეწყდა, თითქოს მიმდები გამორთესო. წამიც და ჰაერში აედერდა „თბილისის“ საამო ხმები. დარბაზში წყვილები აცეკვდნენ.

კოტემ სკამზე გადადო ხელი და იმ კმაყოფილი მოქიფის იერით, რომელსაც საათითთა აქვს აწყობილი საქმე, დარბაზს დაუწყო ცქერა.

— უყურე იმათ, — მოპირდაპირე კუთხისკენ გამახედა. მაგიდას სამი უცხოელი ვაჟი და ერთი ქალიშვილი უსხდნენ, — რაც მოსულან, ერთ ბოთლ ღვინოს წრუპავენ.

— ასეა, ძმაო, ტურისტობა! — ვთქვი საქმის ცოდნით, — სასმელისთვის გენალება ფული. არადა, ცოდვა ხარ.

კოტეს, ეტყობა, ეს სიტყვები გულში ჩარჩა. ანგარიშს რომ ასწორებდა, ოფიციატს ფულთან ერთად რაღაც დავალება მისცა.

წამიც და ბოთლი კონიაკითა და შოკოლადის ფილით ხელდამშვენებული ოფიციატი კუთხის მაგიდას მიადგა. უცხოელებმა, რა თქმა უნდა, იუცხოვეს.

მაშინ ოფიციატი, რაგორც წესია, ხელში მოიშველია. თან ჩვენკენ ანიშნებდა.

ისინი მიუხვდნენ, თვალეები გაუბრწყინდათ და ჰაეროვანი კოცნა გამოგვივზავნეს.

— აბა, მივედით! — ბრძანა კოტემ და ოღნავ ფეხარეული დაიძრა.



დამჯერე კვიცივით მივეყვი.
 უცხოელები შემოგვხედნენ და მიგვი-
 პატიყეს. კოტემ კონიაკი ჩამოასხა და
 საითთაოდ ჩამოარიგა.

— მირ, დრუჟბა! — ლოზუნგით ის-
 როლა და გადაჰკრა.

— დრუჟბა, დრუჟბა! — აიტაცეს უც-
 ზოელებმა და მათაც გადაჰკრეს.

მერე ერთმანეთს ხელი გადავხვიეთ და
 „მოსკოვური საღამოების“ სიმღერით
 კარისკენ დავიძარბით.

უცხოელები ვესტიბიულში დაგვიცილ-
 დნენ. ზევით აღიოდნენ, სასტუმროში.
 ჩეხები ყოფილიყვნენ.

— დრუჟბა, დრუჟბა! — ისმოდა მზი-
 არულად კიბებებიდან.

გარეთ გამოვედით. უკვე ბნელოდა და
 ქუჩებში ლამპიონები ციმციმებდნენ.
 პროექტორის შუქი ცისარტყელასავით
 ეკრა ზღვას.

— ზღვაში ჩასვლა გინდა? — მკითხა
 კოტემ.

ეს სიტყვები ენაზე მადგა, შაგრამ
 თქმას ვერ ვბედავდი.

მოვიკიდეთ ერთმანეთს ხელი და ბავშ-
 ვებოვით გავიქეციით. ქვიშაზე შეყვარე-
 ბული წყვილები ისხდნენ და ზღვას გას-
 ცქეროდნენ. ზოგიერთები წამოწოლილი
 გასცქეროდნენ ზღვას. ჩვენ მათ ვერ ვამ-
 ჩნევდით და თავზე ვახტებოდით.

კოტემ მყუდრო ადგილი მონახა.
 ზღვას სახლის დიდი კედელი ეფარებო-
 და ქალაქის მხრიდან.

ხელად გავიხადე და ზღვაში გადავეშ-
 ვი. წყალმა განუზრებელი სხეული გამიგ-
 რილა. ცურვით რომ გული ვიჭერე, კო-
 ტეს მოვხედე:

ნაპირზე იდგა ტრუსის ამარა. შორი-
 დან ჭინკას ჰგავდა. მერე ოდნავ შემოვი-
 და ზღვაში, დაიხარა და წყალი სახეზე
 შეისხურა. თავზეც გადაისხა. ეტყობა,
 ცურვას არ აპირებდა. მაგრამ უცებ მოხ-
 ვდა ტალღა, წააქცია და ნაფოტივით ამ-
 ოატივტივა. ერთხანს იფართხალა წყალ-
 ში, მერე ოთხზე დამდგარი ნაპირისკენ
 წაბობლდა.

მეც მალე ამოვედი წყლიდან.
 უხმოდ ჩავიცივით. სისველემ მაისუ-

რიდან პერანგში გამოატანა. ამამუდაგა
 — მგონი, შეგცივდა, — შემატყუ-
 ტემ, — კონიაკი მისწრება იქნებმა!
 ჩემთვის უკვე სულერთი იყო.

მალე ერთი მყუდრო რესტორნის ბუ-
 ფეტთან ვიდექით. კონიაკი უკვე გადაკ-
 რული გვექონდა და პაპიროსის კვამლსა
 და ტანგოს ტაქტში ჩაძირულ დარბაზს
 ვუსცქეროდით.

— გინდა, კარგ გოგოსთან გაცეკ-
 ვებ? — შემომთავაზა კოტემ.

— არ მინდა! — დავიღრიჯე მე. არაფ-
 რის თავი აღარ მქონდა.

— აბა, ჩვენი მისია აქ ამოწურულია!
 აქედან ერთ სასადილოში გამაქანა, იქ-
 იდან ღია კაფეში გამომაქანა, მერე საღ-
 გურის ჩაქეტილ რესტორანში ამომაყო-
 ფინა თავი.

ბოლოს ბაქანზე გავედით და ცხვირსა-
 ხოცების ფრიალით გავაცილეთ № მატა-
 რებლით მიმავალი მგზავრები.

კოტემ ერთი წუთით პაპიროსის საყიდ-
 ლად დამეთხოვა. მე ბაქანზე წინ და უკან
 ქანაობა დავიწყე. შორი-ახლო ვილაც
 ბნელი ტიპები ვაჩერდნენ. გრძელი კე-
 პები თვალეზზე ჰქონდათ ჩამოფხატული.
 გავიარე — გამყვნენ, გამოვიარე —
 გამოამყვნენ.

სიმთვრალისაგან შიშის გრძნობაც და-
 კარგული მქონდა. პირდაპირ მათკენ წა-
 ვედი.

პირველად შეკრთნენ. მაგრამ დარწ-
 მუნდნენ, რომ ეს ღვინის სითამამე იყო
 და ჯიბეებში ხელნაყოფილებმა ჩემკენ
 წამოიწიეს. წრე თანდათან იკვრებოდა.

და ამ დროს ქრისტესავით გამოჩნდა
 კოტემ.

— რა ხდება აქ? — სლოკინით იკით-
 ხა მან.

— ისეთი არაფერი... ეს ვაჟბატონები
 რალაც მგონი „ხაჭაპურო, ხაჭაპუროს“
 მეთამაშებიან! — მომეცა რატომღაც
 გული.

თურმე არც ისე უსაფუძვლოდ. წრე
 ჩემს გარშემო ხელად გაიხსნა. ბიჭები
 აწრიალდნენ. ქულები აიწიეს. კოტეს
 მომღიშარი სახე უჩვენეს.



— ბოდიში, კოტეჯან!

— გვაპატიე, შენი ჭირიმი!

— ჩამოსული გვეგონა!

მაგრამ კოტე შეუბრალებელი იყო:

— ამას ვინც აწყენინებს, ჩემთან ექნება საქმე!

ბიჭები ოთხად მოიკეცნენ და აორთქლდნენ.

— ახლა რა ვნახოთ? — მკითხა კოტემ.

— შენი სახლი, — გამოვუტყედი მე.

სადგურის მოედანზე გამოვედი.

— ვაიმე, დედა! — დაიყვირა უცებ კოტემ.

— რა იყო! — ვეცი შეშინებული.

„...ზღვა დამშრალააა,

მოსხრიგინობს პარახოლი-ი“, —

ალავერდივით გადმომაწოდა და შემომამშტერდა.

„აწი მაინც ხშირად ვნახავ,

რალაი დავიახლოვდი-ი“...

უფრო ხმამაღლა ავიტაცე მე.

თან ვმღეროდით, თან მანქანებს ხელს ვუწევდით. კაციშვილი არაფრად გვაგებდა.

კოტემ ახლა ქუჩის შუაში გადაინაცვლა და იქიდან ითხოვდა ყურადღებას. არც ამან გაჭრა.

მაშინ ვაბრაზდა, იძრო ხალათი, ტორადორივით გაიჯგემა და ფეხების ბაკუნით წინ დაიძრა.

— ტორო, ტორო! — იძახდა გაღიზინებული და მანქანას წითელი მოსასხამივით უხვევდრებდა ხალათს.

მანქანა ჯერ პირდაპირ მისკენ მიდიდა, დაუნდობლად, თვალების ბრიალით, მაგრამ უკანასკნელ წამში შედრკებოდა, ფინტს გაუკეთებდა და კივილით ჩაუქროლებდა.

ბოლოს გარაჟში მიმავალ ავტობუსს შევეცოდეთ და იმან აგვიტაცა.

კოტე მთლად გადაირია. წინ მჯდომ მელოტს წკიპურტი დაუპირა. ძლივს დავეუქირე ხელი.

გატრუნულ მგზავრებს ბუსავით დაეჭყიტათ თვალები. რომ შეატყვეს, დაწყნარდაო, ისევ ძილს მისცეს თავი.

კოტემ ზიბიდან ერთი მუქა ხურდა ამოიღო. ვიფიქრე, მძლოლისთვის მინდა მეთქი.

უცებ ხელი ზევით აიქინა და ხურდა მთელი ძალით ჭერს მიაყარა.

ფულები ჩხრიალით წამოვიდა ძირს.

მგზავრები წამოცვივდნენ. ხელი თავებზე იტაცეს.

კოტე მშვიდად იყურებოდა ფანჯარაში.

— აი, მოვედი! — თქვა ბოლოს მან.

მძლოლმა ბუზღუნით დაამუხრუჭა.

— ვაი, თქვენს პატრონს! — დაგვაღევნა ვილაცამ.

კოტემ ძლივს მიაგნო სახლს, ძლივს გააღო კარი, ძლივს აანთო სინათლე. მე ტახტზე მიმითითა. თვითონ საწოლზე დაეცა და ხვრინვა ამოუშვა.

ღილით ადრე გამეღვიძა. გულმა შემაწუხა. თავიც გასკდომაზე მქონდა. წარმოვიდგინე, რა სახეები ექნებოდათ ჩვენებს, ჩემი დასვენების პირველი დღისთვის თვალი რომ შეესწროთ. თმა ყალყზე დამიდგა.

კოტეს გადავხედე. მშვიდად ეძინა. სახეზე უმანკო ღიმილი გადაფენოდა, თითქოს წუხანდელ გიჟობაში არავითარი მონაწილეობა არ მიეღოს.

არა, აქაც შეუძლებელი იყო ჩემი გაჩერება.

ფრთხილად ჩავიცივი და წამოვდექი. მაგიდასთან მივედი, სუფთა ფურცელი ვიპოვე და ფანქრით მივაწერე:

„ჩემო კოტე!

მე წავედი. ამ საღამოს თბილისში უნდა ვიყო აუცილებლად. ბოდიში, რომ ვერ დაგემშვიდობე. გმადლობ ყველაფრისათვის“.

ფეხაკრეფით გამოვედი გარეთ.

ჩემი გეგმა ასეთი იყო: სადგურიდან რამეს გავყვებოდი თბილისამდე, იქიდან კი პირდაპირ მოძმე აზერბაიჯანისკენ ვიზამდი პირს. ზღვა იქაც არის, თანაც ისეთი, სადაც დასასვენებლად არ ჩადიან თბილისელები და არ დამხვდება ისეთი ნათესავი, როგორც კოტეა...





ეზოში მძიმე არტილერია — ცოლის ნამზითვე როიალიდა იდგა. მუშებმა ტარიელის მკლავის სიმსხო ბაწრები მხრებზე მოიგდეს, ბაწარივით ულვაშებზე ხელი გადაისვეს, ჩაისუნთქეს და ბანცა-ლით დაიძრნენ ზევით.

მე „აბა, ჰეს“ შეძახილით მივეყვებოდი უკან.

უცებ პროცესია სართულის მოსახვევში შედგა:

— არ გადის, უფროსო!..

მე ნიშნისმოგებით გადავხედე ცოლს:

— ხომ გეუბნებოდი, პიანინოზე გადაცვალათ მეთქი. ახლა?!

— დაიწყე ისევ, ხომ?! — შემომბიტი ცოლმა, — ეს ჩემი მარჯვენა ხელია!

— აღამიანო, ჩემთვის ჩაიკოვსკის საკონცერტო დარბაზი კი არ უჩქნიათ, ერთი პატარა კომუნალური ბინა მომცეს!

— ძველ სახლში ხომ ეტეოდა?!

— აბა, ჩავაბაროთ ორდერი და დავბრუნდეთ უკან!

მუშებმა ორთქლმავალივით უმატეს ქშენას.

— ფანჯრიდან ვერ ავიტანთ? — მიკარნახა გაჭირვებამ.

— რას ამბობ, უფროსო, — გაუკვირდა ერთს, — ამოტოლა „ვეში“ ფანჯრიდან იქნება?! ერთიც ვნახოთ, გავგივარდეს. სემიჩკასავით დაიბნევა!

— ვა, ვა! — რაღაც გაახსენდა მეორეს, მოაჯირს გაუსვ-გამოუსვა ხელი და ეშმაკურად შემომაჩერდა.

— შენ აქ რა გინდა, საპროექტოში უნდა იჯდე-მეთქი! — დავარტყი მხარზე ხელი და ზევით ავვარდი.

წამში სიმამრის ნაჩუქარი ხერხით ქვევით დავეშვი. ვეძგერე მოსახვევში გამოზბეკილ სახელურს და ძირში მივაჭერი.

პროცესია დაიძრა. მე ხერხვა-ხერხვით ავრბოდი წინ და უღმობლად ვსაობდი ამ არქიტექტურულ ზედმეტობებს.

მალე ცოლის როიალს აკროხინისფრად შედებილი ოთახის ნახევარი ეჭირა.

ქანცაწყვეტილმა მუშებმა დაიძრნენ და ყაყანიტ ჩაუყვინნ კიბეებს.

ცოლი ხავერდით როიალის გაბრიალებას შეუდგა. მე ბინის თვალღებება დავიწყე. ხარბად ვისუნთქავდი დამსკდარი კედლებიდან წამოსული გაჯისა და საღებავის სუნს. უკვე მიყვარდა იგი — ჩემი ათი წლის ფიჭვის, ტანჯვისა და სირბილის ნაყოფი. ამიერიდან ჩემი გვარიც მოიხსენებოდა თბილისის მკვიდრთა საპატიო დავთრებში და კაციშვილი ვერ ამოშლიდა მას. მარტო ის რად ღირდა, რომ ყოველ კვირას თავის წამალს არ მომიყრიდნენ კუნჭულებში!

ფანჯარა გამოვადე და ძირს გადავიხედე. ახალი წლის მეორე დღე იყო. თოვლის მარაგშემოღებული თბილისის პირობაზე გულიანად ბარდნიდა, ალბათ, მომავალი წლის ანგარიშში. ქვემოთ მუშები ფუსფუსებდნენ, გარბი-გამორბოდნენ, რაღაცას დაობდნენ, კომისიის წევრები კი „ვოლგებში“ შეყუჟულიყვნენ და იქიდან იქნევდნენ ხელებს. ეტყობა, ამ მნიშვნელოვანი თარიღისათვის ყველაფერი ვერ მოესწროთ. ეზო აყრილდაყრილი ჩანდა. სახლის ვასწვრივ სახელდახელოდ დავებულ ცხელ ასფალტს ფანტელები ადნებოდა.

კუთხის სადარბაზოს ბარგით დახუნძლული მანქანა მოადგა. ტრილიაჟთან საპატიო ყარაულივით მდგარი მუშა სარკეში გრძელ ულვაშებს იგრებსა.

— ნეტა ვინ იქნება მეზობლად? — ისევ გაახსენდა ცოლს.

ეს კითხვა არც მე მაძლევდა მოსვენებას. მეზობელი ხომ ჩვენი ცხოვრების თანამგზავრია. მას შეუძლია გავვიინოს ჭირი და ცეცხლი, აგვიწეწოს ოჯახი და ნერვები, მოგვსპოს, დავანელოს. და ამავე დროს, მეზობელია ისიც, ვისაც ძალუქს „ეს ცხოვრება წამიერი ტკილად გავვატარებინოს“. კაცობრიობის ოცნებაა, ახალ ბინებში მარტო ოჯახის წევრები კი არ გადადიოდნენ, არამედ ნაცადი, შემმატკილებული მეზობლებიც. ძველი სახლიდან მაინცაღამინც განე-

ბივრებული არ წამოვსულვართ. ჩვენი ყურის მეზობელი სპორტსმენი იყო, ხელბურთის მექარე. მწვრთნელი ხშირად მოდიოდა მასთან და შინ ვარჯიშობდნენ. კარი ჩვენი საერთო კედელი იყო. ატყდებოდა ბურთის ხატქა-ხუთქი და კედლების ზანზარი, გეგონება სახლი ინგრევო. ხმას ვერ ვიღებდით — ცოტა მოხულიგნო ბიჭი იყო. მერე, ჩვენდა ბედად, ჯარში წაიყვანეს და სამი წლით გვეშველა.

აქ კი? ნეტა ვინ იხვრენს ამ კედლის იქით? ვის ვთხოვ ქეიფის დროს სკამებს და ნაგვის რიგში ვის დავუკრავ თავს?

ეს ღვთისა და ქალაქის საბჭოს მეტმა არავინ იცოდა. ჩვენც მოუთმენლად ველოდით მის გამოჩენას.

უცებ სადარბაზოში საშინელი ხმაური შემოიჭრა. ყურები ვცქვიტეთ. ხმაური გაძლიერდა და დოლ-გარმონის ზეაწეულ ექოდ იქცა. და ამ ექოში გამოიკვეთა კაცის უხეში, ჩახლეჩილი ხმა:

„ჩემს ეზოში წვიმა მოდის, შენს ეზოში დარიაო, მე და შენი დაშორება, ლამაზო, სულ პიტლერის ბრალიაო“.

ამ სიმღერას ომის დროს მღეროდნენ ესტრადაზე. მერე აღარ მომისმენია!

ჟრუანტელმა დამიარა. ჩვენს სადარბაზოში ნაღმი რომ იდებოდა, ეს უკვე აშკარა იყო. მაგრამ სად? იქნებ, როგორც გულსუსტ მოქალაქეს, ქვედა სართული უწყალობეს? ანდა, პირიქით, როგორც ჯან-ღონით სავსეს, ბოლო სართულზე ამოაყოფინეს თავი?

ეს ერთადერთი იმედი იყო და მეც წყალწაღებულივით ჩავეკიდე.

მაგრამ პროცესიამ შეუფერხებლად ამოიარა პირველი სართული, უკან მოიტოვა მეორეც. აი, ჩვენს ბაქანზე ამოდგა ფეხი. მე კარს ავეკარი და სუნთქვა შევწყვიტე. ერთი ნაბიჯიც, ერთი ნაბიჯიც! ზევით, რა მოხდება! საქმეში ხარ?! ჩემს ყურთან გასაღები გაჩხაკუნდა, ვიდაცამ წიხლი ჰკრა კარებს, ვიდაცამ დაიღრიალა „იხარე ჭერო, მოკვდი მტერო“ და შიგნით შეცვივდნენ. ახლა იქ დაგუბდა ტემპერამენტი, გახურდა, დატ-

რილდა და ჩემს კედელს მოეხარცა კედელი რას დაიჭერდა — ის ხუმრულად თხელი, სიფრიფანა რამ იყო, ვერცხმუცხმლო მოწოლას და მთელი ეს დაფა-ზურნა და ორომტრიალი ჩემს ოთახში გადმოსკდა.

ცივმა ოფლმა დამასხა. ცოლს გადავხედე. არც ის გამოიყურებოდა უკეთესად.

— განგებ ამოირჩიე, ხომ?! — მხოლოდ ესლა მოახერხა.

ვიდექი გაქვავებული და ასე მეგონა. მედლოე ხელებს დოლს კი არა, ჩემს მელოტ კეფას უბრაგუნებდა. მე აქ, ადგილზე, თავისუფლად შემეძლო მემღერა, მეცეკვა, ტაში დამეკრა ისე, რომ მეზობელ ანსამბლში ოდნავაც არ შემეტანა დისონანსი.

უცებ გვერდით ოთახიდან ვილაც გამოიჭრა და დავეციაკუნა. მე ისევ კართან ვიყავი ატუხული და მისი ხშირი სუნთქვაც კი მესმოდა.

არ გავნძრეულვარ. კაკუნი ბრახუნში გადიზარდა.

ეტყობა, გაცნობის აქტი უნდა შემდგარიყო. ეს ჭირი დღეს-ხვალ მაინც არ ამცლებოდა. ფეხაკრეფით შევბრუნდი ოთახში, ჩავახველე, ხმაურით გამოვიარე დერეფანი და კარი გამოვადე.

ჩემს წინ ასე ასპირანტობის ანაკს მიღწეული ახალგაზრდა იდგა, თმებშეთხლებული, ლოყებდაქდაყა. ღვინო ისე მოწოლოდა თვალეში, ვიფიქრე, ახლა ამას რომ წნევამ დაარტყას, იმ მედლოეს რა პასუხი გავცე-მეთქი.

— ბონდო ნატბელაძე, თქვენი ტკბილი მეზობელი! — გამომიცხადა და ფეხი ფეხზე სამხედრო წესით მიარტყა. ყოველ შემთხვევაში, ასე ეცადა.

დაბნეულმა ხელი გავუწოდე. მან არ ჩამომართვა. თვალეში მანიშნა, ზღურბლზე ეგეთი რამეები არ ხდებაო.

ვატყობდი, ძალიან უნდოდა შემოსვლა. ვერც დავუშლიდი. მეც გვერდზე გავდექი და გზა მივიცი.

მან მძიმედ შემოდგა ფეხი, ხელი ისე მომიჭირა, თავის ძალაში დარწმუნებულმა ქართველებმა რომ იციან. აქა მშვი-

დობაო, თქვა და ოთახში ფეხარეული შევიდა. ქალი რომ დაინახა, ისევ გაიჭვინტა, მტრე მიუახლოვდა და ხელზე დაყოვნებით ეამბოხა.

თვალ მოვარიდე ამ გულამაჩუყებელ სცენას.

— ბოდში, რომ შემოგეჭვრიტ! — ხმაში ირონია გაერია. ჩანდა, ცივი შეხვედრა ეთავილა.

— როგორ გეკადრებთ! — დავატანე თავს ძალა.

— მე უბრალოდ თქვენი გაცნობა მინდოდა... დალოცვა...

— კი, ბატონო! — სამზარეულოდან ჩემი ხელით დაწურული ღვინო გამოვუბრუნენ და ჩამოვუსხი.

— რას მივუჭახუნო?..

„შუბლში მომიჭახუნე!“ — შევეხვეწე გუნებაში. მერე ჭიქა ჩემთვისაც გამოვიტანე, დავისხი და გვერდით დავუდექი.

— მიყვარს, კაცი ხასიათს რომ გავისწორებს! — დაიწყო მან. — მით უმეტეს, ახალი მეზობელი... მეზობლები ხომ იგივე ერთი ოჯახია...

— ნამდვილად! — მწარედ გამეღიმა და მისი სახლიდან გამოვარდნილ ხმაურზე მივიანიშნე.

ეტყობა, აქამდე არ მიექცია ყურადღება. ყურზე ხელი აიფარა.

— წარმოვიდგენია! — თქვა გაკვირვებით, — მე თვითონ ინჟინერი ვარ... ასეთ ტიპიურ სახლებს ვაშენებ და არასდროს მომხვლია აზრად, თუ...

„შენ რა გენაღვლება, მე ვიცითო შენს ხელში!“ — ესეც ფიქრში ვთქვი, თორემ ისე სკამი შევთავაზე.

მეზობელ ოთახში მთიულური გააჩაღეს. ვიღაც მუხლებით ეხეთქებოდა ძირს და დაუნმარებლად დგებოდა.

— ჩემი მუშები არიან... — ავკისხნა ბონდომ, — მშენებლობიდან ძალით წამომიყვანეს... ცოტა მეტი მოუფიდათ... მაგრამ რას იზამ, უნდა ვაპატიოთ...

მე ჩემდა თავად ამის მპატიებელი არ ვიყავი, მაგრამ რა უნდა მექნა. ბონდომ ეს იგრძნო.

— თქვენი ჭირიმე, ცუდად არ გამი-

გოთ, — აწრიალდა იგი, — არ იფიქროთ ვინაა ეს მხეციო. იცით, რა კარგი დღეა მყავს?! თქვენ რომ გავიხარდებოდათ... ფელშია ოლონდ... აქ რომ მყოლოდა ჩაწერილი, იცოცხლე, ორ ოთახს გავიტყამდი!..

იგი ნელა ირწეოდა და ნელდ, მეჩხერ პარკეტს ღვინო სისხლივით აჩნდებოდა. ყოველი წვეთის დაცემამზე ცოლი თვალს ხუჭავდა.

— მაშ, ამ ჭერს გაუმარჯოს! — შევახსენე ბონდოს და ჭიქა მივუჭახუნე.

— თუ ასე გეჩქარებთ, გაუმარჯოს! — მიმიხვდა იგი, — მართალი გითხრათ, ვღელავდი, რა ხალხი მეყოლება გვერდზე-მეთქი. ხომ იცით, ათასი ტუტუცია ქვეყანაზე. არც სმა ეხერხება და არც კაცობა. მე ფიქრობ, თქვენი სახით ამ ჭერს ღირსეული პატრონი გაუჩნდა. ზოდა, გავიმარჯოთ!

თქვა და ღვინო ყელში ჩაირაკრავა. მე ყასიდად გავუშვირე ზოთლი.

— მეტი ააა! — დააფარა ხელი ჭიქას, — სხვა დროს, კი ბატონო! იმდენი ვლოცოთ ეს ჭერი, სანამ სიმაღლე არ მოემატება!

სიმაღლის გახსენებაზე ისევ მწარედ გამეღიმა.

— ახლა ჩვენთან გავიდეთ! — შემომთავაზა მან.

— გამაღობთ... სხვა დროს იყოს, — შორს დავიჭირე მე.

— სხვა დროსაც იქნება, შე კაცო! — დამაიმედა და ხელი მაგრად მომიკიდა. მერე ცოლს თავი დაუკრა, — დროებით უნდა წაგართვათ, ქალბატონო!

ცოლს საწყლად გადავხედე, რა ვქნამეთქი.

„ოლონდ ეგ მომაცილე და ჯანდაბაშიც წასულხარო!“ — ამოვიკითხე მის თვალეში.

და მეც დასაკლავი ხარივით გავყევი. ჩვენ რომ შეგედით, ცეკვა-თამაში კაი თესვის კამპანიასავით იყო გაჩაღებული. ოფლში გახვითქულ მოცეკვავეს მუხლები შეცოდებოდა და სკამზე შემხტარი ახლა დაბალ ჭერს თავს უხატქუნებდა.

— ასა! — აქეზებდნენ სპეტანსაცმელში გამოკვართული, ცემენტის მტვრით სახეშეფეთილი მუშები.

ბონდო ტაშის კვრით შეუერთდა მათ. ჭერმა, ეტყობა, აიტანა თავის რახუნთ, მაგრამ სკამმა ვერ გაუძლო მძიმე „ბათინკების“ ბრაგუნს და ჩატყდა. მოცეკვავე თავდაყირა გადმოეშვა ძირს.

საერთო ხარხარში ცეკვა შეწყდა.

— ყურადღება! — ასწია ხელი ბონდომ. ყველა გაჩუმდა, — თქვენს წინაშეა ჩემი კარის... ჩემი ყურის... უფრო სწორად, ჩემი გულის მეზობელი!..

— ჯარიმა მაგას! — ისე იღრიალეს მუშებმა, „ჰკა მაგასაო“, მტერს რომ დასჭყვივლებდნენ ერეკლეს მეომრები.

ხარის რქისხელა ყანწში ღვინიანი დოქი ჩაპირქვავდა, ვაპიბინდა და ჯილდოსავით გადმომეცა.

ჩაზეხედე — ღვინო ზღვასავით მშვიდად იწვა შიგ. მაგრამ ეს იყო სიმშვიდე ქარაშხლის წინ. ბონდოს გავხედე — ვერავითარი შებრალება ვერ წავიკითხე მის სახეზე. ისევ ძალა მოვიკრიბე, „იხარე ჭერო, მოკვდი მტერო-მეთქი“, წავიბურტყუნე და წრუტავს შევუღდექი.

დამკვრელებმა დოლ-გარმონი აახშიანეს. „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“... — ყარაჩოლულად წამოიწყო ვილაცამ. სხეები მოგუდული ბანით აყვნიენ. ეს, ალბათ, ჩემი მუსიკალური აკომპანიმენტი იყო. მეც ყანწი სპილენძის დიდი საყვირივით მჭონდა ტუჩზე მიდებული, მისი ბოლო კი ბეჭზე მიხიციენებდა.

ლოყები მედუღუტყესავით დამებერა. ვივსებოდი ღვინით და ბოლმით. თან ყანწს ზემოდან ვხედავდი, ჩემი ტანჯვაროგორ ართობდათ.

უცებ ღვინო აღელდა, კუდი მოიქნია, „თქაფო“ დაიძახა და ცხვირპირში მეცანაწილი დაიღვარა, ნაწილი კი პირდაპირ ტვინში ავარდა.

მე უკანასკნელი ყოღუბიც გადავუშვი და ღვინითა და წარმატებით თავბრუდახვეულმა ყანწი ცერის ფრჩხილზე დავიფერთხე.

— ვაშა! — ისუვლეს მუშებმა, ბონდო კი გამოქანდა და გადაიხეცია.

ეს იყო ორი ერთმანეთის შესაფერი მეზობლის მხურვალე ჩაკონება.

ამის მერე ჩვენ ერთხანს კიდეც ვიმტვინეთ, ვიცეკვეთ, ვილაბუცეთ, ვერს ღვინო შევასხით და გარეთ გამოვეფინეთ.

ბონდომ მუშებს მშენებლობაზე დაბრუნება და მუშაობის ვაგარძელება უბრძანა. ისინი ბარბაცით ჩაუყვნიენ კიბეებს.

მე სახლში შესწრებას ვაპირებდი, მაგრამ ბონდომ ხელი დამიჭირა.

— არ შემოვიაროთ?

— ვინ?!

— ახალი მეზობლები.

ამას უკვე აღარ ველოდი:

— უხერხული არ იყოს.

— ვითომ რატომ?!

— რა ვიცი, რას იტყვიან... უცხო ხალხია.

— გამოდის, მე რომ შენთან შემოვედი, უხერხული იყო!..

— რას ამბობ! — დავიხიე უკან.

— აბა, რა მოხდა. ახალი წელია, გავეცნობით. მივულოცავთ.

ისეთი ხალისით მითხრა, უარის თქმა ბოროტებად ჩავთვალე. არც გამომივიდოდა.

და, აი, სადარბაზოს ბოლო სართულზე ვდგავართ. ბონდო აკაკუნებს. ეს ხმა ჩემთვის ნაცნობია.

კარს ვიღაც მოადგა ფრთხილად:

— ვინ არის!

— ახალი წელი ვარ!

— რა მოგაქვს?

— ფული, დოვლათი, დროსტარება!

— აქამდე სად იყავი?!

— სამსახურში!

— ოხ, შე გაფუჭებულო, კარი არ უნდა გაგიღოს კაცმა!

კარი მაინც გაიღო და გამხიარულებულ მასპინძელს ღმილი სახეზე შეაკვდა.

— ჩვენ ახალი მეზობლები ვართ, — დაიწყო ბონდომ პროგრამის მიხედვით.

— მე კი ჩემი ბიძაშვილი მეგონეთ... — დაბნეულმა მასპინძელმა ხელი გაუწოდა, მაგრამ ბონდომ ანიშნა, ასე არაო.

მაშინ ჩვენ შიგნით აღმოვჩნდით. ზუს-

ტად იგივე განმეორდა, რაც ჩემთან იყო, იმ განსხვავებით, რომ მასპინძელმა ჩემზე მეტად მოიქაჩლა თავი.

იმ საღამოს კიდევ რამდენიმე ოჯახის გაბედნიერება მოვასწარი...
სახლში ბანცალით დავბრუნდი. ცოლმა რომ დამინახა: უმალ ტაშტი დამიდგა წინ. მე ლოგინი ვამჯობინე და მოცელილი დავეშვი ზედ.

მეორე დილით შემიცოდა ბონდომ. ხამაგიეროდ საღამოს დამიკაკუნა...
კაკუნი მესამე დღესაც გამეორდა.

ჩემი ოქროს მეზობელი აშკარად მრყენიდა, მე საცოდავი კი წინააღმდეგობას ვერ ვუწევდი.

ახლობლებმა ხელდახელ შინაურული სასამართლო მომიწყვეს. ერთხმად იტყვა, რომ ჩემისთანა სუსტი ნებისყოფის არსებისათვის ბონდოს გვერდით ყოფნა თვითმკვლელობას უდრიდა.

— გადასახლებას ხომ არ მიიბრებთ?! — აღმომხდა საცოდავად.

— ბინა უნდა გამოიკვლო! — მტკიცედ განაცხადა სიდედრმა.

გადაწყდა: ბინა რაისაბჭოსთვის უნდა ჩაგვებარებინა გარანტიით, ახლის მოცემამდე კი სიდედრთან გადავსულიყავით. ცხადია, ეს ხსნა არ იყო, მაგრამ რა მექნა.

მეორე დღესვე ჩვენი სურვილი რაისაბჭოს განვუცხადე. ისე გაუხარდათ, მომერიდა კიდევ, აქამდე რატომ არ შევთავაზე-მეთქი.

მაგრამ აღმასკომის სხდომამდე კიდევ ათი დღე იყო დარჩენილი.

ავიღე შევბურღება, ვითხოვე თხილამურები და ცოლთან ერთად ბაკურიახს შევაფარე თავი.

რომ ჩამოვედით, ყველაფერი მზად დამხვდა. ეპოვათ ვიღაც უბინაო, ჩემთვის გარანტია გაეფორმებინათ და ბინის დაცლას უცდიდნენ.

და, აი, ფაცა-ფუციტ ვკრავ ბარგს. ისე ვლეღავ, თითქოს ახალ ცხოვრებას ვიწყებდე. გული მწყდება, ათი წლის ტანჯვამ და ლოდინმა რომ არ გამიმართლა. თან ცოლის როიალის ჩატანა რომ მაჩსენდებო, ცუდად ვხდებო.

კარზე დააკაკუნეს.

აჰ, ალბათ ის ვაებატონი ბრძანდება. მორიგ ვარიანტზე მიწვევს. ვერ ვხედავდი თვეს, ყმაწვილო!

ნიშნის მოგებით ვაღებ კარს. ზღურბლთან ბიძაჩემი დგას, ცოლითა და ოთხი ქალიშვილით. ხელში ბაბთიანი ტორტი უჭირავს.

ვადამეზვიენენ. ხმაურით შემოიჭრნენ სახლში.

— ოო, მოგვილოცავს!

— დედა, რა მშვენიერია!

— მშვიდობაში!

— ქეიფი უჩვენოთ ჭამე, ხომ?!
— რის ქეიფი, ვერ ხედავთ, ბინანცელი?! — გამეცინა და ბარგზე მივუთითე.

არ დამიჯერეს. მაშინ დედა დავიფიცე და ყველაფერი ჩურჩულით მოვუყევი.

— კაცმა ღვინო მასვას და იმას გავეცევი?! — გაიკვირა ბიძაჩემმა.

— რას ამბობთ, ძლივს გამოვგლიჯეთ ხელიდან! — თქვა ცოლმა.

ატყდა დავა, რამდენად სწორი იყო ჩემი ნაბიჯი. ქალებმა, რა თქმა უნდა, გამამართლეს.

— მე კი ბინის დასალოცად მოვედი, — თქვა დანანებით ბიძაჩემმა.

— მე რა, გზა დავვილოცე, შე კაცი! — გავამხნევე მე.

ცოლი დატრიალდა და ხუთ წუთში საყველბურო სუფრა გააწყო. ახალმოსახლეობის ღვინო, ბონდოს ვადამკიდეს, ძირამდე მქონდა დაყვანილი.

სტუმრები ხასიათზე მოვიდნენ.

— ქენი ერთი სიკეთე, — მითხრა ბიძაჩემმა, როცა დავსხედით, — იმ შენს ბონდოს დამიძახე... მაინტერესებს ნახვა...

ქალებმა შეიკხადეს. მე მაინც დასაძახებლად წავედი. საშუალება მეძლეოდა გამეზამუღლებინა ჩემი ოჯახის ამყრელი. თან, რაღა დავმალო და, მომენტარა კიდევ.

ალბათ სახლში არაა, თორემ ასე რა ჩაჩუმებდა! მაინც დააკაკუნე.

— მობრძანდით! — მოისმა სიღრმი-
დან.

კარი შევადე. ბონდო სამზარეულოში
იჯდა, წიგნებით სავსე მაგიდასთან. იქვე
კონსერვის ცარიელი კოლოფები და გამ-
ხმარი პურის ნაჭრები ეყარა.

ჩემს დანახვაზე წამოხტა და შემომე-
გება. თან გულით მომიკითხა. დიდი ხნის
წვერგაუპარსავი იყო. ნაცინარს ჰგავდა.
სახე კი საოცრად მშვიდი და დაწმენდი-
ლი ჰქონდა. გამიყვარდა კიდევც.

— ერთი წუთით ჩემთან შემოდი! —
საქმიანად ვუთხარი და წინ გამოვუძეხი.

მორჩილად გამომყვა, სტუმრები რომ
ღაინახა, შეცბა და გაბრუნება დააბირა,
მაგრამ ხელი მაგრად ჩაეჭიდევ. მისგან
მქონდა ნასწავლი.

ძალით მივიყვანე სუფრასთან.

— ვაიცანით, ბონდო ნატბელაძე, ჩე-
მი ტკბილი მეზობელი, — ვთქვი ოდნავ
ირონიულად.

ბონდო ქალწულის სიმორცხვით მიე-
სალმა სტუმრებს. მერე სკამის კიდეზე
ჩამოჯდა თან წვერზე უხერხულად ის-
ვამდა ხელს.

მე ქვასანაყისხელა ორი ჭიქა გამოვი-
ტანე. ერთი ბიძაჩემს გადავეცი, მეორე
ბონდოს დავეუდგი.

— არა, შენი ჭირიმი! — შეიციხადა მან
და სასმისი ცივად გასწია გვერდზე, —
საჭმელს კი ვიანხლებით ცოტას...

ვიფიქრე, ალბათ თავ-პატიყს იღებს-
მეთქი და ბოთლი ჭიქაში ჩავუბირქვავე.

— ნუ მიზამ მავ საქმეს! — შემეხვეწა
და თვალები საწყლად მომანათა, — ათი
დღეა ღვინოს არ ვაგვკარებოვარ.

მე მოულოდნელობისაგან ჩავკეჭი.

— უჩივით რამეს, ბონდო ბატონო? —
ჩაეკითხა ბიძაჩემი.

— არა, არაფერს, არ მიხდება უბრა-
ლოდ. არც მსიამოვნებს. მშენებლობაზე
რომ ვიყავი, თავს ძალას ვატანდი.

— ახლა აღარ მუშაობთ?

— ათი დღეა ანგარიში გავასწორე.
ჩემი საქმე არ იყო; დიდ ყალთაბანდ
ჯგუფში მოვხვდი, ყველა გლეჯაზე იყო

გადასული... მერე მომკლა ამდენი ღვი-
ნის სმამ. არ დალევიდი და ცუდი კაცი
იყავი. ახლა ვარ ჩემთვის მშვიდად.

— პენსიაზე ხომ არ გადიხარ? — გა-
ეხუმრა ბიძაჩემი.

— არა, ასპირანტურაში მინდა ჩაბა-
რება... ახლა სწორედ „ლიამატს“ ვამუ-
შავებდი...

გაოგნებული ვიჯექი და თვალს არ ვა-
ცილებდი. თითქოს ბონდო იყო, მაგრამ
არც იყო, თითქოს ამ ჩემთვის ნაცნობ
სხეულში სხვა კაცის ტვინი და გული
იყო ჩადგმული.

ცოლს გადავხედე — ჩემზე ნაკლებად
არც ის იყო გაკვირვებული. სტუმრებიც
ღაიბნენ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბონდომ უხერხუ-
ლად იგრძნო თავი და აწრიალდა.

კარზე დააკაკუნეს. მივხვდი, ვინც იქ-
ნებოდნენ. ფრთხილად ვავედი და კარი
გავიხტურე. გრძელუღვაშა მუშები ყაყა-
ნით შემხვდნენ. ისინი იყვნენ, როიალი
რომ ამოგვითრიეს. ახლა წასაღებად
მყავდნენ დაბარებული.

მე ხელი ტურზე მივიფარე, მათ უფ-
როსს ჯიბეში სამამანეთიანი ჩაეუდევ და
ჩურჩულით ვუთხარი, თქვენი ბურღლა
არ ვნახო აქ-მეთქი.

ვერ მიმიხვდნენ. მაშინ სათითაოდ მო-
კვიდე ხელი და პირი კიბისაკენ ვაქნე-
ვინე.

თან ჩადიოდნენ, თან გაოცებულნი
უკან-უკან იხედებოდნენ.

— ვინ იყვნენ? — შემეკითხა ბიძაჩე-
მი, როცა ოთახში შემოვბრუნდი.

— მისამართი შეეშალათ ვილაცყებს.
ბიძაჩემი წამოდგა, თვალი ჩამიკრა და
სასმისი ასწია:

— მეგობრებო, გაუმარჯოს ამ მშვენი-
ერ ჭერს!..

მე გულზე მომეშვა.

ბონდომ ღვინის ჭიქაში ლიმონათი ჩა-
ისხა და სმენად იქცა.

ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რა
მეთქვა რაისაბჭოში.



ყურნალის ამ ნომერში გაგაცნობთ ჩვენი მოძმე რესპუბლიკების ახალგაზრდა პოეტების ლექსებს, რომლებიც ქართულად თარგმნა პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა.

ახალგაზრდა უკრაინელ პოეტს ვიტალი კოროტიჩს თავის სამშობლოს გარეთაც კარგად იცნობენ. მისი ყოველი სტრიქონი გაქვნილია მშობლიური მიწის სურნელით, სავსეა სიცოცხლითა და სიყვარულით...

მოდღაველი ემილ ლოტიანუს ლექსები მოგვითხრობს სამშობლოზე, მის ტკივილებსა და სიხარულზე, ჩვენი დიდი რევოლუციის მონაპოვარზე, კოსმოსზე და საერთოდ — ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

მაგჯუდა ხაკიმოვა კი ახალგაზრდა ტაჯიკი პოეტი ქალია. მისი ნათელი და გულწრფელი ლირიკა სიმღერებად დადის მოძმე ტაჯიკეთის ქალაქებსა და სოფლებში. ახლანან მშობლიურ ენაზე გამოიცა მაგჯუდა ხაკიმოვას პირველი წიგნი.

კეთილი იყოს მათი ლექსების მოგზაურობა საქართველოში!

თანსუღი

ვიხადი კორუიჩი

ყ ვ ა ვ ი ლ ი

მე დამელოდე
შემოდგომის ყვითელ ფერებში,
მე დამელოდე
ყვავილებით სავსე მინდორში.
მე დამელოდე
გაყვითლებულ მაღალ ბალანში
და მე მოგიტან ქრიზანტემას —
თეთრ მზეს პატარას.
მე შენ მოგიტან ქრიზანტემას,
წამოვა წვიმა,
წვიმა წამოვა ნაცრისფერი
და მღვრიე წვიმა.
სველი ასფალტი სიმღერას და
ცეკვას დაიწყებს
და მიწის სუნი გააღვიძებს
ნაცრისფერ ზეცას.
თეთრ, პატარა მზეს

სველ ბუჩქებში გამოვატარებ.
გამოვატარებ ხეებში და
სველ ბალახებში...
ეს შემოდგომა მოებჯინა
ნაცრისფერ ზეცას.
წაბლის ხეები სტირიან და იტანჯებიან.
ცა იცრემლება,
ცის ტირილი —
ეს არის წვიმა.
ცა იცრემლება,
სილამაზე დაჰკარგა ზეცამ...
შემოდგომა,
ნაცრისფერ ცის ქვეშ
და ნაცრისფერი წვიმის შრიალში
მე მომაქვს შენთვის
პატარა მზე,
თეთრი, ლამაზი.

ქვეყნად ვისაც სურს
ჩაიდინოს საქმე საგმირო,
მას ორდენით და სამხრეებით
ვერ გააკვირვებთ.
ის სახელმწიფო მადლობასაც
ხშირად თაკილობს,
მომიმატეთო ჩინ-მედლები
კი არ გაპკვიოს.

და კი არ ფიქრობს,
რომ მთავარი არის დიდება,
არამედ ფიქრობს,
რომ სიცოცხლე მამულს სჭირდება.
ეს გაუმარჯოს წრფელ სიყვარულს
და უძილობას,
რომელიც შემდეგ ინათლება
კაცის გმირობად.

ლილილოების ქუჩა

ასეთ ქალაქებს
პლანეტაზე ააშენებენ
მაშინ, როდესაც
ქვეყანაზე მოსპობენ ომებს.
დაქრის ნიავი —
თბილი ზეცის ლურჯი მშვენება
და მზე სახლებზე
გამჭვირვალე ბადეებს ტოვებს.

ტროტუარები
თეთრი წვიმით გადარეცხილი,
მზის სხივების ქვეშ
ირწყვა და ზღაპრულად ელავს,
მზე დიდებული
აბრიალებს თვალებს ცეცხლივით
და ეჯახება
სარკმელს ზეცის ლურჯი მდინარე.

და მოზრძანდება
სიხარული ჯერ არნახული,
ის, სამუდამო,
როგორც ფიცი, როგორც შეგნება.
ლამაზი ზეცა
ცისფერ კალთას გადაგვახურავს
და ყველა გამვლელს
ლურჯი ფერის თვალი ექნება.

მერე დიდ ქუჩებს
დაარქმევენ ლამაზ სახელებს,
ლილილოს სახელს დაარქმევენ
მშვიდი კაცები...
სითბოს, სინაზის
და სინათლის ხმებს დაარხევენ,
დღეს ექვს საათზე
მე მივდივარ ხმის მისაცემად.



ეპიდ ლოჯიანუ

თ მ თ რ ი ვ ა ლ ს ი

ფიფქები,
ფიფქები,
ცეკვავენ ფიფქები.
ნეტა რას ცეკვავენ,
რას...
შეხედეთ,
შეხედეთ,

მიწაც აპყოლია
და ერთად ცეკვავენ
ვალსს...
თეთრებში ჩაცმული
ყვითელი ბიჭები
გოგონებს
პკიდებენ ხელს,

რაღაც მრისხანება
მოაქვთ ნაბიჯებით,
როდესაც უვლიან წრეს.
საიდან მოსულან
ეს გოგო-ბიჭები,
ან თეთრ სიჩუმეში

ექებენ რას.
— ეს ომში დაღუპული
ბავშვები არიან,
ბავშვები, რომლებიც
ცეკვავენ ვალსს.



გ ა ნ შ ო რ ე ბ ა

როგორც ღობეში,
მზერას ვაძვრენ
გაფრენილ წლებში...
და ჩემს ბავშვობას
თვალს ვერ ვაცილებ.
თმაქოჩორა და ფეხშიშველა
ჩამივლის გვერდით,
ჩემი ბავშვობა —
უღარდელი და სასაცილო.
განშორებისას, პაწაწინა
და მეტად მხალღი,
ხტუნვით მომდევდა
მინდორ-მინდორ ერთი თიკანი,

არ მაცილებდა იგი დიდხანს
საყვარელ თვალებს
და ვერ გაეგო,
ბავშვობიდან შორს რომ ვიყავი.
მე რა ვიცოდი, მინდორს იქით
რა ტანჯვა იყო,
ან ბავშვობა რომ თავდებოდა,
მე რა ვიცოდი,
თორემ თვალეში ჩაგხედავდი
პატარა თიკანს
და დამრჩებოდა ანარეკლი
ჩემი ბიჭობის.

გ ა ვ ა ჯ ა ბ ა ხ ა ი ო მ ა

ს ი მ ლ ე რ ა გ ა ნ თ ი ა დ ის ა

მზისკენ წასულმა ტოროლებმა ძილი წამართვეს,
და დამარწიეს ოცნებათა ცის მდინარეში,
განთიადისას კვლავ გიგზავნი ფიქრის ბარათებს
და მხოლოდ შენი თვალთა სხივი მიზის თვალეში.

ჩემს წამწამებში მომწყვდეული შენი თვალეები
ეშმაკობენ და ელვას კვესავენ.
მე ცას ვუყურებ, მე საწყალი, მე ვეწამები
დატყვევებული შენი მზერით — შენი კვნესამე.

როგორ გაიყვნენ ჩვენი გზები, როგორ დამორდნენ,
როგორ წახვედი და არაფერს არ იწერები,
როგორ წამართვი მეოცნებე ჩემი ბავშვობა,
როგორ დატოვე უპატრონოდ ჩემი ცრემლები.

იქნებ გრცხვენია ცრემლიანი ჩემი თვალების,
იქნებ გვერდით ხარ, მზის სხივი ხარ და ვერ გიცქერი...
მე ციდან გელი, მე საწყალი, მე ვეწამები
და, ალბათ, მალე სულ თვალებად გადავიქცევი.

კუბოს კარამდის სიყვარულის ღმერთი გვარავდეს,
დიდი ხანია თუმცა შენი სხივი არ მათბობს,
და თუ „მავჯუდა“ ტაჯიკურად ნიშნავს — „მარადის“, —
მე მოვესწრები შენს სიყვარულს, დიდო აღმართო.

მზისკენ წასულმა ტოროლებმა ძილი წამართეს
და დამარწიეს ოცნებათა ცის მდინარეში...
განთიადისას კვლავ გიგზავნი ფიქრის ბარათებს
და შენზე დარდის ფერი ცრემლი მიზის თვალებში.

გ ე მ ი « ო ც ნ ე ბ ა »

სალამოვდება და სიჩუმე ფოთლებში იწვის,
გვეფერება და სახეში გვეცემს ბორიო ნელი.
„ზღვის“ ნაპირიდან ჩვენთან მოაქვს სიმღერა მიწის
და ჩიტუნებით გავსებული ქვეყანა ვრცელი.

მერე სიმღერით და ღიმილით ამოდის მთვარე
და წყალში ცეკვავს ორეული მაღალი მთვარის,
ირწევა გემი, მე შენთან ვარ, გისწორებ თვალებს —
გახარებული სიყვარულით, ზღვითა და ქარით.

ნაპირს რომ მოსდევს ახლა, იგი სულ სხვა ქარია,
მატარებლები მოფრინავენ წეროებივით,
ჩვენ გვიყურებენ და ოცნებით ჩვენთან არიან
და აჟღინთება ზღვა სურვილით ზეცის ზეფირი.

იქნებ ამ „ზღვიდან“ მოსკოვამდე ჩასვლას მოვესწროთ,
ვინ იცის, — ეს ზღვა მოსკოვამდეც გაიტყორცნება...
ჩვენ ახლა ვდგავართ და ვოცნებობთ გემზე, რომელსაც
სულ მალე, ალბათ, დაერქმევა გემი „ოცნება“.



პეისი ბიზი შელი

ინღური სერენადა

I

როგორც კი თვალი მიმელულება,
ვიღვიძებ უმალ, შენ მეზმანები,
ცაზე ვარსკვლავი ელავს ულევით
და ქრიან ღამის წყნარი ქარები.

ვიღვიძებ, რადგან კვლავ იღუმალი
სურვილი ჩემს სულს ავსებს ანაზღად,
უნებურ ვხდები შენი სტუმარი,
ისევ მოვდივარ შენს ფანჯარასთან!

II

შუალამისას მღუმარებს ქარი,
მწუხრის ნაკადზე მშვიდად ისვენებს
და როგორც ტკბილ ფიქრს აქრობს სიზმარი,
ჩამბაკის სუნიც ქრება ისევე.

როგორც ბულბული ქვითინებს ხეზე
და გულში იკლავს დარდსა და გლოვას,—
მეც ისე უნდა დაგაკვდე მკერდზე,
ძვირფასო, როცა სიკვდილი მოვა!

III

ო, ამიტაცე მიწიდან უცებ!
ამქვეყნად ჩემთვის მზე აღარ ბრწყინავს!
აპკურე ცივ და გაცრეცილ ტუჩებს,
ეგ სიყვარული ამბორის წვიმად!

ვაგლას გაფითრდნენ ღაწვები ჩემი,
თუმც მღელვარებით გული აღივსო,
ო, იგი მკერდზე მიიკარ კდემით
და დაღუმდება სამარადისოდ!

ინგლისურიდან თარგმნა მელაა ზაალიშვილმა.



სიყვარული ქვიშა

გიორგი კადანაძე

ს ა ტ უ რ ფ ა ლ ი

(სიყვარული, სილაგაჲ, ჰართველი ჰალი გიორგი ლეონიძის პოეზიაში)

თუ „სიჭაბუკე და ლექსი ერთია“, სიყვარული მათი სტიქიაა. იგი სიჭაბუკესთან ერთად იბადება, მისი განუყრელი თანამგზავრია. თუ სიჭაბუკე „ხელებშუა ნიაღვრის წყალივით გაქანდება“, იგი სიყვარულის ცეცხლსაც თან გაიყოლებს.

სიჭაბუკე სიყვარულის ასაკია, მაგრამ არც სიყვარულსა და არც სიჭაბუკეს ასაკი არ გააჩნია. მათ ხელოვნებისა და პოეზიის უკვდავ ქმნილებებში მარადიული არსებობა ენიჭებათ. პოეტური სიჭაბუკის გაზაფხულზე შექმნა გიორგი ლეონიძემ თავისი შესანიშნავი ლექსები: „ნინოწმინდის ღამე“, „ყვიჩაღის პეშანი“, „მყვირილობა“, „ტყუპი იაგუნდები“.

ქართულ სატრფიალო პოეზიას მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნის“ გმირის ავთანდილის შეგონებანი, სადაც იგი როსტევან მეფისადმი მიწერილ ანდერძში იმოწმებს მოციქულთა აზრს სიყვარულზე:

წაგვიტოხვს, სიყვარულსა მოციქულნი რავგარ
სწერენ?

ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი
შიაფერენ.

„სიყვარული აღგვამალებს“, ვით ეყვანნი,
ამას ჟღერენ...

ქართული კლასიკური სატრფიალო ლირიკისათვის არ არის დამახასიათებელი არც „წმინდა“ — პლატონური სიყვარული და არც „უგულო ხვეწნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“. ამ ლექსებში აღამიანი გვესახება მიწიერ ვნებათაღელვასთან შერწყმული, მაღალი სულიერი განცდებით აღსავსე. გიორგი ლეონიძე ახლებური, საკუთარი პოეტური ხილვით აგრძელებს ქართული კლასიკური სატრფიალო ლირიკის ამ ტრადიციას. შეიძლება ითქვას, რომ „ნინოწმინდის ღამე“ (1925 წ.) იყო ერთ-ერთი პირველი ლექსი, რომელმაც ლეონიძეს, როგორც პოეტს, საყოველთაო აღიარება მოუპოვა.

ამ ლექსში სიყვარულის გრძნობა წარმოსახულია არა განყენებულად, არამედ უაღრესად კოლორიტულ ფონზე. „ნინოწმინდის ღამე“ ჰიმნია არა მარტო სიყვარულისა, არამედ ძმობისა, მეგობრობისა, პოეზიისა, მშობელი ქვეყნის უკვდავებისა. მასში გიორგი ლეონიძე ქმნის ახალ პოეტურ სამკაულს, — შედარებებსა და მეტაფორებს:

...ძღუძეები ოქროს კალმანებია,
წამწამები აქვს თავთუხის ყანისა...
წინანდალის ვაზი აყვავებული,
ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა,
აფრენილი ბაზიერის დაფითა,
ღურაჯი ხარ, მაყვალს შეფარებული.

„ნინოწმინდის ღამე“ ქარიშხალივით
მოვარდნილი სიყვარულის სიმღერაა.
სიყვარული, ლეონიძისეული წარმოსახ-
ვით, სუსტი და ნაზი ფრთების შრიალით
როდი მოფრინდება, იგი „ტამერლანის
ხმალივით“ იელვებს და დაგეჯახება, ჩე-
რქეჯის მიერ გატყორცნილი ისარივით
„გადაგადებს და დაგაკარგავს“:

ხან ჩუმად არი... თითქოს არც არი...
მაგრამ გვსურს იგი კვალად ვიხილოთ,
თუმც გვახსოვს მისი ნაიკაცარი.
ხან ჩი გაგვივლის ველურ კივილით.
როგორც დამღეწი საღმანასარი!...

ეს არის სიყვარული ძლიერი პიროვნე-
ბისა — ტიტანური სიყვარული. ამგვარი
სიყვარულის რომანტიკული ცეცხლი ან-
თია „ყივჩაღის პაემანში“. ისტორიულად
ცნობილია, რომ ყივჩაღები ძლიერი, ფი-
ცი მემორები იყვნენ. ქართულ პოეზია-
ში ყივჩაღის სახე გ. ლეონიძემ შემოი-
ტანა, როგორც სიმბოლო ვაჟკაცობისა,
ქედმოუხრელობისა. ლეონიძის ლირი-
კული გმირი ხშირად ჩემობს ყივჩაღო-
ბას.

მონურ ღიმილს
მე ვინ გადამაბრალებს?
მე გაპოზილ ნაპრალებს
ყივჩაღურებ
ჩაყურებ.

„მთებში“.

• •

ყივჩაღურად თამაშობს
გოგო ჩამკერივებული.
„ახალი მთვარე კახეთში“.

• •

თეთრ ვარდებს დავეშურე
ყივჩაღური ლირიკით.
„რა მარგალიტს ვეძებდი“.

„რემინისცენციებში“ პოეტი ამბობს,
რომ იგი სარდალია ყივჩაღური ყივჩინი-

სა. ყივჩაღური ყივჩინი ამ შემთხვევაში
ძლიერი სიყვარულის სიმბოლოა.

„ყივჩაღის პაემანი“ შთაგონებული
ცნობილი ქართული ხალხური ბალადით.
ხალხური ბალადის მიხედვით ყივჩაღი
გადამთიელი ყაჩაღია. ლეონიძის „ყივ-
ჩაღის პაემანში“ კი იგი სიყვარულის
გრძნობით გაკეთილშობილებული პირო-
ვნებაა, რომელიც მცდარ გზას დაადგება.
ამ გზაზე სინდის-ნამუსის ვალს, წმინდა
აღაოს შეეჯახება და მარცხდება, მაგრამ
სიყვარულის ცეცხლი მასში ისე მძლავ-
რია, რომ მისი სიკვდილიდან ათასი წლის
შემდეგაც ახალი ძალით ღვივის.

შოდი!
გეძახი ათას წლის შერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა...

„ყივჩაღის პაემანი“ ლირიკული გმი-
რი სიყვარულით გახელებული რაინდია,
იგი მიზნის მისაღწევად არავითარ დაბრ-
კოლებას არ ერიდება, მაგრამ სიყვარუ-
ლის გზაზე შეხვედრილი წინააღმდეგო-
ბის დაძლევა მის ძალას აღემატება:

მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდს,
თავი შუაზე გადამიჩნება!

„ყივჩაღის პაემანი“ მხატვრულად შე-
ტად საინტერესოდ და ორიგინალურად
არის გააზრებული. პოეტი მიძართავს
სცენური გარდასახვის ხერხს. ლირიკუ-
ლი გმირი ათი საუკუნის წინათ სიყვარუ-
ლის ცეცხლით ანთებული ყივჩაღის ნი-
ღბით, მკვლრეთით აღმდგარი გვევლინე-
ბა. ლექსში დაცულია ისტორიული კო-
ლორიტი:

ხოხობას გნახე,
მიწურვილ იყო,
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადავი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!

მომხიბვლელია ამ ლექსის პოეტური
ხატოვანება, სისადავე, „აღმასის სიტყ-
ვები“, ძარღვიანი ლექსიკა, მძლავრი
მღელვარე რიტმი და ბუნებრივი ალიტე-
რაცია:

ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე.
შემოვამტვრიე გზები ტრიალი,
მცხეთას ვემტვრიე საეკტურებო,
ვლექე ტაძრები კელაპტრინა...

ქაბუქური, სადავემიშვებული სიყვა-
რულის ყიფინი ისმის ლექსში „მყვირა-
ლობა“. შემოდგომაზე, როდესაც კახეთს
„ჰაერი ჩამაჭრდება“, მთებიდან ირმის
ყვირილი ისმის. ეს ღიქით ნასუქი ხარ-
ირემი ვაშმაგებული დაეძებს და ეძახის
ფურს:

თავი ანება ცალისთვის
იალაღებსა მწვანესა,
მომტვრევს რქების ლაწინით
ჩალას, ტყეს, ლერწმონანებსა.
დაშტერებული ჯოგები
მორბიან თავდაყირანი...

მაგრამ ეს მხოლოდ ცხოველური ინს-
ტინქტია და არა სიყვარული:

ხარი ფურს ეძებს ღრიალით,
მე — სიყვარულსა მყვირალი!

ეს ორი სტრიქონი არის გასაღები ამ
ლექსის პოეტური ჩანაფიქრისა, ხოლო
ფურსთან შეხვედრის სურვილით ვაშმა-
გებული ხარირმის მოხდენილ პოეტურ
მეტაფორად გარდაქმნით ავტორი ახერ-
ხებს ქაბუქური გზებით ანთებული სიყ-
ვარულის მხატვრულად წარმოსახვას:

გახლებული ხარი ვარ,
გეშს ვიღებ ნიაფ-ქარზედა,
მაჩვენეთ ჩემი ოცნება,
რქა ზედ მივაფშვნა რქაზედა.

„მყვირალობა“ ხალხურ კილოზე და-
წერილი ლექსია, მაგრამ მასში ჩანს ლე-
ონიდის სიტყვაქართულობა. ორიგინა-
ლური პოეტური სამკაულები. სიყვარუ-
ლის ხმა გაისმის გაზაფხულზე მოვარდ-
ნილი ნიაღვრების ყვირილში, მისი ცეც-
ხლი ღვივის ვაშლისა და ნუშის კვირტე-
ბის აფეთქებაში. მისი შუქი მომწყვდეუ-
ლია ცისარტყელას რკალში, ბუნების ზე-
იმში. გაზაფხულის შემოსვლაში პოეტი
სიყვარულის გამოცხადებას ხედავს. ყვე-
ლაფერი, რაც ამქვეყნად გვაგაჩნია, სიყ-
ვარულის მაღლით გვაქვს მონიჭებული:

ყველაფერი ჩახჩახებს
სიყვარულის ხარჭითა! —

ესაა პათოსი ლეონიდის სატრფიალურ
ლირიკის ერთ-ერთი მარგალიტისა
„ტყუპი იაგუნდები“.

ამის შემდეგ ბუნებრივია პოეტის მის-
ვლა იმ დასკვნამდე, რომ უსიყვარულოდ
ცხოვრებას არავითარი აზრი არ გააჩნია:

თამარის სუნთქვა გაღვიძებული,
ოქროს ხმით რეკავს რუსთველის ქნარი;
— რაა ცხოვრება, ქვაბის მონებო,
უსიყვარულო, უშთავონებო!

„მშვიდობის დღეა, ბედნიერების“.

სიყვარულის მღელვარე გრძობის ხა-
ტოვანი წარმოსახვით ყურადღებას იპყ-
რობს „ანგელოზის ფრესკა“ და „თო-
ლია“.

ხელოვნების მუზეუმში, ძველი ქარ-
თული ფერწერით გატაცებული ლამაზი
ასული ანგელოზის თამარისდროინდელ
ფრესკას უჩვენებს პოეტს. პოეტი ორ
ანგელოზს შუა აღმოჩნდება და ორი
თვალშეუდგამი მშვენებით „აბნეული“
გრძობს, რომ „ცოცხალი ფრესკა“ თავი-
სი ბრწყინვალეობით თანდათან ჩრდილავს
ძველს, ხელოვნების ძველად ქცეულ სი-
ლამაზის ხატებას:

ერთის უღირსი ვიდექ ორ შუა,
გულში მათოვდა ვარდის ნათელი,
იქ, სადაც შავი მორევი შხუის
და მტკვარი მოქუქუს კორიანტელით.

„ანგელოზის ფრესკა“.

„ზღვის ლურჯ ყუთიდან ამოქროლი-
ლი“, ზღვის სიყვარულით მთვრალი თე-
თრი თოლია პოეტს სატრფოსთან განუ-
ყრელი სიყვარულის ასოციაციებს აღ-
უძრავს:

შენი ღიმილი ნათელკამაშა,
თითქოს ფრთა გაჰყრა ტალღას თოლიამ...
მე სიყვარულმა დამაფეკავა,
მეც მყვარებო, მეც მიოთხოლია!

„თოლია“.

თოლია სატრფოს პოეტური სახეა.
პოეტი მას თავისი „სიჭაბუქის გენისა“
უწოდებს. თოლიას ფრთები აფრაა პოე-
ტის სულისა.

ღიმი სიყვარულით აესილი გული მა-
რად მღელვარე და დაუცხრომელია. ას-
ეთ სიყვარულს, რომლის სიღრმე „ზღვას

ეოცება“, შეიძლება ენდო, მასში შეიძლება ჩაიკეტო და გამაგრდე:

ჩაიკეთი ვარ ჩემს სიყვარულში
და ჩემს გულში ვარ გამაგრებულნი.

„თუ შენ არ გიყვარს“.

მაგრამ რამდენადაც ძლიერია პოეტის გულში სიყვარულით აღძრული სულიერი აღმაფერება, იმდენად მძაფრია და გამანადგურებელი ასეთ სიყვარულთან განშორება, უსიყვარულოდ დარჩენა. ვერც სხვისი სალაში და ვერც დაკარგული სატრფოს მოსაგონებლად ვერცხლის სურაში ჩაწყობილი თეთრი შროშნები ვერ გაანელებენ განშორების ცეცხლს:

თუ შენ აღარ ხარ, ვის ვაძლევ სალამს,
(შენც დამღეწიხარ სულის ბეჭთარო),
წავიდე რომელ იერუსალიმს,
რომელ ქარიშხალს ამოვეფარო!

„თეთრი შროშნები“.

პოეტის ოცნებაა, სიყვარულმა ისევე გაუძღოს დროს, როგორც უძღებს ჩუქურთმაში ამოკვეთილი ყვავილი („მაგონდება ჩუქურთმაში ყვავილი“). პოეტს სწამს, რომ ასევე გამძლე იქნება ლექსიც, რომელშიც სიყვარულით ანთებული გული აირეკლება. პოეტი ამბობს, თუ გინდა არ დაბერდე, არ დამუნჯდე, ყველგან და ყოველთვის „სიყვარულის წყალვარდნილს“ უნდა ერთვოდე:

მიტომ, ძვირფასო,
მინდვრის ხავერდზე,
ელვის კეცაში,
წვიმის ელარუნში,
მე ვეძებ ოქროს,
ფოლადს დავეძებ,
რომ გადავქელო შენს სიყვარულში...

„ეს ვარდი“.

ასეთია სიყვარულის ფილოსოფია, რომელიც თავისებურ, ორიგინალურ ელფერს აძლევს გ. ლეონიძის სატრფიალო ლირიკას.

გიორგი ლეონიძემ დიდი პოეტური გზნებით უმღერა ქართველი ქალის სილამაზეს. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა შევაჩეროთ ნინო ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ, ღრმა სულიერი ღელვის დამტევე პატარა ლექსზე, რომელიც სილამაზის პიმნია:

თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,
ახლაც მინათებს შენი მშვენება...
შენგან შევიტყე, რომ სილამაზეს
არ უწერია გადაშენება.



ნინო ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ოთხსტროფიან ლირიკულ ლექსში გიორგი ლეონიძემ გამოავლინა დიდი შინაგანი პოეტური ძალა. უქცნობი სილამაზის ორიგინალური პოეტური ხილვა, როდესაც სილამაზის ღედოფალს, ასი წლის წინათ „გადამქრალსა“ და ახლაც მანათობელ ვარსკვლავს, მგონის ოცნებათა თავშესაფარი და „ბანაკი ვაზაფხულისა“ უწოდა:

თავშესაფარი რამდენ ოცნების,
იყავ ბანაკი ვაზაფხულისა.

ასეთივე ღრმა შემოქმედებითი წვდომის ნაყოფია დაუვიწყარი სტრიქონები ამ ლექსიდან:

შენ სილამაზის იქით ბნელდება,
დაიხურება ცისკრის კარვდი:
შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
მეკრღზე რომ ვარდაც ძლივს იყარებდი.

ლეონიძისათვის ნინო ჭავჭავაძის ხატება „სილამაზის ნაზი გრივალისა“. ბუნებაში ნაზი გრივალი არ არსებობს, მაგრამ სილამაზის ბუნების პოეტური განხსნისათვის ეს მეტაფორა ორიგინალური და მშვენიერია.

ლექსი „ნინო ჭავჭავაძის“ სილამაზის მარადიულობის, მისი უკვდავების შთაგონებული სიმღერაა.

„გადამქრალ ვარსკვლავთა“ სილამაზის აბოთეოზია უსათაურო ლექსი, რომელიც იწყება სტრიქონებით:

მიოხარ, მია,
მიოხარ, მანანა...

ღამით, „მთვარის ნამქერში“ პოეტის სარკმელთან ანგელოზთა აჩრდილებივით დგებიან სილამაზით განთქმულ ქართველ ქალთა ღვთაებრივი ხატებანი:

მანანა, ნინა,
ეკატერინა,
შვიდი ნაწნავი რომ გერტყა, — მართა, —
ნუთუ აღარ ხარო ამ ქვეყნად მართლა?

ისინი თავის დროზე, ასოდღე წლის წინ. სილამაზისა და სიყვარულის შუქს

აფრქვევდნენ, მამულის დაცვისათვის აღანთებდნენ ვაჟკაცთა გულებს, შთაგონებდნენ პოეტური სიტყვის დიდოსტატებს. ახლა საოცნებო აჩრდილებად ქცეულან:

სტუმრები-და ხართ ჩემი სარკმლის,
როცა მოსკდება მთვარის ნაქერი...
მე თვითელი ზოლი მთვარისა
თქვენი დალაღის ჩქერი მგონია...
და მეხარება მე მათი ბედი,
ვისიც იყავით შარავანდედი.

სილამაზე ქვეყნად სიცოცხლის სიხარულს თესავს, ბედნიერების ცხოველმყოფელი გრძნობით აღავსებს ადამიანის გულს. პოეტი ხატავს ქართველი ქალის სილამაზეს, მის სინატიფესა და კდემამოსილებას, რომელსაც ხშირად ვერც მისწვდება სიყვარულით ანთებული ვაჟკაცის გული, მაგრამ იგი მისი ხილვითა და განცდით მაინც ბედნიერია, მაინც „რთველივით მხიარულია“ („ერთ კახელ ქალს“).

ბედნიერების ვანცდა ეუფლება პოეტს, როცა ალავერდობაში, ნიავქარივით გამოქროლილ, ფიცხ ცხენზე ამხედრებულ, მოჯირითე თუშის ქალს ჰაბუკური გზნებით ანთებულ ალტაცების ყიჟინას დაადევნებს. „ქვებების ნაორთქლარ ნისლში“ თუშთა ყრილობა ღრეობს. მხედარი კი, თითქოს მოსწყდა დედაშიწას, მიჰქრის თვალთუმაღესად, უსაზღვროა მისი ქროლვის სარბიელი. საით მიილტვის იგი? ვის მისძახის მისი ყმაწვილქალობა? პოეტი მის ქროლვაში სიცოცხლის სიხარულის დაუცხრომლობას, თავისი სიჭაბუკის ოცნებას ხედავს. იგი ფრთებშესხმული სილამაზეა, სიყვარულს რომ ბადებს:

შენი მხედრობა მიყვარდა
და შენი თავდახრილობა,
შენი მოხედვა, ხოხობო,
და სიკისკასე ქალური.

„თუშის ქალი ალავერდობაში“.

პოეტისათვის ქართველი ქალი არა მარტო სილამაზის განსახიერებაა, არამედ იგი დედაა, დაა, სატრფოა:

მშვენიერება ტრფობა შენებრი
სამშობლოს ედემს არა ჰყოლია,

თავისუფლების გეზზეთა დედაო
წინ შენი სახე მათ წასძლოლია...
მარტოველი ქალს მთავარი
„ქართველი ქალს“

გიორგი ლეონიძე დიდი შთაგონებით ხატავს ქართველი დედის ისტორიულ ხვედრს, რომელიც განუყრელად იყო დაკავშირებული სამშობლოს ხვედრთან, მის ტანჯვასა და სიხარულთან. ქართველი ქალი მეომარ შვილებს უზრდიდა მამულს. იგი საახალწლოდ პურის ხმლებსა და შუბებს უცხობდა ბავშვებს, ხან ნაღვლიანად „იავ-ნანას“ დაჰლიდინებდა აკვანს, ხან „ცხრა კუბოს დაჰქვეითინებდა“, მაგრამ მის ამაყ სულში იმედის შუქი არასოდეს ჩამქარალა.

თავის დროზე დიდად გახმიანებულ პატრიოტულ ლექსში — „არ დაიღარდო, დედაო“ — ბრწყინავს სახე ქართველი დედისა, მამულს საამაყო ვაჟკაცი რომ აღუზარდა.

დედის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსებში — „პოეტის დედა“ და „პატარა ქვაო პატარძელში“ — გიორგი ლეონიძემ შექმნა განზოგადებული მხატვრული სახე ოჯახის მოჭირანახულე, ქმარშვილის მოამაგე ქართველი ქალისა. ლექსი „პატარა ქვაო პატარძელში“ ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს იკავებს გიორგი ლეონიძის მრავალფეროვან ლირიკაში. იგი გლოვის დიდი სიმღერაა, რომელიც ექვსი პატარა თავისაგან შედგება. სიმღერის დასაწყისი მკითხველს ღრმა, სევდიანი სავალობლის მოსასმენად განაწყობს:

ვინდაც ვიცოცხლო ათასწლეულში,
ვერ მოვიწურო გულის ნაღველი; —
პატარა ქვაო პატარძელში,
რა დიდი სევდის ხარ შემნახელი!

პატარა ქვა პატარძელში პოეტის დედის საფლავის ქვაა.

ლექსის პირველ თავში პოეტი იგონებს მშობლიურ სოფელში გატარებულ ბავშვობას, მზრუნველი დედის ფვალთანათელს და მის გულს უდიდესი სევდა ეუფლება:

აქ მარწყვზე წასულს დედა მეძებდა,
მე ახლა აქვე დავეძებ დედას...



...პირველად გნახე ხელმედაკრეფით,
 გადახმა ბაღჩა, გაცივდა თონე...
 ...ეპ, კაბის ნაცვლად მოლი გაცივდა, ნაცვლითივესა
 ლეჩაქის ნაცვლად ნისლი გახურავს...

პოეტი სინანულს გამოთქვამს, რომ დღემდე ღირსეულად ვერ დახატა საყვარელი მშობლის სახე.

ლექსის მეორე თავში დახატულია დედის სახე, მისი სათნო ბუნება, ადამიანური ღირსებანი: კეთილი, მშრომელი, „მარად მღიმიარი“, „წმინდა, ვით თოვლი დაუდებელი“, სიმართლის მოყვარული, შვილებისათვის თავდადებული, მზრუნველი, მათთვის ძველქართულ ზღაპართა და „ქართლის ცხოვრების“ ეპიზოდების შთაგონებული მთქმელი...

მესამე და მეოთხე თავებში მოთხრობილია დედის უკანასკნელი დღეებისა და მისი სიცოცხლის დასასრულის ამბავი, დედის ანდერძი.

ბოლო ორი თავი წარმოადგენს პოეტურ-ფილოსოფიურ შეგონებას სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებზე. მომავლადი დედა ამბობს:

— თუ ვანშორების დამდგარა წამი,
 შვილო, დროს ვნატრობ უნეტარესსა,
 მე შენთან მოვალ, ვით ვარდზე ნამი,
 ჩამოვალ როგორც სხივი მთვარისა...

პოეტის რწმენაც ესაა:

მწამს იქეც ორთქლად, და ვფიცავ ფიცით,
 ნამად დაადნი დაგვალულ ყანას.

დიდი სულიერი ტკივილით არის წარმოსახული დედის დაკარგვა: „...და შეიკუმშა, როგორც მტევანი, გადაქცეული შენი სხეული“.


„ხაით წახვედი, მოუსავალიო?“ უკვდავების მომღერალი პოეტი ოპტიმისტური სტრიქონებით პასუხობს ადამიანური ბუნების, მისი სულის შემარყეველ ამ კითხვას:

არა, აქვე ხარ, შესნ წყნარ ეზოში,
 ფშატის შრიალში ხარ ნიშნულად,
 ამ კვირტში გხედავ, ყვავილის ზროში,
 სიცოცხლის ნიშნად რაც მიჩნულა!
 აქვე ხარ, — შრომის ღალადებაში,
 წინდის ქსოვაში, ყურძნის კრეფაში,
 გაზაფხულების დაბადებაში.
 ნაკადულების ოქროჩქეფაში!

დედის უკვდავების ნიშანია ისიც, რომ მისი საფლავის ქვა — „მთვარის ნალევი“ — მთვარესავით მუდამ დარაჯობს პოეტს. დედის ხატება მარად წინ მიუძღვის, შემოქმედებითი შემართებისათვის შთააგონებს მას:

ხომ თვითეული შენი რძის წვეთი,
 ჩემში ჩქეფს ლექსად, საქმედ, ოცნებად!
 მინდა მოვასწრო, ვაკეთო მერტი,
 ვით შენ შესძელი საქმის მოსწრება!

როგორც ვხედავთ, ამ ლექსში დასმულია სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა და მიუხედავად ღრმა სულიერი ტკივილებისა, საბოლოოდ მაინც სიცოცხლე ზეიმობს.



აკაკი ბექაძე

სქემების ტყვეობაში

„მე ასე მგონია... აღამიანებს ერთმანეთი რომ უყვარდეთ, ერთი ბეჭდა შეცდომასაც არ აპატიებდნენ, ადრევე მიუხვედებოდნენ“...

თინა დონჯაშვილი — „ალაზანზე“.

დაამთავრებთ თუ არა თინა დონჯაშვილის რომანის „ალაზანზე“ (გამომცემ-ცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965 წელი) კითხვას, მაშინვე თვალში გეცემათ ერთი გარემოება, რომელსაც ტენდენციის გაშიშვლება შეიძლება უწოდოს კაცმა. იმდენად აშკარა და შეუნიღბავია პერსონაჟებისადმი ავტორის დამოკიდებულება, რომ მკითხველს არ უჭირს ისინი სამ ჯგუფად დაჰყოს: პირველ ჯგუფში შევლენ ისინი, ვისაც ცნობრება უმწიკვლოდ, უცდომლად და უცოდველად გაუტარებია (ესენია: ნიკო ხელაშვილი, ბაადურ ბექაური, ნიკოლოზ სიღამონიძე, ხიმშიაშვილების მთელი ოჯახი, ფირუზა ჩანგაშვილი, ტარიელ ჩოფიკაშვილი და ანიკო მდინარაძე). მეორე ჯგუფში კი თავს მოიყრიან პირწავარდნილი ბოროტმოქმედნი, რომელთაც აღამიანობისა და კეთილსინდისიერების ნიშანწყალიც არ შერჩენიათ (ესენია: იაკობ ფერაძე, ბაგრატ დემურაშვილი, იორამ ბაბუციძე, დოფინე, ნემსიწვერიძე, ტურია, ჩიორა და კორნელი ლოლაძე). ხოლო მესამე ჯგუფს ეკუთვნიან პერსონაჟები, რომელნიც სიკეთესა და ბო-

როტებას შორის ირყევიან „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ (ძირითადად ასეთია — გედეონ ვარამაძე და ზაქრო სიყმაშვილი, ნაწილობრივ კი — ნენე ჯარიაშვილი).

პერსონაჟთა ასეთმა კლასიფიკაციამ თ. დონჯაშვილი მიიყვანა აბსოლუტური სიკეთისა და აბსოლუტური ბოროტების დაპირისპირებამდე. თუ რა ეთიკურ-მორალური შინაარსის მატარებელია პერსონაჟების სიკეთე ან ბოროტება, ქვემოთ მოვახსენებთ. ახლა კი უნდა ითქვას, რომ სიკეთისა და ბოროტების მშრალმა აბსოლუტურობამ შეასუსტა ემოციურობა. საქმე ის არის, რომ მწერლის ნებით პირველი ჯგუფის პერსონაჟებმა ყველაფერი იციან, ყველაფრის ალლოაქვთ, ყოველგვარ გარემოებაში იციან, როგორ მოიქცნენ, ყოველ კითხვაზე მზადაა აქვთ პასუხი. ამიტომ შეცდომა, აღამიანური დაბნეულობა ან მერყეობა გამორიცხულია.

ახლო გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

ბ ა ა დ უ რ ბ ე ქ ა უ რ ი.

ბაადური პირველი ნახვისთანავე მოეწონა შინდის კოლმეურნეობის თავგა-

დომარეს ზაქრო სიყმაშვილს („მაგისტანა ხალხი საქმისათვის პირდაპირ მისწრება!“ გვ. 23). ამიტომაც ხელი შეუწყობეჭაურის შინდის კოლმეურნეობის პარტორგად არჩევას. ამასთანავე მისი პარტორგობაც სანატრელი ყოფილა („— ეჰ, ნეტა ერთი შენისთანა კაცი მოგვცა პარტორგად!“ გვ. 44). აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მთელი სოფელიც ნდობით ეკიდება ბეჭაურს („შინდელეები გულისყურით ეკიდებოდნენ ბაადურის სიტყვებს და ჩანდა, ის მიაჩნდათ ახლობელ და თავისიან კაცად“. გვ. 43). ერთი სიტყვით, მწერალმა ბაადურ ბეჭაური რომანში იმთავითვე სიკეთის შარავანდედით მოსილი შემოიყვანა. შემდეგ სიუჟეტის განვითარებამ დაგვანახა, რომ ზაქრო და ბაადური ერთმანეთს დაუპირისპირდა და დაეჯახა როგორც საზოგადოებრივ საქმიანობაში, ისე პირად ცხოვრებაში.

ზაქრო სიყმაშვილი უნიჭო ხელმძღვანელი და უნიათო თავმჯდომარე გამოდგა. ჩამორჩენილ და გაღატაკებულ შინდის კოლმეურნეობას ვერაფერი უშველია. ცხადია, პირველი, ვისაც ეს უნდა შეემჩნია და მდგომარეობის გამოსწორებისათვის ეზრუნა, პარტორგი ბაადურ ბეჭაური უნდა ყოფილიყო. რაც შართალია მართალია, შემჩნევით შეამჩნია, მაგრამ საქმის გამოსასწორებლად კი არაფერი გააკეთა. რატომ მოხდა ეს? ერთი უცნაური ტენდენცია იკრძნობა მწერლის დამოკიდებულებაში ზაქრო სიყმაშვილის მიმართ. რა დანაშაულიც არ უნდა ჩაიდინოს სიყმაშვილმა, მწერალი ყოველთვის ცდილობს ზაქროს გამართლებას და დანაშაულის სხვისთვის გადაბრალებას. მწერალი ასეთ პოზიციას თავისი რომანის დანარჩენ პერსონაჟებსაც ახვევს თავს. ცხადია, მათ შორის ბეჭაურსაც. ამიტომაც არის, რომ ბეჭაური დინახავს თუ არა ზაქროს შეცდომას ან დანაშაულს, იმაზე იწყებს ფიქრს, როგორ გაამართლოს ზაქრო. ამიტომ პერსონაჟების საქციელი და მოქმედება არც მათი ხასიათებიდან გამომდინარეობს და არც შექმნილი კონკრეტული სიტუაციი-

იდან. ისინი (საქციელი და მოქმედებები) მწერლის მიერ ამოჩემებული ტენდენციის შედეგია, რომელთაც ფსიქოლოგიური და მხატვრული ლოგიკა არა აქვთ. მაგალითად, ზაქრო სიყმაშვილი შინდის კოლმეურნეობის ჩამორჩენას ფართობის უკმარობით ხსნის (გვ. 43—44). იგი იბრძვის ფართობის მომატებისათვის, რაც, სიყმაშვილის აზრით, შინდელეებს საშუალებას მისცემს, გამოიყენონ მექანიზაცია. რა თქმა უნდა, ბაადურმა იცის, რომ შინდელეების მდგომარეობის გაუმჯობესება არ არის დამოკიდებული ფართობის გადიდებაზე (გვ. 43). მაგრამ იგი არ ცდილობს ეს მცდარი აზრი გადააქმენინოს ზაქროს და მდგომარეობის გამოსასწორებლად სხვა, უფრო სწორი გზა შესთავაზოს.

ზაქრო სიყმაშვილმა დანაშაული ჩაიდინა. თანხა, რომელიც მეცხვარეობის ფერმის ასაშენებლად იყო გამოყოფილი, აიღო და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მშენებლობაზე დახარჯა. ამ მოქმედებას ის მოჰყვა, რომ უფერმოდ და უპატრონოდ დარჩენილი ცხვარი ავდარაში დაიღუპა (გვ. 84). ამ ამბავმა უკიდურესად აღაშფოთა ბეჭაური, მაგრამ საქმე აღშფოთებას არ გასცილებია. ამ დანაშაულისათვის ზაქროს პასუხი არ უგია. ბაადურის სიტყვები — „მეტს ვეღარ ვიციდი. ერთხელაც მივალ ვარამაძესთან, თუ საჭიროა, თბილისში წავალ“ (გვ. 86) — სიტყვებად დარჩა და პარტორგი არც ვარამაძესთან მისულა და არც თბილისში წასულა. ბაადურის მთელი მოღვაწეობა პათეტიკური შეძახილით ამოიწურა: „— ოო, ზაქრო, როგორა ვნატრობდი, რომ შენ არ ყოფილიყავი ამ საქმის მონაწილე“ (გვ. 86). ამ კონკრეტულ შემთხვევაშიაც პარტორგს ინიციატივა თავად მწერალმა დაუხშო. რაკი ზაქრომ ფერმის ფული სადგურის მშენებლობაზე რაკიკომის მდივნის—ვარამაძის რჩევით დახარჯა, ამიტომ ავტორის აზრით, დამნაშავე ვარამაძეა და არა ზაქრო. განა ზაქროს საკუთარი ჭკუა არა აქვს? განა სხვისი კარნახით ჩადენილი დანაშაული დანაშაული არ არის? მაგრამ

საქმე ისაა, რომ მწერალმა ბაადურ ბე-
ქაური ახლავე თუ ამოქმედა და გარ-
კვეული ღონისძიებანი მიადებინა, მაშინ
თ. ღონეაშვილი ბაადურს რომანის 305-
312 გვერდებზე კოლმეურნეობის საერ-
თო კრებაზე ვერ ალაპარაკებს და ვერ
გამოიყვანს მას ერთდროულად ზაქროს
ბრალმდებლადაც და დამცველადაც. სამ-
წუხაროდ, გამოცდილ მწერალს მხედვე-
ლობიდან ეპარება, რომ ყველაფერი ეს
მეტისმეტო ხელოვნურობის ელფერს იძ-
ენს და ცხოვრებისეულ სინამდვილეს
სცილდება.

ბექაური ზაქროს სხვა დანაშაულ-
ზეც არ იწუხებს თავს. როცა სიყმაშ-
ვილმა შეატყო, რომ კოლმეურნეობას
ვერ გაუძღვებოდა, ყველაფერს თავი მი-
ანება და კოლმეურნეობის ბედ-იღბალი
ქურდს, მფლანგველსა და ბოროტმოქ-
მედ ბაგრატ ღემურიშვილს ჩაუჯდო ხე-
ლში. (გვ. 57). ბექაურმა ესეც კარგად
იცის, მაგრამ არც ამ მდგომარეობის წი-
ნააღმდეგ იბრძვის. იგი თავს სენტიმენ-
ტალური ფიქრებით ირთობს: „რა გქნა,
რა გავაწყო? რადაცა ხომ უნდა გავაყე-
თო? აღარ შეიძლება ასე ვაგრძელდეს,
უნდა ვიმოქმედო... ესე იგი გადაჭრით
უნდა ავუჯანყდე ზაქროს? რომ არ შე-
მიძლიან?... ძალიან ცუდად არის ჩვენი
კოლმეურნეობის საქმე და მე მაინც არ
შემიძლიან ზაქროს წინააღმდეგ გამოსვ-
ლა. მარტო იმიტომ კი არა, რომ შშსა-
ვით მიყვარს ეს კაცი, არა. არ შემიძლიან
იმიტომ, რომ ეს უსამართლობა იქნებო-
და. განა ეს ყველაფერი ზაქროს ბრა-
ლია, რომ მას დავატყდე თავს, ან განა
ამით ეშველება საქმეს?“ (გვ. 61). აქ
ცდება არა მარტო ბექაური, არამედ
მწერალიც, რომელიც ფიქრობს, რომ
ზაქროს დანაშაულის წყარო გადაგვარე-
ბული რაიკომის მდივანი ვარამაძეა. ვა-
რამაძეს შეიძლება თავისი ზრახვები აქვს
და მათ განსახორციელებლად მოკავში-
რესაც ეძებს, მაგრამ მოწიფული კაცი,
რომელმაც ცხოვრების მწარე გამოცდი-
ლება იგემა, ნახა ავიცა და ნახა კარგიც,
რომელიც ერთი კოლმეურნეობის თავმ-
ჯდომარეობას არ კმაყოფილდება და სა-

მი გავრთიანებული კოლმეურნეობის
თავაკაობისაკენ თავდავიწყებული მი-
ილტვის, ნუთუ ვერ უნდა ხედავდეს
ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი?
ვერაფერს ამას ზაქრო ვერ ხედავს: მი-
უხედავად ამისა, მწერალი (მისი კარ-
ნახით ბექაურიც) ცდილობს ზაქროს
კალთა ვადააფაროს და პასუხისმგებ-
ლობისაგან დიხსნას. თუკი ბექაური
კოლმეურნეობის, ხალხის ინტერესების
დასაცავად არც ერთ კონკრეტულ ნა-
ბიჯს არ გადაადგამდა, არაფერს გააკეთე-
ბდა, მაშინ რატომ არის იგი სანატრელი
პარტორგი? იქნებ ზაქროცა და მკითხველ-
სა-ლიც მოტყუვდნენ: ბექაური ეგონათ სა-
უკეთესო პარტორგი და არ აღმოჩნდა.
და მწერალმაც იმედის ვაცრუების ეს
სურათი დახატა. არამცაა არამც: ბექაუ-
რი ბოლომდე დახატული და წარმოდგე-
ნილი ჰყავს თ. ღონეაშვილს იდეალური
პიროვნების შარავანდელით შემოსილი.
აი საბუთებიც: „— მანანა, ხედავ როგო-
რი პარტორგი გვეყოლება?— ჩასჩურჩუ-
ლა დარიაშ მეგობარს“ (გვ. 313; ახლა
უკვე ბექაური სამი გავრთიანებული კო-
ლმეურნეობის პარტორგი იქნება—ა. ბ.);
— „ნეტავი იმას, ვისაც ბექაური შეიყვარ-
ებს!“ — ამოიოხრა დარიაშ (გვ. 313).
„...როგორ შეიძლებოდა ვარამაძე გადა-
გვარებულყო, როცა ვარშემო ასეთი
ხალხი იყო. ეს ბაადურ ბექაური, ეს ჯერ
უცნობი სიკო ხელაშვილი...“ (გვ. 316)—
ფიქრობს სიკომონიძე.

სამწუხაროდ, რომანში ამ აღტაცებას
დამაჯერებელი საფუძველი არა აქვს. ერ-
თადერთი საქციელი (კოლმეურნეთა სა-
ჯარო კრებაზე ბექაურის გამოსვლა ვა-
რამაძის წინააღმდეგ), რომლითაც მწე-
რალი ცდილობს ბექაურის პრინციპუ-
ლობა დაგვანახოს, საქმარისი არ არის.
გარდა ამისა, ყველაფერი ეს მომეტებუ-
ლად გვიან ხდება, როცა უკვე წაქცეუ-
ლი და მხილებული რაიკომის მდივნის
გაკრიტიკება დიდ ვაჟაკობასა და პრინ-
ციპულობას არ საჭიროებდა. ასე რომ,
ერთია მწერლის სურვილი და მეორეა
კონკრეტული სურათი, რომელიც მაყუ-
რებელმა შეიძლება წარმოიდგინოს, რო-

ცა იგი გაცნობა ბექაურის ცხოვრების გზას რომანში აღწერილს. ამ გათიშულობამ ბექაურის სახეს მხატვრული სიმართლე და ემოციურობა დაუკარგა.

იქნებ ბექაურმა სიყვარულში გამოიჩინა განსაკუთრებული სულიერი თვისებები? ვნახოთ. ბექაურს მანანა უყვარს, მაგრამ ქალს ცოლიანი ზაქრო სიყვარული შეჰყვარებია. ბექაური აქაც ზაქროს დაუპირისპირდა, მაგრამ მათ რაყიფობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ამ სიყვარულზე ზაქროსა და ბაადურს შორის კრინტიც არ დაძრულა. ოღონდ ეგ არის, როცა მანანას უყურებს ბექაური, ფიქრობს: „რა ხიფათს უმზადებ, ქალავ, შენს თავს?“ ეს მწველი ფიქრი მწერალს ოთხჯერ აქვს რომანის სხვადასხვა ადგილას გამეორებული (გვ. 262, 274, 299, 302). ბოლოს, როგორც იქნა, იგი მანანას დაელაპარაკა და კატეგორიული კითხვა დაუსვა: „— რამ შეგაყვარა ცოლიანი კაცი, სხვა ქალის ქმარი?“ (გვ. 395) და ქალს პრინციპული საყვედურიც გამოუცხადა: „თქვენ სახადივით შეგეყარათ ცოლიანი კაცის სიყვარული და კომკავშირის ხელმძღვანელს ეგ არ შეჰფერის“ (გვ. 396). სიყვარულის უფრო კაზიონური გამოვლენა შეუძლებელია. ინტიმური გრძნობის გამოძეღვანების დროსაც კი ბექაურის სახემ მოარული ინსტრუქციის საზღვრები ვერ დაარღვია, ვერ შეიძინა ცოცხალი ადამიანის სიტბო, რომელიც მკითხველს დაეხმარებოდა ემოციური კავშირი დაემყარებინა მასთან.

ნიკო ხელაშვილი.

ავტორის სიტყვით, ნიკო ხელაშვილი ოჯახის შესანიშნავი მამაა, რომელმაც არა მარტო ღვიძლი შვილები გაზარდა, არამედ ობლად დარჩენილი ზაქრო სიყვარულიც და ახლა პატარა უდღემამო აჩიკოსაც ზრდის. ნიკო ხელაშვილი კოლმეურნეობის უბადლო თავმჯდომარეა. მან მუხიანის კოლმეურნეობა მილონერი გახადა. მისი ხელმძღვანელობა მეზობელი სოფლების გლეხობას ოცნებად ექცა. ნიკო ბრძენი და შორსმჭვრეტელი კაცია, რომელიც პირად კეთილ-

დღეობას არას დაგიდევთ, ოღონდ სიყვეყნო საქმე არ წახდეს. ასეთი კაცი მხოლოდ მოგიდგებათ თვალწინ, როცა გარდასახვით რომანში ნიკო ხელაშვილის ავტორისეულ დახასიათებას. ვანა შეიძლება ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო ჰქონდეს ეგზომ იდეალური მხატვრული სახისა, თუკი იგი დამაჯერებლად და მართლად არის დახატული? თუკი მწერალი შეძლებს შექმნას ასეთი სახე ისე, რომ ცხოვრების სიმართლეს არსად უღალატოს, არ დაარღვიოს რეალისტური სახისათვის აუცილებელი მრავალფეროვნება, სირთულე და ფსიქოლოგიური სიღრმე? რა თქმა უნდა, არა. ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, რამდენად გაართვა თავი მწერალმა ამ მეტისმეტად ძნელ ამოცანას, განვიხილოთ ნიკო ხელაშვილისა და ორი პერსონაჟის — გედეონ ვარამაძისა და ზაქრო სიყვარულის — ურთიერთდამოკიდებულება. ეს ურთიერთობა იძლევა ყველაზე მეტ საშუალებას ნიკო ხელაშვილის პიროვნების არსის გამოსავლენად.

თავდაპირველად, როგორც მწერალი ამბობს, ნიკო ხელაშვილსა და გედეონ ვარამაძეს „ღიდი და წმინდა მეგობრობა“ (გვ. 167) აკავშირებდა. მერე თანდათანობით მათი მეგობრობა დაირღვა და გედეონ ვარამაძე მტრად მოეკიდა ნიკო ხელაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ მუხიანელი თავმჯდომარე ალალ-მართალი იყო რაიკომის მდივნის წინაშე. რა მოხდა, რამ გამოიწვია ეს მტრობა? ამ კითხვას რომ პასუხი გავცეთ, უნდა გავიხსენოთ ერთი ამბავი, რითაც დაიწყო მათი მტრობა.

გედეონ ვარამაძე „რაიკომის მდივნების ომისშემდგომ პირველ თათბირს“ (გვ. 116) ესწრება. თათბირზე ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა კორნელი ლოლაძემ გედეონ ვარამაძე ცამდე აიყვანა. ლელიანის რაიონის ყველა მიღწევა-გამარჯვება გედეონს მიაყვარა. მოჭარბებულმა ხოტბამ გედეონ ვარამაძის ჩუმი პროტესტი გამოიწვია (მაშინ იგი ჯერ კიდევ არ იყო გადაგვარებული). იგი გულში ეკამათებოდა ლოლა-

ძეს: „რატომ არაფერს არ ლაპარაკობთ ნიკო ხელაშვილზე? მე ხომ ვწერდი იმის შესახებ? თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ხელაშვილი იყო ყველა საგმირო საქმის წამომწყები. რა საოცარია, რომ თქვენ არ ახსენებთ მათ, ხალხს“... (გვ. 118). გედეონს უნდოდა წამომდგარიყო და ეს პროტესტი ხმაძალდა, საჯაროდ განცხადებინა, მაგრამ ნებისყოფამ უღალატა და ვერ გაბედა შეკამათებოდა ლოლაძეს. უნებისყოფობას თვითკამათივით გრძნობდაც დაერთო. გედეონმა სადღაც შეიფერა კიდევ ქება-დიდება. თუმცა თათბირის შემდეგ იგი შეეცადა განემარტა ლოლაძისათვის, რომ „მეტისმეტად მაღალი შეფასება“ მიიღო და ვერაფერს შეძლებდა „ხალხი რომ არ ყოფილიყო“ (გვ. 120), მაგრამ ლოლაძემ არც მოისმინა ვარამაძის პროტესტი. პირობით, მომეტებულ თავმდაბლობად ჩამოართვა იგი.

თათბირიდან უკმაყოფილო დაბრუნდა გედეონი ლელიანში. აქტივის კრება მოიწვია და უინტერესო მოხსენება წაიკითხა. (გვ. 129). ნიკო ხელაშვილს არ მოეწონა რაიკომის მდივნის მოხსენება და პირდაპირ, მოურიდებლად უთხრა მას — „დაჩვეული არა ვართ თქვენს ამგვარ გამოსვლებსო“ (გვ. 129). გედეონ ვარამაძეს ეწყინა ეს. ამით დაიწყო მათი შუღლი. უფრო სერიოზული მათ შორის არაფერი მომხდარა. შემდეგ ავტორს გაკვრით აქვს ნათქვამი, რომ ფერაძე და მისი კომპანია ცდილობდნენ კიდევ ამ უთანხმოების გაღრმავებას და „მიადწიეს კიდევ იმას, რომ ვარამაძემ შეიჯავრა ნიკო ხელაშვილი“ (გვ. 167). ამის შემდეგ ბევრჯერ უცდია ნიკოს ვარამაძესთან მოლაპარაკება, მაგრამ რაიკომის მდივანს იგი ახლოს აღარ გაუკარებია (გვ. 167-168). ამ ურთიერთობაში ორი რამ არის გასარკვევი: პირველი, თუკი გედეონ ვარამაძეს „ახსოვდა, რომ სწორედ ამ მუხსავით ბრვე ვაუკაცის მარჯვენაზე დაყრდნობით ასრულებდა ომიანობის წლებში თავის ძნელსა და მძიმე მოვალეობას, ახსოვდა, რომ სწორედ ამ ჰკვიანი და შორსმჭვრეტელი კაცის რჩევა შეე-

ლოდა ხალხის გულთან ახლოს მისსგულელი გზების პოვნას, ახსოვდა, რომ სწორედ მისი სპეტაკი პატიოსნების გედეონისათვის ფასდაუღებელი მსაჯული“ (გვ. 167), როგორ-ღა შეიძულა ერთი პატარა საყვედურის გამო ნიკო ხელაშვილი? ნუთუ ერთმა უვნებელმა ფრაზამ — თქვენგან ასეთ მოხსენებას არა ვართ ჩვეული — მრავალი წლის მეგობრობა, ერთად ბრძოლა და შრომა წაშალა? მე მგონია, რომ მწერალი აჩქარდა და მის მიერ შექმნილი „დიდი და წმინდა მეგობრობის“ დასაშლელად დიდი და სერიოზული მიზეზები ვერ გამოძებნა. ამასთანავე, ამ მეგობრობის დაშლის ფსიქოლოგიური სურათიც ვერ დახატა. ეს ერთი მხარეა საკითხისა.

არის მეორე მხარეც: ნუთუ ნიკო ხელაშვილმა ეგზომ იოლად დათმო ძველი მეგობრობა? რაიკომის მდივნისა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის ურთიერთობა არ არის მხოლოდ და მხოლოდ ორი პიროვნების მეგობრობა. ეს უპირველესად ორი საქმის კაცის მეგობრობაა, რომელზეც ბევრი ადამიანის ბედ-იღბალია დამოკიდებული. ამ შემთხვევაში მეგობრობის შესანარჩუნებლად ანდა, თუ გნებავთ, მეგობრობის უარსაყოფად დიდი ბრძოლაა საჭირო. ეს არ შეიძლება არ იცოდეს იმ ნიკო ხელაშვილმა, რომელიც თ. დონეაშვილმა ავეიწერა. მაშინ რატომ გახადა მწერალმა მისი საყვარელი პერსონაჟი ინერტულობის მსხვერპლი? მარტალია, თ. დონეაშვილი წერს: „ითმენდა ხელაშვილი, არასოდეს წვრილმანად არ გამოჰპასუხებია მდივანს, არასოდეს არ დაუკარგავს ადამიანის მაღალი ღირსება, მაგრამ როცა საქმე საქმეს ენებოდა, — კოლექტივის, რაიონის, ქვეყნის კეთილდღეობას, პარტიული ორგანიზაციის სახელს — მაშინ ნიკო მოუთმენელი და შეურიგებელი იყო. ასეთ შემთხვევაში არ ერიდებოდა პირად უსიამოვნებას, პირდაპირ და პირუთვნელად ლაპარაკობდა კრებაზე, თათბირზე, ყველგან, სადაც კი ვარამაძე უსმენდა მას. არა ერთხელ გამხდარა იძულებული განცხადებით მიემართა თბი-

ლისისათვის, მაგრამ განცხადება ისევ ვარამაძეს უბრუნდებოდა განსახილველად“ (გვ. 170). მაგრამ პროზა არ არის მარტო აღწერა. პროზა უპირველესად უშუალოდ ხატვას, რომელიც საშუალებას აძლევს მკითხველს თვითონ გამოიტანოს დასკვნა, პირუთვნელად მოიქცათ თუ არა პერსონაჟი, მოერიდოს თუ არა უსიამოვნებას, იყო თუ არა მისი განცხადებები მართალი და ობიექტური. რა თქმა უნდა, მკითხველსა და მხატვრულ ნაწარმოებს შორის უშუალოდ მწერალი დგას. იგი არჩეული მიმართულებით წარმართავს მკითხველის ყურადღებას, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს პერსონაჟის უშუალო მოქმედებაში ჩვენების გზით და არა მარტოდენ ამბის თხრობის საშუალებით. თუკი თ. დონეაშვილმა კარგად შეძლო უშუალოდ დაეხატა ცენტრალურ კომიტეტში თათბირზე გედეონ ვარამაძის ორჟოფობისა და გაორების სურათი, მაშინ რატომ ერთხელ მაინც არ გვიჩვენა ნიკო ხელაშვილის პრინციპული გამოსვლა გედეონ ვარამაძის წინააღმდეგ ანდა დასაცავად? თუკი ვარამაძის ბრძოლა ნიკოს წინააღმდეგ კონკრეტულ ამბებში ვლინდება (თავიდან რომ მოიცილოს ნიკო, სასწავლებლად აგზავნის გვ. 202, ტუქსავს, გვ. 205), მაშინ მწერალმა ნიკო ხელაშვილს რატომ არაფერი ათქმევინა იმ კრებაზეც კი, რომელზეც სამმა სოფელმა გაამასხრა და ცოცხლად დამარხა გედეონ ვარამაძე? ეს არ არის ტაქტის ნიშანი. ეს უფრო ზერელეობის კვალია. მეგობრობასაც კონკრეტული გამოვლენა უნდა და მტრობასაც. ჩვენებისა და აღწერის საკითხი არსებითი საკითხია. უფრო მეტიც, ჭეშმარიტი მხატვრული პროზა იქ იწყება, სადაც ჩვენების პრინციპი ჭარბობს. ამიტომაც გვინდოდა ჩვენ ვარამაძისა და ხელაშვილის მეგობრობის რღვევა, მათი მტრობა გვენახა და ამბის მხოლოდ მოსმენით არ დავკმაყოფილებულიყავით.

იქნებ ზაქაროსთან ურთიერთობაში გამოაჩინა ნიკომ ხასიათის ის თვისებები, რაც მწერალმა მიაწერა მას? ზაქარო ნიკოს შეიღობილია და მისი ბედი ხელაშ-

ვილს არ შეიძლება არ აწუხებდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, არც აქ არის ნიკოს აქტიური და მოქმედი. მართალია, ეკვის თვალთ შეხება ზაქაროს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩევას და დაფიქრა კიდეც ამ ამბავმა (გვ. 30), მაგრამ აქტიურად არც პო უთქვამს და არც არაფერი ზაქარო კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას თავი ვერ გაართვა. სახალხო საქმეც და პირადი ცხოვრებაც კატასტროფის პირამდე მიიყვანა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად და ზაქაროს დასახმარებლად ნიკოს არაფერი გაუკეთებია, თუმცა ზაქაროს თავის დროზე ნიკოს დიდი იმედი ჰქონდა: „შენ რჩევადარიგებას ნუ მომაკლებ და მე მალე ვისწავლი კოლმეურნეობის მოვლა-პატრონობას“ (გვ. 30). მწერალი გრძნობს, რომ ნიკოს უყურადღებობა ზაქაროს ბედ-იბღლისადმი მაინცაღამაინც არ შეესაბამება მის მიერ აღწერილი პერსონაჟის ხასიათსა და ცდილობს, ხელაშვილს გამამართლებელი მიზეზები მოუძებნოს: „...რაც უფრო უჭირდა ზაქაროს, მით უფრო ამაყად ეჭირა თავი, თავის მოხრას სიკვდილს ამჯობინებდა. სწუხდა ნიკო, რომ მოსიყვარულე მამაშვილური დარიგება და დახმარება ზაქაროს დამცირებლად მიაჩნდა, თავზე მოხვეწულ არასასურველ მეურვეობად“ (გვ. 198).

უცნაური ამბავი ხდება: ვარამაძეს სჭირდება ნიკო და ახლოს არ იკარებს, ზაქაროსაც სჭირდება იგი და ყოველნაირად გაურბის მამობილს. ხომ არ არის ეს ნიკოს ინერტულობის ახსნის გულუბრყვილო ცდა? ხომ არ არის ეს კონფლიქტის გადაწყვეტის გაიოლებული საშუალება? როგორც კი მწერალი შეაშინებს, რომ უჭირს ორ პერსონაჟს შორის გაჩენილი წინააღმდეგობის დამაჯერებელი ახსნა, მათი მოქმედების ფსიქოლოგიურად გამართლებული ჩვენება, მაშინვე ხელოვნურად ქმნის რომანის გამართა შორის გადაულახავ ზღვარს, თიშავს მათ ერთმანეთისაგან...

მწერალი გაურბის რთული ფსიქოლოგიური სურათის დახატვას. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს შემდეგი მაგალითიდან:

კრებაზე, რომელზეც სამი გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარის არჩევის საკითხი წყდება, ნიკო ძალიან გაორებულ მდგომარეობაში უნდა იყოს, რადგან ერთგვარი დილემის წინაშე დგას: თუ გაიმარჯვებს, ზაქრო დამარცხდება. მართალია, გამარჯვება სამართლიანი იქნება, მაგრამ შვილობილი ძალიან დამცირებული და შეურაცხყოფილი დარჩება. თუ დამარცხდება, ზაქრო გაიმარჯვებს. მაგრამ ეს იქნება უსამართლობა, რადგან იგი უკეთესი თავმჯდომარეა და კანონიერება მოითხოვს, რომ იგი იყოს გაერთიანებული კოლმეურნეობის ხელმძღვანელი. მწერალს არაფერი უთქვამს ნიკოს მდგომარეობაზე, არ დაუხატავს მისი სულის მოძრაობა ამ სიტუაციაში. არც გამარჯვებულ ნიკოს ორგვარი გრძობა — ერთდროულად სიხარული და წყენა — გამოუხატავს. მართალია, მოგვიანებით, როცა სიღამონიძე და ნიკო ზაქროზე მსჯელობდნენ, მწერალი ამბობს: „ნიკოს ალაგ-ალაგ უჭირდა ვარეგული წონასწორობის შენარჩუნებაო“ (გვ. 329), მაგრამ ამით არ შეცვლილა ადამიანის სულიერი მდგომარეობის ერთბაშადი დანახვა, რამაც ფსიქოლოგიური მრავალფეროვნება და სირთულე გამოიქცა.

ხელოვნურად რომ ართულებს მწერალი ნიკოსა და ზაქროს შორის კონფლიქტს, ჩანს მათი ბოლო შეხვედრიდანაც (გვ. 441—445). ამ შემთხვევაში, როცა ზაქრომ არ მოინდომა ნიკოსთან საუბარი, ხელაშვილმა აიძულა იგი ყურადღებოდ: „— დაიცა ზაქრო! — მკაცრად მიმართა ნიკომ, — მე თუ მოვიცალე ამ სიშორეზე შენთან ჩამოსასვლელად, შენც არა გიჭირს რა, ცოტა დრო დაკარგე ჩემთან სალაპარაკოდ“ (გვ. 441). რა უშლიდა ნიკოს ხელს ასეთი სიძვერე ადრე გამოეჩინა და ზაქროს მოლაპარაკებოდა? ვანა აუცილებელი იყო კრებაზე გაენადგურებიათ ზაქრო და მერე შეხვედროდა? ხომ იცოდა ნიკომ, რომ ზაქროს აუცილებლად მარცხი მოელოდა? მაგრამ შვილობილ-მამობილის გათიშულობა მწერალს კონფლიქტის მოჩვენე-

ბითი სირთულისათვის სჭირდება და ამიტომაც ჭინურდება მათი ვადამწყვეტი საუბარი. ვარდა ამისა, კრებაზე მომხსენებელი ამბის შემდეგ, ნიკოს მოთხოვნა — დაბრუნდეს ზაქრო უკან, კოლმეურნეობაში — უფრო იესუიტური შეუბრალებლობაა, ვიდრე ლმობიერება და მამაშვილური რჩევა. ადამიანი ხომ მარტო გონებით არ ცხოვრობს, მას გულიც აქვს და ვანა ზაქროს გული ასე იოლად მოერევა ტკივილს? მეტისმეტად საეჭვოა.

მართალია, სიყმაშვილმა დაიშინა ზაქრო და შეუბრალებელი კრიტიკა, მაგრამ კრიტიკის სამართლიანობა ზაქროს მდგომარეობას არ ამსუბუქებს. ნიკოსა და ზაქროს საუბრის დროს, მიუხედავად სენტიმენტალური შეფერილობისა, გაცილებით უფრო ემოციურია და მართალი ზაქროს ბავშვობის გახსენება (მამობილთან ჭიდაობა, ზაქროს მაგიერ არჩილის დატუქსვა), ვიდრე ფრაზები — „შენა გგონია ვინმეს ეპატებება ხალხის იმედის ვაცრუება?“ „პასუხს მეც მოგთხოვ და ის ხალხიც, ვინც მაგ ბილეთის ღირსი გაგხდა. პარტია მოგთხოვს პასუხს“ (გვ. 443) და ა. შ. უადგილო ადგილას მოშველიებული მაღალი კატეგორიები კარგავს მნიშვნელობას და უფასურდება. ხოლო ასეთი ენით მეტყველი პერსონაჟი რეზონიორად იქცევა.

ნიკოლოზ სიღამონიძე.

ამ სახის უპირველესი მხატვრული ამოცანა ის არის, რომ, როგორც იდეალური პარტიული მუშაკი, იგი დაუპირისპირდეს რაიკომის მდივანს გედევან ვარამიძეს. ამ ორი პერსონაჟის შეპირისპირებით მწერალს სურს წარმოგვიდგინოს თავისი შეხედულებები იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი პარტიული მოღვაწე. რა თქმა უნდა, მწერლის სიმპათია მთლიანად სიღამონიძის მხარეზეა. ამის ნათელი საბუთია ეს პათეტიკური ციტატა:

„და სიღამონიძე წამოდგა. აქამდე თითქოს დადლილი და გულგრილი, თითქოს მოკრძალებული და ჩუმი — წამოდგა კაცი მკაცრი, უტეხი. სიტყვაც არ დასჭირებია წესრიგის დასამყარებლად.

ტალა უკუიქცა, დაიხია, ჩადგა კალაპო-ტში“ (გვ. 305).

მწერალი არა მარტო თვითონ აგვიწერს სიღამონიძეს ასეთი აღტაცებული ტემპერამენტით, არამედ რომანის დანარჩენ პერსონაჟებსაც აიძულებს იფიქრონ მასზე და ესაუბრონ მას, როგორც კერძს.

ფირუზ ჩანგაშვილი მიმართავს სიღამონიძეს: „ჩვენ შენ გიხსნი თ გულს, იმიტომ რომ ისეთი კაცი ჩანხარ, როგორის ნახვაც დიდი ხანია გვენატრებოდა“ (გვ. 307).

მოხუცი თედო ეუბნება სიღამონიძეს: „ბევრი რამ გაგვიკეთე, ბევრი რამ გვასწავლე... გენაცვალე ვაჟკაცობაში! ვენაცვალე იმ ქვეყანას, რომელსაც შენისთანა თაჟკაცები ჰყავს!“ (გვ. 423).

ნენე ჯარიშვილი ფიქრობს სიღამონიძეზე: „მადლობა შენთვის ღმერთო, ეს რა კაცია, გაიცინა იტყვი, სახე გაუთეთრდაო“ (გვ. 526).

იქნებ სიღამონიძემ ეს საყოველთაო თავყვანისცემა სამართლიანად დაიმსახურა და იგი დამაჯერებლად არის დახატული რომანის ფურცლებზე? კითხვას რომ პასუხი ვავეცთ, საჭიროა ამ პერსონაჟის სახე ორი კუთხით წარმოვიდგინოთ. ჯერ ერთი, რა თვისებებით უპირისპირდება იგი გადაგვარებულ გედეონ ვარამაძეს და მეორე, პირადად მან რა კეთილი საქმე გააკეთა, რომლითაც ხალხის სიყვარული მოიხვეჭა.

უპირველესი განსხვავება სიღამონიძესა და ვარამაძეს შორის ის არის, რომ პირველი ხალხის აზრს ყურს უდგებს, მეორე კი — უგულვებელყოფს. მაგალითად: ვარამაძეს არ უნდოდა მოეწვია კოლმეურნეთა საერთო კრება. იგი ცდილობდა გაერთიანებული კოლმეურნეობების თავმჯდომარედ ზაქრო სიყმაშვილის არჩევის საკითხი გამგეობის ვიწრო სწდომაზე გადაეწყვიტა. ვარამაძის ეს სურვილი ხალხის მოთხოვნილებას უპირისპირდებოდა. სიღამონიძემ ხალხს დაუჭირა მხარი და კრების მოწვევა ირჩია (გვ. 269—270).

ვარამაძეს არ უნდოდა ხალხს მსჯელობა გაემართა ზაქრო სიყმაშვილის როვნებაზე. სიღამონიძემ კი ისტრუქცია უწვამის აზრის გაგება (გვ. 273-274).

ვარამაძე წინააღმდეგია ხანგრძლივი კამათის. სიღამონიძე მომხრეა (გვ. 283, 287).

კრების დამთავრების შემდეგ ვარამაძემ მიატოვა ხალხი. სიღამონიძე კი მათთან დარჩა (გვ. 319).

ვარამაძეს ღამით უყვარს მუშაობა, რაც დაღლილი ხალხის უკმაყოფილებას იწვევს (გვ. 178). სიღამონიძე კი დღე მუშაობს და დაღლილი ხალხის დასვენების მომხრეა (გვ. 323).

ამ დაპირისპირებიდან ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ვარამაძე არ ასრულებს ელემენტარულ მოვალეობას, რომელიც აკისრია, როგორც თანამდებობის პირს. სიღამონიძე კი პირნათლად ემსახურება თავის მოვალეობას. იმ კაცმა, ვინც მოვალეობას არ ასრულებს, შეიძლება გამოიწვიოს აღშფოთება (აქ მართალია მწერალი, რომელიც აღშფოთებულა ვარამაძით) იმიტომ რომ, ეს ანომალიაა, ელემენტარული კეთილსინდისიერების დარღვევა. მაგრამ კაცი, რომელიც მოვალეობას ასრულებს, არ იწვევს აღტაცებას, რადგან ნორმალურ საზოგადოებაში ეს ბუნებრივია. ეს თავისთავად იგულისხმება და გარდუვალი აუცილებლობაა. ამიტომ არის, რომ მწერლისა და მისი პერსონაჟების პათეტიკური აღტაცება სიღამონიძით ხელოვნურია და არადაამაჯერებელი. გარდა ამისა, აქ კონცეფციური ხასიათის შეცდომაა არის. როცა ადამიანების თავდაიწყებულ აღტაცებას იწვევს მოვალეობის პირნათლად შემსრულებელი კაცი, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ისეთ საზოგადოებრივ პირობებში ცხოვრობენ, სადაც ელემენტარული კეთილსინდისიერებაც კი სანატრელი გამხდარა. სხვანაირად, აბა რად უნდა უკვირდეთ მოვალეობის შესრულება?

იქნებ სიღამონიძემ ისეთი რამ გააკეთა, რაც განუსაზღვრელი აღტაცების ღირსია? ერთადერთი, რაც ამ პერსონაჟმა

მოიმოქმედა ის არის, რომ მხარი არ დაუჭირა გადაგვარებულ რაიკომის მდივანს ვარამაძეს, ხალხს მიემხრო და გენერტიანებული კოლმეურნეობების თავმჯდომარედ ნიკო ხელაშვილი აირჩია. აქაც სიღამონიძემ ელემენტარული კეთილგონიერება გამოიჩინა და გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა ყოველ კაცს მის ადგილზე. ამ შემთხვევაშიც მისი ვაჟკაცობა მოვალეობის შესრულების საზღვარს არ ვასცილებია. რაც შეეხება ბოროტგამზრახველ ფერაძისა და მისი აიარების მხილებას, ეს ულეიანის მილიციის უფროსის ახობაძის დამსახურებაა (გვ. 534-5). ამ ამბების შესახებ სიღამონიძეს ტელეფონით მოახსენეს მხოლოდ. ასე რომ, არც ერთ შემთხვევაში სიღამონიძეს განსაკუთრებული ვაჟკაცური და მორალურად ამაღლებული საქციელი არ ჩაუდენია. მართალია, მწერალმა ორჯერ გაგვაფრთხილა, რომ სიღამონიძეს კორნელი ლოლაძესთან მოელოდა კამათი და შეტაკება, მაგრამ მკითხველს არც ეს შეტაკება-კამათი უნახავს და არც ის იცის, მოხდა თუ არა იგი. იქნებ აქ გვენახა სიღამონიძე პირუთენელი, პირდაპირი და გაბედული ადამიანის როლში. სიღამონიძის სახის იდეალურ ასპექტში წარმოდგენისათვის ამ კამათს ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან კორნელი ლოლაძე თანამდებობით სიღამონიძეზე მაღლა მდგომი პიროვნებაა და ამასთანავე თვითდაჯერებული ბრიყვია, რომელთან შეტაკებაც კაცს შეიძლება ძვირად დაჯდომოდა. მაგრამ ლოლაძე-სიღამონიძის პაექრობა რომანის დაუწერელ ფურცლებზე დარჩა.

ერთი სიტყვით, საქციელით და მოქმედებით ნიკოლოზ სიღამონიძე ჩვეულებრივი რიგითი პარტიული მოღვაწეა. მწერლის პათეტიკური აღტაცება კი მხოლოდ იდეალური სახის დახატვის სურვილი და ტენდენციაა, რაც არაა გამართლებული არც სინამდვილის ობიექტური სურათით, არც ხასიათის თვისებებით, არც პერსონაჟის საქციელით.

უტენდენციოდ არაფერი დაწერიალა, მაგრამ მწერლის ოსტატობის მთელი მა-

რილი და ეშხი ის არის, რომ ტენდენციურობა დამაჯერებელი და სანდო გახადოს. როგორც კი უნდობლობის მკაცრად უჭერებლობის გრძნობა გაუჩნდება მკითხველს, ტენდენცია მაშინვე თავმომაბეზრებელი, ნაძალადევი და პლაკატური ხდება. ეს კი მკითხველსა და მხატვრულ ნაწარმოებს შორის ემოციური კავშირის დამყარებას უშლის ხელს. ამიტომაც არის, რომ თ. დონეაშვილის სურვილი— იდეალურ პიროვნებად წარმოგვიდგინოს ბაიდურ ბექაური, ნიკო ხელაშვილი ანდა ნიკოლოზ სიღამონიძე — თანაგრძნობას არ იწვევს. მათ მიმართ სრულიად ლოგოკურად ჩნდება უფრო მეაკრი კრიტიკული დამოკიდებულება, ვიდრე ამას ავტორი მოელოდა.

რა გულმოდგინედაც პირველი ჯგუფის პერსონაჟები შემოსა მწერალმა სიკეთის შარავანდედით, იმავე გულმოდგინებით მეორე ჯგუფის პერსონაჟები დააჯილდოვა ბოროტების ყველა ნიშნით.

თეთრისა და შავის დაპირისპირებამ მწერალი ისე შორს წაიყვანა, რომ ე. წ. უარყოფითი პერსონაჟები ფიზიკურადაც კი მახინჯები დახატა (იშვიათ გამონაკლისს დოფინე წარმოადგენს). მაგალითად, ბუღალტერი ბაგრატ დემურიშვილი, რომელმაც კოლმეურნეობის ქონება მიითვისა, რუმბივით არის გასიებული (გვ. 91), მას „ფრჩხილებწაწვეტებული ფუნთუშა ხელი აქვს“ (გვ. 74), რომლის „...წაწვეტებულ ფრჩხილებიან ბოცბოცი თითებიდან თითქოს ეს-ეს არის ქონი გამოყოფანავსო“ (გვ. 92); ხოლო კოლმეურნე მშრომელ ოლას „შავი გამხდარი, კოყრიანი ხელი“ აქვს (გვ. 75). სხვათა შორის, ეს ორი ხელი მწერალს შეგნებულად აქვს დაპირისპირებული. ამით ზაქრო სიყმაშვილის შეგნებაში ერთგვარი გარდატეხის მოხდენაც უნდა. როცა დემურიშვილი ისვენებდა, „ქონიან გულმკერდზე ხელისგულებს იტყაპუნებდა და თან ნებვირად კრუტუნებდა“ (გვ. 65). „ლაპარაკის დროს კი პირიდან ნივრის სუნი ამოსდიოდა“ (გვ. 92).

მეორე პერსონაჟი—მიკიტანი ტურია, რომელიც მწყემსებს ატყუებს და

ყვლეფს, „თავმოტყეპილი, ხმელ-ხმელ-ლი ახმახია“ (გვ. 91), რომლის მელოტი თავი ნესვივით არის წაგრძელებული (გვ. 237). როცა ლაპარაკობს, წელში ორად იკავება და უცნაურად აწკაბუნებს წვრილ სისხლისფერ ტუჩებს (გვ. 91). რომანის 429-ე გვერდზე ტურიას გაღვიძება თ. დონჟაშვილს ასე აქვს აღწერილი:

„ძველი ვასიპული საბნის ნაგლეჯი გადახდოდა, უჩენდა ტურისავით ძარღვიან მხარ-გულმკერდს, ძვლებზე გადაჭიმული შავი, ნაყვავილარი კანი წაწვეტილ ყვრიბალებზე, კეხიან ცხვირზე და ამოჩრილ ხვანჩზე მუქ ლაქებდა დაჰკვროდა. წვრილი, გაცრეცილი ტუჩის კუთხიდან დუჟი სდიოდა. მაგიდა (იმ ღამეს ტურისა მაგიდაზე ეძინა — ა. ბ.) მოკლე იყო გრძელი ტურისათვის. ტიტველი გამხმარი კანჭი ჰაერში დარჩენოდა. ტერფის ძვლებს შუა მკვეთრად ამოხაზულ მყესებს მოძრაობაში მოჰყავდათ მოკაუჭებული ფრჩხილებიანი თითები. მთის ნადირის თათსა ჰკავდა ტურისა ტერფი“.

ანონიმური წერილების მკვლახებს, ჯაშუშსა და პროვოკატორს იაკობ ფერაძეს ვიწრო და ბალნიანი შუბლი აქვს და როცა დაფიქრების ნიშნად წარბებს ზევით ასწევს, ისინი თიმბში ირევიან (გვ. 336). გარდა ამისა, იგი კარიკატურული პიროვნებაც არის: „ხელების ქნევით რაღაცას ლაპარაკობდა. ხან ბურთივით ჩამოხტებოდა ხოლმე მაგიდიდან (აღწერილი საუბრის დროს ფერაძე მაგიდაზე იჯდა — ა. ბ.), ხან ისევ შეხტებოდა მაგიდაზე“ (გვ. 337).

რა თქმა უნდა, მწერალს სრული უფლება აქვს თავისი პერსონაჟის გარეგნობა როგორც უნდა ისე წარმოიდგინოს და აღწეროს, მაგრამ ამის უკან არ უნდა იმალებოდეს ცრუ „ფილოსოფია“, რომელიც სულიერი და ფიზიკური სიმახინჯის ერთიანობას გულისხმობს.

იაკობ ფერაძისა და მისი კომპანიის აღწერისას მწერალი კიდევ ერთ შეცდომას უშვებს. მათ მეტისმეტად სულელად და უპკუოდ თვლის. მაგრამ ბოროტება უპკუოდ და სულელი არაა. ამიტომაც

არის იგი საშიში და ტრაგედიის საფუძველი. რიჩარდ მესამე ბრძენია, რომელიც სიბრძნე ბოროტების სამსახურში ჩაუყვანება და ადამიანთა წინააღმდეგ მიუმართავს. რიჩარდის გონიერებიდან გამომდინარეობს სწორედ მისი ბოროტების შემხარავი ძალა. იაკობ ფერაძე და მისი აიარები კი მოქმედების მიზნებითა და მეთოდებით იმდენად უგუნურნი და გულუბრყვილონი არიან, რომ შიშისა და ზიზღის მაგიერ ღიმილს იწვევენ. მათ ნამდვილ ბუნებას მოწიფული კაცი კი არა, ბავშვიც იოლად გამოიცნობს.

მწერლის გაუბრალოებული წარმოდგენა ბოროტებაზე იქამდე მიდის, რომ, როცა თ. დონჟაშვილი ფერაძის, დემურისვილის, ბაბუციძის, ჩიორასა და ტურისა საიდუმლო შეკრებას (გვ. 341-348) აგვიწერს, თხრობის სერიოზულ ტონს ცვლის იაფფასიანი ფელეტონით. ყური დაუგდეთ, როგორ ელაპარაკება იაკობ ფერაძე თავის ამხანაგებს:

„— ის, რაც მუხიანში მოხდა, ამხანაგებო, ის არის, რომ ვთქვათ ჩვენი ბოლშევიკური ენით, რომელიც არის ყველა მსოფლიოს მუშათა — გლეხთა ხალხის ერთიანი ენა, აი ამ ენით, რომ ვთქვათ, ის არის კომუნისმის მშენებლობის დიად გზაზე გამოვლენილი ბუნტი, ავანტიურა... ვინ არის ამხანაგი ვარამაძე? ამხანაგი ვარამაძე არის ჩვენი მეტროპოლი კომუნისტური პარტიის, მუშათა-გლეხთა ინტელიგენტთა საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელი ლელოინის რიონში. რა გამომდინარეობს აქედან? აქედან გამომდინარეობს, რომ მამასადამე, ამხანაგი ვარამაძე არის პარტია! აქედან კი გამომდინარეობს, რომ ყველა, ვინც ილაშქრებს ამხანაგ ვარამაძის წინააღმდეგ, მამასადამე ის არის ყველა ჯურის ოპორტუნისტი, ავანტიურისტი, პროვოკატორი, და მტერი ჩვენი ერთიანი მშრომელი მსოფლიო პროლეტარიატისა“ (გვ. 342-343).

ახლა ტურიას სიტყვაც მოიხსენიეთ:

„— მე მაქვს სიტყვა, შენი გულისა! ჩაწერეთ მანდ სიკო თარალაშვილი. მავას საბჭოთა ხელისუფლება ისე უყვარს.

როგორც მეგლს ბატკანი! ისეთ სიტყვებს იძახის პარტიზზე, რომ ვაი, ვაი... გამეორებაც არ შემიძლიან!" (გვ. 345).

ცხადია, რომ ამ ცუნდრუკა აღამიანებს არ შეუძლიათ სერიოზულად ებრძოლონ სიკეთეს. ამიტომაც არის, რომ ფერაძის ინტრიგებს არავითარი შედეგი არ მოაქვს. მაგალითად, ზაქროსა და ცისკარაანთ მაიას შორის შუღლის ჩამოვლება მონიღომა ფერაძემ, მაგრამ მისი ხრიკები მაიას შინ დაბრუნებისთანავე გამოქვდა. მაიასა და ზაქროს შორის შუღლი ერთი წუთითაც არ ჩამოვარდნილა. მერე ფერაძემ და მისმა დამქაშებმა ანონიმური წერილები შეთხზეს და ანფელში დაგზავნეს ნიკოს, ზაქროს, ფირუზას, ლევანის, მანანასა და სხვათა წინააღმდეგ ხალხის ასამხედრებლად. მწერალმა თვითონაც კარგად იცის, რაოდენ უსუსურია წამოწყებული ინტრიგა. ამიტომაც ანონიმური წერილების ზემოქმედების ძალა რომ გაეხანგრძლივებინა, წერილების სოფელში მოსვლის დროისათვის იქ არავინ (არც ნიკო, არც ბაადური, არც ზაქრო, არც მანანა და არც ლევანი) გააჩერა და ყველა ლელიანში გაგზავნა (გვ. 454-455). რამდენიმე დღის შემდეგ ნიკო ლელიანიდან დაბრუნდა და თვალის დახამამებში გაფანტა ანონიმური წერილებით მოხდენილი შთაბეჭდილება. ასე რომ, არც ანონიმური წერილებს მოჰყოლია მდგომარეობის რაიმე სერიოზული გართულება. რა თქმა უნდა, თუ მხედველობათან არ მივიღებთ მანანას ამხანაგებთან გახუტვას, რაც თავისთავად დიდ ტრაგიკულ მოვლენას არ უნდა წარმოადგენდეს.

მართალია, მწერალი ცდილობს ფერაძის ბოროტების ძალა ვარამაძის დალუპვაში დაინახოს (გვ. 165), მაგრამ აქაც ფერაძის როლი მეტისმეტად უმნიშვნელოა. ვარამაძის ტრაგედიის მიზეზი კორნელი ლოლაძეა. ამიტომაც არის, რომ სიკვდილის წინ ვარამაძე ლოლაძეს ეკამათება და არა ფერაძეს. მიუხედავად იმისა, რომ სხვა პერსონაჟებთან შედარებით რომანში ლოლაძეს მცირე ადგილი აქვს დათმობილი, იგი მაინც მთლიან-

ნი და ნათლად გამომხატული სახეა. სიკეთოდ, ვარამაძე-ლოლაძის ურთიერთობა მწერალს მართლად და დამაჯერებლად აქვს აღწერილი. კორნელი ლოლაძის წინააღმდეგ ბრძოლა მართლაც გაუჭირდებოდა ვარამაძეს, რადგან ლოლაძე ერთდროულად მართალიც არის და არც არის მართალი. მაგალითად, როცა იგი ვარამაძეს აქებს, მას აქვს ამისი საბუთი და ძნელი დაქვდევ და არ იწამო მისი გულწრფელობა. მაგრამ იგი ტყუის, როცა არ სურს შეცდომებიც დაინახოს და ამის გამოც ილაპარაკოს. აქ არ შეიძლება არ შეამჩნიოთ ლოლაძის ცივი ფორმალისმი, რომელიც გარეგნულად პარტიული პირდაპირობით არის შენიღბული. ამდენად, თანაბარი რაოდენობის საბუთი არსებობს ლოლაძის გასამტყუენებლად და გასამართლებლად. ამიტომაც ვარამაძისათვის ძნელი იყო სწორი ორიენტაციის აღება და ლოლაძის ნამდვილი ბუნების გამოქვდაც, თუმცა ქვეშეცნეულად ვარამაძე ყოველთვის ცდილობდა პროტესტის გამოცხადებას. ლოლაძე თანდათანობით, მეთოდურად წამლავს ვარამაძეს, სპობს მასში თვითკრიტიკის უნარს, სინამდვილის ობიექტური აღქმის სურვილს; აღვიძებს თვითკმაყოფილებას, ეგოიზმსა და ხალხის სიძულვილს, მიჰყავს დაღუპვამდე. ლოლაძე ნამდვილი ბოროტებაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთივე ძალით სხვა პერსონაჟების დახატვა მწერალმა ვერ შეძლო.

თინა დონკაშვილს რატომღაც სურს, ყველაფერი დაწყვილებული სახით წარმოგვიღიოს. მაგალითად, არის ცუდი პარტიული ხელმძღვანელი ლოლაძე, მაგრამ მის პარალელურად არის იდეალური პარტიული ხელმძღვანელი სიღამონიძე; არის ცუდი თავმჯდომარე ზაქრო, მაგრამ მის პარალელურად არის კარგი თავმჯდომარე ნიკო; არის ცუდი ცოლი დოფინე, მაგრამ მის პარალელურად არსებობს კარგი ცოლი ანიკა და ა. შ. მართალია, ცხოვრება სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობისა და უსამართლობის ბრძოლაა, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ამქვეყნად

პიროვნებების სახით დადიან, რომ ადამიანთა ერთი წყება სიკეთისა და სამართლიანობის მატარებელია, მეორე კი — მხოლოდ ბოროტებისა. ადამიანთა ასეთი დაჯგუფება უსათუოდ მიგვიყვანს სქემებამდე და აბსტრაქციამდე. სქემა და აბსტრაქცია კი ყოველთვის უსულგულო და უემოციოა. ამასთანავე, როცა სქემებს ვუპირისპირებთ ერთმანეთს, უკვე წინაწინვე განვსაზღვრავთ ფინალსაც. ცხადია, სიკეთის სქემის ბოროტების სქემასთან დაპირისპირების დროს კონფლიქტი აუცილებლად სიკეთის გამარჯვებით უნდა დამთავრდეს, რადგან სხვანაირად გამოირიცხება ჰუმანიზმი.

ასეც ხდება რომანში. ყველა კონფლიქტი სიკეთის გამარჯვებით მთავრდება. განვიხილოთ რამდენიმე კონკრეტული მაგალითი.

1. ანიკა და ზაქრო.

ცოლ-ქმრის ანიკა მდინარაძისა და ზაქრო სიყმაშვილის ურთიერთობა უკადურესად დაიძაბა. მათ აღარც პირადი ინტერესები აერთიანებთ და აღარც საზოგადოებრივი. ანიკამ ბანკში მუშაობას თავი დაანება და შინ ჩაიკეტა. საზოგადოებას მოწყდა. ზაქრომ თავმჯდომარედ ვერ ივარგა და შინდის კოლმეურნეობა გალატაკების პირამდე მიიყვანა. ორივე დიდ სულიერ ტკივილს განიცდის, მაგრამ ვერ ახერხებენ საერთო ენა გამოჩახონ, ერთმანეთს სულიერი წუხილი შეუმსუბუქონ და შექმნილი მდგომარეობიდან გამოვიდნენ. პირიქით, როცა დააპირებენ რაიმე ურთიერთობის დამყარებას, მაშინვე ეს ცდა ოჯახური აყალმყაყალითა და ჩხუბით თავდება. მათ არც შეილი ჰყავთ, რომ ეს იყოს მათი ერთადერთი დამაკავშირებელი. ზაქრო დღეების განმავლობაში არ მოდის შინ და არ ახსენდება ცოლი. არც იმის აუცილებლობას გრძნობს, რომ ცოლს შინმოუსვლელობის მიზეზი შეატყობინოს. ბოლოს კი მათი გათიშულობა იქამდე მივიდა, რომ ზაქროს სხვა ქალი — მანანა ხიმშიაშვილი — შეუყვარდა. მწერალი გვარწმუნებს, რომ ეს სიყვარული დიდი და ძლიერი იყო. იგი დანგრევით ემუქრება ზაქროსა

და ანიკას ოჯახს. მაგრამ საკოლმეურნეო კრების შემდეგ მოხდა სასწაული და ზაქრო მოულოდნელად განიკურნა. ანიკა და ზაქროს ოჯახი იგი წონასწორობადაკარგული და თვითგვემით გატაცებული ანიკას მოუხმობს დასახმარებლად. რა თქმა უნდა, ანიკა იმ წამსვე გაჩნდება იქ. ისინი შერიგდებიან. მათი წინანდელი უსიამოვნებისაგან ნიშანწყალიც რომ არ დარჩეს, ანიკა დაორსულდება კიდევ. როგორც დაეინახეთ, ცოლ-ქმრის უთანხმოებას სამი მიზეზი ედო საფუძვლად. პირველი, ანიკას კარჩაეტილობა, რაც ზაქროს ბრალი იყო, რადგან მან აუკრძალა ქალს მუშაობა. მაგრამ ბოლოს ქმარმა მაინც ცოლი დაადანაშაულა — საზოგადოებრივი ინტერესები არ გალევებდნენო. მეორე, ბავშვის უყოლობა, რაც რატომღაც ანიკას ბრალდებოდა. მესამე, ზაქროს სხვა ქალი უყვარდა. ბოლოს, როცა მათი კონფლიქტი კეთილად დაგვირგვინდა, სამივე მიზეზი მოისპო. ანიკამ გაერთიანებული კოლმეურნეობის ბუღალტრად დაიწყო მუშაობა, მუცლადაც იღო და ზაქრომაც ის სხვა ქალი სამუდამოდ გადაიყვარა.

ერთი სიტყვით, სიკეთის სრული გამარჯვების მოწმენი ვართ.

2. ზაქრო და მანანა.

მართალია, ზაქრომ ცოლთან ურთიერთობა მოაგვარა, მაგრამ იქნებ მანანა ხიმშიაშვილი გაუბედურდა უიღბლო სიყვარულის გამო? აქაც არაფერი მომხდარა ტრაგიკული. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი დიდხანს გვამზადებდა რაღაც საშიში ამბის შესახებ რად და ბაბუღურ ბექაურის პირით ხშირად ეკითხებოდა მანანას — „რა ხიფათს უმზადებ, ქალავ, შენს თავს?“ რითაც მკითხველს აშინებდა კიდევ. მაგრამ შიში მოჩვენებითი გამოდგა და ყველაფერი კეთილად დამთავრდა. რაკი ზაქრო ქმრად აღარ ერგო, მანანამ იგი ძმად გამოაცხადა (გვ. 537), ხოლო საქმროს ვაკანტური ადგილი ბაბუღურ ბექაურმა დაიჭირა.

აქაც სიკეთემ გაიმარჯვა და ყველას თავისი ადგილი მიუჩინა.

3. მანანა და ანიკა.

იქნებ მანანა და ანიკა დარჩნენ მტრებად? რაც არ უნდა იყოს, ან ერთს ქმარი უნდა დაეკარგა, ან მეორეს — მიჯნური. რაგინდ გულწრფელი და სუფთა არ უნდა ყოფილიყო მანანას სიყვარული. იგი მაინც დანგრევით ემუქრებოდა ანიკას ოჯახს. მაგრამ ამ ორი ქალის ურთიერთობაც მშვიდობიანად დასრულდა. მიუხედავად ორივე ქალის დარდისა, ფიქრისა და წუხილისა, მათი თავდაპირველი წახლებებისა (გვ. 410-411), სიყვარულს მაინც ღურმა სიყვარულმა სძლია. თუ ზაქრო მანანამ იძმო, ანიკა კიდევ დაღვივდა (გვ. 537): „ანიკა, ჩემო ანიკა, მე არ ვიცოდი, რად მომწონდი, ძალიან კი მომიწევდა შენსკენ გული. ახლა ვიცი. შენ ისე კარგად იგრძენი ჩემი ოცნება, შენ ისე კარგად გამიგე, იმიტომ რომ შენ შეგიძლიან ნამდვილად კარგად გიყვარდეს ადამიანი. ღმერთო ჩემო, რა კარგია, რა კარგია!“ — ეუბნება მანანა ანიკას იმის შემდეგ, რაც ზაქროს ცოლმა ყვავილების მოსაშენებელი ფართობი მოუშადა.

ეს წინააღმდეგობაც ბედნიერად მოგვარდა.

4. მანანა და ბაადური.

როცა მანანა ხიმშიაშვილი ზაქროს ტრფიალებით იყო შეპყრობილი, ბაადური უხმოდ იტანჯებოდა. ბაადურს უთქმელად უყვარდა მანანა, ქალს კი რატომღაც ეჯავრებოდა იგი (გვ. 394-395-396. 530-1). მაგრამ როცა მანანამ ზაქრო დაკარგა, მწერალმა ქალის გული ბაადურისკენ შემოაბრუნა. თუ ადრე მანანა ბაადურზე მხოლოდ ასე ფიქრობდა: „უჯიშოა, უჯიშო, ღიახ, უჯიშო! და ჩემი უბედურების მიზეზი?“ (გვ. 531), მერე ალერსიან ოცნებაზე გადავიდა: „საძაგელო, საძაგელო ღიღილოებო (მწერლის თქმით, ბაადურს ღიღილოსფერი თვალები ჰქონდა — ა. ბ.). რადა გაქვთ ისეთი კარგი — კარგი სიცილი, რომ ადამიანს დაავიწყებთ თქვენს დიდ დანაშაულს?“ (გვ. 533). და ბოლოს, პერსპექტივაში, მათი სიყვარულიც დაიხატა.

5. მანანა და ნენე.

ნენე აქტიურად ებრძვის მანანას. ირებს ავრცელებს (გვ. 227). ანიკის მიდის და მანანას წინააღმდეგ აქეზებს: „მაშ აქაო და ლამაზი ვარო, ვარდები მიყვარსო, განა სხვას ქმარი უნდა წაართვას?“ (გვ. 366); „შენ ჭურში ზიხარ და აი, ხიმშიაშვილი მანანა კი ქმარს გართმევს!“ (გვ. 367). არაფერი გამოუვიდა ნენეს. ანიკამ ავის მახარობელი არ მიიღო და შინიდან გაავლო. მაშინ გაბრაზებულმა ნენემ ანიკა აღარ დაინდო და უშვერი სიტყვებით გამოლანძღა: „ახია შენზე! თვალც მოგეთხარა! მანანას ფრჩხილადაც არ ღირხარ, უქნარავ, ბოთარ! აყლაყულა! მიწამ კი პირი გიყოს ჩემი გაბიაბრუებისათვის!“ (გვ. 368). მერე, როცა ზაქრო ისევ ანიკას დაუბრუნდა, მანანამ კი ბაადურს მიაკითხა, ნენემაც ბოდიში მოიხადა და საჯარო თვითგვემა მოაწყო (გვ. 533-534): „— მანანა, მე შენს წინაშე დიდი დანაშაული მიმიძღვის... ვიცი, გული სპილენძისა არ არის, რომ მოიკალოს და ისევ აპრიალდეს, მაგრამ თუ მამატივებ, შენ იცი და შენმა სიკეთემ“. ესენიც შერიგდნენ და ჭორიკანა ნენეც ჭეშმარიტების გზას დაადგა.

ასე ბედნიერად მთავრდება ყველა წინააღმდეგობა, რომელიც ე. წ. დადებით პერსონაჟებს შორის არსებობს. მაშინ იქნებ ე. წ. უარყოფით პერსონაჟებს შორის ხდება რაიმე ტრაგიკული? არაფერი. უარყოფითები ერთმანეთს არ ეღავეებიან, მათ შორის სრული ჰარმონიაა. რაც შეეხება მათ ინტრიგებს კეთილი ადამიანების წინააღმდეგ, ესეც ბედნიერად მთავრდება. ფერაქე და მისი კომპანია ამხილეს და დასაჯეს. მოუგვარებელი არ დარჩა წვრილმანი საკითხებიც კი: მართალია, დემურისვილი კოლმეურნეობის ქონება მიიტაცა და ამით სასახლე აიშენა, მაგრამ ის სახლი ჩამოართვეს და შიგ კოლმეურნეობის საბავშვო ბავა გამართეს (გვ. 535). ასე რომ, დემურისვილის ქურდობაც კი ხალხის საკეთილდღეოდ მობრუნდა. მართალია, ტურია მწყემსებს ატყავებდა და ყვლეფდა, მაგრამ მასაც ნაქურდალი ფული ჩამოართვეს და ფე-

რმის ასაშენებლად მწყემსებს გადასცეს (გვ. 536). ერთი სიტყვით, რომანის კონცეფციით, ყოველგვარი ბოროტება ბოლოს მაინც კეთილის სამსახურში ჩადგა.

ქეშმარიტი ლიტერატურა ცოცხალი არსებაა, მაშასადამე, ფინალის სტანდარტული ფორმულა უცხოა მისთვის. აუცილებელია არა მარტო ხასიათის ინდივიდუალობა და თავისთავადობა, არამედ პერსონაჟის მხატვრული ცხოვრების დასასრულის ინდივიდუალობა და თავისთავადობაც. ესეც ანიჭებს თითოეულ პერსონაჟს დამოუკიდებლობას და განუმეორებლობას. არავითარი ინტერესი, არავითარი ემოცია არ შეიძლება არსებობდეს პერსონაჟების, ამბების, მოვლენების მიმართ, რომლებიც ტყუპის ცალებივით ჰგვანან ერთმანეთს.

ამ მხრივ გამოჩაყლის წარმოადგენს გედეონ ვარამაძის ცხოვრება. ამიტომაც არის, რომ იგი ყველაზე საინტერესო პიროვნებაა რომანში. გედეონ ვარამაძეს სიკეთეც ჩაუდენია და ბოროტებაც, მართალიც ყოფილა და შემეცდარა კიდევ. სულგაძეციც ყოფილა და სულმოკლევობაც გამოუჩენია. არეული ოჯახის პატრონი არც საყვარლის ყოლას მორიდებია. ერთი სიტყვით, როული ადამიანური ცხოვრებით უცხოვრია და, როცა ცხოვრებასთან ჭიდილში ბრძოლა წააგო, არც თავისმოკვლის შეშინებია. სწორედ ეს ადამიანური თვისებები ანიჭებს მის სახეს ინტერესს და ემოციურობას, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მწერალი ვერ ახერხებს ფსიქოლოგიურად დაგვაჯეროს ვარამაძის საქციელში (მაგალითად, ნიკო ხელაშვილისადმი გედეონ ვარამაძის დამოკიდებულება). ვარამაძის მთელი ცხოვრება მწერალს სჭირდება შემდეგი ფორმულის ილუსტრაციად — პარტიული მუშაკი, რომელიც ხალხს მოწყვდება, დაიღუპება. ყველაფერი კეთდება რომანში იმისათვის, რომ ეს დებულება გამართლდეს. ამის გამოა, რომ ვარამაძეს ერთი ახლობელი, ერთი მეგობარი, ერთი მრჩეველიც არა ჰყავს, ოჯახი უცხოა მისთვის: არც ცოლისა და შვილისათვის შეუძლია გულისხმადების გა-

ზიარება. საყვარელი უთქმელი ქალის მას მორჩილი სიყვარული და ერთგულება შეუძლია, მაგრამ მრჩეველმა მანჩენებლად არ გამოდგება. ნიკოს

თავისთვის არა აქვს ჰკუა და ვარამაძეს რით უნდა დაეხმაროს. ლოლაძეს ვარამაძის წუხილის მოსმენაც კი არ უნდა. ამიტომ ვერც წერილობით და ვერც სხვა გზით ვარამაძე ლოლაძესთან სერიოზული ურთიერთობის დამყარება ვერ მოახერხა. სივამონიძეს ვარამაძის ბედი არ აინტერესებს და ერთხელაც არ უცდია გედეონის გულში ჩახეხდა, თუმცა მისი (ვარამაძის) გადაგვარება კი უკვირს. ერთადერთი კაცი, რომელსაც უცდია გამოლაპარაკებოდა ვარამაძეს და შექმნილ მდგომარეობაში გარკვეულიყო, ნიკო ხელაშვილია. მაგრამ ამ კაცს სრულიად უმიზეზოდ ვარამაძე ახლოს არ იყარებს. ერთი სიტყვით, ვარამაძე მარტოდმარტოა. ერთადერთი, რაც ვარამაძეს დარჩენია, თავის მოკვლაა და ასეც მოიქცა იგი. აქ მწერალი, ჩემი აზრით, შეცდა. მას განზრახული ჰქონდა გარკვეული ფორმულის (პარტიული მუშაკი, რომელიც ხალხს მოწყვდა, დაიღუპება) მხატვრული დასაბუთება — ილუსტრაცია მოეცა და ამ მიზნით გამოთიშა ყველასაგან ვარამაძე, ამიტომ გააწყვეტინა ხალხთან ურთიერთობა. მაგრამ დაავიწყდა, რომ საზოგადოება, რომელიც თავის წევრს გარიყავს, მარტოხელობისა და მარტოობისათვის გაწირავს, არაფერს გააკეთებს მის დასახმარებლად და გადასარჩენად, უსულგულო საზოგადოებაა.

ასეთია სწორედ რომანში აღწერილი რაიონის საზოგადოება, რომლის არც ერთი წევრი ერთხელაც არ დადიქრებულა სერიოზულად, არ უბრძოლია ვარამაძის ბედისათვის. შეიძლება საზოგადოებამ იბრძოლოს და მაინც ვერ გადაარჩინოს თავისი წევრი დაღუპვისაგან, ეს სხვაა. სხვაა იმეტი, რომ თავად საზოგადოება მაშინ მებრძოლია, აქტიურია, მზრუნველი. მაგრამ საზოგადოება, რომელიც პასიურად და გულგრილად უყურებს თავისი წევრის დაღუპვას, დამნაშავეა. აქ მარტო იმაზე კი არ არის ლაპა-

რაკი, თუ რატომ არ იცავდა ლელიანის რაიონის საზოგადოება ვარამაძეს, არამედ იმაზეც, თუ რატომ არ ებრძოდა იგი (საზოგადოება) ვარამაძეს, როცა რაიკომის მდივანი მწარედ ცდებოდა. შეცდომების წინააღმდეგ ბრძოლა ხომ უდიდესი დახმარებაა იმისა, ვინც ცდება. შეიძლება მწერალმა თქვას, რომ ვარამაძეს სამი კოლმეურნეობის კრებაზე შეებრძოლნენო. მაგრამ ის კრება ვარამაძის წინააღმდეგ ბრძოლა კი არ არის, იგი შურისძიებაა ვარამაძეზე. შურისძიება და ბრძოლა ორი რადიკალურად განსხვავებული მოვლენაა. ბრძოლა ორი პოზიციის დაპირისპირებას, ვაჟაკობას, პი-

რუთვენლობას, პირდაპირობას გულისხმობს. შურისძიება კი ფარისევლურია ჩემ და ლაჩრული მოლოდინია ხელსაყრელი მომენტისა, რათა სამაგიერო მიუზღო მოწინააღმდეგეს.

მწერლის მიზანი ერთი იყო: ეჩვენებინა, როგორ იღუპება ხალხს მოწყვეტილი ხელმძღვანელი მუშაკი. სინამდვილეში კი გამოვიდა მეორე: საზოგადოების გულგრილობისა და პასიურობის შედეგად როგორ იღუპება ადამიანი. ასე ხდება ყოველთვის, როცა ცხოვრება და ლიტერატურა გვინდა გამოვიყენოთ ამა თუ იმ ფორმულის, თუნდაც ჭეშმარიტის, მხოლოდ საილუსტრაციო მასალად.

ნიჭიერი მწერლის თინა დონჟაშვილის შემოქმედებას კარგად იცნობს მკითხველი. მისი რომანი „ალაზანზე“ მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოებია. „ცისკრის“ რედაქცია ფიქრობს, რომ კრიტიკოს ა. ბაქრაძის შენიშვნები ხელს შეუწყობს ავტორს რომანის შემდგომ დახვეწასა და სრულყოფაში.



როგორც ვთქვით, ვ. ელანიძე მათ მუშეებად მიიჩნევს: „ქართული ეთნიკური ტერმინის — „თუშ“-ის ისტორიის სათავედ და საფუძვლად შეიძლება ქართული ტომი „მუშქები“ ჩაითვალოს“ (გვ. 55).

ვ. ელანიძე თავისი ვარაუდის საყრდენად მიიჩნევს გ. მელიქიშვილის შემდეგ დებულებას: „ურარტუს სამეფოს დაცემამ მუშქებს გზა გაუხსნა აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით. მათ წამოიწიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონში დასახლდნენ. მათი ნაწილი, ეტყობა, კიდევ უფრო ჩრდილოეთით გაიქრა“ („ურარტუ“, 1953, გვ. 139), ვ. ელანიძე „ავითარებს“ ამ დებულებას და წერს: „ჩრდილოეთით წამოსული მუშქების სწორედ ეს ტალღა შეიძლება იყოს ჯერ ახლადღელი კახეთის ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგში კი თუშეთში დასახლებული ქართველები“ (გვ. 55).

ჩრდილოეთით წამოსული მუშქების ტალღა რატომ უნდა მივიჩნიოთ ჯერ კახეთში და შემდეგ თუშეთში მოსულ მასად, გაუგებარია, რადგან ავტორი არც ცდილობს ამ დებულების რაიმე ნაბუთითა თუ ცნობით შემაგრებას. გ. მელიქიშვილის დებულება ავტორს ასეთი გაბედული მსჯელობის საფუძველს ვერ აძლევს, პირიქით, უარყოფს მას. ვ. ელანიძის მიერ მოტანილი ციტატა გ. მელიქიშვილის „ურარტუში“ ასე გრძელდება: „...ამისი ნიშანია (მუშქების ნაწილი რომ ჩრდილოეთით გაიქრა, თ. უ.) ის, რომ მცხეთის სახელი ამ ხალხის სახელიდან ნაწარმოები ჩანს (მცხე-თა, შდრ. სა-მცხე), ან კიდევ ძველი იბერიის უხენაესი ღვთაება არმაზი ხეთურ-მცირეაზიულ სახელს ატარებს (ხეთებში და მცირე აზიის სხვა ხალხებში „არმას“ მთვარის ღმერთის სახელი იყო)“. მაშასადამე, გამოდის, რომ მუშქების ჩრდილოეთით წამოსული ტალღა მცხეთაში ამოსულა და არა კახეთში. თანაც თანამედროვე კახეთი ძალიან ბუნდოვანი ცნებაა ისტორიული ხასიათის მსჯელობისათვის, რადგან იგი არ ფარავს ისტორიულ კახეთს,

კერძოდ, ავტორმა უნდა გვიჩვენოს, ან ზოგადად მაინც მიგვანიშნოს, ვინაა ეს მოვიდა მუშქების ჩრდილოეთით წამოსული ტალღა, რატომ არ უნდა მივიჩნიოთ იგი მცხეთაში დასახლებულ მუშქებად, როგორ ავიდა მთებში, რატომ ავიდა და სხვ.

ისე კი ვ. ელანიძეს უნდა მოეახსენოთ, რომ, გ. მელიქიშვილის თვალსაზრისზე თუ დავდგებით, ჩვენ წელთაღრიცხვამდე და უფრო გვიანაც ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ქართული მოსახლეობა არ უნდა ვივარაუდოთ. აი რას წერს ამის შესახებ იგი:

«Симптоматично, что не только Страбон и другие иноземные источники находят население горной Иберии сильно отличным от жителей низменности (первые, по Страбону, даже находятся в родстве с Сарматами), но и грузинские источники рисуют аналогичную картину.

Несомненно, древнегрузинская традиция горные районы Восточной Грузии (южные отроги центральной части Большого Кавказского хребта) считает частично населенными племенами, родственными «Кавкасианам» (т. е. племенами бацбийско-кистинской и дагистанской групп, жившими в основном на северных склонах хребта)» (Г. А. Меликишвили, «К истории древней Грузии», 1959, გვ. 294).

მუშქ-ისა და თუშ-ის იგივეობისათვის ავტორს მეორე „არგუმენტი“ მოეპოვება, კერძოდ, ის წერს: „ეთნიკური ტერმინების „თუშ“-ის და „მუშქ“-ის ბგერითი შემადგენლობაც ნაწილობრივ მათს ნათესაობაზე მიუთითებს“ (გვ. 56).

„ნაწილობრივ მიუთითებს მათს ნათესაობაზე“, რბილად რომ ვთქვათ, ბუნდოვანია, რადგანაც შეიძლება დაეფუძვით მხოლოდ ორნაირი ვითარება: ან მიუთითებს ან არ მიუთითებს.

რადგან ბგერითი შემადგენლობის „ნაწილობრივი მიუთითება“ ავტორის მეორე და უკანასკნელი საბუთია ზემოხსენებული სატომო სახელების იგივეობისათვის, საკითხი განვიხილოთ სრულად. ივანე ჯავახიშვილი „საქართველოს, კავკა-

სიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიურ პრობლემებში“ (1950 წ. გამოცემა) წერს: „ლეკები ქართველ თუშებს მოსოხს უწოდებენ. პ. უსლარს სამართლიანად ჰქონდა აღნიშნული, რომ ეს გარემოება იმ შორეული წარსულის ნაშთი უნდა იყოს, როდესაც მოსოხი ქართველთა ზოგადი სახელი იყო“ (გვ. 51).

ამის საპირისპიროდ ვ. ელანიძე წერს: „შეიძლება ლეკებმა თუშებს იმიტომ კი არ უწოდეს მოსოხ-მოსოქები, რომ ერთ-ერთი ქართული ტომის სახელწოდება „მესხები“, გარკვეულ ეპოქაში „ქართველების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი, თუშებზეც გაავრცელეს, როგორც ქართულ ტომზე, არამედ იმიტომ, რომ აქ დიდობისა და ლეკების გარემოცვაში დასახლებულ ქართველებს, როგორც მუშქების ტომის ერთ-ერთ ტალღას, შემონახული ექნებოდა პირვანდელი სატომო სახელი მუშქები-მუსკები-მესხები“ (გვ. 56).

პ. უსლარისა და ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი უთუოდ სწორია, რადგან მოსოხ-ის ამოსავლად მიჩნეულია მეცხე (როგორც ქვემოთ ვნახავთ, უფრო ზუსტი იქნებოდა, რომ ამოსავლად მოსხ-ი გვევარაუდა). აი რატომ: **სხ** კომპლექსი დიდოური გამოთქმით აუცილებლად ჩაირთავს ხმოვანს. **ტ**. გუდავას ცნობით, ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები სიტყვის ბოლოს ვერ იტანენ თანხმოვანთა კომპლექსებს, თუ ერთ-ერთი კომპონენტი სონორი ბგერა (ვ, ლ, რ, მ, ნ) არ არის, ამის გამო უსონორო კომპლექსში ხმოვანი ვითარდება, კერძოდ ის ხმოვანი, რომელიც თანხმოვანთა კომპლექსს წინ უძღვის სიტყვაში, მაშასადამე: 1) მოსოხ-ში ხ-სა და ხ-ს შორის **ო** ხმოვანი უთუოდ განვითარებულია; 2) ამოსავალი ფორმა ყოფილა მოსხ-ი, რადგან **სხ-ში** **ო** ხმოვანი გაჩნდა. ამოსავალი ფორმა რომ მეცხე-ი ყოფილიყო, მაშინ დალესტნელები მეცხე-ს შეარქმევდნენ თუშებს.

ვ. ელანიძის მიხედვით, მოსოხ-ი დალესტნელებმა მუსკ-ებს ან მუშქ-ებს

შეარქვეს. ზემოაღნიშნული კანონის ნახმაღ, მუსკ-იდან მუსუკ-ი ხელდასმულად, მუშქ-იდან მუშუქ უნდა მიგვედინოთ. მუშქების ტომის სახელი რეცხე-იც რომ დაეუშვათ, ავტორის ვარაუდს მაინც არაფერი ეშველება, რადგანაც თუშ-ს აღარ აღმოაჩნდება მეცხე-თან „ნაწილობრივ ნათესაობაზე“ მიმთითებელი „ბგერითი შემადგენლობა“. ასე რომ, სრულიად გაუგებარია, რატომ ჰგონია ვ. ელანიძეს ერთი და იგივე მუშქი და თუშე, ტუსკი და მუსკი ანდამეცხე და თუშე.

ცნობილია, რომ სახელთა მეცნიერული იდენტიფიკაცია უთუოდ საჭიროებს ბგერათმომართების კანონზომიერების დადგენას. აქ შეიძლება მივუთითოთ ავტორისათვის კარგად ცნობილ სტატიაზე: კ. წერეთელი, „ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის ისტორიისათვის“.

ისტორიულ-კულტურულ მონაცემებზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიასა და სხვა ცნობილ მკვლევართ მუსკი, მოსხე, მუშქი, მეშეხი... ერთი სახელი ვარიანტებად მიაჩნდათ. მათი ვარაუდის ერთადერთი ნაკლი იყო ის, რომ ამ სახელთა იგივეობა ენობრივ ანალიზს არ ემყარებოდა. კ. წერეთლის ზემოთ აღნიშნული სტატია სწორედ ამას მიეძღვნა. იგი წერს: „წინამდებარე შრომა წარმოადგენს ცდას შეავსოს ეს ხარვეზი და ისტორიკოსებს მიაშველოს ლინგვისტური საბუთიანობა ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის იდენტიფიკაციისათვის...“ (იხ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 2, 1954, გვ. 112). ამას მოსდევს მუსკ, მუსხ, მუშქ... ეთნიკური ტერმინების იგივეობის მტკიცება ენობრივ ანალიზზე დამყარებით.

ვ. ელანიძეს ასეთი საკითხები არ აწუხებს: მერე რა ვუყოთ, რომ ტუსკ-ის ტმუსკ-ში არა გვაქვს, ასევე თუშ-ის თმუშქ-ში არ გვხვდება. ჩვენი ავტორისათვის მთავარია დებულებათა წამოყენება... ასეთი მსჯელობა მეცნიერულ დამაჯერებლობას მოკლებულია და ამიტომ მისი გაზიარება შეუძლებელია.

3. უსლარი მოსოხთან დაკავშირებით წერს:

«Под этим названием горцы подразумевают вообще жителей нынешнего Туше-Пшаво-Хевсурского Округа, т. е. пшавов и хевсур (Этнография Кавказа, языковедение, III, аварский язык, 1889, гл. 26).

„არნ. ჩიქობავას ცნობით, „მოსოქებში“ ხუნძები ხევსურებს უნდა გულისხმობდნენ“, — წერს კ. წერეთელი ზემოთაღნიშნულ წერილში. ეს ცნობები კიდევ უფრო განამტკიცებენ იმ ვარაუდს, რომლის მიხედვითაც მოსოხი თუშებს (და არა მარტო თუშებს!) იმიტომ უწოდეს, რომ „მოსოხი ქართველთა ზოგადი სახელი იყო“ (ივ. ჯავახიშვილი).

ახლა მეორე მხარე გავსინჯოთ. ავტორი ცხარედ კამათობს, რომ წოვები ვერ იქნებიან „ქართლის ცხოვრების“ თუშები და პტოლემეაოსის ტუსკებიო. მერე და ვინ ამტკიცებს ამას? რამდენადაც ვიცნობთ ლიტერატურას, ასეთი დებულება არავის წამოუყენებია.

დღეს ღია კარის მტკრევაა იმის მტკიცება, რომ ბაცებები (*resp.* წოვები) ჩაჩნურ-ინგუშური წარმოშობის ტომიაო. ეს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იყო ეჭვმიუტანელი, რაც წერილიდანაც ჩანს; ოღონდ გაუგებარია ვ. ელანიძის თვალსაზრისი მათი თუშეთში მოსვლის შესახებ. იგი, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდის მიხედვით, ხან სამხრეთიდან მოსულად მიიჩნევს ამ ტომს (მესობოტამია — ლეხურა-ქსნისა და არაგვის ხეობები — ბოლოს თუშეთი), ხანაც აცხადებს: „წოვები თუშეთში ჩაჩან-ინგუშეთიდან არიან გადმოსახლებული“ (გვ. 62), ე. ი. ჩრდილოეთიდან. რომელია ვ. ელანიძის ვარაუდი, კაცი ადვილად ვერ გაარკვევს.

უხერხულობა, რომელიც მართლაც არსებობს მეცნიერული მსჯელობის დროს — ეს არის კომპონენტი თუშის წოვაზე და ჩაღმაზე დართული (წოვა-თუშის, ჩაღმა-თუშის); ამის შედეგად სხვადასხვა ენები თითქმის ერთი სახელის ქვეშ ერთიანდება. ეს უხერხულობა დღეს მოხსნილია: მეცნიერულ ლიტერატურაში წოვა-თუშურს და-

უმკვიდრდა სახელი ბაცბური, ხოლო ჩაღმა-თუშურს — თუშური კილოზმუნა ნად შეიძლებოდა ეს საკითხიც არ დასამულიყო. თუმცა თავდაპირველი თუშის დღემდე გამოუცნობი რჩება.

ცნობილია, რომ ჩვენ წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში ძურძუკთა (*resp.* ნახთა) დიდი ტალღა გადმოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე და დაიკავა კავკასიონის სამხრეთი კალთები დილოეთიდან სვანეთამდე (იხ. „ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942, გვ. 19).

ამ ცნობაზე დაყრდნობით ვ. გამრეკელი წერს:

«Это есть именно территория Центрального Кавказа, она включает в себя Двалетию и территорию, занимаемую тушами и пшав-хевсурами, т. е. пховцами по древнегрузинской номенклатуре» (В. Гамрекли, «Двалы и Двалетия в I—XV в. в. н. э.», 1961, гл. 18).

ამასთან დაკავშირებით უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მთის კილოზების გავრცელების არეალში ტობონიმიკისა და ენობრივი მონაცემების შესწავლას. ენობრივ მონაცემებში ცხოვრების ყველა მხარე აისახება და, ბუნებრივია, მისი ჩვენება ფასდაუდებელია ისტორიული კვლევა-ძიების საქმეში.

მეცნიერული დებულების ძალა ვერ ექნება ვ. ელანიძის განცხადებას: „თუშეთის ტობონიმიკის ხშირად ჩაჩნურ-ქისტურ-წოვური ენებით ახსნა იმას არ გულისხმობს, რომ აქ ოდესმე ჩრდილო კავკასიური წარმოშობის რომელიმე ტომს ეცხოვროს“ (გვ. 62). ნუთუ ციდან ჩამოფრინდნენ ეს ტობონიმები? ბოლოსდაბოლოს მსჯელობას ხომ აქვს თავისი კანონები! ვანა შეიძლება ასე დაუსაბუთებელი დებულებების წამოყენება? ანდა როდის აქეთ არის, რომ ისტორიკოსი უგულვებელყოფს ტობონიმიკის ჩვენებას? ვანა ივანე ჯავახიშვილი პირველი ხარისხის მასალად არ მიიჩნევდა ტობონიმიკის ჩვენებასა და ენობრივ მონაცემებს. ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა წოვების ტომის შესახებ მთლიანად

ტოპონიმია-ეთნონიმიაზეა დამყარებული.

ამაზე კამათი ნებისმიერ ისტორიკოსს — დამწყებსა თუ გამოცდილს ზედმეტად მოეჩვენება. ეს ასეც არის, მაგრამ განმარტება ამჯერად უთუოდ საჭიროა.

ნახური (*resp.* ჩაჩხურ-ინგუშურ-ბაც-ბური) ელემენტები მთის კილოებში უხვად არის წარმოდგენილი. ამაზე მსჯელობა ახლა შორს წაგვიყვანდა და შეუფერებელიც არის საყურნალო სტატიისათვის, ოღონდ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ნახური ელემენტი გვხვდება არა მხოლოდ მთის კილოთა ონომასტიკაში, არამედ ამ კილოების ლექსიკაში, ფონეტიკასა და მორფოლოგიაში. ზოგი მათგანი სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულიც არის, ასე მაგალითად: ა. შანიძე „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ (1953) ორ ადგილას მსჯელობს მთის კილოებში ნახური კალკის შესახებ; ამ მხრივ საყურადღებო არის ვ. თოფურიას მიერ 1964 წელს ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VII საერთაშორისო კონგრესზე წაკითხული მოხსენება — „ქართველური ენების დიალექტები და ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები“.

თუშ-ეთნონიმის პრობლემას შეიძლება მოველოს, ოღონდ — სხვა ვზით. საქმად მასალის უქონლობის გამო ამ სახელის წარმოშობა ჯერ გაურკვეველად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ცხადია ის, რომ ამ სახელს ატარებს თუშეთის ისტორიული მოსახლეობა — ჩაღმა-თუშები და წოვა-თუშები. მათ ეს სახელი მაშინაც დარჩებათ, თუ გაირკვევა, რომ სატომო სახელი სულ სხვა ტომს ეკუთვნოდა (ასეთი შემთხვევა ისტორიამ ბევრი იცის).

ჩვენ გაუმართლებლად გვეჩვენება ავტორის კიდევ ერთი დაუსაბუთებელი დებულება: „ორივე ტომი ეთნიკური ინდივიდუალობით ხასიათდება“ (გვ. 62). ჩაღმა-თუშებისა და წოვა-თუშების განმასხვავებელი მხოლოდ ენაა. ამავე დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წოვა-თუშებისათვის ქართული ენა არის

მშობლიური ენა. ისინი ჩაღმა-თუშებთან ერთად გაქრისტიანდნენ, ეზიარნენ, ქრისტიანულ კულტურასა და გაქართველდნენ.

საბოლოოდ დავძენთ შემდეგს: წოვა-თუშები და ჩაღმა-თუშები, თუშები საერთოდ, ისტორიულად და ახლაც ერთად ცხოვრობენ. მათ არაფერი აქვთ სადაო; ორივეს სწყინს, როცა მათ თუშობას ვინმე ხელყოფს და ეს გასაგებიც არის: წინაპრებმა რამდენი სისხლი ღვარეს, რამდენ უბედურებას გაუძღეს. რომ თუში საამაყო სახელი ყოფილიყო.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ როგორ ესმოდათ ადგილზე, ე. ი. თუშეთში ეთნონიმი თუში; თუშეთის მოსახლეთაგან ვის იხსენიებდნენ ქართველები ამ სახელით, როგორ ესმოდათ თუშეთის გარეთ ეს ეთნონიმი.

ყოველგვარი მიდგომით (თუ გნებავთ, ვ. ელანიძის მიდგომითაც), ათას წელზე მეტი მაინც არის, რაც წოვა-თუშები თუშეთში სახლობენ და ცხოვრობენ ჩაღმა-თუშების გვერდით. მათ საზიარო ჭირვარაში და სიხარული ჰქონდათ. და ყოველთვის მოქმედებდნენ თუშის სახელით.

ისტორიკოსები თუ ეთნოგრაფები ყოველთვის წერდნენ საერთოდ თუშეთისა და თუშის შესახებ. წოვა იმდენად იყო საჭირო მათ გამოკვლევებში, რამდენდაც ჩაღმა, გომეწარი და პირიქითი, ე. ი. როცა თუშეთს აღწერდნენ, აღნიშნავდნენ ამ ოთხ ხეობას, როგორც თუშთა საცხოვრისს.

ვ. ელანიძე წერს: „თუ ვიტყვით ჩაღმა-თუშის, მაშინ უნდა ვთქვათ სხვა საზოგადოების თუშებზეც: გომეწარელი თუშის, პირიქითელი თუშის და სხვ.“ (გვ. 60). განა ასე არ არის? სწორედ რომ ჩაღმა, გომეწარელი, პირიქითელი იხმარება, ოღონდ ერთი კია: ჩაღმა განზოგადდა წოვების საპირისპიროდ დანარჩენი თემების (*resp.* ხეობების) სახელად. ამ მხრივ საყურადღებოა 1913 წელს გამოქვეყნებული ერთი თუშური ლექსი, („ძველი საქართველო“, II, 1913, გვ. 28) სადაც ვკითხულობთ:

„მე მაგის მოლექსებელი
ინდურთის ვალმით ვარიო,
სერიი დიდი ვიხილე,
მეტათ არს შესაზარო,
წოვათის მენახირე ვარ,
ჩაღმა ვარ გომეწრელიო“.

გომეწრელი ჩაღმა ვარ ნოშ-
ნავს იმას, რომ სხვას შეეძლო ეთქვა პი-
რიქითელი ჩაღმა ვარო, ე. ი.
წოვას აქ უპირისპირდება ჩაღმა, რომე-
ლიც ნიშნავს არაწოვა-თუშს და აერთიან-
ებს ქართულად მოლაპარაკე სამ ხეო-
ბას.

ასე რომ, ჩაღმა-თუში და წოვა-თუში
თვით თუშმა ხალხმა შექმნა, ბუნებრი-
ვია, რომ იგი მეცნიერებაშიც გადმოვი-
და.

წოვები თუშეთში მუდამ თუშების სა-
ხელით ცხოვრობდნენ და იბრძოდნენ
თუშებისა თუ, საერთოდ, საქართველოს
მტრების წინააღმდეგ. სანიმუშოდ მოვი-
ყვანთ „ძველ საქართველოში“ 1913
წელს ივ. ბუჭურაულის მიერ გამოქვეყ-
ნებული ლექსებიდან რამდენიმე დამახა-
სიათებელ ადგილს:

„წოვათას გიგის ციხეო,
ქეც ნუ გდებია ქვაზედა;
ქაჩუს ვადმოღის ჯარები,
ციხეე შენს მუქარაზედა;
თუშეთი შემომტერია,
თუშო, მოგდიან კარზედა!
ცოლს ეტყვის გიგის ლაგაზი:
წამალ ამიწყე ხანზედა...“ (გვ. 11).

როგორც ვხედავთ, წოვა გიგის ლა-
გაზს მოლექსე თუშობით მიმართავს. ცი-
ხეს ცეცხლი შემოუნთეს მომხდურებმა...

„ჩაიქცა ციხის ბანები,
დაბრუნდა ცოდო-ბრალოთ:
სამოკდაშვიდი ჩაიწო
თუში ქალი და რძალიო...“ (გვ. 11).

ეს წოვა-თუშებზე ამბობს მოლექსე:
„თუში ქალი და რძალიო“. ჩვენდა სა-
ბედნიეროდ, მოლექსე გომეწრელია
და ვერ დავაბრალებთ მცხოვრების სა-
ხელის უცოდინარობას. აი მოწმობაც:
„მე მაგის მოლექსებელი გომეწრის ქა-
ლი ვარია“, ვკითხულობთ ლექსის ბო-
ლოს. ლაგაზის ციხის შემდეგ ხუცის ცი-
ხეს მიაღწენ. აქ მხოლოდ ქალი იბრძო-

და ხმალდახმალ: „წითლად შაღებეს ქვი-
შანი ქალის ნახოცმა ქისტებმა“ (გვ. 11).
მთელი ეს უბედურება იმიტომ მოხდა,
რომ წოვა მამაკაცები პირიქითში არიან
საომრად და იქაურ თუშებს ეხმარებიან
მტრის განადგურებაში:

„წაროს თავს ჯარი ჩამოდგა,
ვინ მიეგებოს გზაზედა,
შინ არ არიან წოვანი,
პელის წასულან ომზედა“.

მთელი თუშეთი წამსვე ფეხზე დგე-
ბოდა, როგორც კი გაქირდებოდა თუშე-
თის რომელსაღმე კუთხეში. ჩაღმის ხეო-
ბაში ხისოსა და ქუმელაურთას დიდძა-
ლი ლეკის ჯარი დაესხა თავს.

მოლექსე გვამცნობს:

„უჯანა თვალი ევლებოდ,
ახლ წოვით მოსვლის ხანია,
ლააში იყრებიანა
წოვა-გომეწრელთ ყმანია,
მხარი აუკრეს ლეკებსა,
ჩაღალ დაყარეს მკვდარიო...“

მოლექსე პირიქითელი გახლავთ:

„მე მაგის მოლექსებელი...
წუნთიანთ ვიო ვარიო;
შენღობა ჩუნთიიძეხს,
საც რომ ვარიღდეს ჯარიო!“ (გვ. 30).

როდესაც ნუცალ ხანი თავს დაესხა
თუშეთს (მე-16 საუკ.), მძევლად ერთ-
ერთი თავკაცი, წოვა დევდრის ან-
თა დაუტოვებია თავისთან. ნუთუ ნუ-
ცალმა თუშების მძევლად არათუში და-
იტოვა? დევდრის ანთას წყალობით თუ-
შებმა დრო მოიგეს; კახელები მოიშვე-
ლიეს და მტერი სასტიკად დაამარცხეს
 („ძველი საქართველო“, 11, 23-ე გვერ-
დზე იხილეთ ლექსი № 23).

გასაჭირის ეამს ჩაღმებიც წოვების
გვერდით არიან. როცა ინდურთის ციხეს
დაესხა მტერი, ჩაღმები მიეშველნენ მო-
ძმეთ:

„შემოდის ჩაღმათ ლაშქარი,
გზა არ სცალღებათ ტიალი,
შეიბნეს შულამისას,
ბორბე შეზღერტეს ცვრიანი...“ (გვ. 26).

წოვები სხვა დანარჩენ თუშებთან ერ-
თად ემსახურებოდნენ სრულიად საქარ-

თველსაც. თუშმა დილოიძემ წოვათის თემიდან ერეკლე მეორისაგან ხმალი და- იმსახურა ასპინძის ომში; 1913 წელს იგ. ბუქურაული წერდა: „ეს ხმალი დილოი- ძის შვილის-შვილებიდან გადავიდა ერ- თი თუშის ხელში, რომელსაც დღესაც აქვს“ („ძველი საქართველო“, II, გვ. 45).

სხვათა შორის, დილოიძეს შემდეგშიც გამოუჩენია თავი ერეკლეს წინაშე; „სა- დაველოდ“ წასული დილოიძე წოვა-თუ- ში ბიჭებით გადაეყარა ლეკებს, რომელ- თაც „ქართლის ქალები“ მიჰყავდათ ტყვედ. დილოიძემ მოძალადეთა და ტყვეთა კვალს მისდია.

როცა იღროვა, დილოიძემ ბიჭებს შე- სძახა:

„დაქარით, თუშის შვილებო,
სახელ ვის გინდათ მტერზედა,
მოუხდეთ მეფე ერეკლეს
სახელოვანი მტერზედა!“ (გვ. 44).

როგორც ვხედავთ, დილოიძე თუშის სახელით იბრძვის, 33 მომხდური დახო- ცა 18 თუშმა, 7 ქალი გაათავისუფლა და...

„მიუვლენ მეფე ერეკლეს
სიცილით თუშნი კარსაო:
— მეფე ერეკლე, მოვასხით
ქალები თქვენი მხრისაო“ (გვ. 45).

წოვა და ჩალმა, ასევე პირიქითელი, გომეწრელი თუშეთის შიგნით სახმარი მიკროსახელებია, თუშეთს გარეთ კი ყველა თუშია. ამ დებულების დადას- ტურება რ. ერისთავის მიერ ჩაწერილი და გამოქვეყნებული ლექსიც, რომელიც ადიდებს ასპინძის ომში სახელმოხვეჭილ თუშებს:

„თვალიც უჭირავს ქვეყანას,
კოხიო გაირჩებაო,
დიდის ბატონის ჯარშიგა
წინ ვერვინ წაუღებებო,

ბატონის თვალი სწყალობდა,
ბატონს არ მოუკვდებო,
ნაკულა ქუთისს შვილი,
რა კანჯარით ხტებოო,
შვიდი დაკაფა ხმალ და ხმალ.
რიგი ხანჯალზე ღებებო...“

(„კრებული“, 1873, მეშვიდე წიგნი, გვ. 27).

რაფიელ ერისთავი სქოლიოში განმა- რტავს: „კოხიო — სახელი თუშისა, გვა- რად ყოფილა ბობლიაშვილი, წოვის თე- მისა“.

რ. ერისთავსაც წოვა თუშად მიაჩნდა; ნუ დავივიწყებთ, რომ რ. ერისთავმა თუშ-ფშავ-ხეცსურეთი თვითონ შემოიარა და საქმის ვითარება მისთვის ნათელი იყო. თუშობა და ძმობა თუშეთის მცხო- ვრებთა პირველი საზრუნავი გახლდათ. თუშებს ჰქონდათ მთელი რიგი თვისებე- ბი, რომლითაც იწვევდნენ სხვების აღ- ტაცებას; მაგალითად, ნ. ვოლკონსკის წიგნში („ქართული ქვეითი რაზმის ის- ტორია“, 1831-1881, რუსულ ენაზე) ბე- ვრი ადგილია თუშური რაინდობისადმი მიძღვნილი. ეს წიგნი მოგვითხრობს თუ- შების, კერძოდ, წოვა-თუშების — ეფი- შვილის, ქადაგიძისა და სხვათა გმირო- ბაზე, ნ. ვოლკონსკისათვის ეთნონიმი წოვა საერთოდ უცნობია. მისთვის სა- ხელგანთქმული შეთე გულუხაიძეც და საარაკო გმირობის ჩამდენი ეფიშვილიც თუშებია.

კიდევ ვიმეორებთ: წოვები მუდამ თუ- შის სახელით მოქმედებდნენ, უფრთხი- ლდებოდნენ ამ სახელს და წმინდად ატა- რებდნენ. არა მგონია, ვ. ელანიძეს უფ- ლება ჰქონდეს ამის დაწერისა: „ამიერი- დან მაინც წოვა-თუშის ნაცვლად „წო- ვა“... უნდა ვიხმაროთ“ (გვ. 62).

მეცნიერება ხალხის მსახურია, მას უსაფუძვლო მსჯელობა არ შეეფერება. თქმამდე ასკერ უნდა გავზომოთ.



შახნაოზ აქთაღიზვილი

ქართული სალიტერატურო ენის სათავეებთან

ტერმინი სალიტერატურო ენა, მისი ტრადიციული და მოარული გაგებით, სახელწოდებაა ცნებისა, რომელსაც მხოლოდ პირობითად შეიძლება მიეცეს ცნების ღირებულება, რადგან სალიტერატურო ენის ცნების შემოსაფარგლად გამოყენებული ნიშნები მეტწილად არ არის ენობრივი ხასიათისა.

სალიტერატურო ენას ჩვეულებრივ განმარტავენ, როგორც დამწერლობის ენას. დამწერლობის გაჩენის შემდეგ აღამიანებს დასჭირდათ განესხვაგებინათ დამწერლობის საშუალებით ასახული ენა იმ ენისაგან, რომელიც ყოველდღიური ურთიერთობისათვის ზეპირმეტყველების სახით გამოიყენებოდა. დამწერლობის ენას შედარებით გვიან უწოდეს სალიტერატურო ენა. ამ სახელწოდებან არ შეიძლებოდა ჰქონოდა ტერმინის ღირებულება და არც ამჟამად აქვს, რადგან იგი არ გამოხატავს ცნებას. ნიშანი, რომლის მიხედვითაც ცდილობენ შემოფარგლონ ცნება, გარეგნული განმასხვავებელი ნიშანია და არა ცნების განმსაზღვრელი. დამწერლობის მქონებლობა, უწინარეს ყოვლისა, ასახვით-გამომხატველობითი საშუალებების მქონებლობას გულისხმობს. რა თქმა უნდა,

არიან ნიშნები, რომლებიც სალიტერატურო ენას განასხვავებენ ზეპირმეტყველებითი ენისაგან, მაგრამ ისინი დამახასიათებელია თვით სალიტერატურო ენისათვის და არა დამწერლობისათვის, რომლის მეშვეობით აისახება სალიტერატურო ენა. დამწერლობა, მართალია, დიდად უწყობს ხელს სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ნიშნების, ნორმების დამკვიდრებასა და გავრცელებას, მაგრამ სალიტერატურო ენის არსს იგი არ გამოხატავს.

სალიტერატურო ენას განმარტავენ აგრეთვე როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების, სკოლის, მეცნიერების, პრესის, მხატვრული ლიტერატურის, თეატრის, რადიოს ენას. საუკუნეების მანძილზე სალიტერატურო ენა მართლაც ემსახურებოდა სახელმწიფო საქმისწარმოებას, რელიგიას, მეცნიერებას, ლიტერატურას... სწორია თუ არა ეს განმარტება? თუ სალიტერატურო ენას შევხედავთ იმ თვალსაზრისით—რა როლი აქვს მას დაკისრებული საზოგადოების ცხოვრებაში, ეს განმარტება შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ. მაგრამ სანამ ფუნქციებს შევხებოდეთ, საჭიროა შემოვფარგლოთ ცნების არსი

(რა არის სალიტერატურო ენა). ამ მოთხოვნას ზემოხსენებული განმარტება ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ სალიტერატურო ენის ცნების არსს იგი აგრეთვე ვერ გამოხატავს.

სანამ უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროა გავიხსენოთ — რა არის საერთო-სახალხო ენა. „იმაში, რაც საერთოა ცოცხალი ტერიტორიული დიალექტების ლექსიკასა და გრამატიკულ წყობაში, ვლინდება საერთო-სახალხო ენის რეალურობა“ (ა. ჩიქობავა). მაშასადამე, საერთო-სახალხო ენა არის ის, რაც საერთოა ტერიტორიული დიალექტების ლექსიკასა და გრამატიკულ წყობაში.

ქართულში ყველა დიალექტისათვის საერთოა სიტყვები: დედა, მამა, ძმა, და... მე, შენ, ჩვენ, თქვენ, ჩემი, შენი... თავი, ხელი, ყური, თვალი... მზე, მთვარე, ცა, ხე, მიწა... ხნავს, თესავს, აშენებს, უყვარს, სძულს, კლავს და ა. შ... ყველა დიალექტში მიცემითი ბრუნვის ნიშნად — ს სუფიქსი გვაქვს, მოქმედებითის ნიშნად — ით (კაც-ს, კაც-ით...), ნამყო უწყვეტლის ფუძეს აწარმოებს — დ, -ოდ სუფიქსები (წერ-დ-ა, იწერებოდ-ა...), I ობიექტური პირის ნიშნად ყველგან მ პრეფიქსი გვაქვს, II ობიექტური პირის ნიშნად — გ პრეფიქსი და ა. შ... ყველა დიალექტში გარდამავალი ზმნის მეორე სერიის მწკრივთა ფორმებთან სუბიექტი მუდამ მოთხრობით ბრუნვაშია, პირდაპირი ობიექტი — სახელობითში (ააშენა მან სახლი...).

თითოეულ ტერიტორიულ დიალექტში, ცხადია, ჭარბობს ლექსიკისა და გრამატიკული წყობის ის ელემენტები, რომლებიც საერთოა სხვა ნებისმიერ დიალექტთან. სხვათა შორის, რაკი დიალექტს ვიცნობთ, როგორც კუთხური მეტყველების თავისებურებათა ერთობლიობას, გვექმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქმის ტერიტორიული დიალექტი მხოლოდ კუთხური მეტყველების თავისებურებათა ერთობლიობას წარმოად-

გენდეს. სინამდვილეში ტერიტორიული დიალექტიც იგივე საერთო-სახალხო ენაა, რომელსაც კუთხური მეტყველება თავისებურებათა ერთობლიობა ახასიათებს. ამა თუ იმ დიალექტის წარმომადგენლები კავშირს ერთმანეთთან და, მით უმეტეს, სხვა დიალექტების წარმომადგენლებთან, დიალექტურ თავისებურებათა ერთობლიობით კი არ ამყარებენ, არამედ არსებითად იმ ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული წყობის მეშვეობით, რომლებიც საერთოა ყველა დიალექტისათვის — საერთო-სახალხო ენის მეშვეობით.

დამწერლობის ჩამოყალიბების დროდან საერთო-სახალხო ენა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორი სახით არსებობს — ზეპირმეტყველებითი ენის და დამწერლობითი ენის სახით. ცხადია, დამწერლობითი ენა ემყარება ამა თუ იმ დიალექტს (ან დიალექტებს), მაგრამ დიალექტს იმ გაგებით, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი, უპირველეს ყოვლისა, საერთო-სახალხო ენაა (რომელსაც კუთხური მეტყველების თავისებურებათა ერთობლიობა ახასიათებს). დამწერლობით ენას არ შეიძლება საფუძვლად არ ჰქონდეს ის ენობრივი ფენომენი, რომელიც საერთოა ყველა დიალექტისათვის. დამწერლობის საშუალებით საერთო-სახალხო ენის ფიქსაცია ხდება. უფრო ხელშეწყობად ეს საერთო-სახალხო ენობრივი ფენომენი სწორედ დამწერლობით ენაში ჰპოვებს ასახვას და ჰპოვებს იმიტომ, რომ იგი ფიქსირებული სახით არის წარმოდგენილი.

იმისათვის, რათა ჩვენც ფორმალურად განვასხვაოთ საერთო-სახალხო ენის ზეპირმეტყველებითი სახეობა მისი დამწერლობითი სახეობისაგან, მოვივლიოთ ტრადიციული ტერმინი — სალიტერატურო ენა.

სალიტერატურო ენა არსებითად იგივე საერთო-სახალხო ენაა.

არსებობს თუ არა ნიშნები, რომლებიც ენობრივი თვალსაზრისით ახასიათებენ სალიტერატურო ენას და იმავდროულად განასხვავებენ მას საერთო-სახა-

ლხო ენის სხვა სახეობისაგან — ზეპირ-მეტყველებითი ენისაგან?

ასეთი ნიშნები არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ მათ აგრეთვე პირობითი შეფარდებითი ღირებულება აქვთ. სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელია:

ა) ტერმინოლოგიისა და სპეციფიკური ლექსიკის მქონებლობა, ბ) წინადადებათა რთული კონსტრუქციები¹, გ) შემასმენელთა ნაკლებობა, დ) განსაზღვრებათა სიხშირე, ე) საკავშირებელ საშუალებათა (მიმართებით ნაცვალსახელთა, მიმართებით ზმნიზედათა, კავშირებისა და მისამართი სიტყვების, კორელატების) განვითარებული სისტემა და ფართო გამოყენება, ვ) მხატვრული სახეების დახვეწილობა (უპირატესად, მხატვრული ლიტერატურის ენაში), ზ) ფონეტიკურ და გრამატიკულ სისტემაში ნორმების შინაგანი კონტროლი.

რა თქმა უნდა, აქედან არ გამომდინარეობს, რომ სალიტერატურო ენისათვის მხოლოდ წინადადებათა რთული კონსტრუქციებია დამახასიათებელი, მაგრამ ამ ტიპის წინადადებათა ხშიარება სწორედ სალიტერატურო ენისათვის არის ნიშანდობლივი.

სალიტერატურო ენის ფონემატურო სტრუქტურა გამოკვეთილი სისტემის ხასიათს ატარებს. თანამედროვე სალიტერატურო ენის ფარგლებში ამ სისტემიდან გადახვევის შემთხვევები იშვიათია. მაშინაც კი, როცა ფონეტიკური პროცესების საილუსტრაციო მაგალითებს ეძებენ, როგორც წესი, დიალექტურ მასალას მოიხმობენ ხოლმე (ბეური, თუთხმეტი, გოგუები...), ან სალიტერატურო ენის ისეთ მაგალითებს იმორჩევენ, რომლებშიც ფონეტიკური სახეულობა შორეულ ისტორიულ წარსულშია მომხდარი, ამაჟამად ისინი სალიტერატურო ენის ფაქტებს წარმოადგენენ და ფონეტიკურ ცვლილებას აღარ განიცდიან (თერამეტი—თერამეტი, კვლა—კლვა, გორული—გორული, მეთაური—მეთაფური, აქეთ—აქესთ...). შინაგან კონტროლს უქვემდებარებს თანამედროვე სალიტერატურო ენა თავის მორფოლოგიურ-სინტაქსურ სისტემასაც. ამჟამად ნორმაა: უწერ (და არა უწერ მე), ხატავს (და არა ხატავს), ელეტს (და არა: ელიტავს), მოკლავდა (და არა: მოკვლიდა), კეთილი კაცის (და არა: კეთილ კაცის ან კეთილის კაცის), კაცი წავიდა (და არა: კაცმა წავიდა) და ა. შ.

მორფოლოგიურ-სინტაქსური სისტემის სა-

ილუსტრაციო მაგალითების ნაცვლად ამ შემთხვევაში წესები მოგვეყვანა, მაგრამ ეს წესები თითოეულ დაინტერესებულ შემთხვევაში უძლია ნახოს მორფოლოგია-სინტაქსის (გრამატიკის) სახელმძღვანელოებში. რაც შეეხება ამავე სალიტერატურო ენის შიგნით მორფოლოგიურ-სინტაქსური ნორმებიდან გადახრის შემთხვევებს, ე. წ. მერყევ ფორმებს. მათ სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი კომისია სწავლობს. ასეთი ფაქტები სალიტერატურო ენის სისტემური ხასიათის საწინააღმდეგო მაგალითები კი არ არის, არამედ გამოხატულებაა იმ შინაგანი ბრძოლისა და დაუბლილისა, რაც ენის შიგნით მიმდინარეობს უფრო მართებული და სიცოცხლისუნარიანი ფორმების დასამკვიდრებლად. სალიტერატურო ენის ნორმების კომისია ამ შინაგანი ბრძოლის მეთვალყურეა და „მეტოქეთაგან“ უპირატესობას აძლევს და აკანონებს იმ ფორმას, რომელიც მეტი სიცოცხლის ძალას იჩენს და პერსპექტიულია...

ზემოთ აღნიშნული გვექონდა, რომ დამწერლობის მქონებლობა თავისთავად არ შეიძლება სალიტერატურო ენის განმსაზღვრელ ნიშნად ვცნოთ, მაგრამ არის გარკვეული სახის ფაქტორები, რომლებიც დამწერლობას — სალიტერატურო ენის ამ გარეგნულ დამახასიათებელ ნიშანს — განსაკუთრებულ ღირებულებასა და მნიშვნელობას ანიჭებენ.

როცა ვამბობთ, სალიტერატურო ენა და ზეპირმეტყველებითი ენა საერთო სახალხო ენის ფორმებით, ცხადია, ვგულისხმობთ, რომ ენის ისტორიის მთელ მანძილზე, მას შემდეგ, რაც დამწერლობა გაჩნდა, სალიტერატურო ენაც და ზეპირმეტყველებაც ერთმანეთის გვერდით არსებობდა (V საუკუნის სალიტერატურო ენის პარალელურად გვექონდა V საუკუნის ზეპირმეტყველება, XI საუკუნის სალიტერატურო ენას გვერდით ედგა ამავე საუკუნის სამეტყველო ენა...). მაგ-

¹ „წინადადებათა რთულ კონსტრუქციებში“ ვგულისხმობთ ზერითულ წინადადებებს, ე. ი. ისეთ წინადადებებს, რომლებშიც ერთ მთავარ წინადადებასთან გვაქვს რამდენიმე არაერთგვარი ან ერთგვარი დამოკიდებული წინადადება, რომლებშიც დაქვემდებარება თანმიმდევრულია, როცა რთული წინადადება შერეული ხასიათს და, საერთოდ, მრავალსიტყვიან წინადადებებს.

რამ ამჯერად იძულებული ვართ მხოლოდ ვალიართ ამ თანაარსებობის უცილობელი ფაქტი: წარსულის ზეპირმეტყველება უკვე ისტორიის კუთვნილებაა, რადგან აღარ არიან ის თაობები, რომლებიც „ზეპირმეტყველებდნენ“. მაშინსადამე, დამწერლობითი ენა, თუ მას ისტორიული თვალსაზრისით შევხედავთ, საერთო-სახალხო ენის ერთადერთი ფორმაა, რომელიც შემოგვრჩა და შემოგვრჩა სწორედ იმის წყალობით, რომ იგი დამწერლობითი სახით არის წარმოდგენილი. მეორეც: მართალია, აზრის გამოხატვა ენის მეშვეობით ხდება, მაგრამ სწორედ იმის წყალობით, რომ ენას დამწერლობა აქვს, ენისა და აზროვნების შესაძლებლობანი ფართო სარბიელს იძენენ. აღამიანს საშუალება ეძლევა აღბეჭდოს აზრი, ხოლო აღბეჭდილი აზრი უფრო ადვილად ემსახურება აღამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა საფაროს და წარმოადგენს საერთო პროგრესის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას...

ამიტომ დამწერლობა სალიტერატურო ენის ერთ-ერთ (არა არსებით) ნიშნად უნდა მივიჩნიოთ და სალიტერატურო ენის ცნება ამგვარად შემოვფარგლოთ:

სალიტერატურო ენა იგივე საერთო-სახალხო ენაა, რომელიც უპირატესად დამწერლობით არის წარმოდგენილი და ახასიათებს ტერმინოლოგიისა და სპეციფიკური ლექსიკის მქონებლობა, წინადადებათა რთული კონსტრუქციები, შემასმენელთა ნაკლებობა, განსაზღვრებათა სიხშირე, საკავშირებელ საშუალებათა განვითარებული სისტემა და ფართო გამოყენება, ფონეტიკურ და გრამატიკულ სისტემაში ნორმების უინაგანი კონტროლი, მხატვრული სახეების დახვეწილობა.

რა თქმა უნდა, სალიტერატურო ენას შეიძლება შევხედოთ იმ თვალსაზრისი-

თაც, თუ რა ფუნქციები აკისრავს მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რას ემსახურება იგი. სალიტერატურო ენის ფუნქციების მანძილზე ემსახურება სახელმწიფო საქმისწარმოებას, რელიგიას, მეცნიერებას, ტექნიკას, მხატვრულ ლიტერატურას, პუბლიცისტიკას და ა. შ. შესაბამისად სალიტერატურო ენაში შემუშავდება ხოლმე სხვადასხვა სტილი (საკანცელარიო, სამეცნიერო, მხატვრული ლიტერატურის, პუბლიცისტიკური და ა. შ.), რომლებსაც ერთმანეთისაგან განასხვავებს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი მიზანდასახულებანი და სპეციფიკური ენობრივი ნორმები.

ზეპირმეტყველებითი ენა, აგრეთვე და უწინარეს ყოვლისა, იგივე საერთო-სახალხო ენაა; მაშასადამე, ზეპირმეტყველებითი ენა არსებითად არის ის, რაც საერთო ტერიტორიული დიალექტების ლექსიკასა და გრამატიკულ წყობაში. თითოეულ ტერიტორიულ დიალექტში გვაქვს ლექსიკისა და გრამატიკული წყობის ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც საერთოა სხვა ნებისმიერ დიალექტთან და რომელთა არსებობის გამო ერთი დიალექტის წარმომადგენელთა მეტყველება გასაგებია მეორე დიალექტის წარმომადგენელთათვის. დიალექტურ თავისებურებებს საერთო-სახალხო ენაში (ამ შემთხვევაში ზეპირმეტყველებით ენაში) გვაძლევს სწორედ ის სხვაობანი, რომლებიც თავს იჩენენ ხოლმე თითოეული ტერიტორიული დიალექტის ლექსიკაშიც და გრამატიკულ წყობაშიც.

თუმარ დიალექტში, მაგალითად, ზოგ ასეთ თავისებურებაზე მიუთითებენ: დაცულია უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი (დაარბებდის ნაიბი), სტატიკური ვენბითები უმეტესად ავ თემის ნიშნაინება (ატანავ, ვიქერ-ავ, გიქიდ-ავ), ხმოვანფუძიან სახელებს სახელობით ბრუნვაში მ მოუდით (ხეჲ, ქეჲ). მართული მსაზღვრელის ფორმა სახელობითში შეიძლება ი-ნით იყოს წარმოდგენილი (ტყის-ი, ხის-ი), დასტურდება კითხვითი -ა, და -შ ნაწილაკები (გააკეთებ-ა? მოვა-მე?), თავისებურებანი შეიჩნევა II პირის სუბიექტისა და III პირის ობიექტის ნიშანთა ხმარებაში და ა. შ.

თუმარის ლექსიკის ნიმუშებია: არქმა (ხელზე აყვანა, აღქმა; ითქმის მხოლოდ ცო-

ცხალი არსების აყვანაზე), ბიჭონი (დახალული ქერი ან სიმინდი ქერთან ერთად, რომელსაც შემდეგ ფქვავენ), გაგუება (გაჩუმება, გაყუჩება), დათელება (მივარდნა, ხელის ტაცება), ერთკვადი (ერთმანეთი, ერთიმეორე), კართი (ფესვი) და ა. შ.

არსებობს ნიშნები, რომლებიც ენობრივი თვალსაზრისით ახასიათებენ ზეპირმეტყველებით ენას და იმავდროულად განასხვავებენ მას სალიტერატურო ენისაგან. თუმცა ამ ნიშნებს აგრეთვე პირობითი, შეფარდებითი ღირებულება აქვთ.

ზეპირმეტყველებით ენა — საერთო-სახალხო ენაა, რომელსაც ახასიათებს წინადადებათა მარტივი კონსტრუქციები¹, საკავშირებელ საშუალებათა შედარებით მარტივი სისტემა და იშვიათი გამოყენება, შემასმენელთა ხშირი ხმარება, სხვადასხვა სახის განსაზღვრებათა ნაკლებობა, ფონეტიკურ და გრამატიკულ სისტემაში ცვლილებებისაკენ მიდრეკილება, დიალექტური ლექსიკის მქონებლობა, ტერმინოლოგიის უქონლობა.

აქ დამოწმებული ნიშნები დიალექტურ თავისებურებებს — მათი კერძო გამოხატულებით — გამორიცხავენ, ეს ნიშნები დამახასიათებელია ზეპირმეტყველებით ენისათვის საერთოდ და, ამდენად, — თითოეული დიალექტისათვისაც ცალ-ცალკე.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სალიტერატურო ენისა და ზეპირმეტყველებით ენის ცნებათა დამახასიათებელ ნიშნებს პირობითი და შეფარდებითი ღირებულება აქვთ. როგორ უნდა გვესმოდეს ეს

დებულება? ყველა ნიშანი, რომლებსაც სალიტერატურო ენის ცნების განსაზღვრისათვის გამოუყოფთ, არ არის მარტივი. ლოც სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ნიშანი (წინადადებათა რთული კონსტრუქციები, მაგალითად, შეიძლება შეგვხვდეს ზეპირმეტყველებით ენაშიც) და არც ზეპირმეტყველებით ენის ყველა ნიშანია მხოლოდ ზეპირმეტყველებისათვის ნიშანდობლივი (წინადადებათა მარტივი კონსტრუქციები, მაგალითად, ვვაქვს სალიტერატურო ენაშიც). ეს გარემოება აძლევს ნიშნებს პირობითსა და შეფარდებით ღირებულებას. მიზეზიც გასაგებია: როგორც სალიტერატურო, ასევე ზეპირმეტყველებით ენას საერთო-სახალხო ენა აქვს საფუძვლად და ამიტომ, ცხადია, ისინი ჩინური კედლით არ არიან ერთმანეთისაგან გათიშულნი. თუ რომელიმე ცალკეულ ნიშანს სალიტერატურო ენის ცნების დამახასიათებელ ნიშნად მივიჩნევთ, ვემყარებით იმას, რომ ეს ნიშანი სალიტერატურო ენისათვის არის დამახასიათებელი საერთოდ, უფრო გავრცელებულია, ხშირად იხმარება და მას გაცილებით უფრო გამოკვეთილი ხასიათი აქვს, ვიდრე ზეპირმეტყველებით ენაში; იგივე ითქმის ზეპირმეტყველებით ენის თითოეულ ნიშანზე.

მაგრამ ცნებათა განსაზღვრისათვის ერთი ნიშანი კი არ არის გამოყოფილი, არამედ ნიშანთა ერთობლიობა. ამ ერთობლივი ნიშნების ფონზე კი სალიტერატურო ენისა და ზეპირმეტყველებით ენის ცნებებს უფრო მკვიდრი და სანდო საზღვრები ეძებნებათ, ვიდრე მათთვის დამახასიათებელ თითოეულ ნიშანს ცალ-ცალკე. საერთოდ კი საჭიროა შევნიშნოთ: არც ცნება და არც ნიშანი ამ შემთხვევაში არ შეიძლება გვესმოდეს როგორც ტერმინები მათი წმინდა ლოგიკური გაგებით.

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართულ ენას დასაბამი, უძველესი დამწერლობითი ძეგლების ჩვენების მიხედ-

¹ ზეპირმეტყველებაში რთული წინადადებებიც „მარტივია“ იმ აზრით, რომ თანწყობილი წინადადება, როგორც წესი, ორი მარტივისაგან შედგება, ხოლო ქვეწყობილი წინადადება — ერთი მთავარი და ერთი დამოკიდებული წინადადებისაგან. თითოეული მთავანი სიტყვათა შინამალურ რაოდენობას შეიცავს, ზერთულ წინადადებებს ზეპირმეტყველებით ენა, საერთოდ, თავს არიდებს.

ვით, V საუკუნეში აქვს. ძველი სალიტერატურო ქართული ენა მოიცავს პერიოდს V საუკუნიდან XII საუკუნემდე (თუმცა ზოგი ძველის მიხედვით ენობრივი სიახლეები XI საუკუნეშიც გვაქვს).

ახასიათებს თუ არა ძველ სალიტერატურო ქართულს იგივე ნიშან-თვისებები, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის არის ნიშანდობლივი?

ძველი სალიტერატურო ქართული ენაც, უპირველეს ყოვლისა, იგივე საერთო-სახალხო ენაა. სწორედ ძველ სალიტერატურო ქართულში ჰპოვებს ასახვას ის საერთო-სახალხო ენა, რომელიც დამწერლობამდე პერიოდში მხოლოდ ზეპირმეტყველებითი ენის სახით არსებობდა, ხოლო მისი კონკრეტული გამოხატულება იყო ის დიალექტი, საფუძვლად რომ დაედო ძველ სალიტერატურო ენას. ამჟამად ძნელია მსჯელობა იმდროინდელი დიალექტების შესახებ, რადგან არც დიალექტის დღევანდელი გაგება შეიძლება მივუსადაგოთ შორეული ისტორიული წარსულის ენობრივ ვითარებას და დიალექტების დღევანდელი კლასიფიკაციაც გამოუსადეგარია ამ მიზნისათვის. ერთია მხოლოდ უეჭველი: ძველი სალიტერატურო ქართულის საფუძველი ოდესღაც ცოცხალი ზეპირმეტყველებითი ენა უნდა იყოს.

თუ ძველ სალიტერატურო ქართულს დასაბამი V საუკუნეში აქვს, მაშინ განცვიფრებას იწვევს მისი გამომხატველობითი შესაძლებლობანი, მისი ჩამოყალიბებულობა, მწყობრი და სისტემური ხასიათი. V—XI საუკუნეების ძეგლების ენა არსებითად ერთიანია და იმდენად ერთიანი, რომ ამა თუ იმ ტექსტის გამოცემელს უძნელდება აჩვენოს ის ფონეტიკურ-გრამატიკული თუ ლექსიკური თავისებურებანი, რომლებიც, კერძოდ, ამ ძეგლისათვის იქნებოდა დამახასიათებელი. სტაბილურია ძველი ქართულის ფონემატური სტრუქტურა და ახალ ქართულთან მას ბევრი რამ აერთიანებს. ძველი ქართულის ფონეტიკურ-გრამატიკული მოვლენების ანალიზისას ჩვეუ-

ლებრივ ყურადღება მახვილდება ხოლო ცვლილებებზე, რაკი საკითხები ისტორიული თვალსაზრისით განიხილება. იტომ ძველ ქართულში მოქმედი ფონეტიკურ-გრამატიკული სისტემა, რომლის ფონზე ხდება ცვლილებები, ერთგვარად მხედველობის ვარეშე რჩება, იჩრდილება.

თუ ძველი ქართულის ფონეტიკურ პროცესებს შევადგასებთ იმ მაგალითების მიხედვით, რომლებიც წმინდა ფონეტიკური ანალიზისათვის მრავლად შეიძლება დავიმოწმოთ, ალბათ, შეგვექმნება საწინააღმდეგო აზრი: ძველ ქართულს მკვიდრი ფონემატური სტრუქტურა არა აქვსო, მაგრამ ეს მოსაზრება მოჩვენებითი აღმოჩნდება, თუ მთელ ამ საილუსტრაციო მასალას ძველი სალიტერატურო ქართულის სისტემის ფონზე განვიხილავთ. დამოწმებულ მასალაში ზოგი ფონეტიკური ცვლილება, თუ მას ოდესმე ჰქონია ადგილი, V საუკუნისათვის უკვე განვლილი ეტაპია (გვირგვინი, მარგალიტი, უთხართ ჩუენ... ძველ ქართულში ეს სიტყვები მხოლოდ ამ სახით დასტურდება), ზოგი ცვლილება XI საუკუნის მომდევნო პერიოდში განიცადეს სიტყვებმა (წრედა—წრეტა, მოწყუედა—მოწყუეტს...), ხშირად ფონეტიკური ცვლილებები ინდივიდუალური ხასიათისაა, გადამწერთა კალმის შეცდომის შედეგია (საყუდელი—საყუტელი, ხშირი—ყშირი, დაიბანე—დააბანე...). რა თქმა უნდა, არც ერთი აქ დამოწმებული და სხვა მსგავსი მაგალითები ფონემატური სტრუქტურის მკვიდრი ხასიათის საწინააღმდეგო მაგალითები ვერ იქნება. ძველი ქართულის ფონემატური სტრუქტურა მყარია, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი ენის ფონემატური სტრუქტურა შეიძლება იყოს მყარი. ეს ნიშნავს: ცალკეული ფონეტიკური სახეცვლილებანი, რომელთაც ნამდვილად პროცესების სახე აქვთ, თითქმის არაფერს ცვლიან საერთო სისტემაში.

ძველი სალიტერატურო ქართულის ფარგლებში ასევე მყარია ენის გრამა-

ტიკული სისტემა. სახელთა ბრუნების თვალსაზრისით ძველი ქართული ენა „ერთგვარ მთლიანობას წარმოადგენს, რომელსაც ასე თუ ისე ერთნაირი სიმტკიცე და ერთი ძირითადი წესი ახასიათებს. ამ ნორმას მიჰყვება ბრუნების მთელი სისტემა“ (ივ. იმნაიშვილი). სისტემის ხასიათი აქვს ასევე ზმნათა ფორმაცვალეობას, სიტყვათწარმოებას, სიტყვათშეხამებას... გრამატიკული წესების ჩამოთვლა და საილუსტრაციო მასალის დამოწმება შორს წაგვიყვანდა. ზემოთქმულს ერთი დანიშნულება აქვს: ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ ძველი სალიტერატურო ქართულის ფონემატურ-გრამატიკული სტრუქტურა ჩამოყალიბებული ნორმების სისტემას წარმოადგენს.

V—XI საუკუნეების სალიტერატურო ენაში გვაქვს არა მხოლოდ ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები (ნათესაობის, შრომითი პროცესების, ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი...), არამედ საერთოდ მდიდარი ლექსიკა, რომელიც გრამატიკულ სისტემასთან ერთიანობაში საშუალებას იძლევა სრულყოფილად გადმოიცეს ყოველნაირი აზრი, მხატვრული იქნება ის, ისტორიული, იურიდიული თუ სხვა ხასიათისა. მეორე, და რაც მთავარია, ძველ სალიტერატურო ქართულს აქვს ყველა ის ნიშანი, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულს ახასიათებს: ტერმინოლოგია, წინადადებათა რთული კონსტრუქციები, საკავშირებელ საშუალებათა ფართო გამოყენება და განვითარებული სისტემა, შემასმენელთა ნაკლებობა, განსაზღვრებათა სიუხვი, ფონეტიკურ და გრამატიკულ სისტემაში ნორმების შინაგანი კონტროლი, მხატვრული სახეების დახვეწილობა.

როგორც განმსაზღვრელი, ასევე სხვა ნიშნების მიხედვით, ძველი სალიტერატურო ენისა და ახალი სალიტერატურო ენის ცნებები ერთმანეთს ფარავენ. ეს დამთხვევა გულისხმობს მხოლოდ იმ ნიშანთა იგივეობას, რომელთა მიხედვით ძველიც და თანამედროვე ქართულიც

სალიტერატურო ენებს წარმოადგენს. აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ არის მიღებული ის კერძო ლექსიკური და ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი, რომლებიც ძველ სალიტერატურო ქართულს ახალი სალიტერატურო ქართულისაგან განასხვავებენ (ეს სხვა საკითხია).

ზემოხსენებულ ნიშანთა შეხვედრა კი გვიჩვენებს, რომ V საუკუნისათვის ქართული სალიტერატურო ენა უკვე ჩამოყალიბებულია და დახვეწილი; რომ უკვე ამ დროისათვის მას ხანგრძლივი ისტორიული ტრადიციები უჩანს და ისეთი ნიშანთვისებებს ავლენს, რომლებიც ყოველმხრივ განვითარებული სალიტერატურო ენისათვის არის დამახასიათებელი საერთოდ.

აზრი იმის შესახებ, რომ დამწერლობა (სალიტერატურო ენა) V საუკუნეზე გაცილებით ადრე უნდა არსებულებოდა, ახალი არ არის. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც საგანგებოდ სწავლობდა ქართულ დამწერლობას და მისი წარმოშობის საკითხებს, წერდა: „ჯერხანად ცნობილი VI საუკ. ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7—8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი... ქართული დამწერლობა და ანბანი... ძველი, წარმართობის დროინდელი ჩანს. და მომავალში ცნობილზე გაცილებით უფრო უწინარესი ხანის ძეგლების აღმოჩენაა მოსალოდნელი“.

მეორე მხრივ, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა შორის გავრცელებულია აზრი: იმდენად მაღალ ლიტერატურულ-პროფესიულ დონეზე დაწერილი იაკობ ხუცესის ისტორიულ-ბელეტრისტული ხასიათის ნაწარმოები (და ქრონოლოგიურად მისი მომდევნო ზოგი სხვა თხზულება), რომ ძნელი სა-

ფიქრებელია „მუშანის მარტვილობა“
ძველი ქართული ლიტერატურის პირვე-
ლი ძეგლი იყოსო. ამას თუ დავუმატებთ
სხვადასხვა ისტორიულ ცნობას V საუ-
კუნეზე ადრინდელი ქართული დამწერ-
ლობის (მწერლობის) არსებობის შესა-
ხებე, ცხადი გახდება, რომ ზემოხსენებუ-
ლი ვარაუდი არ არის საფუძველმოკლე-
ბული.

მესამეც: თუ სალიტერატურო ქარ-
თულ ენას V საუკუნისათვის აქვს ყველა
ის ნიშანი, რომლებიც შეიძლება ჰქონ-
დეს ყოველმხრივ განვითარებულ ენას
ამჟამადაც კი, თავისთავად გამომდინა-
რებს დასკვნა: ამ დროისათვის სალი-
ტერატურო ენას განვითარების ხანგრძ-
ლივი გზა უკვე გამოუვლია, ჩამოყალი-
ბებულა და დახვეწილა, დამწერლობაც
და ლიტერატურაც გაცილებით ადრინ-
დელ ეპოქაში შექმნილა, ვიდრე ეს ჩვე-
ნამდგ მოღწეული ძეგლების მიხედვით
დასტურდება.

სალიტერატურო ენის ჩვენება ამ მო-
საზრების განმამტკიცებელი მესამე ნა-
ბუთია.

●
სალიტერატურო ენაც და ზეპირმეტყ-
ველებითი ენაც საერთო-სახალხო ენის
ორი სახეობაა. თითოეული მათგანისათ-
ვის თვალყურის დევნება შესაძლებელია
ახლა. მაგრამ როგორი იყო ზეპირმეტყ-
ველებითი ენა V—XI საუკუნეებში, ე. ი.
იმ პერიოდში, როცა ამ ზეპირმეტყვე-
ლებითი ენის გვერდით არსებობდა ძვე-
ლი სალიტერატურო ქართული ენა? მე-
ტყველებდა თუ არა ქართველი V—XI
საუკუნეებში იმ ენით, რომელსაც ჩვენ
ძველ სალიტერატურო ქართულს ვუწო-
დებთ? ამისი დანახვის უშუალო შესაძ-
ლებლობა, როგორც ჩანს, უკანმოუხრუ-
ნებლად დავკარგეთ, თუმცა ძველი ქარ-
თული ზეპირმეტყველებითი ენის ზოგა-
დი სახით წარმოდგენა მაინც შეუძლებე-
ლი არ უნდა იყოს.

ამ ზეპირმეტყველებითი ენის ზოგადი
„რეკონსტრუქცია“ ერთგვარი პროექცი-
ების მეშვეობით შეიძლება მოხერხდეს:

ერთი მხრივ, თანამედროვე ზეპირმეტყ-
ველებითი ენის ნიშანთვისებათა და, მე-
ორე მხრივ, ძველი სალიტერატურო ქართუ-
ლთულის მონაცემების გათვალისწინე-
ბით.

იგულისხმება, რომ სადავოდ არ შეიძ-
ლება გავხადოთ საკითხი: ზეპირმეტყვე-
ლებითი ენის ნიშან-თვისებები, რომლე-
ბიც მას ამჟამად აქვს, მოქმედებდა ძველ
(V—XI ს. ს.) ქართულშიც. ეს ნიშნავს:
ძველ ზეპირმეტყველებით ენას (მით უმ-
ეტეს) ახასიათებდა წინადადებათა მარ-
ტივი კონსტრუქციები, საკავშირებელ
საშუალებათა შედარებით იშვიათი გა-
მოყენება, შემასმენელთა ხშირი ხმარე-
ბა, განსაზღვრებათა სიუხვე, ფონეტი-
კურ და გრამატიკულ სისტემაში ცვლი-
ლებისაკენ მიდრეკილება, ტერმინოლო-
გიის უქონლობა და დიალექტური ლექ-
სიკის მქონებლობა. ამას გარდა, ძველ
ზეპირმეტყველებით ენას, ცხადია, ჰქონ-
და იგივე ძირითადი ლექსიკური ფონდი
და არსებითად ისეთივე გრამატიკული
წყობა, ძველ სალიტერატურო ქართულ-
ში რომ გვაქვს დაცული.

ზეპირმეტყველებითი ენის კვალი ძვე-
ლი სალიტერატურო ენის ძეგლებში შე-
იძლება ვძებნოთ, თუმცა საჭიროა გავი-
თვალისწინოთ შემდეგი: ძველმა სალი-
ტერატურო ქართულმა ჩვენამდე ძირი-
თადად საეკლესიო მწერლობის ძეგლე-
ბით მოაღწია (ნათარგმნი იყო ის თუ ორ-
იგინალური). ეს მწერლობა უანობრი-
ვად მრავალფეროვანია და არც ძეგლე-
ბით არის ღარიბი, მაგრამ ძეგლების ენა,
მწერლობის ხასიათისა და მიზნების შე-
საბამისად, სტილიზებულია; ბევრი რამ
მასში ტრადიციულად არის დამკვიდრე-
ბული და უკვე V საუკუნისათვის მთლი-
ანად ენის ბუნებრივი განვითარების იმ-
დროინდელ დონეს არ შეიძლება ასახა-
დეს; ზოგი რამ მთარგმნელობითი საქმი-
ანობის შედეგად არის შემოჭრილი ენა-
ში...

ზეპირმეტყველებითი ენა არ შეიძლე-
ბა ზუსტად იმ სახისა ყოფილიყო, რაწა-
ირი შთაბეჭდილებაც გვექმნება სასული-
ერო ლიტერატურის ძეგლების გაცნობის

შედევალ საერთოდ. ზეპირმეტყველებითი ენა, რომელსაც ყოველდღიური ურთიერთობისათვის მიმართავდა ძველი ქართველი, გაცილებით უბრალო უნდა ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით ძველ სალიტერატურო ენასა და ზეპირმეტყველებას შორის მეტი სხვაობა უნდა ვივარაუდოთ, ვიდრე ეს დღევანდელ სალიტერატურო ქართულსა და ზეპირმეტყველებას შორის ვლინდება, რადგან სალიტერატურო ენის ზეპირმეტყველებაზე იმგვარი უკუგავლენა, როგორც დღეს შეინიშნება, იმ დროისათვის თითქმის გამორიცხულია.

ძველ ქართულ ტექსტში ზეპირმეტყველებითი ენის ნიმუშები დიალოგების სახით გვაქვს შემონახული, თუმცა ისინი ზოგჯერ თხზულებათა ავტორების ენაშიც იჩენენ თავს:

„და შენ, ჯოჯიკ, არღარა ჩემი მახლი ხარ; და არცაღა მე შენი ძმის ცოლი, არცა ცოლი შენი დაჲ ჩემი არს. სახლაკი ერთი მცირეჲ პოვა მახლობლად ეკლესიისა და შევიდა მუნ შინა სიმწარითა საეცს, მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა“... („შუშანიკის წამება“).

„შვილო, ნუ განიწირავ თავსა შენსა, ნუცა სიჭაბუკესა შენსას განჰვაჭრი (ჰყიდი, ასალეგ) ქრისტიანედ და ნუცა ძმათა და ნათესავთა შენთა განეშორები, რაჲთა არა შეიმთხვო ძკრი თავსა შენსა...“ („ჰაბოს წამება“).

ატენის წარწერა ასე გადმოგვცემს 853 წლის ამბებს (ვიმოწმებთ ფრაგმენტს): „ქალაქი ტფილისი დაწოდა ბუღა და შეიპყრა ამირა საჰაკ და მოკლა. და მასვე თთუესა აგუსტოსსა... დღესა შაბათსავენ, ზირაქ შეიპყრა კახაჲ და ძქ მისი თარკუჯი“.

„კაცი ვინმე იყო სოფელსა მას... რომელსა სახელი ერქუა იობ. და იყო კაცი იგი ჭეშმარიტ უბიწო, მართალ, ღმრთის მსახურ, განყენებულ და განშორებულ ყოვლისა საქმისაგან ბოროტისა“ (იობის წიგნი).

ხდება ხოლმე, რომ მთლიანად ძველი კლასიკური ქართულით დაწერილ წიგ-

ნებს გადაწერები ურთავენ ანდერძა რომლის ენა ხშირად განსხვავებულია ტექსტის ენისაგან:

„დაიწერა... დიდებულსა ლაგრასა შინა ოპიზას. დედა (=დედანი) გიორგი მთაწმინდელისა მქონდა. მაგრამ ეზომ წვრილად ნაწერი იყო, რომელ კაცისა თავისა თმასა გვანდა და მეც კაც ვიყავ მოდღევნებული“ (1093 წ.).

„...ვიყავ მეცა, ვითარ აწ თქვენ ხართ, და იქმნეთ თქვენცა, ვითარ ესე აწ მე ვარ: რამეთუ ჰელი ესე უღირსი, რომელი ამას სწერდა, მატლთა შეუქამია და მიწასა აღრეულ არს...“ (1089—1091 წლები).

მაგალითები შეიძლება ვამრავლოთ, მაგრამ დამოწმებული მასალის მიხედვითაც ჩანს, რომ V—XI საუკუნეების ზეპირმეტყველებითი ენა მარტივი უნდა ყოფილიყო სალიტერატუროსთან შედარებით. თანაც ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ მასალაშიც არ შეიძლება გვქონდეს ზუსტი ასლი ზეპირმეტყველებითი ენისა, რადგან იგი ერთგვარად სტილიზებული ჩანს და V—XI საუკუნეების სალიტერატურო ენის ნორმებს დამორჩილებული.

თუ რა ძლიერია სალიტერატურო ენის ტრადიციები, ეს გიორგი მთაწმინდელის ენის მიხედვითაც შეიძლება დავინახოთ. გიორგი, „კლასიკური ქართულის ძეგლებზე აღზრდილი, ცდილობს ძველი სალიტერატურო ქართულის უკანასკნელი პერიოდის IX—X ს.ს. ნორმების მიხედვით წეროს, მაგრამ ვერ ახერხებს თავი დააღწიოს ცოცხალი ენის ძლიერ გავლენას. ეს გავლენა თავს იჩენს ყველგან: ფონეტიკურ საკითხებში, სახელთა ბრუნებასა და ზმნის უღლებაში, სინტაქსურ მოვლენებსა და სიტყვების შერჩევაში“ (ა. შანიძე).

როგორც ჩანს, „ენის“ არჩევანი ხშირად დამოკიდებული იყო თემატიკაზე. ცნობილია, მაგალითად, რომ სულხან-საბას ქადაგებათა ენა მკვეთრად განსხვავდება მისი სხვა პროზაული ნაწარმოებების ენისაგან:

„ვეცხლის-მოყვარება არს უბორო-

ტესი ყოვლისა ცოდვისა, ვინაჲთგან მოციქული პავლე ვეცხლის-მოყვარებასა კერპთმსახურებად სახელსდებს, რამეთუ ქრისტიანად ვგრეთთა არს...“

„ღვინობისთვის სხვა ეტნის მთა გამოჩნდა. შუა დიდი კვალი გამოდიოდა. ცეცხლი არა ჩნდა. ნახევრამდი ის მთა სულ დათოვლილი იყო. და იმას ქვეით ხეები, ხილნარი და დაბალზე შენობა იყო...“

სულხან-საბა ცდილობს ქადაგებები ძველი ქართულით წეროს, „საერო“ ნაწარმოებებში კი იმ ენას მიმართავს, საბას დროს სალაპარაკო ენას რომ წარმოადგენდა.

თუ ძველი სალიტერატურო ენის ნორმების ასეთი გავლენა თავს იჩენს XVIII საუკუნეში, და ისიც სულხან-საბას ენაში, ადვილი წარმოსადგენია, რომ V საუკუნის ზეპირმეტყველებითი ენა, რომელიც სალიტერატურო ენაში პოვებდა ასახვას, მით უმეტეს დაზღვეული ვერ იქნებოდა იმჟამად მოქმედი სალიტერატურო ენის ნორმებისაგან.

ძველი ზეპირმეტყველებითი ენის სიმარტივე გულისხმობს არა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნების მქონებლობას (წინადადებათა მარტივი კონსტრუქციები, შემასმენელთა სიჭარბე, განსაზღვრებათა ნაკლებობა...), არამედ ლექსიკასა და გრამატიკულ სისტემაში ზოგ ისეთ კერძო ნიშანთა მქონებლობასაც, რომლებიც ნიშანდობლივია უფრო მოგვიანო პერიოდის სალიტერატურო ენისათვის, მაგრამ უნდა გვეტონოდა მანამდე ძველ ზეპირმეტყველებით ენაში (ასეთი ფაქტების დაძებნა საკმაო რაოდენობით შეიძლება). ეს გარემოე-

ბა, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ V—XI საუკუნეების ზეპირმეტყველებითი ენა კიდევ უფრო მარტივი და უნდა ყოფილიყო, ვიდრე ამ მიზნით დამოწმებული ციტატების მიხედვით ჩანს და ძალიან ახლო უნდა მდგარიყო XII საუკუნის სალიტერატურო ენასთან.

მასასადამე, მიმართება ძველ სალიტერატურო ენასა და ზეპირმეტყველებას შორის ასეთი სახით წარმოგვიდგება:

V საუკუნეზე გაცილებით აღრინდელ პერიოდში რომელიღაც დიალექტი საფუძვლად დაედო სალიტერატურო ენას, რაკი სალიტერატურო ენა შეიქმნა, მან თავისი ნორმები თანდათანობით დახვეწა და სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი „შეუვალობით“ შემოიზღუდა თავი. ცოცხალი, ზეპირმეტყველებითი ენა კი განვითარების თავისი გზით მიდიოდა დახვეწილი, მდიდარი სალიტერატურო ენა საუკუნეების მანძილზე უპირისპირდებოდა ზეპირმეტყველებით ენას და შეუსაბამობაც საგრძნობი ხდებოდა. ქართული ენა არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: ან სალიტერატურო ენის გავლენის ქვეშ უნდა მოექცია ზეპირმეტყველებითი ენა, ან პირიქით, ზეპირმეტყველებითი ენის ახალი ნორმების მიხედვით გადაეხალისებია სალიტერატურო ენა. პირველი გზით სვლა მაშინ შეუძლებელი იყო. ენა მეორე გზას დაადგა და, როგორც კი ცოცხალ, ზეპირმეტყველებით ენას ამისი საშუალება მიეცა, იგი მძლავრ ნაკადად შემოიჭრა სალიტერატურო ენაში. ლიტერატურული წყაროების ჩვენებით ეს მოხდა XII საუკუნის დამდეგს.



შიღიპე ბერიძე

რითმა და რიფში ლირიკაში

ლირიკული ფორმა, ისევე როგორც მისი შინაარსი, უშუალოდ სულიერ სფეროსთანაა დაკავშირებული. რამდენადაც იგი ლირიკული სუბიექტის ემოციურ მდგომარეობას გამოხატავს და პირდაპირ გრძნობას ესიტყვება, ამდენად დახვეწისა და მუსიკალობისაკენ მიილტვის. ლირიკული ფორმის ყოველი კომპონენტი, თავისი შესაძლებლობის შესაბამისად, ამ თვისებით ხასიათდება.

რიტმის შემდეგ, რომელიც ლირიკას მუსიკასთან აახლოებს და სულიერი განწყობის შესატყვის სახეს აძლევს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია რითმა. ასეთი დიდი ფუნქციის მიუხედავად, რითმა მაინც არ მიგვაჩინა ლირიკის არსებით ნიშნად, რადგან იგი ისეთივე უფლებით სარგებლობს ბალადასა და პოემაში, როგორც ლირიკულ ლექსში, თან, რაც მთავარია, ურითმო ლირიკამაც სამართლიანად ჰპოვა აღიარება და არსებობის უფლება.

ლირიკული ასახვის სპეციფიკა, მისი ენარობრივი თავისებურება მხოლოდ ასახვის ბუნებაში ვლინდება.

არისტოტელე სწორედ ამიტომ ამბობდა: „ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან იმით როდი განირჩევიან, ლექ-

სით ლაპარაკობენ თუ პროზით, ჰეროდოტეს ნაწარმოები შეიძლებოდა გალექსილიყო და ის მაინც ლექსად გამოთქმული ისტორიული ნაწარმოები იქნებოდა — არა ნაკლები, ვიდრე პროზით დაწერილი. ისინი ურთიერთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველი ლაპარაკობს იმის შესახებ, რაც მოხდა, მეორე კი — თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო“.

რითმა ეხმარება ლირიკულ ლექსს ესთეტიკური გრძნობის გაღვივებაში, ავითარებს ჩვენს სმენას, კეთილშოვნებას ანიჭებს ლექსს და ხელს გვიწყობს მისი იდეის, მხატვრული ჩანაფიქრის შეგრძნებაში. მაგრამ ასევე სიამოვნებით ვკითხულობთ, მაგალითად, უიტმენის თეთრ ლექსებს.

უიტმენი, ერთი შეხედვით, თითქოს უარს ამბობს გარეგნულ გაფორმებაზე, ფორმალურ კანონზომიერებაზე. მისი ლექსის გარეგნულმა „პროზაულობამ“ და მოჩვენებითმა ნეგატიურმა ემოციებმა შეიძლება გული აჟცრუოს აფექტურ მკითხველს: უიტმენის პოეზია, მისეული მხატვრული მახვილი უნდა ვეძიოთ მხოლოდ და მხოლოდ ლექსის შინაგან სუნთქვაში, ე. ი. ლირიკული ასახვის ძირ-

თად პრინციპში და არა გარეგნულ სა-
შუალებებში. უიტმენის ლექსში ხილვა
და აზრი მღერის პოეტურ ენაზე. მისი
გრძნობა და გონება ყველაფერს, მნიშვნე-
ლოვან თუ უმნიშვნელო საგნებს და
მოვლენებს, ლირიკული თრთოლვით იტ-
აცებს. ლექსი საგნობრივად იტვირთება
და შინაგანი წნევა თავისთავად მოით-
ხოვს შესაბამის კალაპოტს; ირდევია
ტრადიციული კლასიკურ-პოეტური ფორ-
მა, უიტმენმა ამოისუნთქა და დინჯი
რიტმით, ნებისყოფას დამორჩილებული
ემოციებით, მახვილი პოეტური ხილვე-
ბით აღვსილი პირადი პოეტური სამყარო
შექმნა.

ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ უიტმენი
სრულიად არ იცავს გარეგნულ ყა-
ლიბს, გარეგნულ წესრიგს და ფორმის
აბსოლუტურ თავისუფლებას მისდევს.
მისთვის უცხოა როგორც ფლეგმა, ასევე
აღლევება, ნერვული რეაქცია. რა თქმა
უნდა, პოეტი შინაგანად დრტივინავს და
იწვის, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშ-
ნეთ, ნებისყოფას უმორჩილებს შინაგან
ქარიშხალს და ღრმა, გაშლილი ემოცია
პოეტის შინაგან სამყაროშივე ფორმდებ-
ბა. იგი მეტაფორული აზროვნების გა-
რეშე, სასაუბრო ტონით ქმნის განწყო-
ბილებას და ამ უბრალოებაში ავლენს
დახვეწილ მხატვრულ-არტისტულ მანერას,
აზრსა და გრძნობას რითმით არ
ზღუდავს. მისი ლექსის აზრიანი ემოცია
თუ ემოციური აზრი ურითმოდაც ენერ-
გიულად მოქმედებს ჩვენზე.

რამდენადაც ლირიკული ლექსი სუ-
ლიერი სამყაროს ვამოძახილია, რითმა კი
თავისთავად ესთეტიკური გრძნობის მე-
სიტყვე, ამდენად იგი ლირიკის ბუნებას
უფრო შეესაბამება, ვიდრე ზალადის თუ
პოემისა. რითმას მარტო ბგერითი, მუსი-
კალური შინაარსი და დანიშნულება
არა აქვს, იგი მჭიდროდაა დაკავშირებუ-
ლი მხატვრულ იდეასთან, ლირიკულ ში-
ნაარსთან. რაც უფრო ორგანული, ბუნე-
ბრივია მათ შორის კავშირი და რაც უფ-
რო აზრითაა გაპირობებული რითმა, მით
უფრო აქტიურად მოქმედებს იგი განწყ-

ობილების, გრძნობის გაძლიერების და
იდეის ემოციურად ასათვისებლად,
რტობში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჭარი ფიჭვით ბანაობს,
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,
ნანობს ქარი და მინანობს.

აქ არამც თუ ბოლო, არამედ შიდა რი-
თმების აუცილებლობასაც კი განწყობი-
ლება, ლირიკული შინაარსი აპირობებს;
რითმა შინაარსში გადადის და უშუა-
ლოდ მის სიტხადეს, ემოციურ შთამაგო-
ნებლობას უწყობს ხელს. სათუთი ემო-
ცია თავის შესაფერ გარეგნულ სილამა-
ზეს, მუსიკალურ ქღერას ითხოვს.

რითმის აუცილებლობას სხვა პირო-
ბებთან ერთად პოეტის მუსიკალური,
სმენითი ასოციაციების უნარიც განსაზ-
ღვრავს. ზოგიერთი ლირიკოსი მოვლენებს
და საგნებს ერთდროულად კიდევ
ხედავს და კიდევ უსმენს, ზოგს კი ერთ-
ერთ მათგანზე გადააქვს აქცენტი. მაგა-
ლითად, უიტმენისათვის მხედველობითი
ასოციაცია პრინციპია. სისტემაა, რაც არ
გამორჩეხავს თავის შესაბამის მუსიკა-
ლობას და დინამიკას.

რითმის ინტონაციური, მუსიკალური
და აზრობრივი მნიშვნელობა თავისთა-
ვად მიუთითებს მის მაორგანიზებელ
როლზე. იგი ხელს უწყობს დეტალების
ორგანულ მხატვრულ კავშირს, გრძნო-
ბის ექსპრესიულ განვითარებას და იდე-
ურ-ემოციური ცენტრის ცხადყოფას.
ამიტომ ამბობდა პუშკინი:

О чем, прозаик, ты хлопочешь?
Давай мне мысль, какую хочешь—
Ее с конца я завострю,
летучей рифмой оперю...

მართალია, რითმა რიტმულ სისტემას
გამოეყო და დამოუკიდებელი მნიშვნე-
ლობა მოიპოვა, მაგრამ, მეორე მხრივ,
იგი რიტმთან ერთად აწესრიგებს ლექსის
მუსიკალობას. თუმცა ისიც უნდა შევ-
ნიშნოთ, რომ ამ საქმეში აქტიურ როლს
რიტმი თამაშობს, რადგან რითმა უფრო
საგნობრივი, კონკრეტული ელემენტია,
რიტმი კი აბსტრაქტულია და პირდაპირი
კავშირი აქვს სმენასთან.

რითმის მნიშვნელობას ლირიკული

შინაარსის ცხადსაყოფად, ემოციის გამ-
ლიერებისა და ლექსის მუსიკალური
ორგანიზაციისათვის ხაზგასმით აღნიშ-
ნავს ჰეგელი. რითმის მეშვეობით ლირი-
კული ლექსის ფრაზა ხშირად მუსიკა-
ლური მნიშვნელობით უფრო გვესმის,
ვიდრე თავისი შინაარსით.

ლირიკული ლექსისათვის რითმის ორ-
განულ ნაწილად გადაქცევის უპირვე-
ლესი პირობაა ის, რომ იგი აზრით, იდე-
ით იყოს შთაგონებული; მხოლოდ ამ შე-
მთხვევაში ხდება რითმა ბუნებრივი, უშ-
უალო, მხოლოდ მაშინაა იგი ჰარმონიულ
ურთიერთობაში ლირიკულ შინაარსთან.
ბელისკი წერს: «Рыфма смысла».

მხატვრულ აზრთან, ლირიკულ შინა-
არსთან კავშირს რითმა აღწევს არა ფორ-
მის სხვა ელემენტებისაგან განცალკე-
ვებით, არამედ მათთან ერთობლიობით.
რითმა განსაკუთრებულ სიახლოვეს ამე-
ლავნებს პოეტური ფორმის თავისებურე-
ბის განმსაზღვრელ კომპონენტთან —
რიტმთან. რიტმი ერთადერთი ძირითადი
ელემენტია, რომელიც პოეტური ფორ-
მის ზოგად კანონზომიერებაზე მიუთით-
ებს. პროფ. მამია დუღუჩავა წიგნში —
„ხელოვნების მარადიულობის პრობლე-
მა“ — წერს: „ამიტომ (რიტმის ზოგადი
კანონზომიერების გამო. ფ. ბ.), რომ, მა-
გალითად, რიტმის გარეშე არ შეიძლება
არსებობდეს ლექსი. მას, როგორც ლექ-
სის აუცილებელ სპეციფიკურ პირობას,
ერთნაირად ვხვდებით რუსთაველისა და
ბარათაშვილის, პუშკინისა და მაიაკოვს-
კის, გრ. ორბელიანისა და აკაკის შემოქ-
მელებაში. ამასთან ყველა შემთხვევაში
რიტმი წარმოადგენს, როგორც „პოე-
ტური მითყვევების“ უშუალო საფუძ-
ველი. ერთი სიტყვით, რიტმის ზოგადი
კანონზომიერება დასახელებულ პოეტთა
ყოველ ნაწარმოებში, საერთოდ ყოველ
პოეტურ ქმნილებაშია მოცემული“.

მუსიკასა და ლირიკაში რიტმი უშუა-
ლოდ სმენას ეხმაურება. არქიტექტურა-
ში, ფერწერასა და სკულპტურაში კი
მხედველობის საგანია. რიტმის ფუნქ-
ციაა იოლად შესაგრძნობი გახადოს მხატ-
ვრული სახე და გააძლიეროს მისი ემო-

ციური ზემოქმედების უნარი. დინამიკა,
რიტმი გრძნობის, ემოციის მოძრაობისა
და განვითარების უშუალო გამომწვეველი
და მომწესრიგებელი საშუალებაა.

ისე როგორც რითმა, რიტმიც ლირი-
კული შინაარსის შინაგანი და გარეგანი
ხელშემწყობი ფაქტორია და ამავე დროს
ფორმის ყველა ელემენტზე უფრო ამე-
ლავნებს შინაარსთან შერწყმის უნარს.
როდესაც ბლოკი ამბობდა, ამ ფაქტებს.
ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავე-
ბულთ, ჩემთვის ერთი მუსიკალური აზ-
რი აქვთო, გულისხმობდა მათ მხატვრულ
კავშირს, რიტმულ-მუსიკალურ ერთიან-
ობას. შინაარსობრივი ფაქტორის ვარ-
და, ამ ურთიერთობას გარეგნული კონ-
ტაქტიც ქმნიდა. ეს ფაქტები ბლოკს წარ-
მოდგენილი ჰქონდა ერთიან დინამიკაში,
ერთიან მოძრაობასა და რიტმში. მუსი-
კის ხმა სწორედ ამ დინამიკამ და მოძრა-
ობამ შთააგონა.

რიტმი მთელი თავისი შინაარსითა და
ფორმით მუსიკაში ვლინდება. აქ იგი
აწესრიგებს ბგერების თანაბარზომიერე-
ბას და უზრუნველყოფს ცალკეული მუ-
სიკალური ელემენტების ერთიანობას.

ფეტი რიტმისა და, საერთოდ, ფორმის
გარეგანი ელემენტების შინაარსთან შე-
საბამისობას და განუყრელ კავშირს გუ-
ლისხმობდა, როცა ამბობდა:

«Я не против причудливых разме-
ров, но нужно, чтобы они были приве-
дены причудливым чувством».

რიტმი ლირიკაში გვესმის (სმენითი
ელემენტია), ფერწერასა თუ არქიტექ-
ტურაში კი ვხედავთ და უძრაობაში
ვგრძნობთ, ამიტომ ლირიკისათვის უფ-
რო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი კო-
მპონენტია, ვიდრე ფერწერისათვის. იგი
ლირიკაში დასრულებულ (გრძნობას-
თან, ემოციასთან ერთად) სახეს იძენს.
მრავალმხრივ განვითარებას აღწევს და
ლირიკულ შინაარსსაც უფრო ასრულებს
და აცხადებს, ვიდრე ფერწერის, არქი-
ტექტურის თუ ქანდაკების მხატვრულ
ჩანაფიქრს. გამოჩენილი ფრანგი რეჟი-
სორი რენე კლერი ლირიკული გრძნობის
მოძრაობას, განვითარებას და ამ განვი-
თარებაში მხატვრული იდეის სრულყო-

ფას გულისხმობდა, როცა ლირიკულ რიტმს, პოეტურ დინამიკას კინოსათვის დამახასიათებელ მოძრაობას ადარებდა.

რიტმისაკენ მიდრეკილებას ხელოვნების ყველა დარგი ამკლავნებს, მაგრამ ყველა სხვადასხვანაირი ფორმითა და შინაარსით. მაგალითად, პროზის რიტმი არაორგანიზებული, ფრაგმენტული და მექანიკური ხასიათისაა. რიტმი მისთვის არ არის სისტემა, პრინციპი, ლირიკისათვის კი ძირითადი, გადამწყვეტი ფაქტორია და მისი უანრობრივი თავისებურების ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს. თუ გამოვალთ თვით ტერმინიდან — რიტმი, რაც დინებას და თანაბარზომიერებას ნიშნავს, ნათლად დაეინახავთ, რომ მისი ბუნება და ხასიათი უშუალოდ ადამიანის სულიერ სამყაროსთან, მის გრძობასთანაა დაკავშირებული. ჰეგელმა ლირიკას ხომ გრძობის, სულის ღვრა, გულითადის გულითადობა უწოდა.

ისე, როგორც ლირიკული ფორმის სხვა ელემენტებს, არც რიტმს აქვს დამოუკიდებელი ემოციური, ესთეტიკური ფუნქცია. მისი სახე და ბუნება ჩანს ფორმის სხვა კომპონენტებთან ერთობლიობაში და ამ ერთობლიობის შინაარსთან მიმართებაში.

რიტმი დინებაში, განმეორებაში, განუწყვეტელობაში სახიერდება და აღიქმება როგორც სმენით, ისე მხედველობით, რადგან სიმეტრიისა და ჰარმონიის დანახვაც შეიძლება და მოსმენაც.

ლირიკაში და, საერთოდ, ხელოვნებაში დიდი მნიშვნელობა აქვს არა ობიექტურ მხარეს, არამედ სუბიექტურ მხატვრულ სახეს, რაც უშუალოდაა დამოკიდებული შემოქმედზე, მისი მხატვრული წარმოსახვის უნარზე, ემოციის, განწყობილების ხასიათზე და საერთოდ, ფსიქოლოგიურ სამყაროზე.

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ჰხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?

(გალაკტიონ ტაბიძე)

ვიზრდები, როგორც
მომავალი შორიდან გემი.

(მ. მაკავარიანი)

რიტმის ძალა და მნიშვნელობა ლირიკულ შემთხვევაში ნათლად და დამაჯერებლად იგრძნობა. გრძნობა, ემოცია ძლიერ და ვითარდება, სიტყვები თითქოს „იკარგებიან“ და უშუალოდ მოძრაობას ეხედვით, ვგრძნობთ (სწორედ ამ გათვალსაზრისით უნდა იყოს მოძრაობის გამო გაავლო პარალელი რენე კლერმა ლირიკასა და კინოს შორის).

სად არის რიტმის სუბიექტური ხასიათი? მუხრან მაჭავარიანი თავისი გრძნობის მოძრაობის გამოსახატავად სხვა საგანს მიმართავს; თავის ზრდას (აქ ფიზიკური ცვლილებები, ფიზიკური სიმაღლე კი არ იგულისხმება, არამედ სულიერი, გონებრივი ძვრები) ადარებს გემის მოძრაობას; უფრო ზუსტად: პოეტის ზრდისა და განვითარების რიტმი ისე გვესახება, როგორც შორიდან მომავალი გემის მოძრაობა, მისი მოახლოება და თანდათანობითი ზრდა. ამოვიღოთ კონტექსტიდან ხიტყვა „შორიდან“. „ვიზრდები როგორც მომავალი... გემი“ — დინამიკა, ტემპი შენედა, მოძრაობა, განვითარება აღარ ჩანს. სიტყვა „შორიდან“ ერთსა და იმავე დროს მოძრაობას კიდევ აგრძელებს და კიდევ ასრულებს.

მუხრან მაჭავარიანი თავის სულიერ მოძრაობას სხვა საგნის მოძრაობით („მომავალი შორიდან გემი“) ხატავს; ესე იგი, პოეტის გრძნობა ერთგვარად გავრეხებულია და ორი მიმართულებით — თავის და სხვის მიმართ მოქმედებს. ამ ვაორებაში, გრძნობის შინაარსის გაშლამ, განწყობილების, ემოციური მდგომარეობის შესაბამისად, მშვიდი, დინჯი ხასიათის რიტმი განაპირობა.

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ჰხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?

გრძნობა, ემოცია სწრაფად, დამბულად ვითარდება და გვესმის მისი აღქვატური ნერვული, ჩქარი რიტმი, რაც, ერთი მხრივ, განცდის სიღრმემ, ხოლო მეორე მხრივ, მისმა ერთბაშისადაა, ერთსახეობამ განსაზღვრა; მაშასადამე, რიტმმა ორივე შემთხვევაში სუბიექტური, ლირი-

რიკული ინდივიდის განწყობილების, ემოციური მდგომარეობის შესაბამისი ხასიათი მიიღო და ესთეტიკური ფუნქცია ც სუბიექტთან მიმართებაში შეიძინა.

რიტმი თავის თავში აერთიანებს ორ კონტრასტულ ფაქტორს — მოძრაობას და უძრაობას (პაუზა, დუმილი, სიჩუმე) — თეზა და ანტითეზა; ამ მხრივაც ესტყევა იგი ლირიკის ბუნებას, რადგან მისი შინაგანი პრინციპი სწორედ საპირისპიროთა, წინააღმდეგობათა სინთეზია. პაუზა რიტმში გამაძლიერებელ, ექსპრესიულ საშუალებად ერთიანდება. გადასვლა უძრაობიდან მოძრაობაზე ამ უკანასკნელის ძალას და ზემოქმედების უნარს აძლიერებს. რიტმის აქცენტი მოძრაობაა, რაც ისე, როგორც ყოველი საგანი თუ მოვლენა, კონტრასტის ფონზე უფრო მკვეთრად და შთამაგონებლად ჩანს.

რიტმი ლირიკული ლექსის სუნთქვა და პულსია; იგი აწესრიგებს გრძნობის, ემოციის მოძრაობა-განვითარებას.

რიტმის ხასიათი ენის ბუნებაზეცაა დამოკიდებული. ენები, სხვა ნიშნების გარდა, ტემპერამენტის მხრივაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს ხასიათი კი უშუალო მიმართებაშია რიტმთან, როგორც მოძრაობის ფენომენთან. რიტმი სიტყვებს მოძრაობაში აერთიანებს, ქმნის ემოციურ წესრიგს და ხელს უწყობს ლირიკული ფორმისა და შინაარსის სინთეზს, ერთიანობას. ამდენად რიტმი აზრობრივ, იდეურ ფუნქციასაც ასრულებს, ე. ი. ლირიკული გრძნობის შინაგანი თანამგზავრი და გარეგანი გამოხატულებაა.

რიტმი, როგორც მხატვრული კანონი, მუსიკოსისათვის არსებობს. არისტოტელეს აზრით, რიტმს მუსიკისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც პოეტისათვის ემოციურ მდგომარეობას.

რიტმი პოეტურ შთაგონებასთან, მხატვრულ იდეასთან ერთად იბადება. იგი მხატვრულ ელფერს ლირიკულ კომპო-


ზიციაში იძენს და რითმასთან ერთად ქმნის ლირიკული ლექსის მუსიკალურ ინტონაციურ სახეს.

რიტმის, რიტმის, ინტონაციის და, საერთოდ, ფორმის ელემენტებს ლირიკულ ლექსში ერთმანეთთან განუყრელ კავშირში, ერთიანად შევიგარძობთ ისევე, როგორც ლირიკულ ფორმასა და შინაარსს. ფორმის რომელიმე ელემენტის წინ წამოწევა, როგორც მხატვრულ რეგისტრშიც არ უნდა იყოს იგი მოქცეული, აშკარა დისონანსს იწვევს და ლირიკული ლექსის მთლიანობის, ერთსახეობის პრინციპი ირღვევა. ბესიკმა „ტანო ტატანოში“ ლირიკული რიტმულ-მუსიკალური ელერადობა განუმეორებელ მხატვრულ დონეზე აიყვანა. ლექსი თავიდან ბოლომდე სიმღერით იკითხება, მაგრამ პოეტის სიყვარულის საგანი, მისი გრძნობა და ემოცია, იდეური ჩანადეიკრი ისე ორგანულადაა შერწყმული მუსიკასთან, რომ მუსიკა ლირიკული შინაარსის, საგნის გრძნობად — ემოციური ექვივალენტის გამოხატულებაა.

პუშკინის ფორმისა და შინაარსის ყველა ელემენტის მხატვრული შთაგონებით გაპირობება, მათი ერთობლივი მხატვრული სახე ჰქონდა მხედველობაში, როდესაც ამბობდა:

И мысли в голове волнуются
в отваге,
И рифмы легкие навстречу им
бегут,
И пальцы просятся к перу,
перо к бумаге,
Минута — и стихи свободно потекут.

ყოველივე ზემოთ თქმული იმას როდი ნიშნავს, რომ ლირიკულ ფორმას (მის ცალკეულ ელემენტებს) ობიექტურა მხარე არ ჰქონდეს. ლირიკოსი საგნებსა და მოვლენებში აღიქვამს ფორმას და სუბიექტურ ესთეტიკურ იერს აძლევს მას ანუ, როგორც ბელინსკი იტყოდა: „პოეტი ყველაფერში ხედავს ფორმებს, ფერებს და ყველაფერს აძლევს ფორმასა და ფერს“.



ბათუმი, გზები და ფიქრები თეატრზე

...ბათუმში წვიმს, კოკისპირულად წვიმს და ტალღების ხმა თეატრამდე აღწევს.

ქუჩაში არავის გამოესვლება, ისეთი თავსხმაა. და მაინც თეატრისაკენ მიდიან ადამიანები. ზოგჯერ ისინი ცოტანი არიან, მაგრამ თეატრის სცენაზე მაინც იმედოვანი განწყობილება სუფევს. იქ ყოველ ღამეს ხდება ტრაგედიები, შეყვარებულთა დრამები, კომედიური სცენები. ეს პატარა სამყაროა, სადაც არის სიხარული, შრომა, არის ღალატი და თავდადება.

შევდივარ თეატრში და მესმის ფარდის იღუმალის შრიალი. თეატრი ხშირად ეხვევა იღუმალების სამოსში, რომ უფრო საინტერესო გახადოს თავისი ცხოვრება. მაყურებელს იტაცებს იღუმალების წვდომის სურვილი, იმიტომ უბრუნდება თეატრს მეორედ, მესამედ... მეათედ.

ფარდას თავისი რომანტიკა აქვს. იგი თითქოს ტორედორივით ახელებს მაყურებლის ცნობისმოყვარეობას და აუდიტორიაც მოუთმენლად ელის, როდის აეხდება სპექტაკლის საიდუმლოებას ფარდა თბილისის თეატრებმა დაკარგეს ფარდის იღუმალება. შედისხართ დაბაზში და აღარ ელით ფარდის გახსნას. არც

დაფარული სინამდვილის ხილვის მოლოდინს განიცდით. იგი მაშინ მოკვდა, როცა ქუჩიდან პირდაპირ სცენას „შეეჯახეთ“. მერე იწყება სპექტაკლი და კარგა ხანს ფარულად ბორგავს სცენაცა და აუდიტორიაც, რათა ახალი სამყაროს სახილველად განეწყონ.

რაიონის თეატრები ჯერ ისევ „კონსერვატული“ სიჯიუტით იცავენ ფარდის რომანტიკას!

მაგრამ ფარდა რა არის, იმდენ სიკეთეს იცავენ და ინახავენ ისინი. მერედა, რა სიძნელის გადალახვა არ უხდებათ!

სხვა რომ არ იყოს, მარტო „გასვლითი სპექტაკლები“ რად ღირს! განსაკუთრებით ახალგაზრდებს უჭირთ. ისინი ოცნებობენ დიდ თეატრალურ ცხოვრებაზე, ოცნებობენ თავიანთ მომავალ გმირებზე, საყვარელ სახეებზე და უცებ... მოუმზადებელი შესვლა სპექტაკლში, სახელდახელოდ გამოსვლა სცენაზე, მომქანცველი გზები რაიონიდან რაიონში, სოფლიდან სოფელში!

...და აი, სოფლის კულტურის სახლი—სცენა შეუფერებელია, არ ბრუნავს წრე, არ არის სითბო, არც კულისებია მოწყობილი. ახალგაზრდა ღელავს, მერე თავს იმშვიდებს და რალაც რომანტიკულის

დანახვასაც კი ცდილობს მთელ ამ ქაოსში. გადის დრო და იწყება მეცხრე, ხშირად მეათე საათიც. ნელ-ნელა ივსება დარბაზი. სპექტაკლი მთავრდება ნაშუალამევს, ისმის პირველი მამლის ყვირილიც. და მსახიობი შინ ბრუნდება. დილით ისევ რეპეტიცია და ისევ გასვლითი სპექტაკლი.

თბილისის თეატრები გადაურჩნენ გავსვლითი წარმოდგენების სიუხვეს, რაიონები კი ჯიუტად „იცავენ ტრადიციას“. ისინი წელიწადში 400-მდე წარმოდგენას მართავენ...

მერედა, რა კარგი იქნებოდა გავსვლითი სპექტაკლები რომ ცოტა იყოს, მაშინ სხვა ხალისი ექნებოდა წარმოდგენასაც! ახალგაზრდა მსახიობისათვისაც უკეთესი პირობები იქნებოდა თეატრში.

მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც სულიერი ვაჟკაცობა ჰყოფნით და არ აშინებთ დროებითი სიძნელები. მათ ისიც იციან, რომ დიდ ხელოვნებას ქარიშხალი უფრო უხდება, ვიდრე „სარწყულის შხეფები“ (გ. ქიქოძე). ხომ ფაქტია, ბევრი ახალგაზრდა გამოიწროო თბილისის გარეთ, ბევრმა გვაგარძნობინა, რომ ნამდვილი ხელოვნება მარტო დიდ ქალაქში არ იქმნება.

ოღონდ ეს არის, სხვა გულისტკივილი მაინც აწუხებთ. ისინი ხშირად გვეკითხებიან თეატრმცოდნეებს, მწერლებს, პრესის მუშაკებს: რატომ არიან, რომ თბილისის თეატრების ყოველ სპექტაკლზე იწერება პრესაში (ასეც უნდა იყოს) და რაიონის თეატრისაზე კი არა (ასე არ უნდა იყოს). რატომ აღარ იბეჭდება თეატრის მთელი წლის ნაშრომის შემოჯამებული სტატიები? ნუთუ რესპუბლიკის ამდენ ჟურნალსა და გაზეთს თბილისის გარეთ არსებული ათი თეატრის ნამოდგეწარის საფუძვლიანი ანალიზი არ შეუძლია? ან ჩვენს ტელევიზიასა და რადიოს რატომ არ უყვართ წაახალისონ პერიფერიაში მომუშავე ხელოვანი? იქნებ სიმართლის (მწარე სიმართლისაც) თქმას დუმილი გვიჯობს? იქნებ ეს მხოლოდ ესთეტიკური კრიტიკის პოზაა და სხვა არაფერი? მერედა, რა ვუყოთ, თუ იქ

ყველაფერი რიგზე არ არის და ზოგიერთი სპექტაკლის ყურებაც კი ძნელია? „პირისუფალს განა შეშვენის, რომ ვაჭარის სისხლსა და ხორცს თვალი აარიდოს და ხელი აიღოს, მხოლოდ იმიტომ რომ სასიამოვნო სანახავი ვერ არის?“ (აკაკი) თბილისის თეატრებში კი ყველაფერი რიგზეა?

რთული და პატიოსანი შრომით ცხოვრობენ რაიონის თეატრები. ასე ცხოვრობს ბათუმის თეატრიც.

როგორც იალქნებს...

...სცენაზე ახალი დეკორაციებია, ახალი სპექტაკლის მიწა და ცა. კულისები კი სავსეა უღვთოდ დასახიჩრებული დეკორაციებით. ისინი ნაადრევად დაბერებულან და ახლა ჯანგატეხილნი ზეზეულად „თვლემენ“.

უადგილო ადგილას მოუათვისებიათ ძველი დეკორაციები. მხოლოდ ნაწილი შემოუნახავთ სცენის სიღრმეში. მათ სულში იმალება „სამუშის ძალა“. მოვადრო და ისევ აღსდგებიან, გახალისდებიან და მათ მკერდზეც გაინავარდებენ მსახიობები. ისევ შეხვდებიან ძველი მეგობრები, ისევ ამეტყველდებიან ხაზები, ფერები...

დეკორაცია სპექტაკლის ცოცხალი ნაწილია. მას ადამიანებევით უნდა მოვლა და გაფრთხილება. ისტორიას ზოგჯერ დეკორაცია ინახავს, ხშირად იმის მიხედვით ცოცხლდება ძველი შთაბეჭდილებაც.

მოუგვარებელია დეკორაციების შენახვის საქმე ჩვენს თეატრებში. ცოტაა საწყობები. ეს რაიონებში უფრო მეტად იგრძნობა.

ამის შესახებ გულისტკივილით ლაპარაკობდა ბათუმის თეატრის მთავარი რეჟისორი თეიმურაზ აბაშიძე. კულისებში ვიდევით და ვსინჯავდით ძველ დეკორაციებს. რაღაც საცოდავი სანახაობა იყო.

სცენაზე კი ახალი სპექტაკლი იბადებოდა. იყო ღელვა და დაძაბული ატმოსფერო. მსახიობები ცალ-ცალკე დადიოდნენ და წარმოდგენის მოლოდინში

თავიანთ რთლებთან განმარტოებას არ-
ჩევდნენ.

...ღარეკა ზარმა და უცებ ყველანი ისე
აფუსფუსდნენ, ისე ახმაურდნენ, თით-
ქოს საღმე მიემგზავრებინათ.

და მართლაც, „დეკორაციებს, რო-
გორც იალქნებს, მიჰყავთ ხომალდი უც-
ხო ქვეყანაში“ (ვ. გაფრინდაშვილი).

ვ. გაფრინდაშვილს თეატრი ხომალ-
დად წარმოედგინა, რეჟისორი — გემის
კაპიტნად, მსახიობები — მეზღვაურე-
ბად, მასურებლები კი მგზავრებად. პო-
ეტს დაავიწყდა ნაწარმოების ავტორი და
ის შეიძლება (რაკი პირობით პარალელ-
ზეა ლაპარაკი) ზღვას შევადაროთ. ზღვა-
სავით დიდი სტიქია უნდა მღელვარებ-
დეს სცენაზე, აზრისა და გრძნობის ჭი-
დილი უნდა იყოს, რომ საინტერესო გა-
ხდეს სპექტაკლი.

ერთი ასეთი საინტერესო „მოგზაუ-
რობის“ მოწამე გავხდი იმ დღეს ბათუ-
მის თეატრში. ის „უცხო ქვეყანა“ კი სა-
ფრანგეთი გახლდათ. საფრანგეთის მი-
წაზე ხდებოდა ყველაფერი, რაც ჩვენ
ქართულ სცენაზე ვნახეთ.

ბატონი ტოპაზი

ანდრე ანტუანის მოწაფეს მარსელ პა-
ნიოლს თავისი პიესის ეპიგრაფად ასე
წაუწერია: „აი, ხედავთ, მუსიე, ეს სა-
ზოგადოება თუ არ შეიცვალა, პატიონა-
ნე კაცი აღარ დარჩება“. ტოპაზი იყო პა-
ტიონანი კაცი. თითქოს მშვიდადაც ცხო-
ვრობდა კეთილი და სათნო მასწავლებე-
ლი. მართალია, „განათლების სამინისტ-
როს აკადემიური წარჩინების ნიშანს“
ვერ ეღიროსა, მაგრამ პატიონანი იყო და
ეს ყოფნიდა ნუგეშად.

მსახიობი ლ. ლლონტი ფაქიზად მიჰყ-
ვება რეჟისორის (შ. ინასარიძე) მიერ
სწორად აწყობილი მიზანსცენების ხაზს
და გზადგება თავის ფრთხილ იმპროვი-
ზაციულ დეტალებსაც ურთავს. მის
მკრთალ სახეს თითქოს მკვდრის მზე ან-
ათებს, ისეა მოღლილი და შინაგანად მო-
თენთილი, მაგრამ მის არსებაში მაინც
იგრძნობა მორალური სიძლიერე. ეს არ
არის აქტიორულად განზოგადებული,

ღრმა სოციალური პათოსით გამსჭვალუ-
ლი სახე, მაგრამ ლ. ლლონტის გმირს არ
აკლია ადამიანური სითბო და მსახიობიც
აქ არის ძლიერი.

...მაღე ქუჩაში აღმოჩნდა ტოპაზი. შე-
წყდა კეთილი გზა. პანსიონიდან გააძევეს
და მერე რისთვის — ორიანი დაუწერა
მდიდარი კაცის შვილს. დროზე ვერ მიხ-
ვდა „შეცდომას“, და დაისაჯა კიდევ.

ტოპაზს სჯეროდა ქვეყნად სიკეთისა,
მაგრამ ამაოდ ებრძოდა სინამდვილის
რკინის ლოგიკას. მაღე იგი კასტელ-ბა-
ნაკის (მ. ხინიკაძე) კომპანიაში მოხვდა
და დაიწყო ახალი ცხოვრება.

პატიონანი კაცი უპატიონო გზას და-
ადგა. ობობას ქსელში ვეება და ამაოდ
შეეცადა თავი დაეღწია.

შემადრწუნებელი საუბარი გაიმართა
ტოპაზსა და სიუზის (ნ. საკანდელიძე)
შორის. ტოპაზი ენდო სიუზის მომხიბვ-
ლელ სიტყვებს და მის ნებას მიჰყვა. სი-
უზი კი უფრო ადრე გაიწირა ცხოვრები-
საგან. თვითონ მსხვერპლი იყო და
აღარც სხვას ინდობდა. „ჩემი დანაშაუ-
ლის სიმძიმე მაჩრჩობს. ვარესამყარო გა-
სრესით მემუქრება. ამ დილით გელარ
მოვითმინე და ფანჯარაში გავყავი თავი.
წინ ჩამიქროლა ქუჩის საგველმა სამმა
მანქანამ, რომლებსაც შუბლზე მონიკე-
ლებული ასოებით ეხატა „ტოპაზის სის-
ტემა“. ელავდა ცრუ ფირფიტა. იმაზე
არეკლილი მზის სხივი სახეზე დამეცა და
თვალეები დამახუჭვინა. უკან გადავბტი
და ფანჯარა მივხურე, მაგრამ მანქანათა
მოტორების გუგუნე კვლავ მესმოდა. მე-
რედა, იცით, რას გუგუნებდნენ? „კომ-
ბინატორი, კომბინატორი, კომბინატო-
რი!“, ხოლო მანქანის მრგვალი ჯაგრისი
ქუჩას ეჩურჩულებოდა: „ტოპაზი თაღ-
ლითია, ტოპაზი თაღლითია“.

პატიონანი სულის ეს აღსარება, ძრწო-
ლა უფესკრულის პირას მდგარი კაცისა,
თრთოლვითა და შიშით არის სავესე. იგი
შემობრუნების პუნქტია ტოპაზის ცხოვ-
რებაში და ყოველი გარდატეხა დიდ
ტკივილთანაც არის დაკავშირებული.
მსახიობს არ ეყო ოსტატობა, ფსიქოლო-
გიური სიღრმით გადმოეცა მთელი ეს

პროცესი, მან ვერ იპოვა გმირის სული-
ერი ექსტაზის დამტვევი ორიგინალური
ფორმა და მარტო თავისი შინაგანი გულ-
წრფელობის ამარა დარჩა. დაიკარგა ტო-
პაზის გარდაქმნის მომენტი.

მსახიობი როგორც კი ამ რთულ, მრავალ-
ვალბანიან ფსიქოლოგიურ ხვეულებს
გასცდა და საჭირო გახდა ერთი ლოგი-
კური ხაზის ფარგლებში ნიუანსირება,
„წელში გაიმართა“ და ცოცხლად გა-
მოხატა ტოპაზის „კომბინატორული სუ-
ლი“.

ვუყურებთ სპექტაკლს და ვგრძნობთ,
როგორ იღუპება პოეტური სული ადამი-
ანისა, როგორ ეწირებიან ღირებები
მდიდრებს, როგორ გათიშულა საზოგადო-
ებობა და მგლური კანონით შეპირისპი-
რებულა.

ეპიგრაფი, რომელიც მარსელ პანიო-
ლიმ წარუძღვარა პიესას, სპექტაკლის
ბოლო სურათში კონკრეტდება და სახე-
თა სცენური ცხოვრების გარკვეულ ფი-
ნალს იძლევა.

თაღლითობაში გაწაფულ ტოპაზს კე-
თილი სიზმარეული სულივით გამოეც-
ხადება მისი სიყრმის მეგობარი ტამიზი
(ხ. მეგრელიძე). მისი სახით პატიოსნება
მივღდა ტოპაზთან. აუწყა, რომ ქვეყანა
ალაპარაკდა მის უმსგავსობაზე, დადგა
დრო, ისევე დაუბრუნდეს ძველ გზას.
მძიმეს, მაგრამ პატიოსან გზას.

ტოპაზმა გული გადაუშალა მეგობარს:

„ყველა ეს საქმე ჩვეულებრივი თაღ-
ლითობაა, რომელიც ემყარება გავლენი-
ანი ხალხის დაქრთამებას, მოხელეთა გახ-
რწინილებას და თანამედრობის ბოროტად
გამოყენებას... მეგრწმუნე, მართალს გე-
უბნები. აქამდე ყველაფერს უკანონოდ
ვაკეთებდი. საზოგადოება რომ წესიერად
იყოს მოწყობილი, ახლა მე ციხეში უნდა
ვიჯდე... აი, ხედავ, ჩემო საბრალო მეგო-
ბარო. პირდაპირი გზიდან გადავუხვიე,
გავმდიდრდი და ახლა პატივსაც მცე-
მენ... შენ არ იცი, ფულს რა ფასი აქვს...
თვალი გაახილე, დაინახე ცხოვრება და
თანამედროვენი... ფულია ყოვლისშემძ-
ლე... ვიკვირს, ჩემო საბრალო ტამიზ,
ახლავე გაგიმყდვენებ სიიდუმლოს. მე-

ოცნებთა საწინააღმდეგოდ, პოეტებს
საწინააღმდეგოდ და, შესაძლოა, საკუ-
თარი გულის საწინააღმდეგოდაც, შენებ-
ვრი რამ გავიგე. ტამიზ, ხალხი გაავებუ-
ლი და გაბოროტებულია, ქვეყნიერებას
ძალა თრგუნავს და ეს მოშრიალე მართ-
კუთხა ქაღალდები ხელისუფლების თა-
ნამედროვე ფორმას წარმოადგენს!“

ოდესღაც პატიოსანი კაცის ეს ტრაგი-
კული აღსარება დიდ ზემოქმედებას ახ-
დენს და ჩვენც სინანულით ვუყურებთ
დაკარგული ადამიანის ტრაგიკომიკურ
სახეს.

ტრაგიკომიზმი არის „ტოპაზის“ უან-
რული რაობა და იგი შესატყვის სცენურ
საშუალებებსაც მოითხოვს. გამოცდილ-
მა რეჟისორმა ტრაგიკული საწყისი უფ-
რო გამამაფრა და კომედიური სიმსუბუ-
ქე მოაკლო სპექტაკლს.

ფინალში ერთსა და იმავე დროს მეტი
შემართება, დრამატული სიმძაფრე და
კომედიური ექსცენტულობა უნდა გა-
მოისახოს. ხ. მეგრელიძე ისევე ძლიერად
უნდა იცავდეს კეთილ საწყისს, როგორც
ამას ლ. ღლონტის ტოპაზი აკეთებს. მა-
შინ სხვაგვარი სიღრმე და განზოგადება
ექნება სცენასაც.

დამაჯერებელია ხ. მეგრელიძე, როცა
პირველად ისმენს ტოპაზის აღსარებას
და გაოგნებული შესცქერის მეგობარს.
იგი თითქოს შორს, სიღრმეებში იცქირე-
ბა, იქნებ ერთხელ მაინც მოჰკრას თვალი
ტოპაზის უცოდველ ბავშვობას. ეს არის
პოეტური ილუზია.

დამთავრდა წარმოდგენა. დაეშვა ფარ-
და და მის მიღმა დარჩა უცხო ქვეყანა,
რომელმაც ამდენი ადამიანური ტკივილი
და სულიერი თრთოლვა განგვაცდევინა.
კარგა ხანს ვისაუბრეთ მსახიობებთან.
გულახდილად ვუთხარით ერთმანეთს,
რომ ამ მშვენიერ და სასარგებლო სპექ-
ტაკლს დახვეწა და ზოგიერთ სცენას სი-
სავე აკლია. და განა ასეთი არ იყო მ. ხი-
ნიკაძის, ლ. ღლონტისა და ნ. საკანდელი-
ძის სცენა (IV მოქმედება, როცა ტოპაზი
კასტელს სდევნის)? რეჟისორის ხელი არ
ჩანდა აქ და არც პოლიციელის როლი

იყო სწორად გახსნილი რ. კაკაუტრიძის მიერ.

მაგრამ ეს სპექტაკლი ერთი დღისათვის არ იბადება. რეჟისორის ხელი არ მოჰკლებია შემდეგაც. გზადაგზა დაიხვეწა ბევრი რამ და ჩვენ მივიღეთ სასიხარულო სპექტაკლი. მშვენიერი თარგმანი (ა. გეწაძე) და მხატვრობა (ა. ფილიპოვი) ამდიდრებს სპექტაკლის ღირსებებს. იქმნება ერთიანი სინთეტური სურათი, ლამაზი თავისი ფორმით და კეთილშობილური მისწრაფებებით.

შინ იცავს მკვლევებს?

...სცენაზე მოკლეს ჭაბუკი. იგი მაგიდის ქვეშ ეგდო დამხობილი და არავის აწუხებდა მისი ბედი. ირგვლივ მეფობდა გულგრილობისა და ცინიზმის ატმოსფერო.

მაგრამ იგი ხომ მარტო არ იყო, როცა მას კლავდნენ? რატომ არ დაეხმარა სტენლი? რატომ არ გაერთიანდნენ ბოროტების წინააღმდეგ? სიმხალე რომ არ გამოეჩინა სტენლის (ლ. ლონტი), იქნებ ბობი (ნ. მესხიძე) ვერც მოეკლათ? იქნებ სხვაგვარად დატრიალებულიყო ადამიანის ბედი, მკვლელთათვის სულისშემზუსთავი ატმოსფერო რომ იყოს?! ჰკლავენ ადამიანს და მაინც საგანგაშო არაფერია — ფიქრობენ ობივატელები. სწორედ ასეთია პროფესორი ლოკუდი (მ. ჯალაღანი). და ვინა მარტო ის? შიშსა და თრთოლვას შეუპყრია მოკლულის მამაც კი (გ. იმნაიშვილი).

ეს არის საშინელი სანახაობა.

და როცა სპექტაკლს (პ. კანტენი, უ. ბელოკი — „მკვლევები“, თარგმანი პ. წერეთლისა) უყურებთ, ბუნებრივად გებადებათ კითხვები: ვინ უფრო საშიშია, მკვლელი თუ მხალაი საზოგადოება? ვინ ებრძვის მკვლევებს? რას აკეთებს ან სად არის ის ძალა, რომელმაც პატიოსნება უნდა დაიცავს?

სტენლი მიხვდა თავის შეცდომებს, მიხვდა, რომ ღუმილი ბოროტებაა და დაიწყო სიმართლის ძიება. მაგრამ მისი გზა სავსეა წინააღმდეგობებით, ფულით მოს-

ყიდულია ყოველი საფეხური. ამ რთულ კონფლიქტში მოექცა იგი და მაინც იბრძვის. მის გვერდით არიან მოხუცი მოხუცი (შ. გეჯაძე), კლარა (ლ. ყარასაშვილი) და ბობის დედა ელენე (თ. სულხანიშვილი), მაგრამ ეს არის მოკლულის ოჯახი. საზოგადოება კი ღუმს. სასამართლო პროცესზე სტენლის პროტესტი იმის, როგორც ხმა მლაღადებლისა უდაბნოსა შინა...

ამგვარ სინამდვილეს ასახავს ბათუმის თეატრის სპექტაკლი, რომელიც თ. აბაშიძემ დადგა. ეს არის მალალი მოქალაქეობრივი პათოსის წარმოდგენა. რეჟისორული აზრის სიმბავილე, ნათელი და სადა მიზანსცენები, ერთიანი აქტიორული ანსამბლი, გემოვნებით დადგმული სურათები და ზუსტი ფსიქოლოგიური აქცენტები ახალგაზრდა რეჟისორის აშკარა შემოქმედებით ზრდაზე მეტყველებს.

ყოველ ადამიანს თავისი შინაგანი რიტმი აქვს, ყოველ ხასიათს — თავისი ტემპერამენტი და ყოველ სცენას — თავისი დრამატურგია. ზოგჯერ ეს შეუმჩნეველიც არის, მაგრამ იგი ობიექტურად არსებობს და რეჟისორიც მის მხატვრულ გადაწყვეტაზე ფიქრობს პირველი რეპტიციებიდანვე. რთული შინაგანი მხატვრული ცხოვრება, რომელიც ამ სპექტაკლშია განფენილი, რეჟისორის მიერ კარგად არის ორგანიზებული. რიტმისა და გარკვეულ განწყობილებათა მონაცვლეობა მსახიობთა გულწრფელ თამაშს ემყარება და ქმნის მართალ სცენურ ატმოსფეროს. რეჟისორმა იცის ამ სიმართლის ფასი. იგი არ ცდილობს ტოლობითი ნიშანი დასვას სცენურსა და ცხოვრებისეულ სინამდვილეს შორის.

რეჟისორი ხშირად მიმართავს კონტრასტების პრინციპს. ამას იგი დიდი ტაქტით აკეთებს, რომ შაბლონური არ იყოს კეთილესა და ბოროტის დაპირისპირება. როცა მ. ხინიკაძის მშვიდ, თავის ძალაში დაჯერებულ გერსერტს ვუყურებთ, როცა ბენ კანტის (ა. ტაკიძე), რალფ კომოს (გ. გოგიბერიძე) და გორდონის (თ. უორაძე) მოქმედებას ვხედავთ (დანაშა-

ულის ჩადენის შემდეგ), ჩვენ ვგრძნობთ. თუ საიდან წარმოდგება ეს გულგრილობა, თუ რა არის მისი პოლიტიკური და სოციალური საფუძველი.

სპექტაკლში გამოირჩევა მეორე მოქმედების სურათი, როცა თ. სულხანიშვილი-დგდა თავის შვილს იგონებს. მთელი ეს სცენა სავსეა დიდი შინაგანი სითბოთი, ღრმა ადამიანური სევდითა და რაღაც პოეტური სიფაქიზით. არის სხვა ასე ძლიერი და შინაგანად სავსე სცენები პირველ და მესამე მოქმედებებშიც.

წარმოდგენა ლაკონური, სადა და ემოციური, მაგრამ ამ ღირსებას ერთგვარად ამცირებს ცალკეული ფსიქოლოგიური დეტალების ზედაპირულობა და ზოგიერთი მსახიობის დაბალი საშემსრულებლო ოსტატობა. მეორე მოქმედებაში არის ბობის სურათის „რეჟისორული გათამაშება“. მიზანსცენა კარგადაა ჩაფიქრებული, მაგრამ მას აკლია შინაგანი სიმართლე და რამდენაღმც სენტიმენტალურიც არის. მონოტონურია და ერთფეროვანი ვ. გოგობერიძე პირველ სცენაში, არსებითად იგივე ითქმის ა. ტაკიძისა და თ. ჟორჯაძის მიმართაც. პიესაში არის ვარკვეული დრამატურგიული შაბლონი დაწერილი როლები: ინსპექტორ ბენდერის (ვ. ახვლედიანი), სენდრიმინქონის (ვ. თურმანიძე) და უოლსელის (ა. ფირცხალაიშვილი). ამდენად, მძიმე იყო მსახიობთა მდგომარეობაც. ზედმეტად დაკომფლია და ნერვიულად ფუსფუსებს ლ. ლლონი თავისი გმირის სულიერი დაძაბულობის გამოხატვის დროს.



სად არის ხსნა? როგორ უნდა ებრძოლო მკვლელებს და კომბინატორებს ქვეყანაში, სადაც ბატონობს ფული? რატომ იღუპებიან ბობის მსგავსი ჭაბუკები? ვინ იცავს მკვლელებს? რატომ ვერ გადაარჩა ტოპაზის პატიოსნება?

თეატრი ორივე სპექტაკლით ერთ პასუხს იძლევა: „აი ხედავთ, მუსიე, ეს საზოგადოება თუ არ შეიცვალა, პატიოსანი კაცი აღარ დარჩება“.

თეატრი არ იკეტება ვიწრო ჩარჩოში იგი ეძებს თანამედროვეობის მტკიცებულებებს... ულ პრობლემებს...

ასეთია „ტოპაზიც“ და „მკვლელებიც“.

„სიყვარულიანი ღრამა“

ორი ახალგაზრდა ერთმანეთს ხედება და მათ შორის საოცრად გულახდილი ურთიერთობა მყარდება. ქალი აღრე მიენდო ვაჟს. თითქოს საინტერესოც აღარაფერი რჩება. „გამაბრუნებელი ექსტაზი“ გაქრა და გაქრა სიყვარულის ილუზიაც?

არა, ადამიანური გრძნობები ამოუწურავია და ბედნიერი წუთების ძიებაც შეუწყვეტელი. ზოგჯერ ერთი, მხოლოდ ერთი წუთისათვის ღირს მთელი ცხოვრების დათმობა. ვისთვის რა არის ის წუთი, არავენ იცის. იგი ისევე სხვადასხვაა, როგორც თვით ადამიანთა ბუნება. მრავალფეროვან სამყაროში ე. რადინსკიმ მხოლოდ ორი ადამიანი გამოარჩია და მათ სულიერ დრამას უძღვნა „104 გვერდი სიყვარულზე“ (თარგმანი ა. გეწაძისა).

პიესამ ფართო გამომხატურება პპოვა. იქნებ ცოტა ზედმეტიც იყო აღტაცება, მაგრამ ბევრი რამ მაინც სწორად მიაკვლია ახალგაზრდა დრამატურგმა და ამისათვის ღირს მადლობის თქმაც.

პიესის დასაწყისში ვგრძნობთ, რა გზა გაიარეს გმირებმა, რას ფიქრობდნენ და განიცდიდნენ, ვიდრე ჩვენი ნაცნობები გახდებოდნენ. ამ მხრივ ყველაზე რელიეფური ნატაშასა (ლ. ყარასაშვილი) და ევდოკიმოვის (ა. ტაკიძე) სახეებია. მათი ცხოვრება რთული წინააღმდეგობრივი ძიების გზაა, არ აშინებთ არც წამიერი ექსტაზი და არც მოჩვენებითი სიმშვიდე. ისინი უცნაური ძალით მიისწრაფვიან ერთმანეთისაკენ, მაგრამ მიახლოების ქაშა ისევ შორდებათ.

მსახიობთა მშვენიერი წყვილი მოქმედებს ნატაშასა და ევდოკიმოვის სახით და ჩვენ ბოლომდე გვჯერა მათი სულიე-



რი ვანცდისა. ახალგაზრდა დიპლომანტს ა. ჩაიძეს კარგად უგრძენია შერჩეულ მსახიობთა ინდივიდუალობა (აქ იგრძნობა თეატრის დახმარება) და როლებიც მაქსიმალურად სწორად გაუნაწილებია. ა. ტაკიძის ევდოკიმოვის ენერგიითა და სცენური მიმზიდველობით მდიდარ ბუნებაში ბევრია როლისა და აქტიორული მონაცემების პოტენციალურად ზუსტი დამთხვევა. იგივე უნდა ითქვას ლ. ყარასაშვილის ნატაშაზეც.

ერთი სისუსტე სჭირთ ახალგაზრდა რეჟისორებს. მათ ინსტიტუტის კედლებშივე იციან, რომ სიმართლის გრძნობა და ცხოვრებისეული ატმოსფერო პირველადი საფუძველია სპექტაკლისა. უამისოდ გარდაუვალია სიყალბე. ისინი ხშირად პოულობენ ცხოვრებისეულ სიმართლეს, მაგრამ ვერ მალდებიან მასზე. ცხოვრების სიმართლის მხატვრული განზოგადება და ამალღება არის მხატვრული სიმართლე და, რაღა თქმა უნდა, სწორედ აქ უჭირთ ახალგაზრდებს (რეჟისორებსაც და მსახიობებსაც).

ა. ჩაიძესაც მშვენივრად აქვს ათვისებული პირველადი საფუძველები. სასიხარულო სწორედ ისაა, რომ იგრძნობა რეჟისორის სწრაფვა, გაექცეს ემპირიულ სიმართლეს და შექმნას ახალი მხატვრული სინამდვილე. ამ ტენდენციას ავითარებს ნ. საკანდელიძის გალიაც. მსახიობი ლაკონური გამომსახველობით ქმნის ნათელსა და ღრმად ემოციურ სახეს, იძლევა მის სწორ სცენურ გადაწყვეტას.

კარგად ასრულებს ცხოვრების დინებიდან ამოვარდნილი, ადამიანთა სიკეთეში დაქვევებული კეთილი ახალგაზრდის ფელიქსის როლს მ. შერვაშიძე.

სარეცენზიო სპექტაკლებიდან მხოლოდ ეს ერთია, უშუალოდ სიყვარულის თემას რომ ეხება. თეატრმაც სიყვარულით მიიტანა გულთან ახალგაზრდობის ბედი, გვაგრძნობინა მისი სიკეთისა და სილამაზის ძალა.

„ეს იყო ნამდვილი — სიყვარულიანი დრამა, სიყვარულიანი მხატვრობა“ — როგორც დ. კლდიაშვილი იტყობა.

ქვეყანა შრომობს, იბრძვის, ატყვევებს კეთე და სიხარული, არის ლირიკული, აროს ენთუზიაზმი და გიგანტური გაქანება. ერთი სიტყვით, ბევრი სიკეთეა თბილის-ქალაქში.

მაგრამ არის ერთი ძველებური ეზო და დაქცევის პირას მისული სახლი, სახლი, სადაც ცხოვრობს ერთი ბოროტი. მოუსვენარი კაცი ვანო ლაითაძე.

ვანო ლაითაძე ნიჭიერი კაციც არის. ანონიმურ წერილებს ისეთი შთაგონებით წერს, როგორც კარგი პოეტი ლექსს.

მე მგონია, თანამედროვე ქართულ დრამატურგიაში ბევრი არ არის ასე ძლიერი, ცოცხალი, ფართო განზოგადების მძაფრი სატირული სახე.

კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“ ორიგინალური დრამატურგიული სტრუქტურის ნაწარმოებია. როცა ვანო ლაითაძე თავს იხრჩობს, მაყურებელი ტაშს უკრავს. სატირული პიესის ფინალში ადამიანის სიკვდილი და ამით მაყურებლის აღტაცება — სარისკო ხერხია. დრამატურგმა ოსტატურად გაიარა ბეწვის ხიდზე.

კ. ბუაჩიძეს აქვს ხასიათის სპეციფიკური, დრამატურგიული ხედვა, აქვს მისი სცენური ამეტყველების ოსტატობა და ყველა პერსონაჟის ერთი იდეური მიზანსწრაფვისათვის დამორჩილების ძალა.

ა. მგელაძის ლაითაძეშიც ღვივის ბოროტების ნაპერწკლები, არის ექსტაზი და სიკეთესთან შთაგონებული ბრძოლა. განსაკუთრებით კარგია იგი მესამე მოქმედებაში. მას შვენის ოდნავი ექსცენტრულობა და ფაქიზი იუმორი.

ლაითაძის ანტიპოლია ალექსანდრე ჩინჩახოვი (მ. შერვაშიძე). იგი თითქოს მოარული სიკეთეა, უანგაროდ უწვდის ყველას ხელს; უყვარს ადამიანი და ცხოვრება, უყვარს ნამუსიანი კაცი და მადლიანი სიკეთე. მსახიობი ორგანულად გრძნობს ალექსანდრეს ამ ბუნებრივ თვისებას, ფაქიზ იუმორს და ხშირად წარმატებით ავლენს კიდევ მას.

არსებითად სამღურავი არ ეთქმით არც ა. მგელაძესა და არც მ. შერვაშიძეს. გარკვეული ტაქტი, ზომიერება იგრძნობა მათ შესრულებაში, მაგრამ აქა-იქ მაინც შეინიშნება ფრაზის გათამაშების ტენდენცია. ზოგჯერ ამბატებენ ტექსტს, ცვლიან სიტყვას და არღვევენ საერთო რეჟისორულ ჩანაფიქრს.

მეტი ლაკონიზმი და დახვეწილობა უნდა ა. მგელაძეს პირველ აქტში (აი, სწორედ ისეთი, როგორც მიუშის როლის შესრულების დროს აქვს).

სწორი პორტრეტული მონახაზითა და ფორმის სიმახვილით გამოირჩევიან ნ. თეთრაძის ფოფია, ნ. მკვათაძის ცაცანა, რ. კაკაბერიძის რუბენ მანველოვი და ნ. წერეთლის სარე.

ძირითადად მიღწეულია სპექტაკლის სტილისტური მთლიანობა. რეჟისორი კარგად პოულობს სწორ სცენურ მახვილებს ცალკეულ მიზანსა და მთლიანობაში. მაგრამ სტილის მთლიანობის თვალსაზრისით მაინც არის ამოვარდნები. გაცეხას იწვევს, რატომ დასჭირდა რეჟისორს ალექსანდრეს მხარზე რომ წამოასვა გურამ შელია? რა საერთო აქვს ამ რეჟისორულ „ტრიუქს“ რეალისტურ სპექტაკლთან?!

ბონიერი ნიღაბი

დადგა ისეთი დრო, რომ თანატანტურ ზღაპრებზე მეტი რამ მოხდა სინამდვილეში. არც მფრინავი ხალიჩა აკვირვებს ვინმეს, არც ზამთარში რომ მარწყვი ინატრა დედაბერმა. ახლა ბავშვი მეტ ინფორმაციას იღებს სამყაროდან (ტელე, რადიო, კინო), ვიდრე ძველად ასწლოვანი მოხუცი მთელი ცხოვრების მანძილზე.

ასეთია სინამდვილე და მაინც, ვიდრე ბავშვობა არსებობს, არც ზღაპარი დაკარგავს გაცეხების ძალას. ბავშვის უცოდველი ბუნება ვერ ითმენს სუსტის ჩაგვრას და ამიტომ ელის ასე მოუთმენლად ბოროტის დამარცხებას.

რესპუბლიკის ქალაქებსა (გარდა თბილისისა) და რაიონებში არ არის მოზარდ მსახურებელთა თეატრები და ამდენად, ამ მოვალეობასაც არსებული თეატრებო ასრულებენ. ამ მიზნით დადგა ბათუმის

თეატრმაც გ. ნახუცრიშვილის ცნობილი პიესა „ნაცარქექია“.

რომ იტყვიან, პირდაპირ სახეებზე დასაყრდენად, სწორედ ისეთია სპექტაკლი. რეჟისორ თ. აბაშიძეს ბევრი (თუმცა წარმოდგენა მოკლე ვადაში დაიდგა) უფიქრია სახეთა გამოძერწვასა და მათ პლასტიკურ მხარეზე.

წარმოდგენაში ერთი მსახიობი რამდენიმე როლს ასრულებს, სხვადასხვა ნიღბით გვევლინება და უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა მათგანმა რისიკიც გასწია.

რეჟისორს გარდასახვის მომენტისათვის მიუქცევია მთავარი ყურადღება და საამისოდ შესაფერი მიზანსა და ნიღბით მოუხაზავს, ერთგვარი ჰიპერბოლური მონასმებიც შეუქმნია და ფორმაც უფრო რელიეფურად გამოუკვეთავს.

შესაძლოა უხერხულიც კია გარდასახვაზე ასე ლაპარაკი, მაგრამ იმდენად აშკარაა მისი უგულებელყოფის საფრთხე ჩვენს თეატრებში, რომ არ შეიძლება დუმო...

თ. აბაშიძემ ჭეშმარიტად თეატრალური (სიტყვის ფართო გაგებით) სპექტაკლი შექმნა. მერედა, რა საოცარი ინტერესით უყურებდნენ ბავშვები!

ნ. წერეთელი ორ როლს ასრულებს — მართასა და იბრუხტისას. მსახიობი სცენაზე ცხოვრობს ნამდვილი თეატრალური, საზეიმო ცხოვრებით. მის შესრულებაში არის ფორმის ელვარება და აზრის სიცხადე. ძნელად თუ მიხვდება მსახურებელი, რომ მეფეცა და ყაფლანიც ხ. მეგრელიძეა. აქტიორული წარმატება ხდებათ ს. თურმანიძეს (მეორე ყაჩაღი, შიკრიკი), მ. შერვაშიძეს (ვაზირი, პირველი ყაჩაღი, დევი) და ი. ზოიძეს (თომა, დადი), განსაკუთრებით კი ნ. მესხიძეს ვახუშტის როლში.

წარმოდგენის საერთო აქტიორულ ანსამბლში, სპექტაკლის მხატვრულ ცხოვრებაში პროფესიული კეთილსინდისიერებით ქმნიან თავიანთ სახეებს ნ. ჩხიკვაძე (თამრო), ო. მეგრელიძე (გიო) ხ. მიქელაძე (დევი), ბ. ინწირველი (მოსამართლე).

მართალი არ იქნებოდა, რომ ყველაფერი ერთ სიბრტყეზე განგვეხილა და ერთნაირი წარმატება მიგველოცა. ხომ ფაქტია, რომ დევების სცენა სუსტად არის დამუშავებული, რეჟისორის ხელიც აკლია და მსახიობური ოსტატობაც.

წარმოდგენას „ნაცარქექია“ ჰქვია და ნაცარქექიას როლს შ. გეჯაძე ასრულებს. მსახიობი სიმართლის გრძნობით თამაშობს, აქვს პლასტიკური გარდასახვის უნარი და სცენური უბრალოება. და ეს ხიბლავს მაყურებელს. მაგრამ როლზე მუშაობა მაინც არ არის დასრულებული. მსახიობს მეტი კომედული სილაღე მართებს. არ იგრძნობა ფრაზისადმი დიფერენცირებული დამოკიდებულება, რის გამოც ერთფეროვნების საფრთხეც კი იქმნება.

ხუთი სპექტაკლი თითქმის თეატრის მთელი ცხოვრებაა. ეს არის მისი შემოდგომა, მისი მოსავალი, მრავალი დღისა და ღამის დაძაბული შრომის შედეგი. ვინ იცის, რამდენი გულისტკივილი და მოღლილობა განუტყდათ, ვიდრე სპექტაკლი შეიქმნებოდა. რამდენი შრომა დაუხარჯავს მხატვარ ა. ფილიპოვს, რომ კარგი დეკორაცია შეექმნა. დეკორაცია კი მარტო მარჯვე დანადგარი კი არა, დიდი მხატვრული სამყაროა, ის არის ცაცა და მიწაც, სადაც ადამიანური ტკივილი და ვნებები უნდა გაიშალოს. ამ დიდი ტვირთის აწვევისათვის უბრძოლიათ მხატვრებს ა. ლლონტს, ვ. დონდილაძეს და მ. მამუჭაძეს.

ჩვენ არც ის მსახიობები დაგვეიწყებია, ვისაც სიყვარულით, გულწრფელად და პროფესიული სინდისით უმუშავია. სწორედ ასეთი იყო ლ. აფხაზავას ელოგოგნიაური, თ. ჟორჯაძის გურამ შელია, თ. ფირცხალაიშვილის ლეო ლანდია, ნ. კბილიანაშვილის თამაზი, ნ. საკანდელიძის ირინე კახიძე, ე. მალაყმაძის როზიტა, თ. თავდიშვილის ქურნალისტი, კახალაძის კარცევი, ნ. წერეთლის ლილკა და გ. გოგბერძინის სემიონოვი. არც ის დაგვეიწყებია მოულოდნელად, ურბეტიციოდ რომ ათამაშეს თ. სულხანიშვილი ვარვარას როლში.

მაგრამ მსახიობებმა იციან და იცის მაყურებელმაც, რომ ამ კოლექტივს მეტის შექმნა შეუძლია. განა აქ ვერცხვამ შტამპი და ერთფეროვნება? განა ცოტა როლი „დამირულა“ ფუსფუსისა და ანქარების გამო?

ვერც ბათუმის თეატრი იამაყებს (ისე, როგორც ბევრი სხვა) ქართული მეტყველების სიწმინდით. მისი სცენიდან ყოველთვის როდი ისმის კარგი ქართული. ხომ მშვენიერად თარგმნა ა. გეწაძემ „ტოპაზი“ და „104 გვერდი სიყვარულზე“, მაგრამ რამდენი გაუფრთხილებლად ნასროლი ფრაზა ხვდება მაყურებლის ყურს? ქართული მეტყველების კულტურა უნდა ამკობდეს თეატრს.

ამ ნახევარი საუკუნის წინათ „თეატრი და ცხოვრება“ გულისტკივილით წერდა: „განა შესაწყნარებელია, რომ ქართველი მსახიობი, ეს ქართულის წმინდათა წმინდა ქურუმი, მშობლიურ ენამეტყველებაში კოჭლობდეს, — ენას ამახინჯებდეს, და ისეთ სიტყვას წამოსიროდეს ხოლმე, რომლის მნიშვნელობა თვითონაც არ ესმოდეს?!“ ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ და შეგვიძლია დღესაც უცვლელად გავიმეოროთ ეს სიტყვები.

სხვა სატკივარიც არის ბათუმის თეატრის სცენაზე, მაგრამ სიხარული მეტია და ამიტომ ვუყურებთ მას იმედით.

თეატრი ეროვნული რეპერტუარის შექმნაზედაც ბევრს ფიქრობს, იგი გაბედულად უჭერს მხარს ბათუმში მომუშავე მწერლებს, დგამს მათ პიესებს. ეს სწორი კურსია და არც მომავალში უნდა შეიცვალოს, მაგრამ მხარდაჭერა თვითმიზნად არ უნდა იქცეს. მთავარი მაინც ხარისხია და არა ის, თუ რომელ ქალაქში დაიწერა პიესა!

სეზონის პირველი ნახევარი დამთავრდა. ბათუმის თეატრმა ბევრ კარგს მიადწია ამ პერიოდში, მაგრამ რატომ არის ასე ცოტა ქართული პიესა რეპერტუარში? ხომ არ შეანელა თეატრმა მომთხოვნელობაცა და ყურადღებაც?

დაე, თეატრმა იფიქროს ამაზედაც!

ჩემს წინ დევს თეატრის ძველი პროგრამა, 1936-37 წ. წ. სეზონის ერთი სპექტაკლის პროგრამა. აქვეა გაზეთიდან ამონაჭერი პატარა რეცენზიაც — „შესანიშნავი სპექტაკლი“. ეს იყო ამ ოცდაათი წლის წინათ, როცა პირველად აიხადა „აჭარის სახელმწიფო თეატრის ფარდა“. იქ ჩავიდა რუსთაველის თეატრის აჭარის სექციის კურსდამთავრებული ოცი ახალგაზრდა. მათი პირველი რეჟისორი დ. ალექსიძე იყო და პირველი სპექტაკლი, რომლითაც თეატრი გაიხსნა (18/III-37 წ.), დ. ალექსიძეს ეკუთვნოდა. ეს იყო გიორგი მდივნის პიესა „ბრმა“. „ხალხით გაჭედილი დარბაზი, — წერია იმ რეცენზიაში, — მოუთმენლად ელოდა პირველი აჭარელი მსახიობების სპექტაკლს... ახალგაზრდა თე-

ატრის პირველი დადგმა გამარჯვებით დამთავრდა“.

მას შემდეგ სამი ათეული წელი ^{გადავიდა} და. მაშინდელი ახალგაზრდები, დღეს იმ თეატრის ფუძემდებლები, ახლაც მოღვაწეობენ თეატრში, მოვიდნენ ახალი თაობები, ახალი რეჟისორები და მსახიობები და იმ შემოქმედებითი ცხოვრების მდინარეებას შეუერთდნენ.

ათეულმა წლებმა გაზარდა თეატრის კულტურა, ამალდა მისი მხატვრული დონე და დღეს იგი ახალი პერსპექტივების წინაშე დგას.

ყოველ თეატრს თავისი გზა აქვს და თავისი გზით მიდის ბათუმის თეატრიც. ამ გზაზე მას ბევრი ტკივილიც უნახავს და გამარჯვებაც.

დაე, ბოლომდე მართალი და კეთილი იყოს მისი გზა!





გვა შეგობრობის

ყოველ წამოწყებას თავისი მიზეზი აქვს, ყოველ საქმეს—თავისი დასაწყისი. შედეგს კი დრო გამოავლენს. დრო გვიჩვენებს ყოველი შემოქმედის სიმწიფეს, გამოცდილებით შეძენილ ოსტატობასაც. დრო არის შემოქმედთა უტყუარი მსაჯული და მათი წამოწყების განმსჯელიც. დღეს კი... დღეს — თემურ ჩხეიძე, ავთანდილ მახარაძე, ჟანი ლოლაშვილი, აკაკი რამიშვილი, მიხეილ ჭავჭავაძე, ლილი ბერბუთაშვილი ქალაქ ზუგდიდში მუშაობენ.

აქ, შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში, ჩაიწერა მათი შემოქმედებითი ბიოგრაფიის პირველი ფურცელი. ეს არის დასაწყისი იმ გზისა, რომელსაც ჰქვია ცხოვრება ხელოვნებაში.

ასე დაიწყო

უბრალოდ, ჩვეულებრივად, ინსტიტუტში გაიცნეს ერთმანეთი. ავთანდილ მახარაძე, ჟანი ლოლაშვილი, თემურ ჩხეიძე, ტარიელ გიორგაძე, ჯოყოლა ფილფანი საკურსო სპექტაკლებში ერთად მონაწილეობდნენ. უნებურად დაახლოვდნენ კიდევ. ახლა შეიძლება ვერც

კი გაიხსენონ, როდის დაიწყო მათი მეგობრობა. უმეტესად ასე ხდება: აღამიანები უსიტყვოდ დადგებიან ერთმანეთის გვერდით. უცბად იგრძნობენ სულიერ სიახლოვეს და შემდგომ „რატომღაც“ ხდებიან მახლობელნი. ვაშობთ, „რატომღაც“, რადგან ზოგჯერ სიტყვა სრულად ვერ გამოხატავს გულში დატეხულ გრძობასა და სითბოს.

აღამიანებს ერთმანეთი სჭირდებათ არა მხოლოდ გასაჭირში, არამედ უბრალოდ, ყოველდღიურ ცხოვრებაში, როცა გებადებათ სულიერი მოთხოვნილება ერთად გაუყვეთ გზას თეატრალური ინსტიტუტიდან სახლამდე, ერთად ნაწოთ კინოსურათები, სპექტაკლები, გამოფენა, ერთად მოისმინოთ მუსიკა და მერე გვიან ღამემდე იკამათოთ. იკამათოთ, რადგან არ არსებობს ორი ზუსტად ერთნაირი აღამიანი და, მაშასადამე, აღქმაც და ემოციაც არ შეიძლება ერთნაირი იყოს.

ისინიც კამათობდნენ, რადგან ძვირფასი იყო ერთმანეთის აზრი, რადგან ისე არაფერი უწყობს ხელს გონების წვრთნასა და შეხედულებათა ჩამოყალიბებას, როგორც კამათი. ხშირად აზრის ვაზიარება მწვავედბოდა, ვერ თანხ-

მდებოდნენ და მინც ვერ ჰკარგავდნენ ერთმანეთს. მათი ურთიერთობა შემთხვევით ნაცნობობაზე ხომ არ იყო აღმოცენებული. შეიძლება ასეთ კამათში იგრძნეს პირველად, რომ გარდა მეგობრობისა, საერთო საქმეც აკავშირებდათ. შეიძლება აზრთა ასეთ გაზიარებაში ჩამოყალიბდა მათი შეხედულება თეატრალურ ხელოვნებაზე და ჩისახა ერთად მუშაობის სურვილიც. დრო გადიოდა. მათი აზრიც ყალიბდებოდა, სურვილი იწრთობოდა, ასე მივიდნენ ისინი უკანასკნელ კურსამდე. ითამაშეს მეორე სადიპლომო სპექტაკლი — აქსიონოვის „კოლეგები“...

კოლეგები

ახლა, როცა რამდენიმე თვე გავიდა ამ სპექტაკლის პრემიერიდან, უკვე სიმბოლურად გვეჩვენება ეს არჩევანი. კოლეგები, სამი მეგობარი — ალექსანდრე ზელენინი, ვლადისლავ კარპოვი, ალექსი მატვეევი საგზურს იღებენ და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ. ასეთია პიესის ქარა. ნიჭიერი მწერალი ვასილ აქსიონოვი კარგად იცნობს ახალგაზრდა კაცის ბუნებას. მის ნაწარმოებებში მოვლენათა განვითარება ადვილად ავლენს ახალგაზრდობის ჭიდილს სიძნელეებთან, ოცნებათა მსხვერვის ტკივილსა და რწმენის ძლიერებას. მეგობრები, სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულები, აქტიურად იწყებენ თავიანთი შეხედულებების დაცვას და იმარჯვებენ, რადგან მოვალეობის გრძნობა როდი უბიძგებს მათ სამოქმედოდ. პროფესიის სიყვარული და ურთიერთობატივისცემა მათი მორალური კრედი.

სპექტაკლში (პედაგოგი-რეჟისორი ნ. განავა) მოქალაქეობრივი სინდისის, მეგობრობისა და ცხოვრებაში ადგილის პოვნის პრობლემა იდგა. მეგობრები — ე. ლოლაშვილი, ა. მახარაძე, თ. ჩხეიძე, ტ. გიორგაძე — პიესის გმირთა ენით თავიანთ სათქმელსაც ამბობდნენ.

ძალზე ბუნებრივად, უბრალოდ თქვეს მათ ადამიანის მოვალეობაზე ხალხის, საკუთარი სინდისისა და მეგობრების წი-

ნაშე. სპექტაკლში დიდაქტიკურად როდი გამოდიოდნენ მსახიობები, ისინი მსჯელობდნენ მათთვის მტკივნეულ სიტუაციებზე, აზრთა ჭიდილში ვლინდებოდა პიესის გმირების ჭეშმარიტი ბუნება.

„კოლეგები“ კარგად შეაფასეს ინსტიტუტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა. და დადგა გადმწყვეტი ჟამი — მომავლის გეგმები უნდა დაესახათ კურსდამთავრებულებს. ახლა უკვე გამუდმებით ფიქრობდნენ თეატრის რეპერტუარზე, შემოქმედებით კრედიზე, ხვალინდელი დღის სიძნელეებზე. ფიქრობდნენ, ოცნებობდნენ, მაგრამ ერთუზიასტა რიცხვმა იკლო. ეს ბუნებრივიცაა. ყველა ერთნაირად ვერ ჩაებმება საერთო საქმეში. ზოგს სხვაგვარად წარმოუდგენია თავისი მომავალი. რამდენიმე მსახიობმა უარი განაცხადა რაიონში წასვლაზე. აქ კი ჩაერია პრესა.

ნაადრევი წერილი

„ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდიოჟ გრუზიი“-ს ფურცლებზე ხშირად გამოჩენილა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა ვეარები. ხშირად იწერება რეცენზიები მათ სპექტაკლებზე. ეს კეთილშობილური საქმეა—ახალგაზრდა ხელოვანი ჯერ კიდევ ინსტიტუტის კედლებში ეჩვევა საზოგადოების აზრს თავის ნამუშევარზე.

ახლაც არ დააყოვნა ჩვენმა შესანიშნავმა კომკავშირულმა გაზეთმა „მოლოდიოჟ გრუზიამ“ (ლ. ჩხეიძე — „კოლეგები? — მხოლოდ სპექტაკლში“ № 79, 1965 წ.) და თავისი სიტყვა თქვა იმ რთულ ვითარებაში, როცა ახალგაზრდები მომავლის გეგმებს ისახავდნენ, ჯერ კიდევ ყოყმანობდნენ, საბოლოო არჩევანი ვერ მოეხდინათ. თითოეული მათგანი რთულ პროცესს განიცდიდა—ძალზე მოფიქრებული ნაბიჯი უნდა გადაედგა, რომ ეამოუწირობებელ შეცდომად არ ქცეულიყო გრძნობას აყოლილი საქციელი. შემოქმედება არ არის ზუსტი მეცნიერება, როცა საქმე გვაქვს ფორმულბთან, მანქანებთან ან წარმოებასთან. თითოეული ინდივიდის მონაცემებზე, პო-

და შემოქმედთა საქციელი. იცით რას ნიშნავს, ხშირად დღეში ორი სპექტაკლი ითამაშო — ერთი თეატრში, ხოლო მეორე, ორსაათიანი მგზავრობის შემდეგ, რომელიმე მოუწყობელი კლუბის სცენაზე? იცით რას ნიშნავს, როცა ავტობუსში იხსნი გრემს, ჩქარობ, მეორე სპექტაკლზე არ დაგაგვიანდეს? ანდა, გვიანდამით ბრუნდები გასვლითი სპექტაკლიდან, სახელდახელოდ ვახშობ, სულ ოთხობდეს საათი გძინავს. დილით თერთმეტ საათზე რეპეტიციაზე მიდიხარ, საღამოს კი კვლავ გასვლით სპექტაკლზე მივჩქარება? იცით რას ნიშნავს, როცა სპექტაკლების გამოშვების ვადა საგრძნობლად მცირდება? ანდა პიესას ერთი თვის მანძილზე ორჯერ მოგახსნიან და კვლავ დაგიბრუნებენ? ზოგჯერ თითქმის მზადაა სპექტაკლი, მაგრამ პიესა მოიხსნება რეპერტუარიდან არცთუ ისე დამარწმუნებელი მიზეზების გამო.

მრავალი სხვა სიძნელეცაა დაკავშირებული რაიონული თეატრის მუშაობასთან. ყველაფერი ერთად კი დაღს ამჩნევს შემოქმედებით პროცესს, სპექტაკლების ხარისხს. მსახიობებს მრავალი როლის თამაში უხდებათ საჭირო მომზადების გარეშე. ამდენ ახალ საღებავს, განსხვავებულ ხერხს ვერ პოულობენ და ასე იქმნება შტამპი. ამაზე დროულად არის საჭირო ფიქრი. აქ კი რატომ დუმს პრესა?

საჭიროა კულტურის სამინისტრომ, ბეჭდვითმა ორგანოებმა, თეატრალურმა ინსტიტუტმა ჯეროვანი ყურადღება მიუქციონ რაიონულ თეატრებს, ქმედითი ზომები მიიღონ, რათა ნორმალური შემოქმედებითი პირობები შეიქმნას მუშაობისათვის, მაშინ ახალგაზრდები თვით მოისურვებენ რაიონულ თეატრში წასვლას.

ლ. ჩხეიძე წერილში აღნიშნავს, ზუგდიდში მსახიობებისათვის ახალი სახლი შენდება. ჩვენ გვინდა გავახსენოთ კულტურის სამინისტროს და სტატიის ავტორს ეს სიტყვები. მსახიობებისათვის საცხოვრებელი ბინის მშენებლობა გაურკვეველი მიზეზების გამო

შეწყვეტილია. ახალგაზრდები კი უკვე შვიდი თვეა ზუგდიდში ცხოვრობენ და არც მატერიალურად არიან უზრუნველყოფილნი. ნაქირავეები ბინა (მართალია, ქირას თეატრი იხდის) კი ბევრ უხერხულობას ქმნის. დაპირება დაპირებად დარჩა, ხოლო საზრუნავი მოემატათ. ეს კი შემოქმედებით წვას ხელს უშლის.

დამოუკიდებელ მუშაობას თავისი რომანტიკა აქვს, თავისი დადებითი მხარე. ამაზე შემდეგ ვიტყვით.

სტატიის ავტორი მკითხველს მოუთხრობს, როგორ დაიწყო განხეთქილება ჯგუფში და დასძინს: „უცხად ავთანდილ მახარაძეს შეეცვალა გუნება. სწორედ განაწილების წინ განაცხადა — შინიდან არ მიშვებენო. თემური სათხოვნელად ეწვია კიდეც ავთანდილის დედას“. და ისევ „უან ლოლაშვილმა უთხრა თემის, თუ შენ დარჩები, მე მაინც წავალ, თემურმა კი დაიფიცა, მარტო რომ მომიხდეს წასვლა, მაინც წავალ“.

ძალზე უხერხულია ასეთი არგუმენტების დასახელება. ახალგაზრდა შემოქმედნი უკვე კურსდამთავრებული კაბუკები არიან, ჩამოყალიბებული პიროვნებები, მათ ენდობა ინსტიტუტი, კულტურის სამინისტრო, ზუგდიდის თეატრის ხელმძღვანელობა, მათი სწამთ „გულშემატკივარ“ მეგობრებსაც, გაზეთში კი გამოჰყავთ პატარა ბიჭები: ერთი ბავშვით იმიზეზებს „დედა არ მიშვებო“, ხოლო მეორე გაჯიქდა და „იფიცებს“, მარტო მაინც წავალ. რატომ ვაყინებთ სერიოზულ ვითარებას ან რატომ ვამახინჯებთ ფაქტებს? მით უფრო, თუ ზოგიერთის „ლაღატის“ მიზეზი ოჯახური პირობებითი იყო გამოწვეული, ესეც ხომ საპატიოა ბოლოსდაბოლოს.

ჩვენ სრულიადაც არ გვინდა მათი გამართლება, ვინც დედაქალაქში დარჩა... მაგრამ გვინდა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტებზე მეტი გულისყურით, სერიოზულობით ილაპარაკონ. ახალგაზრდა შეიძლება შეცდეს. შეიძლება აპატიო ან არ აპატიო შეცდომა, მაგრამ მათზე მსჯელობა უნდა იყოს იმ მაღალ დონეზე, რომელსაც მოითხოვს თვით მათი

დამოკიდებულება თავიანთი საქმისადმი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ თეატრი კოლექტიური ხელოვნებაა. სპექტაკლი მრავალი ადამიანის ფიქრისა და აზროვნების შედეგია. ამიტომაც რაიონში მიდიოდა მთელი ჯგუფი, ისინი სათქმელის აუცილებლობამ შეაკავშირა. ზუგდიდის თეატრის დასთან ერთად სურდათ მოეთხროთ მათთვის მტკივნეულ საკითხებზე, თ. ჩხეიძის ან ყ. ლოლაშვილის კენტად წასვლა აღარ იქნებოდა საერთო საქმე. შეიქმნებოდა თეატრის მორიგი წარმოდგენა და არა მათი პირველი სპექტაკლი...

სამატაბალი

მოხდა ის, რომ ზუგდიდის თეატრის სეზონი პრემიერით გაიხსნა. ახალგაზრდული სპექტაკლი „კორპუსი 5, ოთახი 25“, თ. ჩხეიძის, ა. მახარაძის, ყ. ლოლაშვილისა და მხატვარ ა. რამიშვილის შესაძლებლობათა პირველი დემონსტრაცია გახდა. უკვე აღარ იყო ნაცნობი სახეები ინსტიტუტის მაყურებელთა დარბაზში. ეს იყო თეატრი, მაყურებელი, ნამდვილი საერთო ნაშრომი. ამ წარმოდგენაში რეალური ხორცშესხმა ჰპოვა პრინციპებმა, რაც მათ შემოქმედების ძირითად თემად აირჩიეს.

ახალგაზრდა დრამატურგის ჯემალ მონიავას პიესა შემთხვევითი არჩევანი არ იყო. რეჟისორმა თ. ჩხეიძემ დრამატულ მასალაში ჰპოვა ის მარცვალი, რაზედაც შემდგომ შეიქმნა სპექტაკლი — ძალზე ბუნებრივი, ცხოვრებისეული სიმართლთა და შინაგანი სისავსით.

ოთხი მეგობარი — ელდარი, გია, ზურა და თემო საერთო საცხოვრებლის „25-ე“ ოთახმა შეაკავშირა. ოთხი წლის მანძილზე მათ იგემეს სტუდენტური ცხოვრების ავ-კარგი და გაიარეს „გზა სიმართლის, გზა სიყვარულის, გზა მეგობრობის“.

შემოქმედებითა კოლექტივმა სპექტაკლი ჩაიფიქრა როგორც მოთხრობა — ახალგაზრდული ფიქრების გაზიარება მაყურებლისათვის. ისინი გულწრფელად ყვებიან ცხოვრებაზე, თავიანთ შეცდო-

მებზე, იბრძვიან უხამსობის წინააღმდეგ, ძალზე ადვილად დამყარდა კონტაქტი მაყურებელთა დარბაზსა და სცენას შორის, რადგან გმირები მართალნი არიან უპირველესად საკუთარი თავის, ერთმანეთისა და ხალხის წინაშე.

პიესის ძალზე ფრაგმენტული წყობიდან სწორედ ამგვარი გულახდილობა წამოსწია წინ რეჟისორმა თ. ჩხეიძემ. გულახდილობა არა როგორც მიზანი, არამედ როგორც საშუალება, უფრო ღრმად, საინტერესოდ ასახონ ადამიანის შინაგანი სამყარო, ის სულიერი ძვრები, რაც თითოეული ჩვენთაგანისათვის არის დამახასიათებელი. ამიტომაც, ძალზე ბუნებრივად აღიქმება სპექტაკლში დღევანდელ დრამატურგიაში ერთობ გავრცელებული „მოგონების“ ხერხი, როგორც ანალიზის კარგი საშუალება. წარმოდგენაში ეს ვადასვლა ჩვეულებრივად მოხდა, ძალდაუტანებლად...

„25“-ე ოთახის მკვიდრთა ცხოვრება თავისი რიგით მიდიოდა, ვიდრე სიყვარულისა და ყმაწვილური თავდავიწყების მოზღვაგებამ არ დაარღვია მათი ჩვეულებრივი ცხოვრება.

სცენაზე კი ასე გადაწყვიტა შემოქმედებითა კოლექტივმა ეს დაძაბული მომენტი. ბიჭები კამათობდნენ, როგორც ყოველთვის, ცხარედ და დაუნდობლად. შემდეგ დაცხრა დაძაბულობა. როგორც ხშირად ხდება ბუნებაში, ჭკეპა-ქუხილის წინ შიშის მომგვრელი მყუდროება ჩამოდგა. თითქოს არაფერი შეცვლილა:

ელდარმა (ყ. ლოლაშვილი) გიტარით ხელში, ოთახის კუთხეში გადაინაცვლა. სევდიანად და ავისმალუწყებლად ახმანდნენ სიმები. ზურა (ა. მახარაძე) იდგა ელდარის წინ. სულიერი კრიზისი აღროს მას ეტყვიან ხოლმე მეგობრები აღსარებას — ყველაზე გონიერსა და სპექტაკს. და ახლაც დადგა ასეთი აღსარების უამი.

ოდნავ ჩამოხედა, თითქოს ნისლი ჩამოწვა, უხმოდ ჩამოეშვა კედელი, ქუჩის ატმოსფერო შეიქმნა უმალ. სინათლის შუქმა სახეში შეანათა ალექსილ თინას (მ. ტოგონიძე) და ზურას. ისინი და-

რბაზისავენ იყვნენ მიბრუნებული, საუბრობდნენ და დღეებდნენ (უფრო სწორად, ზურა უყვებოდა ელდარს, რაც უკვე მოხდა მათ შორის). ყრუდ გაისმა ნაცნობი სიმღერა. მერე სტვენა აჰყვა სიმებს რიტმულად. კედლის გასწვრივ ახლა უხმოდ იდგნენ ზურა და თინა. „რატომ ხარ ასეთი“ — ისტერიულად იყვირა ზურამ და ამ მრისხანედ წარმოთქმული ფრაზით თავისდაუნებურად ითქვა — მიყვარხარო. არაფერი შეცვლილა, მხოლოდ სიმების ერთობლივმა ხმამ დაარღვია მყუდროება — ზურა იდგა ელდარის წინ და უხმოდ რჩევას ეკითხებოდა — უფრო სწორად, თავის თავს გამოუტყდა და მეგობარსაც ერთდამივე დროს.

მერე ისევ მარტო დარჩა ელდარი. მექანიკურად უკრავდა უკვე გიტარაზე და ფიქრობდა. ფიქრობდა ალბათ ზურაზე. მაყურებელს არც კი შეუშინებია, როდის ასწიეს კედელი ზევით, ისევ ოთახი ჩანდა სცენაზე. ჩვეულებრივზე მეტად განათდა. მხოლოდ სიმების სევდიანი ხმა განვლილი სცენის შთაბეჭდილებაზე მეტყველებდა. უჩვეულოდ აკიაფდა სინათლის ზოლი ოთახის მუქ-შინდისფერ კედელზე — ისევ მოთლოდნელობის გრძნობა დაეუფლა დარბაზს. უცბად დიმილადქცეული, აღტკინებული გია (თ. ჩხეიძე) შემოიჭრა ოთახში. ჯიქურ შედგა ელდარის წინ, გადაეხვია და აკოცა... მერე აღტაცებულმა გრძნობა ვერ დაიოკა და უთხრა, უფრო სწორად, სიტყვებით დახატა, როგორ დარჩა პირველად ციციანოსთან (ზ. გუნიან) მარტო. როგორ დაალაგეს ოთახი და... შეწყდა გიტარის ხმა. ახლა გია იდგა ელდარის წინ...

ნელა წამოდგა ელდარი, მიხვდა — უძლური იყო შეეჩერებინა მოვლენების ბუნებრივი სვლა. მეგობრებს თვით უნდა აერჩიათ სიმართლის გზა. ხოლო მას სიყვარულისა და რწმენის მეტი აღარაფერი რჩებოდა.

ხასიათებით მკვეთრად განსხვავდებიან მეგობრები ერთმანეთისაგან. ამიტომაც პირველი სცენის ატმოსფერო, განწყობილება ზურას ხასიათს დაუქვემ-

დებარა რეჟისორმა თ. ჩხეიძემ. გიას სიყვარულის ისტორიას არც სევდიანი მუსიკა, არც ჩაშავებული ფერები სჭირდება. ამიტომაც, უჩვეულო სინათლე იყო სცენაზე და ბევრი დიმილი.

ასეთი გულახდილი ტონი, მხოლოდ ისეთ სცენურ ატმოსფეროში აღიქმება ბუნებრივად, როცა სცენაზე მსახიობები მაქსიმალურად მართალი არიან.

ამგვარი უშუალობა განსაკუთრებით ჩანს სცენებში, სადაც მეგობრები „უსაქმური“ სტუდენტების წინააღმდეგ ილაშქრებენ. გულისტკივილი, წუხილი და გაღიზიანებაც არის გიას, ზურას, ელდარის და თემოს (ა. ჯვარელი) სიტყვებში. ისინი ჰკიცხავენ, რადგან ადამიანებისადმი სიყვარულის მაღალი გრძნობა აძლევს ამის უფლებას.

ასევე უშუალოდ აღიქმება ელდარის სიტყვები ფინალში „...ჩვენ უკვე ვიცით, როგორებიც უნდა ვიყოთ და როგორ უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს“. მათ ამოხსნეს ერთი ძალზე ძვირფასი ჭეშმარიტება, ამიტომ მათი პროტესტი გამართლებულია.

შინაგან პროტესტსა და შეურიგებელ ტონს, რომლითაც სპექტაკლში ოთხი ახალგაზრდა მსახიობი ცხოვრებაზე მსჯელობს, ზედმიწევნით ფრთხილი და ზუსტი გამომსახველობითი საშუალებები სჭირდება, რომ პლაკატურად არ აღეღრდეს მათი სიტყვები.

მსახიობების გამომსახველობითი ხერხები ძალზე ძუნწი, მაგრამ მეტყველია. ზომიერმა ბუნებრიობამ სიცრუე განდევნა სცენიდან. უნდობლობა, იჭვი, სიყვარული და ერთგულება ლიტონ სიტყვებად როდი ჟღერს. მოქმედებამ, კონფლიქტში იხსნება გმირების შინაგანი ბუნება. მსახიობები ყ. ლოლაშვილი, ა. მახარაძე, თ. ჩხეიძე, ა. ჯვარელი, მ. ტოგონიძე, ს. გუნიან, პ. წულაია, ჯ. ქობალია, თ. ქურციკიძე, ბ. ცომაია ადამიანურ სისუსტეებზე ცხოვრებისეული სიმართლით ლაპარაკობენ. ნაცნობი მელოდიების ფონზე ჩვენთვის ახლობელი ადამიანების ნაცნობი ისტორია იშლება.

გულწრფელი გრძნობები, ახალგაზრ-

დის დამატული საქმიანობა კარგად იკითხება მხატვრული გაფორმების ფონზე. ოთხი კედლის ვარიაცია მიგვანიშნებს საერთო საცხოვრებლის ოთახს, დერეფანს, ქუჩას. არაფერია ზედმეტი, რასაც ყურადღების გაფანტვა შეუძლია.

ეს სპექტაკლი ახალგაზრდების ერთობლივი ნამუშევარია. თითოეული მათგანი კარგად ერკვევა თეატრალური ხელოვნების ყოველ კომპონენტში — მხატვრობაში, მუსიკაში, განათებაში, სცენის კანონებში. მათ ერთად შეარჩიეს მუსიკა, გემოვნებით შეასრულეს აფიშა, თითქმის თავისი ხელით გააკეთეს დეკორაციები, ტექნიკური სამუშაოები. და დღეს ამ სპექტაკლზე ვამბობთ — კარგია. კარგია ამ ეტაპზე, როცა ახალგაზრდების პირველ დამოუკიდებელ ნამუშევარზე ვლაპარაკობთ, მაგრამ არ არის საკმარისი.

ამ წარმოდგენაში მიღწეულს გაღრმავება სჭირდება, მსახიობთა ინდივიდუალურ თვისებებს — ასპარეზი, ხოლო ყოველ მსახიობს — სამუშაო შემოქმედებითი ზრდისათვის. პოზიციას განმტკიცება სჭირდება სწორი და საინტერესო რეპერტუარის სახით.

რაზე იმუშავებენ ახალგაზრდები ხვალ? რა როლი ელის თითოეულ მსახიობს? ყოველი წარმოდგენა იქნება თუ არა ერთხელ არჩეული ხაზის გაგრძელება? რამდენად ამაღლებელი და საჭირო იქნება მათი ხელოვნება ხვალ?

ამაზე ბევრი ფიქრია საჭირო, რომ შემთხვევითი პიესა არ მოხვდეს რეპერტუარში, რომ ერთნაირად მოაზროვნე მწერლები და დრამატურგები ამოუდგენ მათ მხარში, რომ კლასიკურ რეპერტუარში სცადონ თავიანთი შესაძლებლობანი, რომ მათი ხელოვნება, ბუნებრიობასა და უშუალობასთან ერთად, ამაღლებელი და შთამბეჭდავი იყოს.

ეს საკითხები ერთობლივად უნდა გა-

დაწყვიტონ ახალგაზრდებმა, რადგან ერთხელ დაშვებულ კომპრომისს საერთო საქმის შეფერხება შეუძლია.

ახლა ისინი ყველგან, ყოველ საქმეში ერთად არიან. ინდივიდუალურმა ფიქრმა კოლექტიური აზრი ჩამოაყალიბა. ყოველ საკითხს, შემოქმედებითს თუ საყოფაცხოვრებო სფეროში წამოჭრილს, ერთობლივად წყვეტენ, ამიტომაც ამბობენ — ჩვენი თეატრი, ჩვენი სპექტაკლი. ჩვენი მაყურებელი, ჩვენი საერთო ინტერესები, ჩვენი მეგობრები. დამოუკიდებელ მუშაობას სწორედ ასეთი რომანტიკა შემოაქვს შემოქმედის ცხოვრებაში. შენს ძალაში რწმუნდები და უდაოდ გაიმარჯვები!

ზუგდიდის თეატრის კოლექტივმა გულთბილად მიიღო ექვსი ახალგაზრდა, იწამა მათი შესაძლებლობები, მათი მეგობრობა, შეიყვარა ისინი, ახლობლებად მიიჩნია და დღეს...

დღეს

მათზე საუბრობენ, როგორც ერთი კოლექტივის წევრებზე. ა. ეგუტიას (თეატრის დირექტორი), დ. ყუფარაძის, შ. მოსიას, ა. როგავას, ე. კედის, დ. გოგიჩაიშვილის, ს. ყიფშიძის, გ. ვაბისონიას, გ. წერეთლის გვერდით ასხენებენ ლ. ბერბუთაშვილს, თ. ჩხეიძეს, ა. მახარაძეს, ჟ. ლოლაშვილს, ა. რამიშვილს, შ. ჭავჭავაძეს. სახელოვანი ესტაფეტა მიიღეს ახალგაზრდა კოლეგებმა.

დღეს ისინი მუშაობენ კიკვიძის დივიზიის ისტორიის სცენურ ხორცშესხმაზე (ვანიონ დარასელიის პიესა „კიკვიძე“). დაუსრულებელ გზად აქვთ ჩაფიქრებული სპექტაკლი რეჟისორ თ. ჩხეიძეს და მხატვარ ა. რამიშვილს. სცენაზე იქნება შორს მიმავალი დაუსრულებელი ლიანდაგები. ამ გზაზე გამირულად იბრძოდა კიკვიძე და მისი დივიზია. დაუსრულებელია ბრძოლის გზა. ამ გზის დასაწყისში არიან მეგობრებიც.



წიგნაკის საყუჩოვი

სიხსლე და სიტამამე

ო. ზელიძე — ლექსები. გამოცემლობა „საბოთა საქართველო“, 1965.

ქართული ლექსის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატის — ოთარ ჭელიძის პოეზია კარგა ხანია შეიყვარა ჩვენმა მკითხველმა. ეს ბუნებრივია, რადგან მისი ლექსებისა და პოემების გმირები თავიანთი ხასიათითა და ბუნებით, პირველყოფილსა, ხალხის შვილები არიან. საკმარისია გავისხენოთ ალალი გლეხი კაცი — ქიტესა, რომლის სახეც პოეტმა უადრესად ეროვნულ და კოლორიტულ ფერებში დაგვიხატა.

ახლახან გამოცემულ წიგნში შესული ლექსების მეტ ნაწილს უკვე იცნობს მკითხველი, — პოეტმა ისინი სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა.

ოთარ ჭელიძის პოეტური ბუნება და ხასიათი ტრადიციული ქართული ლექსის ბუნებიდან მოდის. პოეტის ომახიანსა და ვაჟკაცურ ტონს ემოციურობას მატებს სხარტი და მოჭინილი ენა:

ჯაჭვის ხიდი, ჩენი ხიდი.
ჯაჭვი რაჟა-იბერეთის,
ზედ სიციცხლე ცეკვით მიდის
ბალღობიდან სიბერემდის.

ასე უშუალოდ და პირდაპირ გადმოგვცემს პოეტი საკუთარ ფიქრებს. ბავშვობისა და მშობლიური სოფლის გახსენება იქნება თუ ქალაქის ორომტრიალსა და სიკვდილ-სიციცხლის უსასრულობაზე ჩაფიქრებული ადამიანის განცდა, ეს

ადამიანური ფიქრი ახლავს ამ წიგნში თავმოყრილი ლექსების უმრავლესობას. ლექსი — „შაურთან წვიმა“ სწორედ ფიქრის, პოეტური გატაცების მაგალითია. მაგრამ თავდავიწყებას და გატაცებას ჩვეულებრივ აქვს თავისი საზღვრები, კანონები... ეს არის ამ ლექსის აზრი, რომელსაც თავისებურად განაზოგადებს პოეტი:

...წვეთებს გავუწოდე ხელი;
როგორც წუთისოფლის მგზავრებს.
წარბის შეურხეველად, წყნარად
ვდგავარ გაშვებული ხელით,
სველი შტოებიდან წამლად
წვეთის ჩამოვარდნას ველი.

...ვიღაც მოქალაქე დგება
ხელში შაურთანს მიგდებს.
თითქოს გადამასხეს წყალი,
თვალი გავახილე მაშინ...
ასე იაფია წამით
თავის დაიწვეება ხალხში.

ამ სტრიქონებში თავისებური სიღინჯეცაა და იუმორიც.

ოთარ ჭელიძემ თანამედროვე ქართულ პოეზიაში სახელი დაიმკვიდრა, როგორც ბალღების ოსტატმა. ბალღად ოდითგანვე პოპულარული იყო საქართველოში. ჩვენ გვაქვს არა ერთი და ორი ბრწყინვალე ნიმუში ხალხური ბალღისა. ეს საქვეყნოდ ცნობილია და ამაზე როდი ვაპირებთ ლაპარაკს, მაგრამ ბა-

ლადა, როგორც გამოსახვის აღიარებულ-
ლი ფორმა და საშუალება, არასდროს
არ ყოფილა ქართველი პოეტების შე-
მოქმედებაში მტკიცედ დაკანონებული
და დამკვიდრებული. რით შეიძლება ამ-
ის ახსნა? იქნებ ხალხური ბალადა, რო-
მელიც ძირითადად საგმირო და სათავ-
გადასავლო ეპოსის გამოხატულება იყო
და, ამავე დროს, როგორც ლექსი, სასიმ-
ღერო ხასიათს ატარებდა და ფანდურზე
იმღერებოდა (ხალხური ბალადები ხომ
ასე იქმნებოდა), თავისი ამ სპეციფიკუ-
რი თავისებურების გამო ვერ იქცა ჩვე-
ნი რთული და მრავალფეროვანი ქართუ-
ლი პოეტური სიტყვის, ქართული ლექ-
სის კანონად? ასეა თუ ისე, ერთი ცხა-
დია: ჩვენმა თანამედროვე პოეტებმა მა-
რთალია შექმნეს რამდენიმე ნიმუში ქა-
რთული პოეტური ბალადისა, მაგრამ ბა-
ლადა, როგორც მწერლობის უანრი, მა-
ინც ჩრდილში იდგა.

ეს შესავალი იმიტომ გავაკეთეთ, რომ
ოთარ ჭელიძის ახალი ლექსების წიგნში
მეტად საგულისხმო და საინტერესო ფა-
ქტთან გვაქვს საქმე ბალადისა და ჩვეუ-
ლებრივი ლირიკული ლექსის დამოკი-
დებულების მხრივ.

ოთარ ჭელიძის შესანიშნავ ბალადებში
იგრძნობა ტემპერამენტი, ქართული სი-
ტყვის მოქნილობა და, რაზეც განსაკუთ-
რებით გვინდა გავამახვილოთ ყურადღე-
ბა, ჭარბი ლირიკული ინტონაცია. ჩვენ
ის გვინდა ვთქვათ, რომ ოთარ ჭელიძის
ბალადებს ლირიკის ელფერი დაჰკრავთ.
სარეცენზიო კრებულზე კი, რომელშიც
წარმოდგენილია ძირითადად ლირიკული
ლექსები, პირიქით ითქმის: თითქმის ყო-
ველ ლირიკულ ლექსში შეჭრილია ბა-
ლადის ტონი და ინტონაცია. იქნებ ასე-
თი შთაბეჭდილება იმიტომ გვრჩება, რომ
პოეტი მაინცადამაინც სახეებით არ ტვი-
რთავს ლექსს და ყოველი ლექსი, ისევე
როგორც ბალადა, რაიმე ამბავზეა აგე-
ბული.

ცნობილია, რომ პოპულარული რვა-
მარცვლიანი ლექსი ძირითადად მაღალი
ან დაბალი შაირის რეგისტრში თავს-

დება. ამის მაგალითია მთელი ჩვენი ხა-
ლხური პოეზია და თვით გენიალური
„ვეფხისტყაოსანი“.

ოთარ ჭელიძემ შაირის ამ მკვეთრად
დაკანონებული ორი სახეობის ფონზე
დაკანონებული ახალი ტონი მისცა რვა-
მარცვლიან ლექსს. ლექსებში („შაურისანი
წვიმა“, „მეტამორფოზა“, „ლამის მატა-
რებელს ვუცდი“, „უსასრულობა“, „რვა
სექტემბერი“, „გაგრა“, „მე და ნატურის-
თვალი“ და სხვა) ახალი შინაგანი რიტ-
მული ტონი ისმის:

არა, ღრუბლებიდან არ ცრის,
მაგრამ შეწყვეტილი წვიმა
წუხელ გალუმბული ცაცხვის
სველი შტოებიდან ცვივა...

შაურისანი წვიმა.

...აჰა, ჩამომდგარა გემიც,
როგორც ჩამოწოლა ბინდის.
მტოვებს თანამგზავრი ჩემი,
ვიღაც მგზღვართან მიდის.

უცნობ ნავსადგურში.

ამ მხრივ ოთარ ჭელიძე ნამდვილ ნო-
ვატორად გვევლინება. ადვილი შესამჩ-
ნევია, რომ მისი ლექსის ტონში შერწყ-
მულია როგორც ხალხური, ასევე კლასი-
კური შაირისა და აშუღური ლექსის
ტონი.

ოთარ ჭელიძე, როგორც აღვნიშნეთ,
სახეებით არ ტვირთავს ლექსს. ასეთ
დროს კი დიდი ოსტატობაა საუბრო,
რომ რომელიმე სიტყვამ ან ფრაზამ პა-
თეტიკური იერი არ მისცეს სათქმელს.
პოეტის სასახლოდ უნდა ითქვას: ასეთი
მაგალითები არსად არ გხვდებით კრე-
ბულის კითხვისას.

ბოლოს, უნდა მოვიშველიოთ ოთარ
ჭელიძის სიტყვები — „სხვისი არაფერი
არ მშურს დიდი სითამამის გარდა“ და
გვინდა დავუმატოო, რომ ეს ჩვეულებ-
რივი თავაზიანობაა, პოეტს არც ამ მხრივ
სჭირს საშურნელი: მან ბევრი გააკეთა,—
ომანიანი და გაბედული ლექსი, სიოცხ-
ლის დიდი ჟინი და სიხალის ძიება ყვე-
ლაზე დიდი სითამამეა და კარგი სითამა-
მეც. ამის დადასტურებაა მისი მთელი
შემოქმედება და ლექსების ეს წიგნიც.



ნაწარმოები საინტერესო რომ გახადოს, ზოგიერთი ავტორი ბავშვებს მათთვის შეუფერებელ ამბებს მიაწერს ხოლმე. ჩვენ ახლა კონკრეტულ მაგალითებს არ მოვიტანთ, საქმეში ჩახედული აღამიანი საამისო მაგალითს იოლად აღმოაჩენს. უამრავი მოთხრობა იწერება ვილაჯის ბაღა-ვენახში გადაძრომაზე, ჩურჩხელების თუ მურაბის მოპარვაზე და ა. შ. ბავშვის ასეთი საქციელის აღწერისას ღიმილი ზომიერება უნდა გამოვიჩინოთ, რადგან თანატოლებზე დაწერილი წიგნი პატარა მკითხველზე დიდ გავლენას ახდენს.

რევან ინანიშვილის საბავშვო მოთხრობები ამ მხრივ ერთ-ერთი ბედნიერი გამოჩაყლისია. ავტორისათვის მთავარია ბავშვის სწორად აღზრდის პრობლემა, ამიტომ ყოველნაირ თემას ფრთხილად და გამოზომილად უდგება. პირველი მოთხრობიდან („ბიბო“) უკანასკნელამდე („შეშაზე“) ერთი სწორი ხაზია გატარებული: სიბეჯითე, სიკეთე, უფროსებისადმი პატივისცემა... სინანული. თუ ბავშვს არა აქვს სინანულის გრძობა, მის ღირსეულ მოქალაქედ აღზრდაზე ფიქრიც ზედმეტია.

„ბიბო“ კრებულის ნამდვილად საუკეთესო მოთხრობაა. იგი სულ უბრალო ამბავზეა აგებული: ბიბო პატარა ბიჭია. მამამისი შოფერია და შორს, ძალიან შორს, ყიზლარში წასულა. ბიბო კი ელოდება ან ახლა დაბრუნდება, ან ახლაო. ჰოდა, მამას ელოდება ბიჭი. თითქოს ეს არის და ეს, მაგრამ ამ ამბის იქით პატარა ბიჭის მთელი სამყაროა გადაშლილი.

ბავშვები მიმბაძველობის დიდოსტატები არიან; ასეთია ბიბოც, თუმცა ამის თაობაზე, ერთი შეხედვით, არაფერს ამბობს ავტორი, ბიბო ტრიალებს: ხან ოთახშია, ხან აივანზე, ხან ეზოშია და მამას ელოდება:

„— ბიბოს გაუმარჯოს, ბიბოს! — ესალმებიან მეზობლები.

— გავიმარჯოთ!
 — როგორა ხარ, კაცო, ბიბო!
 — გული დარდიანი მაქვს.
 — რათა, კაცო, რათა!
 — მამაჩემი ყიზლარშია და...
 — მოვა, კაცო, მაგაზე რა გადარდება.
 — რა ვიცი, გზაა, ათასი მთვრალი და ეხეტება, ათასი ზვავია, ათასი ოხრობა“...
 ამ შემთხვევაში ავტორის მინიშნებაც არ არის საჭირო, — ისედაც ნათელია, რომ ბიბო ან ბებიას სიტყვებს იმეორებს, ან დედისას.

მოთხრობა „რატომ ჭამს სახეღარი ქალაღს“ სათავეს ფოლკლორში იღებს: აღამიანებმა „ტყეები გაჩეხეს, მინდვრები გადახნეს, ცხოველების დიდი ნაწილი დახოცეს და შეჭამეს“, რაც გადარჩათ, იმასაც დასდევენ დასახოცად. შეშინებული ცხოველები თავისი ფეხით მივიდნენ აღამიანებთან... სახეღარიც გამოცხადდა აღამიანთან: „მიპატრონე და ტვირთის გადატან-გაღმობთანში მოგებმარებიო“... ერთგულად მუშაობს სახეღარი და რადგან სიმღერა ყველამ იცის, ხანდახან ისიც „შემოსძახებს“ ხოლმე. სახეღარის სიმღერა კი, აბა, ვის არ მოუხმენია. მისი „სიმღერის“, უფრო სწორად, ყროყინის გამო პატრონმა სახლიდან გააგდო: „წადი, მოსწყდი აქედან, სხვაგან იღრიალეო!“ მშვიერ-მწყურვალე სახეღარი მოსამართლესთან წავიდა, პირობა დაარღვია ჩემმა პატრონმა, მე მისთვის ტვირთი უნდა მეზიდა, მას უნდა შევენახე, — ახლა ადგა და გამომავლო, ეზოშიც აღარ მიშვებსო.

„— საბუთი გაქვს? — ჰკითხა სათვალთანა მოსამართლემ.

— რა საბუთიო?! — გაუკვირდა სახეღარს.

— ქალაღზე დაწერილი საბუთი, რომ შენა და აღამიანმა ეგეთი პირობა დადეთო.

— მე წერა-კითხვა სულაც არ ვი-

ციო, — მიუგო შეწუხებულმა სახედარ-
მა.

— აბა მაშ შენ თავს დააბრალე. თუ
ქალაღმზე დაწერილი საბუთი არა გაქვს,
ისე ადამიანს პასუხს ვერ მოვთხოვო. სა-
სამართლოს წესი ეგეთიაო“.

რადას იზამდა სახედარი, დაღონებუ-
ლი გამობრუნდა, ოხრავს, „— ეგე, წე-
რა-კითხვა რომ მცოდნოდა, ასე ხომ არ
დამემართებოდაო“.

ამ მშვენიერ ზღაპარს არა ნაკლები
მშვენიერი დასასრული მოუხანა ავტორ-
მა: „მე მაინც მგონია, რომ მართალნი
არა ვართ, როცა უსწავლელ, რეგვენ ად-
ამიანს სახედრის სახელით მოვიხსენი-
ებთ ხოლმე“.

ამგვარი, ეგრეთ წოდებული, შემოვ-
ლითი გზით ავტორი ბავშვებს სწავლისა-
კენ, ცოდნისაკენ მოუწოდებს.

ამ წიგნში ყველაფერი მართალი და
დამაჯერებელია: ატირებული მელია
გვეცოდება; ბნელ ღამეში ჭოტი გაკვი-
ვის და... სიმარტოვის ქრუანტელი გვივ-
ლის; გათოშილი ბიჭები ტყიდან ბრუნ-
დებიან და ჩვენ ერთი სული გვაქვს, რო-
დის ჩათავებენ მოყინულ დაღმართს,
რომ თავისუფლად ამოვისუნთქოთ, თო-
თია გახარებული ჩადის სოფელში და...

გხედავთ, ერთ შაშვს როგორი ჟრიალ-
ლით მოჰყვებიან ბავშვები, თითქოს დი-
დი რამე მოუკლავთო; პატარა მგელია
პირველი გმირული საქმე ჩაიდინა და მი-
სი სიხარულით გაბრწყინებული თვა-
ლები აღარ გვავიწყდება... ყველაფერი
ეს ჩვენია, ჩვენი მიწაწყლის, ჩვენი ოჯ-
ახის, ჩვენი ბავშვებისა და იმ ბავშვების
ამბავი, რომელთაც ყოველდღე ვხვდე-
ბით...

როცა ჩვენ ესა თუ ის ამბავი გვგვრა,
მწერლის ოსტატობაზე აღარ ვლაპარა-
კობთ, ვინაიდან მკითხველის დაჯერება,
მწერლისეულნი განცდის ვადადება თავი-
სთავად დიდი ოსტატობაა.

ამ ნედლი ბალახისა და დამკვნარი ფო-
თლის სურნელით გაქლენთილ ნაწარმო-
ებებს, ამ მაღლიანი მოთხრობების წიგნს
თავისებური ნაკლიც აქვს. წიგნი გა-
მიზნულია „უმცროსი სასკოლო ასაკის
ბავშვთათვის“, მაგრამ „დიდი ზამთარი“,
„ჩვენი კატაფშატა“ „დღემილი გზაში“...
ამ ასაკისათვის განკუთვნილი ნაწარმოე-
ბები არ არის, რაც ავტორს წიგნს შე-
დგენისას უნდა გაეთვალისწინებია, თუმ-
ცა, ყველა აქ ჩამოთვლილი საბავშვო თუ
არასაბავშვო მოთხრობა დიდი გაცდით
და სიყვარულითაა დაწერილი.

პარლო კობერიძე

სვანეთის პირუთვნალი მემკვიდრე

ბ. ნიჟარაძე — „ისტორიულ-მეთოდოლოგიური წიგნი“ თბილისის სახ. უნივერსიტეტის
ბამოცემოლოგა.

საქართველოს მაღალმთიან კუთხეს —
სვანეთს მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლე-
ბული, მრავალი უცხოელი ეტანებოდა. ზოგი
რამე ახირებულ შეხედულებას ამოწმებდა
სვანეთის ყოფაზე, ზოგს უშბა. შხარა და თე-
თნული იზიდავდა. სვანთა მკაცრი მორა-
ლური კოდექსები, რომლებიც წმინდა ქარ-
თული საგმირო-სარაინდო და დარბაისლური
ეთიკით არიან მოტივირებული, უცხოთათვის
გაუგებარი იყო. სვანები „ველურების“ და
„განუვითარებლების“ სახელით მოიხსენია
უცხოეთის პრესამ. მეფის რუსეთის მთავ-

რობაც საქართველოს ცენტრალური ნაწი-
ლიდან სვანეთის გამიჯვნის აშკარა გზას და-
ადგა.

სწორედ ამ დროს, ილია ჭავჭავაძის მითი-
თებით, სვანთა ყოფაცხოვრებისა და ზნე-
ჩვეულებათა ზუსტი აღწერა და ანალიზი
თავს იღვა სვანეთის მკვიდრმა ბესარიონ ნი-
ქარაძემ. მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მე-
ოთხედსა და მეოცე საუკუნის ორი ათეული
წლის მანძილზე სვანთა ყოფაში არ მომხდა-
რა რამე მნიშვნელოვანი ამბავი, რომ იგი
კალმით ან საქმით არ გამოხმაურებოდა. ბ.

ბ. ნიყარაძე წლების მანძილზე უანგაროდ ეხმარებოდა სვანეთით დაინტერესებულ მოღვაწეებს: ზაქარია ფალიაშვილს, ნიკო მარს, ექვთიმე თაყაიშვილს, რაფიელ ერისთავს, ალექსანდრე ცაგარელს, ალექსანდრე ხახანაშვილს, დავით კარიბაშვილს, მ. ილინას, კორნელი კეკელიძეს, აკაკი შანიძეს...

ბესარიონ ნიყარაძის მიერ შეკრებილი დიდალი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა ბოლო დრომდე გაბნეული იყო ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. 1962 წელს თბილისის უნივერსიტეტის ვამპოცემლობამ გამოსცა ბესარიონ ნიყარაძის „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილების“ პირველი ტომი, 1964 წელს კი მეორე ტომი და მეთხველთა თვალწინ გაცოცხლდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის სვანეთის ყოფა-ცხოვრება.

ორტომეულის რედაქტორს — ალექსანდრე რობაქიძეს დიდი და რთული შრომა გაუწევია. წიგნი იხსნება რუსუდან ხარაძის, ალექსანდრე რობაქიძის და აკაკი შანიძის წერილებით, რომლებიც გვაცნობენ ბესარიონ ნიყარაძის (თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ვ ა ნ ი ს) ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ორივე ტომს ერთვის დიდალი საილუსტრაციო მასალა — ფოტოპირები და ჩანახატები. ორტომეულში ისტორიულ და ეთნოგრაფიულ წერილებთან ერთად შეტანილია ბ. ნიყარაძის მიერ ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშები.

„ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წერილებში“ ავტორი კონკრეტული მავალითების მოწვევებით არკვევს ერთი მეტად თვალშისაცემი ჩვეულების — ქალთა ხშირი მოტაცების მიზეზს სვანეთში. ამ ვარაუდების უპირველეს მიზეზად მკვლევარი სვანეთში ქალთა სიმცირეს მიიჩნევს. ქალის მოტაცების შემთხვევებს ხელს უწყობდა ისიც, რომ სვანეთში თითქმის დაკანონებული იყო აკვანში დანიშნა, რაც მრავალი სისხლიანი ტრაგედიის სათავე ხდებოდა. ბ. ნიყარაძე ერთობ სათუთად ეპყრობა სვანთა ადამიორბე ტრადიციებს, მაგრამ ამ „უმსგავსო ჩვეულების“ ამოკვეთის ვალდებულებით მოითხოვს ადმინისტრაციული წესით. თან სთვლის, რომ ეს წესი საზოგადოების ყრბობის ვალაწყვეტილებამ უნდა გაამაგროს.

მკვლევარი დაწვრილებით აღწერს ზამთრის დიდ დღესასწაულებს სვანეთში: შობა-ახალწელსადას და ლიფანალს. ლიმპარს და ლქორას, გაზაფხულ-ზაფხულისა და შემოდგომის დღესასწაულებს.

სვანებმა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებამდე ცოცხლად შემოინახეს მიცვალებულთა სულების პატივისცემისა და მოხსენიების რთული რიტუალი. ბესარიონ ნიყარაძეს ზუსტად აქვს გადმოცემული სულთა მოხსენიების დღესასწაულის (ლიფანალის)

ყველა ელემენტი. განმარტებულია და ცხახალი მავალითებითა და სურათებულ სვანთა ქცევა ლიფანალის დროს, ნიყარაძის ავტორმა ერთ-ერთმა პირველმა მკვლევარმა ზღაპრის მავიური ფუნქცია ლიფანალის პერიოდში, როცა სვანები გაუთავებლად ყვებოდნენ ზღაპრებს სულთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

რელიგიური დღესასწაულები სვანებს გაზაფხულ-ზაფხულობით ნაკლებად სცოდნიათ.

სულთა და ღვთაებათა კეთილგანწყობის მოპოვებას ემსახურებოდა ძველ სვანეთში აგრეთვე ზამთრის დღესასწაული ლიმპარი (ლამპრობა). ეს დღესასწაული 2 თებერვალს იმართებოდა. სოფლები ყოველ წელს მორიგეობით ეპატიებოდნენ ერთმანეთს. ამ დროს ოჯახში მტერსაც კეთილად იღებდნენ. საღამოს სვანეთის კომუნალიზ სოფელი ეინჯილილებით ნათდებოდა. აღმოდებული ლამპრები სხვადასხვა ადგილას მიჰქონდათ და სხვადასხვა სავედრებელს ევედრებოდნენ უფლებს.

აქვე აღწერილი წმინდა ბარბალეს სადიდებელი დღესასწაული ლიქვარში, აგრეთვე უფლიში, მუღიში, ქაშვეთობა და ლიგურკე. წიგნში აღწერილი დღესასწაულთაგან შესრულების სიმკაცრითა და მსხვერპლშეწირვის სიუხვით გამოირჩეოდა შემოდგომის (მუქლვერის) დღესასწაული ლაგვანი. ლაგვანიც სულთა პატივისცემას და კეთილგანწყობის მოპოვებას ემსახურებოდა. სვანი შემოდგომამდე მთავი ასუქებდა ხარს და სხვა-საკლავს. შემოდგომამდე, ლაგვანობისას კი საქონელს ხოცავდა და სოფელს პატივობდა. ოთახში შლიდნენ მიცვალებულისათვის ნაყიდ ახალ ტანსაცმელს, რომელშიც, სვანის რწმენით, მიცვალებულის სული გაეხვეოდა. ტანსაცმელს პაპი (მღვდელი) აკურთხებდა. სხვა დღესასწაულთაგან განსხვავებით ლაგვანის დღესასწაულზე სიმღერას არ იტყობდნენ. ხშირად თურმე სვანი სიცოცხლეშივე იხდიდა ლაგვანს.

ბ. ნიყარაძე გადმოგვცემს სვანთა წარმოდგენებს საიქიოზე. სვანის წარმოდგენით საიქიო ისეა მოწყობილი, რომ ამქვეყნად მცხოვრებ ადამიანს სიკეთის, გამარჯვების, ფხიზელი ცხოვრების, წინაპართა და გარდასულთა პატივისცემის აუცილებლობას კარნახობს და ავალებს.

სვანები ზედმეტი ასკეტიზმის აშკარა წინააღმდეგი იყვნენ და სწამდათ, რომ ლოცვა-კურთხევა ღმერთს ყველა ადგილიდან ესმოდა. ამ ნიადაგზე ხშირი უქმყოფილება ჰქონდათ მღვდლებთან. ამასთანავე სვანთა ლაი ბუნება ვერ ეგუებოდა მღვდელმსახურების სქოლასტურობას. ღვთის მსახურებს არ მოსწონდათ, რომ სვანებს თავიანთი

„მთის წმინდა გიორგი“ ჰყავდათ და მას სამწევება სიმღერით აღუვლენდნენ ხოლმე საღვთებულ ჰიმნს.

საინტერესოა ძველი სვანური სასამართლოს წესი და პროცესი. აქ ყველაფერი უმაღლეს სიმართლზე, დიდ პატიოსნებაზე, საზოგადოებისა და თემისადმი უსიტყვო პორჩილებაზეა დამყარებული. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს საბოლოო მიზანი, ზარალის ანაზღაურების შემდეგ, მოპირდაპირე მხარეთა შერიგებაა. სვანური სამართლის წინაშე საზოგადოების ყველა წევრის ფიცი თანაწვრთა, ფეოდალური სამართლის სხვა ქართული ძეგლები კი ფიცის ხარისხს აღამაინის საზოგადოებრივი მდგომარეობით საზღვრავენ.

ავტორი ახასიათებს სვანეთის სასოფლო ყრილობას და მის ფუნქციებს. მისი ცნობით, სასოფლო ყრილობა უყოყმანოდ სჯიდა სიკვდილით ადგილობრივ ეკლესიას მძარცველებს. დამნაშავე ისჯებოდა სარაზ, ანაზზე ან შუგზე ჩამოცემით. სასჯელის სიმკაცრე ამტკიცებდა დანაშაულობათა შემთხვევებს. ასეთი მკაცრი წესის წყალობით შემოინახა სვანეთმა საქართველოს ეკლესიის სიძველენი. ყრილობას მკაცრად იცავდა მაღალი ზნეობის პრინციპებს. განსაკუთრებით ფხიზლობდა ყრილობის თვალი მეძავთა და მირონ-ნათესაობის გამტეხთა მიმართ. ყრილობის მიერ „აჯერძალული იყო ღდა არის ცოლ-ქმრისა ნათესავებს შორის მათეუ შტომდე და სახეიკაცებში (ლამხუბ) სრულიად, განუსაზღვრელად შტოისა“.

ბ. ნიჟარაძე ყურადღებას ამახვილებს სვანი ქალის უფლებამოსილებაზე. როგორც ყრილობაზე, ისე მახვშის (უფროსის) ამორჩევის საკითხში სვანი ქალი მამაკაცის თანაბარი უფლებით იყო აღჭურვილი. რაც შეეხება მახვშობას, ე. ი. საზოგადოების თავკაცობას, იგი უსასყიდლო იყო, ოღონდ ამას არავინ გრძნობდა. მახვში იღებდა აუწონელ და ფასდაუდებელ ჯილდოს — მთელი საზოგადოების ნდობას. განუსაზღვრელი იყო მახვშის უფლებები. იგი მხოლოდ ყრილობის უზუნაეს გადაწყვეტილებას ემორჩილებოდა. ყრილობა, ხალხი, ხეობა მაინც პიროვნებაზე მაღლა იდგა.

ბ. ნიჟარაძე გვაწვდის საინტერესო ცნობას სვანურ ლინთურალზე. ლინთურალი ერთმანეთისათვის უცხო აღამაინების, მეტწილად კი ქალ-ვაჟის, გაცნობა-დანათესავებას გულისხმობს. ავტორის სიტყვით, ლინთურალს ხშირად მიმართავენ მამის, როცა ქალ-ვაჟის სიყვარულს კეთილი ბოლო არ უწყვირა. ლინთურალი საშუალებას აძლევს მათ „ხორციელად წმინდად იყვნენ ერთმანეთში და წარსულის მოგონება-მოთხრობაში გაატარონ სასიამოვნო დროება“. ლინთურალის მსგავსი

ჩვეულება მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული ფშავ-ხევსურეთში წაწლობისა და სწორად ფრობის სახით. ბ. ნიჟარაძის მოწმობით, ამ ეთნიკურ ჩვეულება დასტურდება რაჭა-ლეჩხუმშიც „კერძ-კაცობის“ სახელწოდებით.

ვისაც ხელურისა და ზესხურის ხეობებით უვლია, მთავარაზე (ადგილის სახელი) რაჭა-სვანეთის და ჩრდილო-ოსეთის გზაგასაყარები უნახავს, უკეთ შეაფასებს, მთის ბუნებისა და მისი ბილიკების როგორი ზედმიწევნითი აღწერილობა დაუტოვებია „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“ ავტორს. კავსიონის ლამაზი მწვერვალების ჭუთხაროს და შუშაროს ძირში გამავალ ყველა გზას იცნობს მკვლევარი. ეს ბილიკები და ადგილები იყო ოდესღაც კავკასიის ხალხების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ცენტრალური მაგისტრალები და პუნქტები. ბ. ნიჟარაძე განმარტავს მწვერვალებს და დასახლებულ ადგილებს სახელწოდებებს, აღწერს ნამოსახლართა ისეთ ტიპებს, რომელიც დღეს ძალიან მაღლა, მუდმივი თოვლის ზონაში არიან. ასეთი ნამოსახლარები ახლაც ბლომადაა რაჭაში, ზემო სვანეთში, ჩრდილო-ოსეთსა და ქისტეთ-ხევსურეთში და მნახველს აოცებს. სვანები ასეთ დასახლებებზე ამბობენ — ძველად აქ უთოვლობა იყო. მკვლევარის მართებული დასკვნით, დასახლების ვრცელი არე მცხოვრებთა მრავალიცხოვნებაზე უნდა მიუთითებდეს. აშკარაა ისიც, რომ კლიმატის დიდი ცვლილება მომხდარა.

ავტორი ფართოდ მიმოიხილავს რაჭა-სვანეთის, კერძოდ, ღებისა და უშგულის ურთიერთობას. გვაწვდის ბევრ საინტერესო ცნობას რაჭის თავადების — ჯფარბიძეთა სისხლის ძიებაზე, უშგულელი ჯამათა ჭელიძის-მკვლევლობაზე, ღებური და სვანური საფერხლო სიმღერების კავშირზე, ღებურ და სვანურ ყრილობაზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ თავდაპირველი და დიდად დაკვირვებული მკვლევარი ღების საკითხის განხილვისას ოდნავ ტენდენციურია.

ცალკეულ თემთა, დასახლებულ ადგილთა და ხეობათა მეცნიერული, ზუსტი კვლევის შესანიშნავი ნიმუშია უშგულის აღწერა.

სოფლის პატივისცემის ნიშნად სოფელთან მიანახლებების ცხენიდან ჩამობტომა ზოგად ქართულ ტრადიციას მიეკუთვნება. უშგულს ძალზე დიდხანს შემოუნახავს ეს საპატიო ჩვეულება და არც ერთ თავადს, რომელიც უშგულს სამტროდ თუ სამოკეთოდ მიადგებოდა, საფელში ცხენით გავის უფლებას არ აძლევდნენ. ამაყმა სულმა და თავისუფლების სიყვარულმა უშგულის თემს დიდხანს შემოუნახა დამოუკიდებლობა. შეთანხმებულად, დაუნდაბლდ მოკლეს უშგულელებმა ბატონობის მამოძღვრო ფუ-

თა დადგეშქელიანი, ბეჟან და ყიფიან ყიფიანები, მულახის მახვში ქავეშუბი, მალყარელი თავადიშვილი დევთეგერი. მკვლევარის მართებული დასკვნით, „უშგული რომ ასე არ მოქცეულიყო, შეიძლება სახელი „თავისუფელი სვანეთი“ სულაც არ ყოფილიყო ხმარებაში“. იგი დიდი ტაქტით, შინაგანი დაძაბულობით აღწერს უშგულის ნებაყოფლობით შესვლას რუსეთის მფარველობის ქვეშ. უსლვაში, მეფის რუსეთის მოხელეთ (რომელმაც შემდეგ კავკასიის ხალხთა ენები გაიხადა კვლევის საგნად), სვანეთის უქანასკნელი მთავარი მურზაყან დადგეშქელიანი სიკვდილის გზაზე გაისტუმრა ქუთაისისკენ. მეორე შექედულ მღვდელს დაუჭერდა. ერისკაცმაც და ბერმაც იმდენი ილაქუტეს, უშგული მოაქციეს და მეფის ერთგულების ფიცი მიაღებინეს.

ბესაროზი ნიჟარაძე იყო წევრი იმ კომისიისა, რომელიც მთავარმმართველობის განკარგულებით დაინიშნა მურზაყან დადგეშქელიანის სამფლობელოს საზღვრების დასადგენად 1878 წელს. ამ დროისათვის მეფის რუსეთში უკვე შემომიტკიცა სვანეთი და მიწების აღრიცხვას აწარმოებდა ახალი ბეგარისათვის. მკვლევარს დღიურის სახით აღწერია კომისიის მოგზაურობა, იგი ამაღლებულად გადმოგვცემს, როგორი თავგამოდებით იცავდა ეცერისა და უშგულის საზოგადოება თავის კუთვნილ მიწებს. სამასი შეიარაღებული სვანი თოფშემართული დამდგარა ფეხზე და მზადა სისხლით ვათავოს საქმე, თუ კომისია ოღენა მკერძობებს გაჰმოიჩენს. მეფის მოხელეს ჰგონისა, რაკი მთავრობის წარმომადგენელია, ყველა სვანი მისი მონა-მორჩილი უნდა იყოს. მის აღშფოთებას საზღვარი არ აქვს, როცა ხედება, რომ ფარელები კომისიას ცხენების მიციმას კი არა, მიქირავენასაც არ უპირებენ. მოხელე ღრიალებს. ფარელები კი დინჯად ფიქრობენ: „ხომ არ გადარეულა, რა აყვირებს; ცხენები ჩვენია, გვინდა ვაქირავენთ, გვინდა არაო!“. სვანთა ზნეობის საჩვენებლად საინტერესოა ერთი დეტალიც: „სვანებმა საზოგადოდ არ იციან გინება და სხვისგან რომ გაიგონებდნენ, ძალიან ეჯავრებათ“. აი ასეთ ხალხს ბოქაულად ჰყავს მეფის მოხელე, რომელიც სიტყვას არ იტყვის. ორსართულიანი გინება რომ არ დააყოლოს.

ბ. ნიჟარაძე კომისიას ყაბარდოშიც ჩაჰყვა. დაუეწიყარია მის მიერ აღწერილი ორი გულზვიადი თავადის, სვანეთის მთავრის თენგიზ დადგეშქელიანისა და ყაბარდოს მთავრის ისმაილ ურუსბეის შეხვედრა.

მსოფლიოს ნებისმიერი კუთხის გმირულ ისტორიას ამოუღებია გვერდით სვანეთის ლამაზი სოფლის — ხალდეს მღელკუდმართი ისტორია. ზოგჯერ დამარცხება ჭეშმარიტ გა-

მარჯვებას უდრის და ხალდესაც სწორედ ასეთი გამარჯვება ერგო წილად. ბ. ნიჟარაძე ხალდესლობის იარაღაყილი დამსწრე მკვლევარს 1875 წელს სვანეთში ხმა დაირბა, მეფის მთავრობა მიწების დაბეგრვას აპირებსო. სასწრაფოდ შევერთა მულახის, ლენჯერის, მესტიის, უშგულის, ლატალის და კალის საზოგადოება. წმინდა კვირიკეს ეკლესიასთან ფიცი მიიღეს, გამწვდარყვენენ და მიწის დაბეგრვის ნება კი არ მიეცათ მეფის მთავრობისათვის. აღერ ერთმანეთში მოშუღარი საზოგადოებანი მტკიცედ შეიკრნენ საერთო ინტერესის დასაცავად. ყველა საზოგადოებისათვის „კლამსაჰმელი მოაზნადა, უშგულმა არაყი მოიტანა“. ბ. ნიჟარაძე დადგეშქელიანი რეალისტური გადმოცემით დაგვიხატა ჭეშმარიტად ბატალური სცენა დევგმირთა თავყრილობისა და გავიცივსა.

თვალსა და ცემია, რომ 1875-76 წლების გაფიცვაში თავი იჩინა ქართველთა ყველა ისტორიულმა ბედნიერებამ და უბედურებამ. საზოგადოებანი კეთილი საქმისათვის შემტკიცდნენ, მაგრამ ავმა ენამ ბერქოში ხმა მიიტანა— ზემო ხევი ბერქოს და იქ მდგომ რუსის რაზმს გაწყვეტას უპირებსო. მოეერ ბერქოდანაც გაჩნდა და ზემო ხეველთ აუწყა— ქვემო ხევი და რაზმი თქვენს ვასაულებლად მოდისო. აირია მონასტერი. ფიცნაჰამელი ბერქოს მოაღწენა. ახლა სტუმართმფარველობის ურყევმა ტრადიციამ იჩინა თავი და ბერქომ ამ სიტყვებით შეაჩერა კარს მომდგარი ხალხი: „ნუ შეგვარცხვენთ! როგორ უნდა გამოვჩნდეთ, თუ ჩვენი სტუმარი ამოსაწყვეტად დაგაანებეთ. გვიჩვენია უწინ ჩვენ დავიხლოთ!“

ბერქოს სტუმრად სისხლის მწოველი ჰყავდა. მაგრამ იგი მაინც სტუმარი იყო. გაფიცულებმა ბალისა და ლატარის უღელტეხილი გაამარგეს. ორი ათასმა სვანმა იარაღი აისხა. სვანეთი ჩაიკეტა. მეფის მთავრობა ტკიპლ სიტყვაზე გადავიდა. სვანები სიტყვას მიენდვნენ და თოფი დაუშვეს. გუბერნატორმა უღელტეხილი გადმოიარა. საქმის გამოძიება შეუდგა. ბრალდებულთა შორის ორი ხალდეშელი სვანიც აღმოჩნდა. სოფელმა ნებით არ გასცა თანამომენი. მაშინ სვანებზე აღრევე გახლებულმა ბერქონესკიმ მთელი ჯარი მიაყენა ხალდეს. ცალკერძ 19 მოსახლისაგან შემდგარი ხალდე, ცალკერძ ზარბაზნიანი რაზმი! სვანებმა ჯარის სარდლობა კოშკებიდან ამოხოცეს. 7 ავესიტოს ახალი ჯარი მოვიდა. დილით, როცა ჯარი სოფელში შევიდა, ცხრა მოხუცილად დახვდათ. სოფელი ღამით გახიზნულიყო მთაში. ძირფესვიანად მოთხარეს ხალდე. „ლამაზი სოფელი ნანგრევედ იქცა“.

ხალდეს უღვთო აოხრებით დამთავრდა სვანეთის გმირული ეპოპეა. რომლის გულდამწვარი ყამთაღმწერელი ბესარიონ ნიჟარაძეა.

შსანიშნავი გეზნიეი და საზოგადო მოღვაწე

ქართველმა ხალხმა დიდი სიყვარულით აღნიშნა გამოჩენილი ეკონომისტისა და ისტორიკოსის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის — პაატა გუგუშვილის დაბადების 60 წლის-თავი.

პაატა გუგუშვილს 1930 წელს დოცენტის წოდება მიენიჭა, ხოლო 1940 წელს მან ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ამ სადოქტორო ნაშრომს ოფიციალურმა რეცენზენტ-თპონენტებმა ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და ფილიპე გოგიჩაიშვილმა უმაღლესი შეფასება მისცეს.

პაატა გუგუშვილი ორასამდე გამოკვლევების ავტორია, რომელთაგანაც ორმოცზე მეტი ცალკე წიგნად არის გამოცემული. დიდმა შრომისმოყვარეობამ და ნიჭმა მას საქვეყნოდ ცნობილი ეკონომისტის სახელი მოუხვეჭა. იგი არის საბჭოთა მეცნიერულ-ეკონომიურ დაწესებულებათა ასოციაციის პრეზიდენტის წევრი, მრავალი სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე და წევრი...

პაატა გუგუშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. მის მოწაფეთაგან სამოცზე მეტ კაცს აქვს მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის ხარისხი. ისინი ასლა მხარში უღვანან საყვარელ მასწავლებელს.

პაატა გუგუშვილის შრომები გამოქვეყნებულია რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, უნგრულ, ჩეხურ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებზე. მისი ნაშრომები დიდ მოწონებასა და ინტერესს იწვევენ ყველგან, ჩვენშიც და საზღვარგარეთაც. ამას მოწმობს მრავალი დადებითი რეცენზია, რომელიც საზღვარგარეთის პრესის ფურცლებზე ქვეყნდება.

ცნობილი მეცნიერი დაარსების დღიდან სათავეში უდგას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტს და ამავე დროს ყოველთვიური ჟურნალის — „საქართველოს ეკონომისტის“ რედაქტორია. ჟურნალში თანამშრომლობენ როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი მეცნიერებიც, რაც ამ ჟურნალის პოპულარობაზე მეტყველებს.

პაატა გუგუშვილი მხოლოდ ეკონომიური ხასიათის თემატიკით არ იზღუდება. მის კალამს ეკუთვნის გამოკვლევები ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ჟურნალისტიკის ისტორიის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის და სხვათა სოციოლოგიურ შეხედულებათა შესახებ.

ღვაწლმოსილი პროფესორის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა და პირადი ცხოვრება მშვენიერი მაგალითია

ჩვენი ახალგაზრდებისათვის, რომელნიც ფართო ასპარეზზე გამოსასვლელად ემზადებიან.

ჩვენი *ქურნალის რედაქცია თავის მრავალრიცხოვან მკითხველებთან ერთად მსურვალედ მიესალმება შესანიშნავ მეცნიერსა

და მგზნებარე საზოგადო მოღვაწეს, უსურვებს მას ჯანმრთელ სიცოცხლეს და ყველა მისი მეცნიერული ჩანაფიქრის განსათრევად ლეზას, აგრეთვე იმას, რომ უფრო ხშირად გახსენებოდეს მისი გულწრფელი პატივისმცემლის — „ცისკრის“ მისამართი.

გაღაკშიონის სახელობისა

ქუთაისში სოხუმის ქუჩაზე, დგას ერთი შენობა. აქ არის მოთავსებული გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სტამბა. არაჩვეულებრივი არაფერი ხდება მის ნათელ ოთახებში. აქ აწყობენ, ბეჭდავენ და კინძავენ წიგნებს. ხუთი წლის წინათ ჩადგა ქართული წიგნის სამსახურში ეს მძლავრი პოლიგრაფული საწარმო.

„ნაკადულის“ მიერ გამოცემული გალაკტიონის „ასი ლექსი“ იყო ქუთაისელი მესტამბეების ფეხბედნიერი მეკვლე. ახლა აქ პირველ წელთან შედარებით ათჯერ მეტი წიგნი იბეჭდება.

საამწყობო საამქროს უფროსი ოსტატი ანესტი აფანასიადი ამ ოცდაათი წლის წინათ შემთხვევით მოხვდა ჭიათურის სტამბაში. დასთან ყოფილიყო სტუმრად და სიძეს სტამბის დასათვალისწინებლად წაეყვანა თურმე. პატარა ოთახში სამიოდე ასოთამწყობი იდგა. თითოეული მათგანი სწრაფად იღებდა საჭირო ასოებს რაღაც მოგრობო ყუთიდან და გვერდიგვერდ აწყობდა. ერთი კაცი იდგა და ანაწყობს კრავდა. უთხრეს, დამკაბადონებელიაო. ანესტის სტამბაში დარჩენა მოუნდა. მოწაფედ მიიღეს. მალე გაიწაფა, აწყობაც შეეძლო და დაკაბადონებაც. სტამბას საკუთარი სახლივით შეეჩვია. მერე ისევ მშობლიურ ქუთაისს დაუბრუნდა, ერთ-ერთ სტამბაში მივიდა, ლინოტიპსაც დაუფულა, — გაზეთისათვის აწყობდა ჩასაღებს. ახლა კი საამქროს განაგებს.

საამქროს მოწინავეთა შორის ანესტი პირველად ჯემალ მხეიძეს დაგისახელებთ. ათი წლის წინათ დაუფლებია ჯემალი ასოთამწყობობას, მუშაობს და პოლიტიკნიკურ ინსტიტუტშიც დაუსწრებლად სწავ-

ლობს. არანაკლებ უყვარს სტამბა დამკაბადონებელ ცალა ქაროსანიძეს. ქალიშვილი ისე გულმოდგინედ მუშაობს, წუნს ვერ უპოვი ნამუშევარში.

გულნარა კინწურაშვილსაც უყვარს თავისი ლინოტიპი. ამბობენ, კორექტურაც არ ეპარებაო. როგორ ახერხებ-მეთქი და მორცხვად გაიდიმა. გაიდიმეს გუგული იობიძემ და მერი რუდეიკომაც. თურმე ორივე უწუნოდ აწყობს.

ეს სამი წელიწადია ქუთაისელმა მესტამბეებმა კალენდრის აწყობა, დაკაბადონება და ბეჭდვა ისწავლეს. კალენდრის ოსტატს ეძახიან დამკაბადონებელ ლიდა გვანცელაძეს.

საბეჭდი საამქროს უფროსი ოსტატი ზაურ ჟვანია თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში დახელოვნებულია. ახლა მის საამქროში ორმოცი კაცი მუშაობს.

ცეცხლივით გოგოა ოსტატი ინჟინერი ლეილა კვიციანია, ხელსწრაფი და თვალმახვილია მექანიკოსი ჭაბა ჭრელაშვილი, გამოცდილი და დაუსწარელი — სერგო კეთილაძე.

სართტაციო მანქანას ცხრა კაცი ემსახურება. მანქანების მკურნალია ოსტატი მიტო ჭრელაშვილი. მან მოსკოვის მეროე სტამბაში გაიცნო, შეისწავლა და შეითვისა ბეჭდვის ტექნიკა. რუსმა მეგობრებმა გულდიად გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება. მიტოს მაშინ თან ახლდა ფილორეტ გიგინეიშვილიც. მოსკოვიდან დაბრუნებულებმა თავიანთი ცოდნა სხვებსაც გადასცეს.

სამოცდაათზე მეტი კაცი იღწვის საამკინძაო საამქროში. უფროსი ოსტატი კუკუერი ჟორჟოლიანი მთელი დღე შეუსვენებლივ

შრომობს. ოსტატის თვალი ყველგან უნდა მისწვდეს. ოთხი წლის წინათ ქუთაისელ მესტამბეებს კინძვა ყველაზე მეტად უჭირდათ. ამჟერად გოჩა ჩოგოვაძეს, მედეა ვაჩიბერიძეს, ლია მურუსიძეს, მარიამ ყურაშვილს, ლილა ზვიადაძეს, ნანი გვენეტაძეს და, რა ვიცი, კიდევ რამდენ წარჩინებულ მკინძავს დაგისახელებენ.

სტამბაში ერთი პატარა სამქრო აქვთ, სულ სამი კაცი მუშაობს: ზერო სვანიძე, თამაზ მისურაძე და რომან პაიჭაძე. ისინი კლიშეებს ამზადებენ.

სტამბის ინჟინერ-ტექნოლოგს ირინე ნაცვლიშვილს მადლიანი ხელი აქვს. არც ცოდნა აკლია, გამოცდილება კი ქუთაისის სტამბაში მიიღო.

სტამბის დირექტორი დავით მანდარია რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო პოლიგრაფისტია. ახლა კი არა, სტამბის შე-

ნობის კედლები მიწას არ აჩნდა, დავით/ დანადგარებზე, დაზგებზე, მანქანებზე აღწა-
თონზე რომ ზრუნავდა. უყვარს წიგნი და სტამბას შეზრდილი ადამიანები.

მეტისმეტად თავაზიანი კაცია დავით მანდარია, მაგრამ საქმიანი და მომთხონი, თავის მოადგილესთან კალე ბასილაძესთან ერთად დაუღალავად ზრუნავს იმისათვის, რომ რაც შეიძლება აამაღლოს წიგნის პოლიგრაფიული შესრულების ხარისხი.

მათ კარგად იცინან: ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და მოსაგვარებელი ქუთაისის სტამბაში: ბევრი უნდა ისწავლოს აქაურმა პოლიგრაფისტებმა, რომ აქ აწყობილ-დაბეჭდილი წიგნი საუკეთესო ხარისხისა იყოს.

გვჯერა, ქუთაისელი მესტამბეები არ შეარცხვენენ თავიანთი დიდი თანამემამულის სახელს!

ლ. გომოხია

მშობლიური მელოდიები

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დაზღაში გაიმართა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ერეკლე ჯაბადარის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

პირველ განყოფილებაში რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიურმა ორკესტრმა ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების — შალვა მშველიძის, გრიგოლ კილაძის, რევაზ ლალიძის ნაწარმოებები შეასრულა.

მეორე განყოფილების დაწყებამდე, რომელიც მოლიანად ერეკლე ჯაბადარის ნაწარმოებებს დაეთმო, პროფესორმა პავლე ხუჭუამ დამსწრეთ მოუთხრო ძველი თაობის ამ შესანიშნავ კომპოზიტორზე, ილაპარაკა ბედუკულმართობაზე, რამაც დიდად ნიჭიერი შემოქმედი საყვარელ სამშობლოს მოწყვეტა (იგი პარიზში გარდაიცვალა 1937 წელს). თავისი სიტყვის ბოლოს პავლე ხუჭუამ საზოგადოებას წარუდგინა ერეკლე ჯაბადარის ძმა — პარიზიდან სტუმრად ჩამოსული იმპრესარიო ილია ჯაბადარი.

მსმენელი მოხიბლა ერეკლე ჯაბადარის მეტად თავისებურმა, ნათელმა და ღრმად ეროვნულმა მუსიკამ. კონსერვატორიის სტუდენტმა ნ. ვარდოსანიძემ შეასრულა კომპოზიტორის სამი საფორტეპიანო პიესა („ნაურული“, „კაპრისი“, „ქართული ცეკვა“). რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დავით ბადრიძემ იმდერა ჯაბადარის ორი ცნობილი რომანსი — „სული ობოლი“ და „სატრფო“.

საერთო აღფრთოვანება გამოიწვია სიმფონიურმა სურათმა „გველის პანკმა“ და ხალასი იუმორით დაწერილმა სიმფონიურმა მინიატურამ — „ინდაურებმა“.

კონცერტის დასასრულს აუღერდა ჯაბადარის ერთ-ერთი უძლიერესი ნაწარმოები „ქართული რაფსოდია“.

ორკესტრს ჩინებულად დირიჟორობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლილე კილაძე.

მ. დავითაშვილი



მოზარდ მაცურებელთა ქართულმა თეატრმა მორიგ პრემიერად მაცურებელს ქეთევან ქურუკაშვილის პიესა „კონკია“ უჩვენა. სპექტაკლი დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა თენგიზ მაღალაშვილმა.

„კონკია“ ქართული ზღაპრების მოტივებზეა დაწერილი და მეტად მკაფიო ეროვნულ იერს ატარებს. ჩვენს თვალწინ ცოცხლდებიან ქართული ზღაპრების პერსონაჟები; მწერლის ფანტაზიას ხორცი შეუსხამს მათთვის, ბევრი რამ ახალი შეუტანია მათს ხასიათში. ამიტომაც, რომ მთელ სპექტაკლს თავიდან ბოლომდე ინტერესით უყურებ, გიზიდავს და გაღელვებს ობოლი, დაბეჩავებული გოგონას — კონკიას თავგადასავალი. პიესის მთავარი აზრი, ისევე როგორც ქართული ზღაპრების უმეტესობისა, ეს არის კეთილისა და ბოროტის ბრძოლა, სიკეთის გამარჯვება, მისი ზეიმი. პიესის ავტორის ერთ-ერთი დამსახურება ისაა, რომ ეს დიდი და კეთილშობილური აზრი გადმოცემულია მოქმედებით, პლასტიკურად და არა შიშველი ფრაზებით. მაცურებელმა თითქოს წინასწარ იცის, რომ ყველასაგან გაიცხულსა და მოძულებულ კონკიას ბოლოს უფლისწული აირჩევს საცოლედ, მაგრამ ყველაფერი ისე ბუნებრივად, ძალდაუტანებ-

ლად ხდება, ერთი წუთითაც ვერ აზორებს სცენას თვალს.

პიესაში უხვად არის გამოყენებული ხალხური გაშაირება-გალექება, რაც მეტად სასურველ შთაბეჭდილებას ახდენს. სპექტაკლში მრავალი დასამახსოვრებელი, კოლორიტული სახეა. თავისუფლად, მეტად მიმზიდველად თამაშობენ მთავარი როლების შემსრულებლები — ახალგაზრდა მსახიობები ე. სიხარულიძე (კონკია) და ო. ბაღათურია (უფლისწული). მთავარი როლების შემსრულებელთა შემდეგ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. ტყავაძის (მანიჟე), ვ. ივანიძის (თედო), რ. თავართქილაძის (ჩახახა), ივ. ნინუას (ასფოთოლა), ვ. არეშიძის (კომბალა) და სხვათა თამაში.

უაღრესად ქართულია მსახიობთა კოსტუმები. საერთოდ, მთელი სპექტაკლი გემოვნებით არის გაფორმებული, რაც რეჟისორ თენგიზ მაღალაშვილისა და ახალგაზრდა მხატვრის მამია მაღალაშვილის დამსახურებაა.

„კონკია“ მოზარდ მაცურებელთა ქართული თეატრის სერიოზული შემოქმედებითი გამარჯვებაა. იგი უთუოდ მოსწავლე ახალგაზრდობის ერთ-ერთი უსაყვარლესი სპექტაკლი გახდება.

დ. კახიანი



უიწაჯსი

ბ. პ. მჭავანაცხე — დიდ მჯახსი 8 გვ.

პროზა

აბაკი გეწახე — პატარა კუწაული (მოთხრობა) 6 გვ.
 ილია რურა — მეფეგაუწები და მწვენიერი ელინი,
 ირმის ნახტომი (მოთხრობები) 48 გვ.
 თამაზ გოდერძიშვილი — მიწისქვეშა სასახლეები (მოთხრობა) 56 გვ.
 ანუორ გვარამია — ნატვრა (მოთხრობა) 60 გვ.
 არლი თაყაიშვილი — ღვინო ჩვენი არსობისა (იუმორისტული ნარკვევი) 71 გვ.

პოეზია

იოსებ ნუნეშილი — დღე ღაბაღების (ლექსი) 45 გვ.
 ურთა ნიწინანიძე — გლოგუსი (ლექსი) 47 გვ.
 ითარ კუკარავა — მწერალთა სახლის ჩუმი მუკარე (ლექსი) 54 გვ.
 ანუორ აბულაშვილი — ორი ლექსი 54 გვ.

ახალი თარგმანები

ბიბლია კორთბიჩი, ემილ ლოტინაუ, მავჯუღა ხაქიმოვა — ლექსები
 (თარგმნა ჯ. ჩარკვიანმა). 88 გვ.
 პერსი ბიში შელი — ინდური სერენადა (ლექსი. თარგმნა მ. ზაალიშვილმა) 87 გვ.

ლიტერატურული ქრივიკა

ბიორგი კალანაძე — საბურგალო 88 გვ.
 აბაკი გაჭრახე — სქემების ტყვეობაჟი 94 გვ.

უიქრები ხეგელა

თელო უთურგაიძე — „...განა სუწვილას თქვა უნდა“ 109 გვ.

წერილები

ზარანოზ ერთელიშვილი — ქართული სალიტერატურო ენის სათარგმნათა 116 გვ.
 ფილიპა ბერიძე — რითგა და რიტმი ლირიკაჟი 126 გვ.

ხელოვნება

ვასილ კიკნაძე — ბათუმი, გზები და ფიჭვები თეატრში
 ზაალ ჩიქოვანი — ზაა მეგობრობის



წიგნების საყუაროვი

იორამ ჭიჭინაძე — სიხლე და სითამაშე 148 გვ.
 კარლო კოჭავაძე — ფიგნი პატარავისათვის 150 გვ.
 გიორგი ჯაფარიძე — სვანეთის პირუთვნელი მემკვიდრე 151 გვ.

თვიდან თვემდე 155 გვ.



გარეკანი და ტიტული ელფუჯა ამაშუკელისა ეურნალი გააფორმა თენგიზ სამსონაძემ

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

რედაქციის უამრუსული მასალები, მოცულობით ერთ თაბახანაძე, ავტორებს არ დაუბრუნდება

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პარკი, № 91.

ბელაფონები: რედაქციის — 5-08-85, პ/მ მდივნის — 5-08-86, განყოფილებების: კოეფიციენტი და პრესის, კრიტიკისა და გიგანობის — 5-08-85, კულტურისა და ხელოვნების 5-08-75

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/11. 66 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შუკვ. № 86. უე 02926. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 11 500.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
 Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფანი 60 კაპ.

034/66



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

издательство
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 75238